

რისკმენეჯმენტი კომერციულ ბანკებში

ლევან ქისტაური
გიორგი ცუცქერიძე



საქართველოს საკაფინანსო
საქართველოს უნივერსიტეტის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი



საქართველოს საპარტიო-საპროცესო
წესდება ანდრია შიჩუაშვილის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ლევან ქისტაური, გიორგი ცუცქერიძე

რისკმენაჟმენტი კომერციულ ბანკებში

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

თბილისი

2015

წიგნი დაიბეჭდა
საქართველოს საპატრიარქოს სტამბაში
შ.პ.ს. „მეგობრობა“



St. Andrew the First-Called Georgian University
of Patriarchate of Georgia

Levan Kistauri, Giorgi Tsutskiridze

RISK MANAGMANT IN COMMERCIAL BANKS

Publishing House "Georgian University"

Tbilisi

2015

სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნისის მართვის ფაკულტეტზე.

წიგნი განხილულია საბანკო დანესებულებებზე მოქმედი რისკების არსი, სახეები, მათი იდენტიფიკაციის, აღქმის, ანალიზის, შეფასების და მართვის მეთოდები და მოდელები. ნაშრომი ეფუძნება საბანკო საქმიანობის და რისკმენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილებას და სტანდარტებს, ასევე საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ პრაქტიკას.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ფინანსების და საბანკო საქმის სპეციალობის ბაკალავრებისათვის, ეკონომიკური პროფილის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე საფინანსო-საკრედიტო დანესებულებების თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

რედაქტორი: მიხეილ თომეაზიშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

რეცენზენტები: მახტანბ სარმანია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის და ბიზნისის მართვის ფაკულტეტის დეკანი.

ნინო ღამენია, ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის და ბიზნისის მართვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

ფიქრიზ ნონაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სახელმძღვანელო რეკომენდირებულია გამოსაცემად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნისის მართვის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (ოქმი №4, 10.11.2015).

დოზინი და დაკაბადონება: თ. ქავთარაძე

ილია ქავთარაძის №53-ა
0167, თბილისი, საქართველო
ISBN 978-9941-9457-6-2

2008 წელს დაწყებულმა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ენერგომატარებლებზე ფასების ვარდნამ, აშშ დოლარის მკვეთრმა გამყარებამ მრავალმხრივი ცვლილებები გამოიწვია ეკონომიკაში და მნიშვნელოვნად გაზარდა რისკების შეფასების და მართვის ახალი მეთოდების და მოდელების დანერგვის აუცილებლობა საბანკო სექტორში.

დღეს საბანკო საქმეში რისკის შეფასებისას ორი მთავარი მიმართულება შეიძლება გამოიყოს: რისკის დონის იდენტიფიკაცია და მეორეს მხრივ რისკების მართვა. ბუნებრივია, საბანკო დაწესებულებებს აქვთ უნარი მოახდინონ სისტემური რისკების მინიმიზაცია, მაგრამ ისინი ყოველთვის დროულად არ აკეთებენ ამას, რადგან რისკი პირდაპირპროპორციულია შემოსავლების დონის. ანუ ბანკებს შეუძლიათ ფულადი რესურსები განათავსონ ნაკლებ რისკიან აქტივებში, მაგრამ მაშინ პირდაპირპროპორციულად შემცირდება ბანკის მოგება. ცნობილი გამონათქვამი – „ვინც არ რისკავს ის არ იგებს“ დიდწილად სწორედ ამ პრინციპიდან მომდინარეობს.

ბანკმა იმისათვის, რომ მოსალოდნელი ფინანსური სარგებელი განსაზღვროს ბევრი ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს. ამასთან ბანკების აქტიური ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ფინანსდება მოზიდული სახსრებით. აქედან გამომდინარე, ბანკები უნდა სარგებლობდნენ მაღალი ნდობით, რათა დეპოზიტარებმა მათ ფული ანდონ.

ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილია ფინანსური რისკების შეფასებასა და მართვაზე, რასაც კომერციული ბანკების მიერ რისკების მართვის სტრუქტურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია და მოიცავს: საკრედიტო რისკს, საპროცენტო რისკს, ლიკვიდობის რისკს, სავალუტო რისკს, გარებალანსურ რისკს და სხვ.

მართალია, რისკების შეფასებისას ძირითადად გამოიყენება ბალანსური შეფასებები, მაგრამ უნდა ავლნიშნოთ, რომ ბალანსგარეშე საქმიანობის რისკების გათვალისწინება ასევე უმნიშვნელოვანესია. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ცნობილი ბრიტანული ბანკი „ბერინგსი“ (Barings Bank) და მისი აზიური ბაზრის ბროკერის ნიკ ლისონის (Nick Leason) ისტორია გასული საუკუნის 90-იან წლებში, რამაც ბანკის სრული კოლაფსი გამოიწვია. ბანკმა განიცადა 1, 3 მლრდ აშშ დოლარის ზარალი. შედეგად გააკოტრა მრავალსაუკუნოვანი ევროპული ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც ნაპოლეონის წინააღმდეგ ევროპული კოალიციაც კი ჰქონდა დაფინანსებული.

ნიშანდობლივია, რომ ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან რისკების არასწორი მართვა და საზედამხედველო ორგანოების მიერ ნაკლებ ადექვატური პრაქტიკის შედეგია ასევე 2008 წელს უმსხვილესი საინვესტიციო ბანკის – „ლემან ბროზერსის“ (Lehman Brothers) გაკოტრება.

რისკების იდენტიფიკაციის, შეფასების და მართვის თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას იძენს ბაზელი 3-ის პრინციპების დანერგვა კომერციულ ბანკებში. ბაზელის შეთანხმების მესამე ცვლილების აუცილებლობა 2008 წ. დაწყებულმა გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე ფინანსური ბაზრების მოქმედ რეგულირების მეთოდოლოგიებში გამოვლენილი ხარვეზების გამო წამოიქმნა. ბაზელი 3-ის დანიშნულებაა გააძლიეროს ბანკის კაპიტალის მოთხოვნები ბანკის ლიკვიდობის გაზრდით და ლევერიჯის შემცირებით. იგი ითვალისწინებს ნორმატიული ბაზის დახვეწას ბანკის კაპიტალის ადექვატურობის, სტრუქტურის და ლიკვიდურობის რისკის განსაზღვრისათვის.

ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა რისკების შეფასების და მართვის ის თანამედროვე მოდელები და მიდგომები, რომლებიც დღეს სულ უფრო აქტიურად გამოიყენება წამყვანი საბანკო დაწესებულებების მიერ და მიგვაჩნია, რომ მათი დანერგვა მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს საქართველოს საბანკო სექტორში.

ნიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების (PLL) შექმნის და სესხებზე და

ლიზინგზე დასაშვები დანაკარგების რეზერვების (ALLL), ასევე სარეზერვო ანგარიშის (LRR) ფორმირების წესს.

ნაშრომში ფართოდ არის განხილული რისკების გრადაცია და სესხების კლასიფიკატორები, რისკის ღირებულება (VAR) და მისი მნიშვნელობა დაკრედიტების პროცესში. ცალკეა განხილული დეფოლტის და სესხის დაბრუნებადობის განაკვეთები და გარანტიები.

რისკების შეფასების მოდელებიდან აღსანიშნავია, სპრედის და შემოსავლების მოდელი. ნებისმიერი ბანკის ფუნქციონირების მთავარი მდგენელი არის წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM). შესაბამისად სწორედ საპროცენტო სპრედია ის მაჩვენებელი, რომელმაც უნდა დაფაროს ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვზე (PLL) და გადასახადები თუ საპროცენტო ხარჯები მოზიდულ სახსრებზე.

ნაშრომში ცაკლე თავი ეთმობა რისკის პროფილს (ვადების აცდენის რისკს) და დიურაციის მნიშვნელობას საკრედიტო საქმიანობისას. ბანკის აქტივ-პასივების მართვისას საპროცენტო გეპთან ერთად არანაკლებ აქტუალურია ვადიანობის გეპის მართვა.

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დამოკიდებულება ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან, ანუ კაპიტალის ადექვატურობის მაჩვენებელი, მიუთითებს დასაშვებ კომპრომისზე რისკსა და მომგებიანობას შორის. კაპიტალის ადექვატურობის დასაშვებზე მაღალი მაჩვენებელი კი მიუთითებს ბანკის უკეთეს უნარზე დაფაროს ზარალი, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს რა ბანკის რეიტინგს ზრდის საკრედიტო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობებს და პირიქით.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი ნაშრომი დაეხმარება დაინტერესებულ პირებს უკეთ გაიაზრონ რისკები, შეაფასონ მათი ბუნება და განახორციელონ შესაბამისი ქმედებები საბანკო საქმიანობის პროცესში.

*ლევან ქისტაური
გიორგი ცუცქირიძე*

The global economic crisis has begun from 2008, price dropped on the energy resources, depreciation of the USD caused versatile changes in the economy and significantly increased the necessity of the implementation of the risk evaluation and management of modern models in the banking sector.

Today, in the banking industry, two main directions while the risk evaluation can be distinguished: Risk identification and the risk evaluation. Banking institutions have ability of system risk minimization, but they do not do it timely, because the risk income is directly proportional of revenue level, or banks are able to place the funds in less risky assets, but then bank revenue will proportionally reduce. Known words - „who don't risk don't win" is caused mostly from the principle.

In order to define the possible financial gain, the bank has to take many factors in consideration. The significant part of asset operations of the bank are financed from the deposits. For this reason, the banks have to use deposits with the high confidentiality, in order to trust the funds.

Basically, the focus is done over the financial risk evaluation and management, what is imposed with the most important function in the risk management structure by the commercial banks, and includes: Credit Risk, Interest Rate Risk, Liquidity Risk, Currency Risk, Off-balance Risk, etc.

It is true, that during the risk evaluation, the balance assessments are mostly used, but it should be mentioned, that taking in consideration the risks of off-balance operations are the most important too. Clear example of that is even the story of the past 90s years, about the known British bank (Barrings Bank) and its broker of Asian market Nick Leason, what has caused the full collapse of the bank. The bank

has suffered loss of 1.3 billion US Dollar. As a result, it has caused the bankruptcy of the multycentury European financial institution, which had even financed the European coalition against the Napoleon.

It is inherent, that also the bankruptcy of the biggest investment bank (Lehman Brothers) in 2008 year is a result of the non inadequate risk management and weaknesses of supervisory bodies.

From that point of view, the risk identification, evaluation and management acquires big importance of the implementation of Bassel-3 principles in commercial banks. The necessity of the third amendment of Basel agreement was caused from the drawbacks detected on the methodology of financial market regulations on the background of global economic crisis that had begun from 2008.

The purpose of the Basel-3 is to make the capital requirements stronger by the increase of liquidity and decrease of the leverage. It takes the improvements of normative market in consideration in order to define the capital adequacy, stress test and liquidity risks.

In the work, we tried to show the modern approaches and models of risk evaluation and management, which is more actively used by the leading banking institutins today, and we believe, that their implementation will significantly decrease the risks in Georgian banking sector.

In the book, the significant place is let for the rule of creating the Loan Lose Reserves (LLR), Allowance for Loan and Lease Losses (ALLL), and forming the Reserve Account (LRR).

In the report, there are widely discussed the risk gradation and loan classificators, risk value (VAR) and its importance in credit issuing process. Rates and guarantees of the default and loan refunding is separately discussed.

From the risk evaluation models, spread and revenue models are notable. The main component of functioning any bank is net interest margin (NIM). Accordingly, exatly the interest spread is the indicator, which have to cover the losses for the Possible Loan Losses (PLL) and charges or interest expences over the attracted funds.

Separate chapter is let for the risk profile (term evasion risk) and duration importance during the credit performance. It is not less

actual, the gap term management relative to the interest gap during the asset-liability management.

The dependence between the risk weighted assets and bank supervisory capital, or capital adequacy indicator, indicates the reasonable compromise between the risk and profitability. Capital adequacy indicator higher than reasonable, indicates better ability of the bank to cover the losses, what itself improves bank rating, increases the ability to attract credit resources and opposite.

We believe that represented work will assist interested persons to share the risks better, evaluate their nature and implement according actions in the process of banking business.

Levan Kistauri
Giorgi Tsutskiridze

თავი 1.	საბანკო რისკები და მათი მართვის სისტემა	15
თავი 2.	საფინანსო და განსაკუთრებული რისკი	18
	საბანკო რისკები	21
	პოლიტიკური ხასიათის რისკების შეფასებისა და დეფინიციის პრობლემები	23
	ქვეყნებს შორის საკანონმდებლო განსხვავებანი	24
	სამთავრობო დადგენილებები	25
	სისტემური და არასისტემური რისკები	38
	საკრედიტო რეიტინგი	41
თავი 3.	საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მდგარი რისკები და მათი მართვა	50
	რისკის ძირითადი კატეგორიები	50
	არაფინანსური რისკები	54
	საგადამხდელი და ანგარიშსწორების სისტემების რისკი	55
	რისკების მართვა საკრედიტო დაწესებულებების მიერ	57
	“VAR” მოდელები	59
თავი 4.	საცალო კლიენტთა დიფერენციაციის კრიტერიუმები და რისკები	61
	პირადი ფინანსური დაგეგმვა	64
თავი 5.	იპოთეკური კრედიტი	68
	იპოთეკური საკრედიტო პროდუქტები	68
	სესხების გაცემის პირობები	69
	საგარანტიო წერილების მიღება	73
	სესხის დამტკიცების, გაცემის და მონიტორინგის პროცესი	76
	სამომხმარებლო კრედიტი	79
	სამომხმარებლო კრედიტის დადებითი და უარყოფითი მხარეები	79
	უიმედო და უმოქმედო სესხები	85
	სწრაფად მომსახურებადი სესხები	85
	უიმედო სესხები	85
	უმოქმედო სესხები	86

თავი 6. გიზნეს დაკრედიტება და დაფინანსების ფორმები	87
საბანკო დაფინანსების (დაკრედიტების) მთავარი ფორმები.....	87
ფირმის წარმოება-ვაჭრობის ბრუნვათა ნაქაღების კონცეფცია	89
კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნათა განსაზღვრა.....	90
კომპანიის საქმიანობის ბუნება და სახეები	94
გაყიდვების ღირებულება და ვადები.....	96
სეზონურობა	96
პროდუქციის ნაქაღების სტადიები.....	96
გაყიდვების მოცულობა.....	97
მიმდინარე აქტივების გაუფასურების რისკი თვითღირებულებასთან მიმართებაში	97
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	98
ანგარიშსწორების პირობები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან	98
გაყიდვების დავალიანების (მისაღები თანხების, დებიტორული დავალიანების) კოეფიციენტი.....	99
ინდივიდუალურად შესაფასებელი ბიზნეს სესხები	99
საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების ფორმები	103
ძირითად საშუალებათა დაფინანსება	107
შეფასების კრიტერიუმები	108
თავი 7. გარანტიები.....	113
გარანტიის სახეები.....	113
უზრუნველყოფის საშუალებები.....	115
თავი 8. საბანკო რისკები და რისკების საერთაშორისო რეგულირება	126
საკრედიტო რისკი	127
საკრედიტო ვადების დარღვევის რისკები	129
საპროცენტო განაკვეთების რისკი	130
სავალუტო რისკი.....	132
საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი და მისი გაანგარიშება.....	141

თავი 9.	ბაზელის შეთანხმებების ეტაპები და საერთაშორისო რეგულაციები	142
	შეთანხმება: ბაზელი 1, ბაზელი 2, ბაზელი 3.....	144
	საყრდნით რისკის მიხედვით შენონილი აქტივები	148
	საბაზრო რისკის მიხედვით შენონილი აქტივები	156
თავი 10.	სესხების კლასიფიკაცია და სესხების დანაპარგებზე რეპარკების შიქმნა.....	158
	სესხების კლასიფიკაციის მოქმედი პრინციპები.....	159
	შესაძლო დანაპარგების რეზერვების (PLL) შექმნის და სესხებზე და ლიზინგზე დასაშვები დანაპარგების რეზერვების (ALLL) ან იგივე სარეზერვო ანგარიშის (LRR) ფორმირების პრაქტიკა.....	166
	რისკების გრადაცია და სესხების კლასიფიკაციის კორექტივები	167
თავი 11.	ბანკების მიერ საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების დოკუმენტური ოპერაციები და რისკები.....	171
	ანგარიშსწორებები საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებისას	175
	საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენებული არაფულადი ანგარიშსწორების მეთოდები	187
	საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენებული სატრანსპორტო და გადასატვირთი დოკუმენტაცია.....	190
	საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის ტრანსპორტირებისა და დოკუმენტირების პირობები.....	191
თავი 12.	აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი ცნებები, არსი და ამოცანები	196
	აქტივებისა და პასივების მართვის ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელები	199
	წმინდა საპროცენტო მარჟა	201
	გეპ-ის მართვა	202
თავი 13.	ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და აღრიცხვის ძირითადი პრინციპები.....	207
	შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა ეომერციულ ბანკებში	208

სარჩევი

ბანკთაშორისი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების აღრიცხვა	209
ბალანსის არსი და მნიშვნელობა.....	212
ბულატრული ბალანსის მუხლები.....	216
მოგებისა და ზარალის ანგარიშების არსი.....	222
განსაკუთრებული მუხლების ასახვა მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში.....	224
მოგებისა და ზარალის ანგარიშება ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით	225
თავი 14. წმინდა საპროცენტო მარჟა, სპრედის და შემოსავლიანობის მოდელი.....	231
წმინდა საპროცენტო მარჟა	232
სპრედის და შემოსავლების მოდელი.....	232
სატრანსფერტო ფასწარმოქმნა.....	235
თავი 15. რისკის პროფილი (ვალებების აცდენის რისკი) და დიურაჰცია.....	236
აქტივებისა და პასივების მართვის ეკონომიკური განზომილებები.....	240
ვადიანობის გეჰის განსაზღვრა	243
დიურაჰცია	247
ჰეჯირების მაგალითები.....	251
თავი 16. საზედამხებველო კაპიტალი და ეკონომიკური კაპიტალის განსაზღვრა.....	254
ეკონომიკური კაპიტალის განგარიშება	255
თავი 17. RAROC რისკის მიხედვით შეწონილი კაპიტალის რენტაბელოგის მოდელი	259
კოეფიციენტები, რომელთა გათვალისწინებაც ბანკის მენეჟმენტს საქმიანობის პროცესში აუცილებლად მოუწევს	263
გამოყენებული ლიტერატურა:	265

საბანკო რისკები და მათი მართვის სისტემა

ბანკი (კომერციული ბანკი) არის შუამავალი ინსტიტუტი ფულად ბაზარზე დროებით თავისუფალ ფულად სახსრებსა და მათზე მოთხოვნას შორის. ბანკი იღებს ფიზიკური პირის დეპოზიტებს და სხვა სახსრებს და მათი გამოყენებით, საკუთარი სახელით ანხორციელებს საბანკო საქმიანობას. საბანკო საქმის უნიკალურობა სწორედ იმაში მდომარეობს რომ ბანკის რესურსების უდიდესი ნაწილის ფორმირება ხდება ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოზიდული ვადიანი და უვადო რესურსების ხარჯზე (პასივების დაახლოებით 80-85% სწორედ აღნიშნულ წყაროზე მოდის). სწორედ ამ სპეციფიკის გათვალისწინებით საბანკო საქმიანობა მაღალი რისკის მატარებელი საქმიანობაა. საბანკო დაწესებულებებში კონცენტრირდება ყველა ის საფრთხე რომელიც მუდმივად თან სდევს ბიზნეს საქმიანობას, მის სხვადასხვა დარგს და ცალკეულ საწარმოს მიკრო თუ მაკრო დონეზე.

ერთის მხრივ საბანკო საქმიანობა ეს არის ბიზნესი (სამეწარმეო საქმიანობა), მეორეს მხრივ კი იგი ატარებს საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ფუნქციას, ვინაიდან საბანკო სისტემა არის უმნიშვნელოვანესი რგოლი ქვეყნის ფულად-საკრედიტო და საფინანსო სისტემის.

საბანკო საქმიანობის სპეციფიკის და ქვეყნის ეკონომიკაში ბანკების როლის გათვალისწინებით, ცალკეული საბანკო დაწესებულების და მთლიანობაში საბანკო სისტემის მდგრა-

დი, უსაფრთხო და მომგებიანი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით განსაკუთრებული როლი ენიჭება საბანკო რისკების იდენტიფიკაციას, შესწავლას, ჰეჯირებას და მართვას.

საბანკო რისკი (საბანკო დანესებულებებზე მოქმედი რისკები) ეს არის ფულად ნაკადებთან დაკავშირებული, მომავალში დანაკარგების და დაუგეგმავი ხარჯების განწევის, დაგეგმილი შემოსავლების ვერ მიღების და აქედან გამომდინარე აქტივების გაუფასურების ალბათობა და გაურკვეველობა.

საბანკო რისკები სხვადასხვა სახისაა. პირობითად დავყოთ ისინი ოთხ ჯგუფად:

ფინანსური რისკები

- € მომსახურების მიწოდების რისკები
- € მმართველობითი რისკები
- € გარე რისკები

თითოეული აღნიშნული ჯგუფი მოიცავს რისკებს რამოდენიმე მიმართულებით:

ფინანსური რისკები – ბალანსთან დაკავშირებული რისკი, საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, სავალუტო რისკი, ინფლაციის რისკი, საფონდო რისკი, გადახდისუნარიანობის რისკი;

მომსახურების მიწოდების რისკი – საოპერაციო-საანგარიშნობრივ რისკი, ტექნოლოგიური რისკი, ახალი პროდუქტების დანერგვის რისკი;

მმართველობითი რისკი – მენეჯმენტის რისკი, სტრატეგიული რისკი, სამართლებრივი რისკი, შესაბამისობის რისკი, რეპუტაციის რისკი, თაღლითობის რისკი;

გარე რისკები – პოლიტიკური რისკი, ქვეყნის რისკი, მაკროეკონომიკური რისკი, კონკურენციის რისკი.

რისკები ეკონომიკური საქმიანობის, ბიზნეს საქმიანობის ნაწილია. უფრო მეტიც, შეიძლება ვთქვათ რომ სანარმოს (მათ შორის ბანკის) მოგება სწორედ მის მიერ განეული რისკის სა-

ფასურია. ანუ იქ სადაც არ არის რისკი (რისკი ნულის ტოლია) მოგებაც არ არის (მოგებაც ნულის ტოლია), სადაც მეტი რისკია მოგების მარუაც მეტია და პირიქით. მეორეს მხრივ კი სწორედ რისკია ის რამაც შეიძლება გამოიწვიოს დანაკარგები, აქტივების ღირებულების კლება და გადახდისუნარიანობაც კი.

რისკი ბიზნესის მუდმივად თან სდევს ბიზნესს. მისი სრულად ლიკვიდირება, განეიტრალება, აღმოფხვრა შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ მისი შემცირება, მინიმიზაცია და გონივრულ დონემდე დაყვანა რისკების შესწავლის, დროული იდენტიფიკაციის, მისი არსებობის და მასშტაბების ობიექტურად აღიარების, ჰეჯირების და მართვის გზით.

სწორედ ამისთვისაა მოწოდებული **რისკმენეჯმენტი**.

ეფექტიანი რისკმენეჯმენტი კომერციულ ბანკებში მოიცავს რისკების მართვის კომპლექსურ სისტემას რომელიც ეფუძნება:

- ბანკის მენეჯმენტის სრულყოფილ სისტემას
- ბანკის დეტალურ შიდა პოლიტიკას (რისკების მართვის პოლიტიკის ჩათვლით)
- ბანკის შიდა პროცედურების ადექვატურ სისტემას
- მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირებას.

კომერციულ ბანკში რისკმენეჯმენტი მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და ყოველდღიურ საქმიანობას. უფრო მეტიც, რისკ მენეჯმენტის მთავარი არსი მდგომარეობს მუდმივ მოლოდინსა და „დასწრებაზე“ საქმიანობაში.

საბანკო რისკების ეფექტური სისტემა მოიცავს ანალიზს, კონტროლს და გადანყვეტილებების მიღებას კომერციული ბანკის მმართველობის ყველა დონეზე: აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, შიდა აუდიტი, ანალიტიკური სამსახური, რისკების მართვის სამსახური, აქტივ-პასივების მართვის სამსახური, საკრედიტო სამსახური და სხვა.

საფინანსო და განსაკუთრებული რისკი

როგორც ავლნილნეთ საბანკო საქმიანობა და მენეჯმენტი ითვალისწინებს რისკების იდენტიფიკაციას, გაზომვას, ჰეჯირებას (დაზღვევას), მართვას.

საბანკო რისკმენეჯმენტის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება აქტივ-პასივების მართვაა (Assets Liabilite Management, ALM), რაც წარმოადგენს ბანკის ბალანსური და გარე ბალანსური მუხლების შეფასებას და ანალიზს სხვადასხვა სიტუაციური სცენარების მიხედვით, მათ შორის საპროცენტო განაკვეთების ცვლილების, ლიკვიდურობის, დეპოზიტების ვადამდელი და აქტივების ვადაზე გვიან (ან არასრულად) დაფარვის მიხედვით.

თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში გამოიყენება 3 მეთოდი:

1. საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძობიარე აქტივებისა და ვალდებულებების მართვა;
2. საბალანსო რისკების გარე ბალანსური ჰეჯირება;
3. სეკიურიტიზაცია.

ბანკის აქტივ-პასივების მართვის ძირითადი მდგენელებია წმინდა საპროცენტო შემოსავალი (ნ.ს.შ), მისი მოდიფიცირებული ფორმა წმინდა საპროცენტო მარჟა (წსმ), ასევე ბანკის საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულება.

აქტივ-პასივების მართვისას ბანკი ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთების და სხვადასხვა კატეგორიის აქტივების შეფასებას და აღრიცხვას.

ბანკის აქტივების მართვა შეიძლება განვიხილოთ როგორც რეზერვების, ლიკვიდურობის, დეპოზიტების, საინვესტიციო

ფასიანი ქალაქების და საკრედიტო პორტფელის მართვის ერთობლიობა.

ამასთან ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან აქტივები რომლებიც მგრძნობიარენი არიან საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისადმი იმ აქტივებისაგან რომლებსაც არ ახასიათებთ ასეთი მგრძნობელობა.

საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობელობა შეიძლება შეფასდეს როგორც გადაფასების (ღირებულების ცვლილების) ეფექტური დროის გაზომვით ანუ დიურაციით. ჩვეულებრივად რეზერვები და სხვა ლიკვიდური აქტივები გადაფასდება გაცილებით სწრაფად ვიდრე გრძელვადიანი ფასიანი ქალაქები და სესხები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით.

თავის მხრივ პასივების მართვა (Liabilitie Management) ძირითადად ხორციელდება ორი მეთოდით:

1. სარეზერვო პოზიციების მართვა, რომელიც ხორციელდება მოკლევადიანი ინსტრუმენტებით ფულადი რეზერვების შექმნის გზით, დეპოზიტების ვადაზე ადრე გამოთხოვის და/ან კრედიტებზე მზარდი მოთხოვნის დროს;

სარეზერვო პოზიციების მართვის ინსტრუმენტებად გამპიყენება რეპო ოპერაციები ან უკუ რეპო, აგრეთვე ფონდების (რესურსების) შექმნა ეროვნული (ცენტრალური) ბანკიდან, რეფინანსირების სესხები 1 ან 7 დღიანი ვადით და ერთდღიანი კრედიტები ოვერნაითის სახით;

2. საერთო საკრედიტო პოზიციის მართვა საბუღალტრო ბალანსის ზრდით, როდესაც დაკრედიტების სტიმულირებისათვის ბანკები იზიდავენ მსხვილ ფინანსურ რესურსებს, პირველ რიგში სადეპოზიტო სერთიფიკატების (CD) გამოშვებით.

საკრედიტო პორტფელის მართვისას ბანკები იყენებენ რამდენიმე მეთოდს პორტფელის შემოსავლიანობის შესაფა-

სებლად და დანაკარგების შესამცირებლად. ისინი წარმოადგენენ რაოდენობრივი შეფასების თავისებურ ინსტრუმენტებს დეფოლტის დაშვების პროექტირებისას და დანაკარგებს დეფოლტისას.

ტარიმინთა განმარტება:

დეფოლტის დაშვება – წარმოადგენს ალბათობას, რომლის დროსაც მსესხებელი უარს იტყვის ან ვერ გადაიხდის ვალს.

ვალის სიდიდე დეფოლტისას – დეფოლტისას ვალის საერთო სიდიდე, ძირის, პროცენტის და დარიცხული ჯარიმების სახით;

დაბრუნების კოეფიციენტი – აქტივების ღირებულების ნაწილი, რომელიც გადაიხდება დეფოლტის შემდეგ და უდრის გადახდილი თანხის შეფარდებას აქტივის ღირებულებასთან;

დანაკარგები დეფოლტისას – რეალური ზარალი, რომელსაც განიცდის კრედიტორი დეფოლტის გამო და განისაზღვრება როგორც დაბრუნების კოეფიციენტის და ვალის სიდიდე დეფოლტისას;

მოსალოდნელი დანაკარგები – დანაკარგები დეფოლტისას გამრავლებული დეფოლტის დაშვების ალბათობაზე;

მაგალითი

2010 წელს კომპანია „A-მ“ გადაწყვიტა თავისი ფილიალისათვის კრედიტის აღება „X“ ბანკისაგან 10 მლნ ევროს მოცულობით, 5 წლის ვადით და 7 % წლიური საპროცენტო განაკვეთით;

2 წლის შემდეგ კომპანიამ გადაიხადა 4 მლნ ლარი და დარჩენილი ჰქონდა 6 მლნ ევრო პლიუს 300 000 ევრო პროცენტის სახით დასაფარი.

ბანკმა კომპანიის შეფასებისას 2012 წელს დაადგინა, რომ:

1. თუ კომპანია გამოაცხადებს დეფოლტს 2012 წელს მაშინ დარჩენილი ვალი ბანკისადმი იქნება 6,3 მლნ ევრო;

2. ვალის დაბრუნების კოეფიციენტი დეფოლტის დადგომისას შეადგენს 90 % ანუ თანხობრივად იქნება $6,3 \times 0,9 = 5,67$ მლნ ევრო;

3. რეალური დანაკარგები მსესხებლის დეფოლტის გამო იქნება სხვაობა დეფოლტისას ვალის სიდიდეს და დანაკარგებს შორის ანუ $6,3 - 5,67 = 630\ 000$ ევრო;

4. თუ 2008 წელს კომპანიის დეფოლტის ალბათობა იყო 1 %, მაშინ მოსალოდენელი ზარალი იქნება $630\ 000 \times 0,01 = 6300$ ევრო.

საბანკო რისკები

საბანკო დანესებულებაში რისკები დაკავშირებულია რისკების მართვის პოლიტიკასთან. თანამედროვე კორპორატიულ და საბანკო პრაქტიკაში აქტივებისა და პასივების მართვა რისკების მართვის ერთიან კონცეფციაშია განხილული. თავის მხრივ საბანკო რისკები განიხილება ბიზნეს საქმიანობის შემადგენელ ნაწილად, რომელიც მოიცავს შემდეგი ხასიათის ძირითად რისკებს:

1. ბალანსთან დაკავშირებული რისკი
2. საკრედიტო რისკი
3. საპროცენტო რისკი
4. საბაზრო რისკი
5. საოპერაციო რისკი

ბუნებრივია, კომპანია ვერ განახორციელებს ამ თუ იმ პროექტის დაფინანსებას თუ მას არ ექნა სათანადო ფინანსური რესურსები ან საჭიროების შემთხვევაში, დროის მოკლე მონაკვეთში, მათი მოზიდვის ალტერნატიული წყაროები. კომპანია ფინანსური რესურსების მოზიდვისას ითვალისწინებს საპროცენტო ხარჯების სიდიდესა და სტრუქტურას, რათა შემდგომ მოახდინოს მათი უპრობლემოდ გასტუმრება (ბანკებისათვის პირიქით – მომგებიანი პროცენტით განთავსება). მართალია, ნებისმიერი ქვეყნის კორპორატიული და საბანკო სექტორისათვის აღნიშნული ხასიათის რისკები იდენტურია, მაგრამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ისტორია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საფინანსო რისკების წარმოშობისა და მათი მაჩვენებლების დინამიკასა და ხასიათზე.

პოლიტიკური ხასიათის რისკების შეფასებისა და დეფინიციის პრობლემები

განსაკუთრებული ხასიათის, ანუ ექსტრალეგალური რისკები დაკავშირებულია პოლიტიკურ და ქვეყნის სუვერენულ რისკებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური რისკების შესწავლა და მისი ზემოქმედება საფინანსო სექტორებზე სერიოზულად მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისამდე პრობლემის სირთულისა და საფინანსო ანალიზის მეთოდოლოგიების არასრულფასოვნების გამო, პოლიტიკური რისკები ქვეყნის საერთო რისკის ნაწილად განიხილებოდა, ხოლო პოლიტიკური რისკების პროგნოზირების შესაძლებლობებისადმი დამოკიდებულება მეტად სკეპტიკური რჩებოდა. რისკის მცნება თანამედროვე მსოფლიოში დაკავშირებულია როგორც ადამიანის მოღვაწეობისა და წარმატების საკვანძო ფაქტორთან. რისკის გაფართოე-

ბული განსაზღვრა იდენტიფიცირდება სისტემის განვითარების ზუსტი პროგნოზირების ოპტიმალური ვექტორის განსაზღვრის შესაძლებლობასთან, რაც თავის თავში ატარებს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური შესაძლებლობების არსებობას. დღეს ქვეყნის რისკის განსაზღვრა დაკავშირებულია პოლიტიკაში და ეკონომიკაში გადანაცვეტილებების მიღებასთან. ამ სახის გადანაცვეტილების ცოდნა სჭირდება ინვესტორს რათა გაარკვიოს უღირს თუ არა (ან რა შემთხვევაში და რა ფასად, რა მოგებად უღირს) ამ ქვეყანაში თანხების ჩადება.

შიდა ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი საშუალებას იძლევა ზოგადად დახასიათდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და გამოიყოს შედარებით მგრძობიარე სფეროები. “ღია ეკონომიკის” პირობებში საგარეო ფაქტორები პირადაპირ ზემოქმედებენ და განსაზღვრავენ საგარეო ფაქტორების ზემოქმედების გავლენის ხარისხს შიდა ეკონომიკურ სიტუაციებზე. დამოკიდებულების მაღალი ხარისხი, საგარეო ვალის სიდიდე ზრდის საინვესტიციო პოლიტიკაში მთავრობის ჩარევის ალბათობებს. ამასთან, საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა თავისუფლად შეიძლება გახდეს ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობის კატალიზატორი. პოლიტიკური რისკების ანალიზისა და შეფასების თითოეულ მოდელს აქვს გარკვეული როგორც უპირატესობა და ასევე ნაკლი. ექსპერტულ სისტემებს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მათში ნათლად არ ჩანს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ურთიერთობები.

ზოგადად ქვეყნის რისკებთან ერთად განასხვავებენ პოლიტიკურ და კომერციულ რისკებს. ეს უკანასკნელი იყოფა გავლენის დონეების მიხედვით: 1. სახელმწიფო დონეზე – გადახდისუნარიანობის რისკი (შოვერეიგნ ლისკ), რომელიც ასოცირებულია უცხოური კრედიტორებისაგან აღებული ვალდებულებები გადახდაზე 2. კომპანიის დონეზე – ტრანსფერტული რისკი (ორანსფერ ლისკ), ანუ რისკი იმისა, რომ ეკონომიკური

პოლიტიკის გატარებისას რომელიმე ქვეყანამ შეიძლება შემოიღოს შეზღუდვები უცხოური კრედიტორებისა და ინვესტორებისათვის კაპიტალის გადადინების თვალსაზრისით.

ტერმინი "პოლიტიკური რისკის" მნიშვნელობა საკმაოდ ფართოა და მოიცავს სფეროს პოლიტიკური სტაბილურობის პროგნოზირებიდან, ყველა არაკომერციული რისკის შეფასებამდე, სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში მოღვაწეობასთან დაკავშირებით. პოლიტიკური რისკის ქვეშ ამ სიტყვის ვიწრო გაგებით იგულისხმება ფინანსური დანაკარგების შესაძლებლობა, რომელიც წარმოიშვება რომელიმე კომპანიისათვის არაკეთილსაიმედო პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

ქვეყნებს შორის საკანონმდებლო განსხვავებანი

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ვაჭრობა ეყრდნობა ვაჭრობის უნიფიცირებულ წესებს, რომლებიც შედგენილია საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ინტერნაციონალ ჩამბერ ოფ ჩომმერცე, IFC) მიერ. საერთაშორისო სავაჭრო სამართალი არის ჰიბრიდი გერმანული (რომაული) და ანგლოსაქსური (პრეცედენტული) სამართლისა. თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაცია თანაბრად შეეხო, როგორც შრომის დანაწილებას და ქვეყნების სამეწარმეო ციკლების სინქრონიზაციას, ასევე საკანონმდებლო ბაზების დაახლოებას. ქვეყნებს შორის საკანონმდებლო განსხვავებანი, განსაკუთრებით ეს ევროკავშირში შემავალ ქვეყნებს ეხებათ, სულ უფრო მცირდება. ეს თანაბრად ეხება როგორც სავაჭრო ან საბანკო სამართალს, ასევე სხვა სფეროს კანონებს და თვით ამ ქვეყნების კონსტიტუციურ ნორმებსაც კი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, პოსტსაბ-

ქოთა ქვეყნების კანონმდებლობა ევროპული კანონმდებლობის პრინციპებზე აიგო. ამის ნათელი მაგალითი საქართველოა, რომლის სამეწარმეო ხასიათის საკანონმდებლო ბაზა უფრო ევროპულია, ვიდრე ამერიკული, იგი გერმანული და პოლანდიური სამართლის ელემენტებს ეყრდნობა (კანონი მენარმეთა შესახებ, სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსები). ქართული საკანონმდებლო სივრცე ასევე უხვად მოიცავს ფრანგული საგადასახადო კანონმდებლობის ელემენტებსაც. მეორეს მხრივ კი "ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი" ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების ამერიკულ სულისკვეთებაზეა აგებული. ასევე აღსანიშნავია, რომ საბანკო კანონმდებლობა აგებულია ბაზელის საბანკო ზედამხედველობის საერთაშორისო კომიტეტის დანესებულ ძირითად პრინციპებზე, რომლსაც მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ცივილური ან ამის პრეტენზიის მქონე ქვეყანა ითვალისწინებს.

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის პრინციპები, რომელშიც ასახულია მყიდველისა და გამყიდველის უფლებამოვალეობებში წარმოდგენილია ერთიანი სავაჭრო წესების სახით. ბუნებრივია, როდესაც მყიდველი და გამყიდველი თანხმდებიან ამ წესებზე, მაშინ რისკები მნიშვნელოვნად მცირდება.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი წესები შემდეგია:

- * ინკასოს უნიფიცირებული წესები
- * უნიფიცირებული წესები დოკუმენტალური აკრედიტივის საწარმოებლად.

სამთავრობო დადგენილებები

საერთაშორისო ვაჭრობაში მყიდველსა და გამყიდველს უწევს ანგარიშის გაწევა სამთავრობო დადგენილებებისათვის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორცილებაზე. დღეს

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები რეგულირდება სხვადსხვა საკანონმდებლო აქტებითა და სამთავრობო დადგენილებებით, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, მოიცავს სავალუტო რეგულირების რეჟიმს, რომელიც ითვალისწინებს ექსპორტიორების მიერ ვალუტის იძულებითი წესით მთავრობისათვის მიყიდვას, ასევე ექსპორტის ლიცენზირებას, იმპორტის ლიცენზირებას, სავაჭრო ემბარგოს დაწესებას, საიმპორტო კვოტების შემოღებას, საიმპორტო საქონლის სტანდარტიზაციას და ბაჟის (მოსაკრებლის) დაწესებას და სხვ..

სავალუტო რეგულირების პოლიტიკას დღეს წამყვანი ქვეყნების დიდი ნაწილი აღარ მისდევს, მიაჩნიათ რა იგი ექსპორტისა და საერთაშორისო ვაჭრობის შემზღუდავ ღონისძიებად. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში უცხოური ვალუტის კონტროლის მიზნით, იგი კვლავ გამოიყენება. მაგ. რუსეთი, სადაც თვლიან, რომ ქვეყნის შემოსავლებისა და ექსპორტის ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების გამო, იგი აუცილებელია ვალუტაზე კონტროლისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში განსაკუთრებული მნიშვნელობა სავალუტო კურსის რყევებს ენიჭება. ვალუტის რყევა, კურსის მოსალოდნელი ცვლილება აწევს ან დაწევს მიმართულებით, წარმოქმნის სავალუტო რისკს. ექსპორტიორს ან იმპორტიორს ხელშეკრულების გაფორმებისას საქონლის მიწოდებაზე ან შეძენაზე ბუნებრივია უწევთ ამ ფაქტორის გათვალისწინება, რადგან სავაჭრო ოპერაციის დროითი ფაქტორის გამო (მაგ. კონტრაქტები 30 დღიდან 90 დღემდე) არასასურველი მიმართულებით სავალუტო კურსის ცვლილებამ მათ მოსალოდნელ შემოსავალზე სერიოზულად შეიძლება იმოქმედოს. სავალუტო კურსების მოსალოდნელ ცვლილებაზე რამდენიმე ფაქტორი ზემოქმედებს, რასაც კონტრაქტის ხელმოწერი მხარეები ითვალისწინებენ მოლაპარაკების პროცესში. ეს ფაქტორებია: საგადამხდელი

ბალანსი, ინფლაციის მაჩვენებელი, საპროცენტო განაკვეთები, სავაჭრო ოპერაციების ხასიათი და ა.შ.

საგადამხდლო ბალანსი. ქვეყნის საგადამხდლო ბალანსი დამოკიდებულია ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებისა და გადინების სალდოზე. იმ ქვეყანას სადაც უფრო მეტი უცხოური ვალუტა შემოდის, ვიდრე გადის აქვს აქტიური (დადებითი) სალდო მიმდინარე ბალანსის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი სანარმოები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაზე მუშაობენ და ანგარისშნორებასაც, მათ შორის ბიუჯეტთან მიმართებაში სხვადასხვა გადასახადების სახით, ადგილობრივ ვალუტაში ახდენენ ისედაც ქმნიან მოთხოვნას ეროვნულ ვალუტაზე. ეს ფაქტორი გარედან უცხოური ვალუტის ქარბი შემოდინებისას ეროვნული ვალუტის გამყარებას ემსახურება და პირიქით, უცხოური ვალუტის დეფიციტისას მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე იზრდება და იმპორტის გამხორციელება სულ უფრო მეტ ვალუტას ითხოვს, რაც ეროვნულ (ადგილობრივ) ვალუტაზე ზენოლით და შესაბამისად კურსის შემცირებით ხდება.

საპროცენტო განაკვეთები. საპროცენტო განაკვეთებში შედის ის მაჩვენებელი, რომელიც ინვესტორმა უნდა მიიღოს საპროცენტო შემოსავლის სახით ფულის განთავსების შედეგად საბანკო ანგარიშებზე, სადეპოზიტო სერთიფიკატებში, ობლიგაციებში, თუ აქციებში. ცნობილია, რომ ფული მიედინება იქ, სადაც შედარებით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებია საბანკო დეპოზიტებზე ან სახაზინო ვალდებულებებზე. ეს არის ღია ეკონომიკის მთავარი პრინციპი. მაგრამ, შესაბამისად, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ უცხოური ვალუტის შემოდინება ნიშნავს მის გადაცვლას ადგილობრივ ვალუტაზე, რაც თავის მხრივ ზრდის მოთხოვნას ამ უკანასკნელზე, სავალუტო კურსის გამყარებით.

საპროცენტო განაკვეთებიდან ინვესტორები პირველ რიგ-

ში ყურადღებას აქცევენ ცენტრალური (ეროვნული) ბანკების ქცევას რეფინანსირების განაკვეთის ზრდის ან მოსალოდნელი შემცირების თვალსაზრისით. ინფლაციური მოლოდინის შესამცირებლად, ფულის მასის ზრდისას ცენტრალური ბანკები იღებენ გარკვეულ სიგნალს მოსალოდნელ ინფლაციურ ტენდენციებზე და შესაბამისად, მოსალოდნელია საპროცენტო განაკვეთების აწევა. ეკონომიკის სტიმულირებისათვის და ფულის მასის გასაზრდელად კი პირიქით, საპროცენტო განაკვეთების შემცირებაა მოსალოდნელი.

მკვლევართა ნაწილი **"პოლიტიკურ რისკს"** განსაზღვრავს როგორც "ნაციონალური მთავრობის მოქმედებას, რომელიც ხელს უშლის საქმიანი ოპერაციების ჩატარებას, ცალმხრივად ცვლის შეთანხმების პირობებს (თამაშის წესებს) ან იწვევს უცხოური კომპანიების საკუთრების კონფისკაციას. არსებობს უფრო ფართო განმარტებებიც, რომლებიც ითვალისწინებენ არა მხოლოდ ქვეყანაში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ პროცესებს, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციასაც. აღნიშნულის თანხმად პოლიტიკური რისკი შეიძლება განისაზღვროს როგორც ქვეყნის შიდა და საერთაშორისო კონფლიქტური და ინტეგრაციული მოვლენები და პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ (ან არ შეუძლიათ) მიგვიყვანონ სახელისუფლებო ცვლილებებთან (ან მათი გადაწყვეტილებების ცვლილებებთან) ქვეყნის შიგნით და გარეთ და რომელიც უშუალოდ აისახება კომპანიების საქმიანობაზე არასასურველი პირობების შექმნაში ან დამატებითი შესაძლებლობების გაჩენაში. საქმიანი ოპერაციების წარმოება საზღვარგარეთ იმ ხარისხით, რომლითაც ის განისაზღვრება პოლიტიკური ფაქტორებით არ არის დამოკიდებული მხოლოდ რისკებზე, რომლებსაც შეუძლიათ დაანგრიონ ან ზიანი მიაყენონ მოლოდინს. ბიზნესში მსხვილი წარმოების დაგეგმვა ჩვეულებრივ მიიღწევა არ მხოლოდ რისკის განსაზღვრის და თავიდან აც-

ილების გზით, არამედ პოლიტიკური შესაძლებლობების განჭვრეტის გზითაც.

ინვესტორების გადანყვეტილება, რომლებიც ფიქრობენ განათავსონ თუ არა ინვესტიცია ამა თუ იმ ქვეყანაში, დამოკიდებულია პოლიტიკური სტაბილურობის პერსპექტივაზე, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პოლიტიკური არასტაბილურობის დაშვება, რომელმაც ინვესტორი შეიძლება უკიდურესად წამგებიან მდგომარეობაში ჩააყენოს. პოლიტიკური რისკების ექსპერტების უმრავლესობა ემხრობა იმ მოსაზრებებს, რომ პოლიტიკური მოვლენა აუცილებლად არ ატარებს რისკს ბიზნესისათვის, ის შეიძლება პირიქით მომგებიანიც კი იყოს ახალი შესაძლებლობების წარმოქმნის გამო. პოლიტიკური რისკის ქვეშ იგულისხმება "იმ გარემოს გაურკვეველობა, რითაც მოქმედებენ არასაბაზრო ძალები". ეს კი ნიშნავს, რომ პოლიტიკურ რისკში გაერთიანდება როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ცვლილებებიც. პოლიტიკური რისკების კლასიფიკაცია ხორციელდება მოვლენათა დაყოფის საფუძველზე, რომლებიც წარმოიქმნება გარკვეული პოლიტიკის გატარების დროს ხელისუფლების მიერ ან არაკონტროლირებადი ძალების მიერ. ამ პრინციპებთან მიმართებაში ექსპერტების მიერ დღეს სულ უფრო პოპულარული ხდება პოლიტიკური რისკის დაყოფა ექსტრალეგალურ და ლეგალურ სამთავრობო რისკად.

	ექსტრა-ლეგალური რისკი	ლეგალურ-სამთავრობო რისკი
მაკრო რისკი	რევოლუცია	საინვესტიციო კანონმდებლობის ცვლილება
მიკრო რისკი	ტერორიზმი	საეკონომიკური რეგულირების ცვლილება

ლეგალური სამთავრობო რისკი წარმოდგენს მიმდინარე პოლიტიკური პროცესის პირადაპირ პროდუქტს და მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა დემოკრატიული არჩევნები, რასაც მოყავს ხელისუფლებაში ძალები და საკანონმდებლო ხასიათის ცვლილებები, რომლებიც ეხება ბიზნესის წარმოებას, დასაქმებას, ფულად პოლიტიკას და ა.შ.

პოლიტიკური რისკების შეფასების მეთოდებიდან შედარებით პოპულარულია DELPHI-ის მეთოდი, რომელიც სისტემურ-ხარისხობრივია. პირველ ეტაპზე ექსპერტული შეფასება ემყარება ცვლადების სისტემას კონკრეტული შემთხვევისათვის, ხოლო შემდეგ ხდება ექსპერტების ფართო მონაწილეობა თითოეული ცვლადის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის.

ხარისხობრივი მეთოდი იძლევა კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკის განსაზღვრის საშუალებას. ზოგიერთ შემთხვევაში სპეციფიური ელემენტების ყურადღებით განხილვა, რომლებიც განსაზღვრავენ სიტუაციას შეიძლება გაცილებით მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მათი რაოდენობრივი განსაზღვრა. თუმცა ეს მეთოდი მაინც ძალზე სუბიექტურია.

მაკრო-პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების ფორმალიზაციამ და მოდელირებამ ფართო განვითარება გასული საუკუნის 70-იან წლებში ჰპოვა. განვითარებული ქვეყნების საგარეო ვალების ზრდამ გამოიწვია ე.წ. გადახდისუნარობის პრობლემის მიმართ გაზრდილი ინტერესი. ამ სახის რისკების სპეციფიურობამ გამოიწვია მაკროეკონომიკური მონაცემების სისტემური ანალიზის აუცილებლობა, თუმცაღა აღიარებული იქნა დამატებით ზოგიერთი სუბიექტური ფაქტორის ჩართვის აუცილებლობაც.

რისკის შეფასების რაოდენობრივი მეთოდი იძლევა რისკის ხარისხის მიხედვით სხვადასხვა ქვეყნების შეფასების საშუალებებს, რისკის ფაქტორის ერთიანი რიცხობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც ახდენენ სოციალურ-

პოლიტიკური ფაქტორების შეფასებას სხვადასხვა შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით.

რაოდენობრივი მეთოდის მთავარი ნაკლი არის პოლიტიკური რისკის ვიწრო განსაზღვრა და ქვერისკების შეზღუდულ რაოდენობაზე კონცენტრირება, როგორცაა მაგალითად პოლიტიკური არასტაბილურობა, სავალუტო კონტროლი და ექსპოპრიაცია. პოლიტიკური რისკების სრული სია უცხოურ ინვესტიციებზე პოტენციური გავლენის სხვადასხვა ხარისხით გაცილებით ფართოა და მოიცავს პოლიტიკურ, კულტურულ და ეთნო-ფსიქოლოგიურ ხასიათის რამდენიმე მიმართულებას. ამიტომ ამ ფაქტორების შერჩევა და მათი შედარებითი წილის განსაზღვრა წარმოადგენს რაოდენობრივი მეთოდის მთავარ პრობლემას.

სხვა პრობლემა არის ის, რომ რისკების შკალის საერთაშორისო შედარებისათვის გამოყენების ცდა ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ეკონომიკის დარგობრივი მაჩვენებლების მიხედვით. მაგალითად მომპოვებელი დარგები გაცილებით ხშირად ექვემდებარებიან ექსპოპრიაციას, ვიდრე მაღალი ტექნოლოგიური წარმოების დარგები. უფრო მეტიც, ეკონომიკის დარგების უმრავლესობისათვის რისკების ფაქტორები (პოლიტიკური არასტაბილურობა) სხვა დარგისათვის შეიძლება დამატებითი შესაძლებლობების ფაქტორიც კი გახდეს. ამის მაგალითია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი. მაგ. მიმდინარე ომები სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის არის ახალი სახელმწიფო შეკვეთების, მრავალმილიარდიანი, უპირველესად, შეიარაღების და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის შესაძლებლობა და სხვ.

გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა ქვეყნები ინვესტორებისათვის განსხვავებული რისკების მატარებლები არიან, რაოდენობრივი შკალის გამოყენების შესაძლებლობა, ქვეყნის რისკის განსაზღვრისათვის გარკვეულად შეზღუდულია.


რისკების განსაზღვრის ხელშემწყობი და დამაბრკოლებელი ტენდენციების ადრეული გამოძიებისათვის გამოიყენება აგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების მეთოდი.

ექსპერტული შეფასებებთან ერთად, შიდა პოლიტიკური არამდგრადობის, როგორც პოლიტიკური რისკის ძირითადი ფაქტორის გამოსარკვევად იყენებენ ეკონომეტრულ მოდელირებას. მას საფუძვლად უდევს მრავლობითი რეგრესიის განტოლებები. ამ სახის მოდელებში პოლიტიკური არასტაბილურობა განიხილება როგორც რომელიმე ქვეყნის პოლიტიკური მოვლენა, რომელიც ხასიათდება ძალადობის ელემენტების ფართო გამოყენებით – მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებების, გადატრიალების ან გადატრიალების მცდელობების, სამოქალაქო ომების, ეროვნებათშორისი კონფლიქტების და ა.შ. სახით. ამავე დროს განასხვავებენ არასტაბილურობას თავად მმართველ ძალებში, რაც დაკავშირებულია ძალაუფლებისათვის ბრძოლასთან მმართველი ძალის შიგნით და სოციალურ არასტაბილურობას, რომელიც წარმოიქმნება ოპოზიციური სოციალ-პოლიტიკური ძალების აქტიური მოღვაწეობის შედეგად. კორპორაციის დონეზე რისკის ხარისხის განსაზღვრა სხვა არაფერია თუ არა საინვესტიციო შეთავაზებისას გარემოს პოლიტიკური რისკის რაოდენობრივი აღწერა.

ექსტენსიური მოდელის მაგალითს წარმოადგენს მოდელი შედგენილი Dow Chemical-ის მიერ თავისი ოპერაციებისათვის ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის. ეს მეთოდი გულისხმობს გარკვეული ქვეყნის ირგვლივ ინფორმაციის მოგროვებას და წინასწარ შეფასებას ამ ქვეყანაში მოღვაწე ექსპერტების დონეზე, ინტერვიუების საშუალებით ინფორმაციის ვერსიფიცირებას ამ ქვეყანაში ფირმის განყოფილების თანამშრომლებთან და ადგილობრივ ლიდერებთან. შემდეგ ექსპერტების მიერ ხდება ამ ინფორმაციის საბოლოო სისტემიზაცია და ანალიზი, მოვლენათა შესაძლო განვითარების სცენარების მიხედვით.

ამ მეთოდის უპირატესობა იმაშია, რომ იგი სპეციალურად არის შემუშავებული კომპანიის კონკრეტული მიზნებისათვის და ანალიზისათვის იწვევს როგორც კომპანიის რიგით თანამშრომლებს, ასევე უმაღლეს მმართველ პირებსაც, რაც საბოლოო ჯამში გათვლების საკმაოდ მაღალი ალბათობებით გამოირჩევა.

უნდა აღინიშნოს რომ ეს მეთოდი საკმაოდ ძვირია და მისი შემუშავება დროშია განელილი. გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ეკონომიკური და ტექნიკური სფეროები განიხილებოდა, როგორც მეტად მნიშვნელოვანი და ბიზნესზე მეტი გავლენის მქონე, ვიდრე პოლიტიკური და სოციალური. პოლიტიკური და სოციალური მხარე ითვლებოდა რთულ და არასტრუქტურულიზირებულ ელემენტებად, რომლებიც პროგნოზირებას და ანალიზს ნაკლებ ექვემდებარებოდნენ. ითვლებოდა, რომ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაზე ზემოქმედება შეუძლებელია და რეაგირება მხოლოდ პოსტფაქტუმ არის შესაძლებელი. ამ ტენდენციის გადახედვა გამოიწვია მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა, საფინანსო და სავალუტო კრიზისებმა, რამაც თავის მხრივ, როგორც ავღნიშნეთ, სათავე დაუდო სხვადასხვა სახის ინდიკატორების შემუშავებას. ამ ინდიკატორების გამოყენება შესაძლებელი გახდა ისეთ ფართოდ გავრცელებულ ეკონომიკურ პარამეტრებთან მიმართებაში როგორცაა ერთიანი შიდა პროდუქტი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი.



სოციალურ არაერთგვაროვნებაში მოიაზრება სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და რეგიონალური ჯგუფები. საზოგადოების დაყოფა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა აღნიშნული ჯგუფი გარკვეულნილად წარმოადგენს დაბალ ან ულარიბეს ფენას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პოლიტიკურ არატაბილურობის საერთო ფონს. შემოსავლების განაწილება აჩვენებს ეკონომიკური ჯგუფების არათანაბარ განვითარებას საზოგადოებაში და რაც უფრო მაღალია ეს დაყოფა მით უფრო მარალია პოლიტიკური არატაბილურობის შესაძლებლობა.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ პერმანენტული სახელმწიფო გადატრიალებები ძირითადად ამ ტიპის ქვეყნებში ხდება. აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოები ამის კლასიკური მაგალითები არიან.

მეცნიერები გამოყოფენ პოლიტიკური რისკების რამდენიმე ტიპს:


1. ავტორიტარულ-ტრადიციული (მონარქია ან სამხედრო დიქტატურა)
2. ავტორიტარულ-მობილიზაციური (ტოტალიტარიზმი);
3. ლიბერალურ-დემოკრატიული (საპარლამენტო ან საპრეზიდენტო მმართველობა)
4. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები (ყოფილი კოლონიები)

აქ ჩამოთვლილი ტიპებიდან გაცილებით სტაბილური მეორე და მესამე ჯგუფებია. ხოლო პირველი მეოთხესთან შედარებით უფრო სტაბილურია.

პოლიტიკური რისკების თვალსაზრისით უკიდურესად არასტაბილურად განიხილება ის სისტემა, სადაც სამხედროებს აქვთ საშუალება ხელისუფლების შეცვლისათვის.

ქვეყანაში უახლოეს წარსულში სამოქალაქო ომის, რევოლუციის, გადატრიალების პრეცედენტების არსებობა ქმნის წინაპირობებს სამომავლოდ ლეგიტიმაციის ტენდენციების გასათვლელად. მმართველი ელიტის ლეგიტიმურობა გულისხმობს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ სამთავრობო განკარგულებებისა და დეკრეტების შესრულებაზე მზადყოფნას და სამართალმორჩილების იმუნიტეტის ჩამოყალიბებას. საპირისპირო ტენდენციების არსებობა და ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის ნებაზე ძალადობის მაღალი მაჩვენებელი (რეპრესიები) აძლიერებს პოლიტიკური არასტაბილურობის ტენდენციებს.

პოლიტიკური რისკების ანალიზის მნიშვნელობა საქართ-



სოციალურ არაერთგვაროვნებაში მოიაზრება სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და რეგიონალური ჯგუფები. საზოგადოების დაყოფა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა აღნიშნული ჯგუფი გარკვეულწილად წარმოადგენს დაბალ ან უღარიბეს ფენას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პოლიტიკურ არატაბილურობის საერთო ფონს. შემოსავლების განაწილება აჩვენებს ეკონომიკური ჯგუფების არათანაბარ განვითარებას საზოგადოებაში და რაც უფრო მაღალია ეს დაყოფა მით უფრო მარალია პოლიტიკური არასტაბილურობის შესაძლებლობა.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ პერმანენტული სახელმწიფო გადატრიალებები ძირითადად ამ ტიპის ქვეყნებში ხდება. აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოები ამის კლასიკური მაგალითები არიან.

მეცნიერები გამოყოფენ პოლიტიკური რისკების რამდენიმე ტიპს:

1. ავტორიტარულ-ტრადიციული (მონარქია ან სამხედრო დიქტატურა)
2. ავტორიტარულ-მობილიზაციური (ტოტალიტარიზმი);
3. ლიბერალურ-დემოკრატიული (საპარლამენტო ან საპრეზიდენტო მმართველობა)
4. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები (ყოფილი კოლონიები)

აქ ჩამოთვლილი ტიპებიდან გაცილებით სტაბილური მეორე და მესამე ჯგუფებია. ხოლო პირველი მეოთხესთან შედარებით უფრო სტაბილურია.

პოლიტიკური რისკების თვალსაზრისით უკიდურესად არასტაბილურად განიხილება ის სისტემა, სადაც სამხედროებს აქვთ საშუალება ხელისუფლების შეცვლისათვის.

ქვეყანაში უახლოეს წარსულში სამოქალაქო ომის, რევოლუციის, გადატრიალების პრეცედენტების არსებობა ქმნის ნაპირობებს სამომავლოდ ლეგიტიმაციის ტენდენციების გასათვლელად. მმართველი ელიტის ლეგიტიმურობა გულისხმობს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ სამთავრობო განკარგულებებისა და დეკრეტების შესრულებაზე მზადყოფნას და სამართალმორჩილების იმუნიტეტის ჩამოყალიბებას. საპირისპირო ტენდენციების არსებობა და ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის ნებაზე ძალადობის მაღალი მაჩვენებელი (რეპრესიები) აძლიერებს პოლიტიკური არასტაბილურობის ტენდენციებს.

პოლიტიკური რისკების ანალიზის მნიშვნელობა საქართ-

ველოსათვის განუზომელია. საქართველოს სხვა ქვეყნების მსგავსად ახასიათებს თავისებური სპეციფიკა. პირველ რიგში სახელმწიფოებრივი აზროვნების არასრულყოფილი დონე, რაც დაკავშირებული იყო 19 საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებლობის დაკარგვასთან და შემდგომ პოლიტიკური პლურალიზმის ტრადიციის დეფიციტთან. დემოკრატიული ინსტიტუტების არასრულყოფილებამ და სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტემ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდში პიროვნების ფაქტორის პრიორიტულობა განაპირობა, რაც შესაბამისად პოლიტიკურ ქრილში ე. წ. ქარიზმატული ლიდერების არჩევანს დაუკავშირდა. სავარაუდოდ პიროვნულ ფაქტორს საქართველოში კიდევ დიდხანს ექნება პრიორიტეტი. მეორე ეს არის პოლიტიკურ-ტერიტორიული ფაქტორები, რომლებიც ერთის მხრივ დაკავშირებულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასთან და მეორეს მხრივ, განსხვავებულ ეკონომიკურ პოტენციალთან. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და მისი მოსახლეობის ცნობიერება ეფუძნება სხვადასხვა ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ტრადიციებს. რეგიონალური კონფლიქტები ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას პოლიტიკურ სიტუაციაზე. ქვეყნის მოსაზღვრე რეგიონებში პირდაპირ (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) და ირიბად (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) დგას ამ რეგიონების ეკონომიკური ინტეგრაციის სერიოზული პრობლემები, რაც სხვა საკითხებთან ერთად დაკავშირებულია დამატებით დაფინანსებასთან.

მომავალში ამ ტერიტორიების ინტეგრაცია, სავარაუდოდ დაკავშირებული იქნება ინფრასტრუქტურის (და არა მხოლოდ) დაფინანსების მზარდ ხარჯებთან, რაც ტავის მხრივ საბიუჯეტო დეფიციტის ზრდის წყარო შეიძლება გახდეს და ქვეყანას ბუნებრივია მოუწევს დამატებითი შიდა და გარე დაფინანსების მოძიება.

ამიტომ ქვეყნის პოლიტიკური რისკის განსაზღვრისას უნდა

გავითვალისწინოთ რეგიონალური პოლიტიკის მნიშვნელობა და ქვეყნის საბანკო-საფინანსო სისტემის მიკრო და მაკრო რისკებთან ურთიერთზემოქმედების დინამიკა. ისევე როგორც ხშირი სახელისუფლებო ცვლილებები და რევოლუციები არის არასასურველი და ნეგატიური პოლიტიკური რისკების თვალსაზრისით, მიღებული გამოცდილება შეიძლება უკვე აღმოჩნდეს დადებითი ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისა და სამომავლო ტენდენციების ანალიზისათვის. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ იტალიის გამოცდილება. იტალიაში გასული საუკუნის 70-80-იან წლებში იყო პერიოდი, როდესაც ქვეყანა კორუფციისა და მაფიის მართველობის ქვეშ იმყოფებოდა. მაფიის შედარებითი მოთოკვა კი აღინიშნა მთავრობის გადადგომათა ქრონიკული სერიאלებით, როდესაც ახალი მთავრობის მორიგი გადადგომა ხშირად ორ-სამ თვეში ერთხელ ხდებოდა. იტალიის მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ ეს გამოცდილება ქვეყანამ შემდგომში სახელმწიფო ინსტიტუტების გასაძლიერებლად და ეკონომიკური აღმავლობისთვის გამოიყენა.

აქედან გამომდინარე, მთავარია თუ როგორ ხდება წარსულის ნეგატიური გამოცდილების ტრანსფორმაცია სამომავლო პოზიტივად. სწორედ ეს ფორმულა უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნის სამომავლო პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და ქცევების განმსაზღვრელ ვექტორად, მით უმეტეს ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება ჩვენთანაც დაგროვდა და არც თუ მცირე. ბოლო წლებში რუსეთში და თურქეთში, რომლებიც ჩვენი წამყვანი სავაჭრო-პარტნიორი ქვეყნები არიან, განვითარებულმა და მიმდინარე კრიზისებმა, “ვარდების რევოლუციის” და 2012 წლის შემდგომმა პერიოდმა აჩვენა, რომ პოლიტიკური რისკი არის უფრო გარდამავალი პერიოდის რისკი და ქვეყნის საერთაშორისო სისტემაში ინტეგრირების ზრდის პარალელურად, სულ უფრო ნაკლებად ზემოქმედებს ეკონომიკურ სისტემაზე.

სისტემური და არასისტემური რისკები

სისტემური რისკად მიჩნეულია რისკი რომლის შედეგადაც ვიღებთ საბანკო ან საფინანსო სექტორის კოლაფსს, ჩამოშლას. არასისტემური საბანკო რისკი შეიძლება წარმოიქმნას რომელიმე ბანკის გადახდისუნარობის (გაკოტრების) შემთხვევაში, თუმცა მისი ნეგატიური ეფექტი არ გადაეცემა სხვა ბანკებს და საბანკო სისტემას. დღეს გლობალური ეკონომიკის და მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში, სისტემური რისკებად შეიძლება მივიჩნიოთ რომელიმე სისტემფორმირებადი ბანკის დეფოლტი (გადახდისუნარობა), რის შედეგადაც იქმნება აჟიოტაჟი და დეპოზიტარები იწყებენ დეპოზიტების გატანას სხვა ბანკებიდანაც, ანუ წარმოიქმნება თავისებური **ჯაჭური რეაქცია (Contagion)**. ასეთ შემთხვევაში თანხების დაკარგვის შიშით დეპოზიტარები პანიკურად უკვე ყველა, მათ შორის წარმატებული ბანკებიდანაც კი იწყებენ თანხების გატანას, რაც ნეგატიურად აისახება ფინანსურ ტრანსაქციებზე და რამაც საბოლოო ჯამში მთელი საბანკო სისტემის (უფრო მეტიც, მთელი საფინანსო ბაზრის) სრული კოლაფსი შეიძლება გამოიწვიოს (საბანკო პანიკის ცნობილი მაგალითია დიდი დეპრესია აშშ-ში გასული საუკუნის 30-იან წლებში). ამავდროულად მსხვილი საერთაშორისო ბანკის გაკოტრებამ ან დეფოლტის გამოცხადებამ შეიძლება მიიღოს საბანკო პანიკის **გადაღინების ეფექტი (Spillover Effect)** ერთი ქვეყნიდან მეორეში და (მაგალითად 2008წ. აშშ-ს საფინანსო ბაზარზე დანყებული კრიზისი რომელიც მეტ ნაკლები სიმწვავეით მოედო მრავალი ქვეყნის საბანკო და საფინანსო სისტემას).

შედარებით მცირე და ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისათვის საერთაშორისო ბაზრებიდან მოზიდული ფულადი რესურსები ითვლება დეპოზიტების მნიშვნელოვან წყაროდ და მათი გაღინება არა თუ საბანკო სექტორის არამედ

ამ ქვეყნების ეკონომიკის ჩამოშლაც კი შეიძლება გამოიწვიოს.

ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ისლანდიის საბანკო სისტემა. ამ ქვეყნის სამი ყველაზე მსხვილი ბანკის ზრდა 2001 წლიდან (როდესაც განხორციელდა ისლანდიის საფინანსო სექტორის დერეგულირება), იყო ძალზე მამტაბური და იგი დიდწილად დაკავშირებული იყო საგარეო ფაქტორებთან (მათ გახსნეს ფილიალები მთელ ევროპაში). ამან ბანკებს მოუტანა დამატებითი რესურსები და შემოსავლები, თუმცა ამავდროულად ისინი ძალზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ ბანკთაშორის საკრედიტო რესურსებზე, რომლებსაც იზიდავდნენ საერთაშორისო ბაზრებიდან. ცნობისათვის 2008 წელს ამ ისლანდიური ბანკების საგარეო ვალდებულებებმა 42 მლრდ. ევრო შეადგინა, მაშინ როდესაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 8,5 მლრდ ევრო იყო.

2008 წლის დასწყისში ცნობილი ამერიკული საინვესტიციო საბანკო გიგანტის ლემან ბროზერსის (Lehman Brothers) გაკოტრებამ მოკლევადიანი ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის სტაგნაცია გამოიწვია. გამომდინარე იქიდან, რომ ისლანდიის ბანკები ძირითადად მოკლევადიან ბანკთაშორის კრედიტებს იყენებდნენ და ნაკლებად გააჩნდათ გაცილებით სტაბილური გრძელვადიანი პასივები ვადიანი დეპოზიტების სახით, მათ შეექმნათ სერიოზული ლიკვიდობის პრობლემები ფულადი რესურსების მოზიდვის (ჩანაცვლების) თვალსაზრისით და მოკლევადიანი ვალდებულებების გასასტუმრებლად. ისლანდიის მთავრობა იძულებული იყო ამ სამი ბანკიდან ყველაზე მცირე ბანკის (Giltfir Bank) ნაციონალიზაცია გამოეცხადებინა, რადგან ბანკს გასასტუმრებელი ჰქონდა 600 მლნ ევროს მოკლევადიანი ვალდებულებები, მაგრამ ბანკს არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა და ვერც ახალი ვალდებულებების აღება შეძლო.

Giltfir Bank-ის ნაციონალიზაციამ გადამდები ეფექტი იქო-

ნია სხვა ბანკებზეც, რადგან წარმოიქმნა საბანკო პანიკის ნიშნები. მეანაბრებმა როგორც ისლანდიაში, ასაევე ევროპის იმ ქვეყნებში სადაც ისლანდიურ ბანკებს ფილიალები ჰქონდათ გახსნილი, დაიწყეს ანაბრების მასიური გატანა სხვა ისლანდიური ბანკებიდანაც და ამის შედეგად ისლანდიის მთავრობა იძულებული გახდა ყველაზე მსხვილი ისლანდიური ბანკის Lands Bank-ის ნაციონალიზაციაც განეხორციელებინა. ამ ყოველივემ სერიოზული ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. მნიშვნელოვნად გაუფასურდა ისლანდიური კრონა, ხოლო საბანკო საპროცენტო განაკეთები უპრეცედენტოდ გაიზარდა. საბოლოო ჯამში ისლანდიის მთავრობა უკვე ქვეყნის დეფოლტისაგან გადასარჩენად იძულებული გახდა პრაქტიკულად ყველა მსხვილი ისლანდიური ბანკის ნაციონალიზაცია გამოეცხადებინა და დახმარებისათვის მიემართა საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის. საერთო ჯამში ისლანდიის კრიზისის დასაძლევად ევროკავშირის, სკანდინავიის ქვეყნების და სავალუტო ფონდის გამოყოფილმა თანხებმა 9 მლრდ ევრო შეადგინა.

ტარიფი	განსაზღვრება	რისკი ტიპი	დაზუსტება
ანაბრების "გაქცევა"	ერთი ბანკის დეპოზიტარები ცალ-ცალკე და ერთდროულად იწყებენ ანაბრების ბანკიდან გატანას	არასისტემური რისკი	რისკი რომელიც ზემოქმედებს მხოლოდ ერთ ბანკზე
საბანკო პანიკა	ანაბრების გაქცევა ერთი ბანკიდან წარმოქმნის განწყობას, რაც სხვა ბანკებიდან ანაბრების გატანით მიმდინარეობს	სისტემური რისკი	მთელი საბანკო სისტემის კოლაფსის რისკი
ჯაჭური რეაქცია	წარმოქმნება გადადინების ეფექტი, რაც მოიცავს სხვა ქვეყნებს და ბაზრებს	სისტემური რისკი	მიუელი საბანკო სისტემის კოლაფსის რისკი

საკრედიტო რეიტინგი

ობიექტურად, საქართველოში დღეს არსებული საკრედიტო რისკის (ანუ რისკის, რომ მსესხებელი ვალდებულებას არ დაფარავს) დონე განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს საკრედიტო რეიტინგების წარმოჩენას, ვინაიდან თანამედროვე ეტაპზე მოთხოვნა ინვესტორების მხრიდან ორიენტირებულია არა იმდენად ქვეყანაში კონკრეტული საქონლის წარმოებისუნარიანობაზე, რამდენადაც ამა თუ იმ კომპანიის, საფინანსო დაწესებულების საკრედიტო კულტურის ზოგად დონეზე.

საკრედიტო რეიტინგი, როგორც ასეთი, არის სპეციალიზირებული ინსტიტუტის (სარეიტინგო სააგენტოს) მიერ მსესხებლის სავალო ფასიან ქაღალდებზე (ან სხვა სავალო პროდუქტზე) ძირითადი თანხისა და პროცენტის დროულად გადახდის ალბათობის შეფასება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეიტინგი გარკვეული გამოშვების ფასიანი ქაღალდების (ან სხვა სავალო პროდუქტის) საკრედიტო რისკის ზომია. მსოფლის მასშტაბით სადღეისოდ ყველაზე ავტორიტეტული სარეიტინგო სააგენტოებია – Standard and Poor's, Moody's Investor's Service, Fitch Rating, FT-100.

სპეციალისტების განმარტებით, რეიტინგი ფასინი ქაღალდების (ან სხვა პროდუქტის) ყიდვის რეკომენდაცია არ არის. სააგენტოები მიუთითებენ, რომ საინვესტიციო გადანყვეტილების მიღებისას რეიტინგი მხოლოდ ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომელსაც კომპანიები იყენებენ ინვესტორების ნდობის მოსაპოვებლად, თავის მხრივ, ინვესტორები – ცალკეული ფასიანი ქაღალდებისა და მთლიანად მათი პორტფელის ხარისხის შეასაფასებლად, ხოლო ბანკები – ფასიანი ქაღალდების პოტენციურ ინვესტორზე გასაყიდად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკრედიტო რეიტინგი ბანკების, კორპორაციებისა და მათი სავალო ინსტრუმენტების

რისკის შეფასებაა. ამავე დროს, რეიტინგი ენიჭებათ ქვეყნებსაც და იგი ე.წ. სუვერენული საკრედიტო რეიტინგის სახელით არის ცნობილი.

მათთვის, ვინც დღეს საქართველოს ბაზარზე გადანყვეტს საქმიანობას, საქონელწარმოების უნარიანობა, თუ დაბანდებული კაპიტალის მომგებიანობა, ასოცირდება არა კონკრეტულ კომპანიასთან არამედ იმ ეკონომიკურ ნიშასთან, ეკონომიკის დარგთან, რომლის თაობაზეც ყოველმა ინვესტორმა უკვე მიიღო საკუთარი გადანყვეტილება უახლოესი 20-30 წლის პერიოდისათვის, იქნება ეს საბანკო სექტორი, პორტები, ნავთობმომპოვებელი დარგი თუ სხვა. კომპანიის შერჩევა მოცემულ ნიშაში პოზიციების გასამაგრებლად არის საკითხი, რომელზედაც პასუხი მნიშვნელოვანნილად სწორედ საკრედიტო რეიტინგის საფუძველზე გაიცემა, ვინაიდან ის საინვესტიციო კულტურის ერთგვარი ბარომეტრია და ესოდენ ფასობს დღეს ინვესტორებს შორის.

ათწლეულების მანძილზე მსოფლიოს საფინანსო ბაზრებზე საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება, როგორც მარტივი და ამავე დროს საიმედო, გამჭვირვალე ინდიკატორი კომპანიათა სავალო ვალდებულებების ხარისხის შესაფასებლად. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტული პროგნოზებით, საკრედიტო რეიტინგების სისტემათა განვითარების კვალობაზე ურთიერთკავშირი მაღალ რეიტინგსა და დაბალ საპროცენტო განაკვეთს შორის გაიზრდება. უპირატესობა აგრეთვე მიენიჭება ხანგრძლივი საკრედიტო და სარეიტინგო ისტორიის მქონე კომპანიებს.

საკრედიტო რეიტინგების გამოყენებას ზოგიერთი სახის ინვესტიციების განხორციელების პროცესში უკვე მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს. ასე, დასავლეთის საპენსიო ფონდებსა და სადაზღვევო კომპანიებს ეკრძალებათ სახსრების იმ ფასიან ქაღალდებში დაბანდება,

რომელთა რეიტინგიც კანონით განსაზღვრულ დონეზე დაბალია. ამავდროს აშშ-ის კაპიტალის შიდა ბაზარზე შესაღწევად მსესხებელს სულ ცოტა ორი სააგენტოს მიერ მინიჭებული რეიტინგი ესაჭიროება. ამდენად, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო რეიტინგებმა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში თავი წარმოაჩინეს როგორც საინვესტიციო რისკების შეფასების საკმაოდ ეფექტურმა ინდიკატორებმა.

მეორე მხრივ, რეიტინგი საფონდო ბაზრის განვითარების კატალიზატორია, რადგან ბაზარზე არაპროფესიონალი ინვესტორების ფართო წრის ჩაბმის საშუალებას იძლევა, ე.ი. მისი შემდგომი ზრდისათვის საჭირო დამატებით რესურსს იზიდავს. ამდენად, რეიტინგი აპრიორ უნივერსალური ინსტრუმენტია.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში. აღსანიშნავია, საქართველოს სახელმწიფოს ისევე როგორც მთელ რიგ გართულ ბანკებს უკვე წლებია მინიჭებული აქვთ შესაბამისი რეიტინგები საერთაშორისო სარეიტინგიო სააგენტოების მიერ. საქართველოს ბანკის და თი ბი სი ბანკის აქციები კოტირდება ლონდონის საფონდო ბირჟაზე და პრემიუმ ლისტინგშია შესული. საქართველოს სავალო ფასიანი ქაღალდები (ე.წ. ევრობონდები) განთავსებულია საერთაშორისო ბაზარზე და ა.შ.

თუმცა საქართველოს საფონდო ბაზარი განვითარებისგან მთელი რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ შორსაა რის მიზეზებზეც ამჯერად არ ვისაუბრებთ. ავლნიშნავთ მხოლოდ ერთ გარემოებას, რომ კერძო დაგროვითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რომელიც საქართველოში უახლოეს მომავალში უნდა დაინყოს, შესაბამის საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური საკითხების მოგვარებასთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის საფონდო ბაზრის ფორმირებას და გააქტიურებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკრედიტო რეიტინგების პრაქტიკის უფრო ფართოდ დანერგვა საქართველოში შესა-

ძლებელია რომელიმე ადგილობრივი სააგენტოს ან კომპანიის უკვე ავტორიტეტულ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოსთან სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმების გზით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ზოგიერთი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის, მაგ. უკრაინის გამოცდილება, სადაც შიდა საკრედიტო რეიტინგების მინიჭება ხდება ადგილობრივი ბაზრის პირობებში საკრედიტო რისკის დონის შესაფასებლად სპეციალურად შემუშავებული „საკრედიტო რეიტინგების ეროვნული შკალის“ მიხედვით (ასეთ საკრედიტო რეიტინგში შეფასებები სუვერენული რისკის გათვალისწინების გარეშე ხდება). მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამგვარი ლოკალური რეიტინგის საფუძველზე დროის გარკვეულ მონაკვეთში ინდივიდუალური შესაძლებლობების და სამოქმედო სტრატეგიის განსაზღვრაა შესაძლებელი და არა რამდენადმე მნიშვნელოვანი ფინანსური ნაკადების მოზიდვა. ამის გათვალისწინებით 2002 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკის სპეციალისტებმა, რათა განესაზღვრათ ძირითადი სარეიტინგო სააგენტოების კლასიფიკაციის მიხედვით ჩვენი ქვეყნის სავარაუდო სუვერენული რეიტინგი, Fitch IBCA-ს მიერ გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისათვის მინიჭებული სუვერენული რეიტინგი (მასში არ ხდება მაღალი რისკის მქონე ქვეყნების შეფასება) შეადარეს საკუთარი ანალიზის შედეგების კლასიფიკაციას რისკკატეგორიების მიხედვით. ამგვარი მცდელობით გაირკვა, რომ საქართველო მოლდოვასთან, სომხეთთან და ყირღიზეთთან ერთად, ხვდებოდა არასაინვესტიციო დონის მქონე ქვეყნების კატეგორიაში.

აქვე უნდა დავაკონკრეტოთ, რომ სუვერენული რეიტინგი წარმოადგენს მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში გამოშვებული სავალო ვალდებულებების დაფარვის (გამოშვების პირობების შესაბამისად) შესაძლებლობებისა და მზადყოფნის შეფასებას. ეს არის მთავრობის საკრედიტო რისკის ზომა და არანაირად არ გამოხატავს

სხვა ემიტენტების დეფოლტის რისკს. ამავე დროს, სუვერენული რეიტინგი განიხილება ერთგვარ ორიენტირად, რომლის გათვალისწინებითაც განისაზღვრება შესაბამისი იურისდიქციის ფარგლებში მოქმედი ყველა სხვა ემიტენტის რეიტინგი.

სააგენტოების მიერ სუვერენული რეიტინგის მინიჭება ქვეყნის კრედიტუნარიანობის შეფასებას წარმოადგენს და მისი ეკონომიკის შესაძლებლობებს ასახავს. თუკი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნის საინვესტიციო გარემო დაბალრეინტინგულია ან საერთოდ ვერ ხვდება შეფასებათა კატეგორიაში და შესაბამისად უცხოელი ინვესტორისთვის სამენარმეო საქმიანობის წამოსაწყებად ნაკლებად მიმზიდველია, მთავრობის რეფორმატორულ პროექტებს და განვითარების პილოტურ პროგრამებს მის ტერიტორიალურ საზღვრებში, როგორც წესი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი და სხვა) აკრედიტებენ. მართალია, ასეთი შეღავათიანი ფინანსური ინექციები ეკონომიკის გაჯანსაღების რეალურ წინაპირობას და სახელმწიფო მოწყობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს, მაგრამ განსაზღვრული დროის შემდეგ მათ ახასიათებს გარკვეული თანმდევი ეფექტებიც – ასე ვთქვათ, დამოკიდებულების გამო-მუშავება და აქედან გამომდინარე, უნებლიედ, იმ ფასიანი ქალაქების (ობლიგაციების, აქციების) განვითარების შეფერხება, რომელთა ემიტენტებად საერთაშორისო ბაზარზე, თუნდაც არსებულ პირობებში, შეიძლება მოგვევლინოს როგორც მთავრობა, ისე კერძო კომპანია. საკმარისია გავიხსენოთ 1994 წელი, როდესაც ერთ ერთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ბანკმა რამდენჯერმე შესთავაზა საქართველოს მთავრობას ევრობონდების (საერთაშორისო სასესხო ბაზარზე ობლიგაციების სახით ემიტირებული ფასიანი ქალაქები) ემისიის ლიდერ-მენეჯერობა, რითაც ხუთი წლის ვადით დაახლოებით 200 მლნ აშშ დოლარის მოზიდვა ხდებოდა შესაძლებელი (შე-

დარებისთვის, ეროვნული ბანკის რეზერვები 1994 წლის ბოლოსათვის მხოლოდ 6,6 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა!). სარგებლიანობა ამ ფინანსურ რესურსზე შეადგენდა დაახლოებით 10-12%-ს წლიურად. რა თქმა უნდა, ეს მაღალი საპროცენტო განაკვეთია, მაგრამ გასათვალისწინებელია იმხანად არსებული რისკების დონე და ისიც, რომ პირველი ემისია, როგორც წესი, შედარებით ძვირია. საგულისხმოა, რომ ევრობონდების ემისიის დროს არ არის აუცილებელი უშუალო გარანტიები (უცხოელი ინვესტორი საკუთარი აქტივების დივერსიფიკაციას ახდენს), გადაწყვეტილების მიღება ემყარება პერსპექტივას, რეპუტაციას, პროექტის ეფექტურობას და ცხადია ქვეყნის რისკების შეფასებას. რაც მეტია რისკი, მით უფრო ძვირი ჯდება ვალის მომსახურება და შესაბამისად, მეტია უცხოელი ინვესტორის შემოსავლიანობა. ასე რომ, მოთხოვნა მაინც არსებობს.

დღევანდელი გადასახედიდან რთული არ არის იმის დანახვა თუ რატომ ეთქვა იმ ხანად უარი ზემოაღნიშნულ წინადადებას. ამ გარიგებას ხომ, ფინანსურ ინექციასთან შედარებით, ხანგრძლივად სერიოზული მუშაობა სჭირდებოდა ეფექტიანი გამოყენების, აღრიცხვიანობისა და მით უფრო გამჭვირვალობის მიმართულებით (ეს უკანასკნელი კი სავალო ვალდებულებებზე რისკის მინიმიზაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია). მაგრამ მოცემულ ეტაპზე, საქართველოში არსებული პოლიტიკური და პროფესიული პოტენციული მთავრობის მიერ გამოსაყენებელია. საქართველოს მთავრობა უკვე უშვებს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბონდებს და პრაქტიკულად, ჩვენ მივდივართ იმ გზით რომლითაც თითქმის მთელი მსოფლიო სარგებლობს. აღსანიშნავია, რომ მრავალ ქვეყნებში რეგიონალური ერთეულებიც კი გადიან კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე და წარმატებულად იზიდავენ ინფრასტრუქტურის განვითარების თუ სხვა პროექტების დაფინანსებისათვის გამიზნულ გრძელვადიან რესურსებს (მაგ. რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი).

თავისთავად საინტერესოა, თუ რა მანქანებით მოხდა მაშინ საქართველოსთვის ზემოაღნიშნული წინადადების შეთავაზება. საქმე ის არის, რომ საერთაშორისო ბირჟის ლისტინგში (გისტინგ – სიის შედგენა; ემიტენტების ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობებზე დაშვების პროცედურა) მოხვედრა გულისხმობს ევრობონდების შესახებ საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ საემისიო პროცედურებს: საჭიროა ავტორიტეტული აუდიტორული კომპანიის დასკვნა, ემისიის პროსპექტი, შეთანხმება ლიდ-მენეჯერთან და ა.შ.. მაგრამ არსებობს გამარტივებული წესიც, რომელიც გამორიცხავს ლისტინგის სრულ პროცედურას – ლიდ-მენეჯერის, რომელიმე უცხოური ბანკის (შოლომონ Brothers-ის, Meril Lynch-ის, Doiche Banck-ისა თუ სხვ.), მეშვეობით ხდება ბაზარზე ევრობონდების შეთავაზება. თავად ემიტენტების სახით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება მოგვევლინოს სახელმწიფოც და ასევე კერძო კომპანიაც. ორივე შემთხვევაში მსესხებელს მიენიჭება რეიტინგი, მაგრამ ჯერ შეისწავლიან ქვეყნის რისკს (ჩოუნტრყ რისკ), ანუ პოლიტიკურ-სოციალური და ეკონომიკური რისკების დონეს. სააქციო საზოგადოებას უნდა ახასიათებდეს გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი, ჰქონდეს გამოშვებული აქციები, ობლიგაციები, შესაბამისად, გააჩნდეს სავალო ვალდებულებების შესრულების პრაქტიკა, ე.ი. საკუთარი პოტენციალი შიდა ლოკალურ ბაზარზე სრულად უნდა ჰქონდეს გამოყენებული, რაც რამდენიმე ქართული ბანკისათვის უკვე დაძლეული ეტაპია.

ამასობაში, ვიდრე მომხიბვლელი პერსპექტივა რეალურ ფორმებს შეიძენს, ქართული ბირჟების მესვეურები და დამოუკიდებელი ექსპერტები საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს განიხილავენ.

დღეისათვის საქართველოს საკრედიტო და საინვესტიციო

რეიტინგი გააჩნია. მაგალითისათვის, განვითარებული ეკონომიკის იმ ქვეყნებში რომლებიც G10-ის ქვეყნებში შედიან, საკრედიტო რისკების კოეფიციენტი ამ ქვეყნებში 20 %-ია, ხოლო საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგი AA-ს შეესაბამება და რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის 15 წლამდე შეუქცევადი განვითარების ადექვატურად აღიქმება. რისკების კლასიფიცირება დონეების (ჯგუფების) მიხედვით ხდება. უმაღლეს ჯგუფში AAA-ს შემდეგ მოდის AA, და A. რისკების მეორე დონის ჯგუფია B, რომელიც წინას მსგავსად BBB, BB და B ჯგუფებად იყოფა. ამ ჯგუფების რისკების მაჩვენებელი 50-100 %-ია, თუმცა BBB, საინვესტიციო ჯგუფს მიეკუთვნება, დანარჩენი კი სპეკულატიურს. იგივე პრინციპით არის შედგენილი მესამე შედარებით მაღალი რისკების ჯგუფიც C-ს ვარიანტების სახით. რისკების დონის 100-150 %-ის მაჩვენებლით. არსებობს ამ შკალირების სხვა ვარიანტებიც, რომლებიც ამ ჯგუფებს კიდევ უფრო მეტ დეტალიზაციას მატებენ + ან – ნიშნით. მაგ. AA+ ან BB- და. ა.შ. ჩვენთან საკრედიტო რისკების ანალოგიური მაჩვენებელი 50-100 %-ია.

ბუნებრივია, რომ როდერსაც ინვესტორი იღებს გადაწყვეტილებას თანხების დაბანდებაზე ის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ამა თუ იმ ქვეყნის ან საფინანსო ინსტიტუტის საკრედიტო რეიტინგს აფასებს. ინვესტორისათვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ რა რისკების წინაშე შეიძლება იგი აღმოჩნდეს ჩადებულკი ინვესტიციის უკუგების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ჩვენი ქვეყნისათვის BBB, ჯგუფში გადასვლას, რომელიც დღევანდელი მაჩვენებლიდან განსხვავებით არა სპეკულატიურ, არამედ საინვესტიციო ანუ გაცილებით დაბალი რისკების ჯგუფს მიეკუთვნება.

საერთაშორისო პრაქტიკაში კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიებიდან შედარებით პოპულარული

მისი კომპოზიტური ვარიანტია და CAMPARI-ის სახელით არის ცნობილი. ეს მეთოდოლოგია მოიცავს კლიენტის შეფასების შემდეგ კომპოზიტებს: C-Character – კლიენტის რეპუტაცია, მისი დახასიათების მიხედვით; A-Ability – სესხის დაბრუნების უნარი; M-Marjin – შემოსავლიანობა; P-Purpose – სესხის მიზნობრიობა; A-Amount – სესხის მოცულობა; R-Repaiment – სესხის დაფარვის პირობები. I-Insurance – სესხის უზრუნველყოფა, ვერგადახდის რისკების დაზღვევა.

თავი 3

საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მდგარი რისკები და მათი მართვა

ამ ნაწილში გაანალიზებულია საკრედიტო დაწესებულებების რისკების ორი ძირითადი კატეგორია – ფინანსური და არაფინანსური რისკები. თითოეული კატეგორია ცალკეული რისკებისაგან შედგება. ამ ნაწილში შესულია რისკების მართვის სფეროში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგადამხდელო და ანგარიშსწორების სისტემების რისკებს.

რისკის ძირითადი კატეგორიები

ფინანსური რისკები

ფინანსური რისკების ცნება შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

- საკრედიტო რისკი (ა)
- ლიკვიდურობის რისკი (ბ)
- საპროცენტო სარგებლის რისკი (გ)
- საბაზრო რისკები (დ)

ა) საკრედიტო რისკი არის ალბათობა, ნახონ ზარალი მეორე მხარის (დებიტორის) გადაუხდელობის (დეფოლტის) გამო. საკრედიტო რისკი პირდაპირ უკავშირდება კომერციულ საბანკო მომსახურებას (სესხები და კრედიტები) და საკრედიტო დაწესებულების პარტნიორების კრედიტუნარიანობას ეხება.

იგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკია.

საკრედიტო რისკის სპეციფიკური ასპექტი ქვეყნის რისკია, ანუ ალბათობა იმისა, რომ არახელსაყრელი და როგორც წესი არაპროგნოზირებადი ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალური პირობები ქვეყანაში, რომელიც არ არის ბანკის დაარსების ქვეყანა, შეიძლება გახდეს საფუძველი იმისა, რომ ქვეყნის შიდა დებიტორებმა (მსესხებლებმა) ვერ შეძლონ ვალის გადახდა კონტრაქტის პირობების თანახმად. ამ რისკის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხშირი სახეობა სატრანსფერო რისკია, ანუ უცხოელი დებიტორის უუნარობა ან სურვილის არ ქონა გადაიყვანოს ქვეყნის ეროვნული ვალუტა იმ ვალუტაზე, რომელშიც ვალია დენომინირებული. საკრედიტო რისკი შეიძლება იყოს ემიტენტის აქციების ან ობლიგაციების ფლობის შედეგი, თუ ეს ემიტენტი დეფოლტის მდგომარეობაშია ან გაკოტრებულადაა გამოცხადებული.

საკრედიტო რისკის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებული ძირითადი პარამეტრებია:

1. დეფოლტის ალბათობა, ანუ მეორე მხარის დეფოლტის ალბათობის სტატისტიკური შეფასება ერთი წლის განმავლობაში;
2. დანაკარგის მოცემული დეფოლტი, ანუ მეორე მხარის დეფოლტით გამოწვეული დანაკარგის დეფოლტისას არსებულ დაუფარავ თანხასთან შეფარდების კოეფიციენტი (ამოღების სიჩქარე)
3. რისკი დეფოლტისას, ანუ მეორე მხარის მიმდინარე ბალანსი ბანკთან და რისკის ვადიანობა.

ბ) ლიკვიდურობის რისკი ისტორიულად მეორე ყველაზე მაღალი რისკია საკრედიტო რისკის შემდეგ. მას ორი ერთმანეთისაგან ძნელად განსასხვავებელი განზომილება აქვს:

1. პირველი არის საკრედიტო დაწესებულების რისკი,

ვერ შეასრულოს მისი მიმდინარე ვალდებულებები იმ მეანაბრეთა (დეპოზიტართა) მიმართ, რომლებიც თანხას უკან გაიტანენ არასაკმარისი ლიკვიდურობის გამო (ლიკვიდურობის რისკის დაფინანსება).

2. მეორე არის იმ საკრედიტო დაწესებულების რისკი, რომელიც, ზემოთ მოყვანილ პირობებში, იწყებს მისი აქტივების ლიკვიდაციას არაშეღავათიან ფასად (ბაზრის ლიკვიდურობის რისკი).

ლიკვიდურობის რისკი არის ვადიანობის ტრანსფორმაციის რისკის შედეგი, რომელიც მომგებიან და დეფიციტურ ერთეულებს შორის შუამავლობისას საკრედიტო დაწესებულებების წინაშე დგას, ასევე საბანკო სესხებისათვის მეორადი ბაზრის არარსებობის შედეგი. ლიკვიდურობის რისკი არის იმ საკრედიტო დაწესებულებების რისკი, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ლიკვიდური აქტივები ვადაგადაცილებული ვალდებულებების გადასაფარად, ან ალბათობა იმისა, რომ ისინი იოლად ვერ მოახერხებენ გარკვეული საინვესტიციო პოზიციების ლიკვიდაციას და ამით ამ პოზიციების დევალვაციას გამოიწვევენ. რადგან ბანკში დეპოზიტების დიდი ნაწილი მოთხოვნისას გადაიხდება ბანკებს საჭიროა ჰქონდეთ საკმარისი ლიკვიდურობა, რათა გატანის მოთხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონ. უფრო მეტიც, ბანკებს ლიკვიდურობა სჭირდებათ, რათა სესხების გაცემა მოახდინონ კლიენტებთან კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების თანახმად. მიზეზები გვაიძულებს მივალწიოთ ლიკვიდური რეზერვებისა და სხვა აქტივების ოპტიმალურ კომბინაციას.

გ) საპროცენტო სარგებელის რისკი არის საკრედიტო დაწესებულების წმინდა საბალანსო პოზიციის მგრძნობელობის ხარისხი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ. ეს რისკი მოიცავს წმინდა საპროცენტო მოგების შემცირებას (ნომინალური განაკვეთების დონის უეცარი არახელსაყრელი

ცვლილების გამო) და/ან საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძობიარე სხვა საბანკო მოგებას, ასევე საბალანსო და გარეგანსურ მუხლებს მომავლის თანხების მოძრაობის მიმდინარე ღირებულების საპროცენტო ცვლილების ზეგავლენის გამო. ბანკის მგრძობელობა გადაფასების რისკისადმი აქტივებისა და ვალდებულებების გადავადების გამო (რაც საბანკო შუამავლობისათვის დამახასიათებელია). ეს უკავშირდება ა) ფიქსირებული განაკვეთის აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას და ბ) მცურავი განაკვეთის აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასებას.

დ) საბაზრო რისკები სამ კატეგორიად იყოფა:

- პოზიციის რისკი
- სავალუტო რისკი
- სასაქონლო რისკი

პოზიციის რისკი სავაჭრო სავალო ფასიან ქალაქლებში, აქციებსა და დერივატივებში ეხება ამ აქტივების მიმდინარე ღირებულების დანაკარგების ალბათობას, საბაზრო პირობების ცვლილების გამო. პოზიციის რისკი შეიძლება იყოს სპეციალური ან ზოგადი რისკი. სპეციალური რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო ღირებულების გაუთვალისწინებელი ცვლილება, რომელიც გამონვეულია ინსტრუმენტის ემიტენტის ან დერივატივის ფუძემდებლური ინსტრუმენტის მიზეზით. ზოგადი რისკი კი მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებში ღია პოზიციიდან დანაკარგების მიღების ალბათობას, მათ მიმდინარე ღირებულებაში გაუთვალისწინებელი ცვლილების გამო, რაც შეიძლება გამონვეული იყოს საპროცენტო განაკვეთის დონის არახელსაყრელი ცვლილებით (სავალო ფასიანი ქალაქლებისა და მათი დერივატივების შემთხვევაში) ან ბაზრებზე ფასების მკვეთრი მოძრაობით, სადაც აქციები და მისი დერივატივები იყიდება, როცა ეს მოძრაობა არაა გამონვეული შესაბამისი ემიტენტების კერძო მახასიათებლებით.

სავალუტო რისკი არის ალბათობა, რომ ბანკის შემოსავალი და/ან კაპიტალის ღირებულება შეიძლება შემცირდეს უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსების გაუთვალისწინებელი ცვლილების გამო, რომლებშიც ბანკის საბალანსო და გარეგანსური მუხლებია დენომინირებული.

სასაქონლო რისკი არის ალბათობა, რომ ძვირფასი ქვების საბაზრო ღირებულების ცვლილებები დანაკარგებს გამოიწვევს (აღნიშნული არ ეხება პოზიციას ოქროში, რომელიც ფასდება სავალუტო პოზიციისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიით). ეს ასევე ეხება სხვა საქონელს, რომლებშიც ბანკებს ღია პოზიცია აქვთ.

არაფინანსური რისკები

საოპერაციო რისკი ის ძირითადი არაფინანსური რისკია, რომელიც გულისხმობს იმ ალბათობას, რომ დანაკარგებს გამოიწვევს ან შინაგანი (არაადექვატური ან შეცდომითი შიდა პროცესები, მართვის ინფორმაციის სისტემები, ადამიანური ფაქტორი) ან გარეგანი მიზეზები. საოპერაციო რისკის განსაზღვრება ასევე მოიცავს კანონიერ რისკს, ანუ ალბათობას, რომ სახელმწიფოს, საზედამხედველო ან იურიდიული უწყებების მიერ ჯარიმების დაკისრება დანაკარგებს გამოიწვევს.

ეს კატეგორია რისკებისა ასევე მოიცავს სტრატეგიულ რისკსა და რეპუტაციულ რისკს:

1. სტრატეგიული რისკი არის ის ალბათობა, რომ კომპანიის ბიზნეს-გეგმამ შეიძლება არ გაამართლოს და ეს მისი ბუნების გამო, ზოგადად კომერციული და არა ფინანსური რისკია.
2. რეპუტაციული რისკი არის ის ნეგატიური ზეგავლენა, რომელიც ბანკის საქმიანობას და პრაქტიკას შეიძლება ჰქონდეს მის რეპუტაციაზე და პირიქით.

საგადამხდელი და ანგარიშსწორების სისტემების რისკი

საგადამხდელი და ანგარიშსწორების სისტემების სტაბილურობა (და გარკვეულ პირობებში მთელი საფინანსო სისტემის სტაბილურობა) შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს ანგარიშსწორების რისკმა, რომელიც ამ სისტემების ნაწილია.

ანგარიშსწორების რისკი არის ცალკეული ტრანზაქციების დაუსრულებლობის ალბათობა, ან ზოგადად ისეთი სიტუაციები, სადაც ბანკთაშორისი ანგარიშსწორება ისე არ დასრულდება, როგორც დაგეგმილია, მოსალოდნელია. ანგარიშსწორების რისკის შემთხვევებს სხვადასხვა ინტენსივობით შეიძლება ადგილი ჰქონდეს:

- საგადამხდელი სისტემებში
- ღირებულებად გადაცვლის სისტემებში.

ორივე შემთხვევაში, ანგარიშსწორების რისკს საკრედიტო ან ლიკვიდურობის რისკის ფორმით აქვს ადგილი.

ა) საკრედიტო რისკი გულისხმობს ალბათობას, რომ საგადამხდელი სისტემის მონაწილე ბოლომდე ვერ ასრულებს ამ სისტემაში მის მიერ ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს ან ამ ვალდებულებების ვადის დადგომისას ან ნებისმიერ მომდევნო ვადაში.

ბ) ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ალბათობას, რომ საგადამხდელი სისტემის მონაწილე ვერ მოიპოვებს საკმარის სახსრებს, რათა მისი ფინანსური ვალდებულებები ბოლომდე შეასრულოს შესაბამის ვადაში მაშინაც კი, თუ მონაწილეს ამის შესაძლებლობა მოგვიანებით ექნება. ასეთმა რისკმა შეიძლება მიმღებ დაწესებულებას აიძულოს სასწრაფოდ მოიზიდოს რესურსი ბანკთაშორისი ბაზრიდან უფრო მაღალ პრემიად/ფასად (დაფინანსების რისკი).

საგადამხდელო სისტემებში ეს რისკი ექსკლუზიურად ნეტო ანგარიშსწორების სისტემებს ეხება. მსხვილი ანგარიშსწორების სისტემებში, იგი იღებს ინსტრუქციის ჩიხის რისკის ფორმას, ეს ის რისკია, რომელიც იქმნება არაადექვატური სისტემის ლიკვიდურობის ან საკმარისი ლიკვიდურობის არაადექვატური გადანაწილების გამო სისტემის სხვადასხვა წევრებზე.

ღირებულებად გადაცვლის სისტემების რისკს შეიძლება ჰქონდეს ძირითადი თანხის რისკის სახე, რომელიც თავისთავად გულისხმობს შესაძლებლობას, რომ ინსტრუმენტის გამყიდველმა შეიძლება ვერ ამოიღოს ნავაჭრი თანხა, ან ინსტრუმენტის მყიდველი შეიძლება ვერ დაეპატრონოს ინსტრუმენტებს (თუმცა მისი ფასი გადახდილი აქვს).

უცხოური ვალუტით ანგარიშსწორების სისტემების შემთხვევაში ამ რისკს ჰერშტატის (ან ვალუტათაშორისი) რისკი ეწოდება. მონეტარული და ფინანსური დონეზე ყველაზე მნიშვნელოვანი რისკი საგადამხდელო სისტემებში (შედეგების თვალსაზრისით) სისტემური რისკია. ეს რისკი მოიცავს ალბათობას, რომ საგადამხდელო სისტემის მონაწილემ შეიძლება ვერ შეძლოს მისი ვალდებულებების შესრულება ან რომ სისტემის არასათანადო ფუნქციონირებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა მონაწილეების (და/ან სისტემის არამონაწილე ფინანსური დაწესებულებების) მიერ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობა ვადის დადგომისას. ამან შეიძლება გამოიწვიოს ლიკვიდურობის ან დეფოლტის გაზრდილი პრობლემები სისტემის შიგნით და საფრთხე შეუქმნას მთლიანად საფინანსო სისტემის და მონეტარულ სტაბილურობას.

რისკების მართვა საკრედიტო დანესებულებების მიერ

ფინანსური შუამავლობის ტრადიციულ რისკებს, ლიკვიდურობის რისკს და საკრედიტო რისკს, ბანკები ან აქტივების ან ვალდებულებების მართვით ანხორციელებდნენ. იყო პერიოდი როდესაც ბანკებს მაღალი ლიკვიდობა ჰქონდათ, დეპოზიტებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთების არსებობის გამო და მათი მთავარი პრობლემა ის იყო, თუ როგორ გამოეყენებინათ ეს დეპოზიტები, ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით, როგორ „ემართათ“ ისინი. მომდევნო წლებში ეკონომიკის მაღალი განვითარების ტემპებმა ფონდებზე კორპორატიული მოთხოვნა შექმნეს და ყურადღებაც გადავიდა:

ა) ბანკების მიერ ვალდებულებების მართვაზე ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორცაა სადეპოზიტო სერტიფიკატები, რაც საბანკო ოპერაციების „სეკურიტიზაციის“ მცდელობა იყო; ბ) ბანკთაშორისი ბაზრის შემდგომ განვითარებაზე, სადაც ფონდები გაზრდილი და შემცირებული ლიკვიდურობით ბანკებს შორის გადანაწილდება.

ოცდამეერთე საუკუნისათვის ფინანსური დანესებულებები ახალ რისკებს წააწყდნენ, რომლებიც არა იმდენად შუამავლობის პროცესის შედეგი იყო, რამდენადაც გლობალური ფინანსური ბაზრის ახალი პირობებისა: სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთების რისკის, ნოვატორული პროდუქტების და ა.შ.

მაგალითად დერივატივების რისკი. ამ რისკების მოსაგვარებლად, ფინანსურმა დანესებულებებმა ახალი მეთოდები და ტექნიკა შეიმუშავეს, რასაც კრებითი სახელი – ფინანსური რისკის მართვა ეწოდა. საკუთარი ოპერაციებისაგან წარმოშობილი რისკების მართვის გარდა, ბანკებმა ახალი ოპერაცია,

კლიენტთა პორტფელის რისკების მართვაში შუამავლობა შემოიღეს. ისინი შუამავლობენ მათ კლიენტებს რისკების გაცვლის ნაწილში (შესაბამისი ანაზღაურების საფასურად), კლიენტის არჩევანის მიხედვით. რაც შეეხება საკრედიტო რისკის ანალიზს, იგი მოიცავს იმ ალბათობის შეფასებას, რომ ბანკის პარტნიორები შეიძლება დეფოლტის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ანუ იმ დაშვებას, რომ ბანკის ბალანსიდან სესხი შეიძლება ჩამოიწეროს, როგორც ცუდი ვალებისგან გამონვეული დანაკარგი. თავის მხრივ ეს ალბათობა რამდენიმე ასპექტს მოიცავს: მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, სესხის ღირებულება, სესხის დაფარვის მეთოდი, სესხის ვადიანობა და საკრედიტო რისკის შემცირების ტექნიკა (უზრუნველყოფა, გარანტია და ა.შ.).

საკრედიტო რისკი და მისგან გამონვეული დანაკარგები ამცირებს მომგებიანობას, აუარესებს კრედიტუნარიანობას და ზრდის ბანკის დაფინანსების ღირებულებას. ამგვარად, ბანკებმა შექმნეს საკრედიტო რისკის გაზომვის მეთოდები და მოდელები. კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის ბანკები გარკვეულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებს იყენებენ, ესენია:

- ზოგადი ეკონომიკური და სფეროს სპეციფიკური ეკონომიკური პირობები
- პარტნიორის პიროვნული მხარე
- საქმიანობის პოტენციალი
- პარტნიორის მთლიანი არსებული კაპიტალი
- უზრუნველყოფა
- პარტნიორის სავაჭრო დამოკიდებულება (თუ ბანკს კლიენტთან წარსულში ურთიერთობა ჰქონდა) და პარტნიორის მთლიანი სესხები
- პარტნიორის რეპუტაცია ბაზარზე

“VAR” მოდელები

საკრედიტო რისკის მართვის მოდელებში ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების გამოყენებით იზომება მსესხებლის დეფოლტის ალბათობა ან მსესხებლები რისკის სხვადასხვა კატეგორიებად ჯგუფდება. ამ პროცესის ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ იგი ერთად იყენებს ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებს. რაოდენობრივ კრიტერიუმებთან ერთად, გათვალისწინებულია გარკვეული ხარისხობრივი კრიტერიუმები, მათ შორის კომპანიის მართვა, ორგანიზაცია, საბაზრო პოზიცია, ტექნიკური აღჭურვილობა და ნოუ-ჰაუ, მისი კვლევისა და განვითარების დონე.

საბაზრო რისკის მართვის სხვადასხვა მეთოდები შემუშავდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. ისინი “VAR” მოდელების სახელითაა ცნობილი (ვარიანს-კოვარიანს ანუ დელტა-ვარ, დელტა-გამა ვარ, ისტორიული სიმულაცია, მონტე-კარლოს სიმულაცია). იგი საბაზრო რისკების ამოცნობის აღიარებული გზაა. მისი საშუალებით გაანგარიშდება პორტფელის ყველაზე დიდი დანაკარგის ალბათობა დროის გარკვეულ მონაკვეთში (1 დღე, 10 დღე, 1 თვე, 1 წელი და ა.შ.) და ნდობის გარკვეულ დონეზე (95 % და 99 % ნდობის პირობებში).

რისკის ღირებულება (VAR) ნიშნავს იმ ყველაზე დიდ დანაკარგს, რომელიც შეიძლება ნახოს პორტფელის მფლობელმა, რომელსაც აქვს პოზიციები ფინანსურ ინსტრუმენტებში დროის მოცემულ მონაკვეთში და გარკვეულ ალბათობაზე დაყრდნობით. ეს მეთოდი ეფუძნება პორტფელის ღირებულებების ალბათობით გადანაწილებას მოცემული პერიოდისთვის და ითვალისწინებს პორტფელის დივერსიფიკაციას, რათა მაქსიმალური პოტენციური დანაკარგი იქნას გაანგარიშებული. VAR-ის მეთოდს შეუძლია მაქსიმალური პოტენციური დანაკარგის პროგნოზირება, მაგრამ იგი ყოველთვის არაა მთლიანად

ზუსტი, განსაკუთრებით საბაზრო პირობების მოულოდნელი ექსტრემალური ცვლილებების შემთხვევაში. ამ დროს სტრუქტურების მეთოდი გამოიყენება.

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, ახალი ეკონომიკური და ფინანსური გარემო, ბანკებს რისკის ამოცნობის, გაზომვისა და კონტროლის ინტეგრირებული მიდგომის შემუშავებისაკენ უბიძგებდნენ.

ეს სისტემები ძლიერ განსხვავდება წინა პერიოდში გამოყენებული სისტემებისაგან, ინტერვენციების, ბანკების აქტივების, ვალდებულებების და გამოყენებული ტექნიკის თვალსაზრისით. ისინი ბანკების აქტივებსა და ვალდებულებებში, და ფაქტობრივად მთელ საბალანსო უწყისში და არა მის მცირე ნაწილში (მაგ. დეპოზიტები და სესხები) ინტეგრირებული მიდგომის კოორდინირებული მცდელობებია. ცვლილებებმა ფინანსურ გარემოში, რომლებმაც ბანკებს რისკების და ზოგადად აქტივებისა და ვალდებულებების მართვის სისტემების შემუშავებისკენ უბიძგა. შესაბამისად საზედამხედველო სისტემაში ცვლილებების შედეგადაც იგივე საჭიროებები წარმოიშვა. საზედამხედველო სამსახურებმა ბანკებს კაპიტალის ადეკვატურობის განსაკუთრებული მოთხოვნები დაუწესეს, ბანკების რისკის კონტროლის ღონისძიების სახით, ბოლო ხანს კი საზედამხედველო სისტემა უფრო გამდიდრდა რისკის ყველა ტიპის შემცველი მარეგულირებელი მოთხოვნებით.

საცალო კლიენტთა დიფერენციაციის კრიტერიუმები და რისკები

საცალო კლიენტების დიფერენციაციისათვის გამოყენებული კრიტერიუმები ემყარება განათლების, დემოგრაფიულ და შემოსავლის ფაქტორებს, რომლებსაც ბანკები იყენებენ კლიენტთა სხვადასხვა კატეგორიების ამოცნობისა და ინდივიდუალიზებისათვის და მათი გათვალისწინებით შესაბამისი რისკების შესაფასებლად.

საცალო კლიენტთა ჯგუფები

პირველ რიგში განვსაზღვროთ ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ბანკები ახდენენ კლიენტთა სხვადასხვა ჯგუფების ან ბაზრის სეგმენტების განცალკევებას, რათა უკეთ გაიგონ მათი საჭიროებები და მათ შესაფერისი პროდუქტები და მომსახურება შესთავაზონ. ამ ჯგუფების შექმნა შემდეგ ზოგად კრიტერიუმებს ითვალისწინებს:

€ დემოგრაფია

ჩვენი ცხოვრების თითოეული ეტაპი სხვადასხვა საჭიროებებს მოიცავს. 21-დან 40 წლამდე ასაკის ადამიანებს 41-60 წლის ადამიანებისაგან განსხვავებული მოთხოვნები და საჭიროებები აქვთ. არის ასევე განსხვავებები მომხმარებლებისა და მეანობების ქცევას შორის აღნიშნულ ჯგუფებთან მიმართებაში. განსხვავებები შეიძლება ვიპოვოთ მდედრობითი და მამრობითი სქესის მოსახლეობას შორის და ა.შ.

◦ შემოსავალი

ორი მნიშვნელოვანი პარამეტრია კლიენტის შემოსავლის დონე და განაწილება. დაბალშემოსავლიანი პირები მაღალშემოსავლიანებისაგან განსხვავებულად იქცევიან, ინდუსტრიულ ზონებს სხვა სახის მომსახურება ესაჭიროება, ზაფხულის კურორტებს კი სულ სხვა.

◦ განათლება

ასევე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი შეიძლება იყოს მოსახლეობის ზოგადი განათლების დონე, სხვა სოციალურ ჯგუფებთან კომუნიკაცია, მობილურობა, მენტალიტეტი, აღქმა და ყოველდღიური ჩვევები. უფრო მეტიც, კლიენტების ფინანსური მომსახურებისადმი დამოკიდებულება და ქცევა როგორც წესი დამოკიდებულია მოსახლეობის ჯგუფებად განაწილებაზე.

ამ ჯგუფების მიზანია მოსახლეობის საჭიროებების დადგენა, რათა მათთვის შეთავაზებული პროდუქტები და მომსახურება მათ საჭიროებებზე მაქსიმალურად იყოს მორგებული.

კლიენტებისა და საბანკო დანესებულებებისათვის მნიშვნელოვანი საკითხია მათი ურთიერთობის შეუფერხებელი განვითარება, რაიმე მოულოდნელი ხარჯების ან ზიანის გარეშე. ანუ, ბანკებმა ზემოხსენებული კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინონ და ისეთი პროდუქცია შესთავაზონ, რომელიც კლიენტების საჭიროებებს მაქსიმალურად აკმაყოფილებს და ამავდროულად უზრუნველყოფს იმას, რომ კლიენტებს კარგად ესმით, თუ რას ყიდულობენ, რა მომსახურებას იღებენ, რა ფასად, რა ვალდებულებებს კისრულობენ კონტრაქტით გათვალისწინებული ურთიერთობის დასრულებამდე.

კონტრაქტის მნიშვნელობა და საკონტრაქტო ურთიერთობის ეტაპები.

კონტრაქტი წარმოადგენს თითოეული პროდუქტის ან მომსახურების მახასიათებლებს, პირობებს, უფლება-მოვალეობებს და თვისებებს. მხარეებს (კლიენტსა და ბანკს) ესმით და იღებენ მათ, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით. კონტრაქტები ასევე შეიცავენ იურიდიულ წესებს, მომხმარებლის დაცვის დებულებებსა და უსაფრთხოების დებულებებს ბანკისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ საბანკო ოპერაციების შესახებ კონტრაქტები, როგორც წესი, სრულდება შემდეგი სახის ფრაზით: „მე გამაცნეს ამ შეთანხმების პირობები და მე მათ ვეთანხმები“.

კლიენტები, რომელთაც სესხი უნდათ, ძალიან ფრთხილნი უნდა იყვნენ იმასთან მიმართებაში, თუ რას სურთ მიაღწიონ, რა თანხების განკარგვა შეუძლიათ, როგორ მოელიან მათი მიზნების შესრულებას და როგორი სახის სამომავლო ვალდებულებებს აიღებენ ისინი.

კლიენტებს (პირებს) შეზღუდული რესურსები აქვთ თავიანთი ულვეი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამასთან სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა საჭიროებები აქვთ, რაც განსხვავდება ადამიანების ცხოვრების ეტაპების მიხედვით, მათი განათლების დონისა და პროფესიის მიხედვით. ფინანსური საქმეების სწორად მართვისათვის კლიენტებმა უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი პრიორიტეტული საჭიროებები.

ყოველდღიური საბანკო პრაქტიკა აჩვენებს, რომ კლიენტები ბანკში მიდიან და კითხულობენ, თანხის რა მაქსიმალური ოდენობის სესხება შეუძლიათ. ამ დროს მათ ზუსტად არ იციან მათი ვალდებულებებისა და ფარვის და გადაუხდელობის შედეგების შესახებ. ამიტომ, კლიენტთა მომსახურების ოფიცრებმა სრულად უნდა იცოდნენ კლიენტებისათვის შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ყველა დეტალი და უნდა შეეძლოთ, პროფესიონალურად და კეთილსინდისიერად პასუხი გასცენ ისეთ შეკითხვებს, როგორიცაა:

- Ⓒ როგორ შემიძლია შევთავაზო თითოეულ კლიენტს მისი საკუთარი დანაზოგებისა და ინვესტიციების პროგრამა?
- Ⓒ როგორ შემიძლია დავადგინო თითოეული კლიენტის საკრედიტო მოთხოვნები და მისი ვალდებულებების დაფარვის უნარი?
- Ⓒ როგორ განვსაზღვრო კლიენტის მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი, ანუ ის, თუ რამდენი ფული შეუძლია მას გადაიხადოს ყოველთვიურად სესხის დასაფარად?
- Ⓒ როგორ განვსაზღვრო სესხის ოდენობა და დაფარვის პერიოდი კლიენტის პასუხების საფუძველზე?

ამრიგად, აშკარაა, რომ პირადი ფინანსური გეგმა საცალო კლიენტის კითხვებს პასუხს გასცემს, ხოლო კლიენტის ფინანსური მდგომარეობის, ოჯახური მდგომარეობის, თავისუფალი სახსრებისა და სხვა პარამეტრების შესახებ გარკვეული ინფორმაციის დამუშავება საკრედიტო დანებსებულებების მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებას (შესაბამისად ორივე მხარისთვის რისკების შემცირებას) უწყობს ხელს.

პირადი ფინანსური დაგეგმვა

პირადი ფინანსური დაგეგმვა არის არსებული პრობლების საფუძველზე ფინანსური ან სხვა პირადი მიზნების შესრულების ღონისძიებათა შემუშავების პროცედურა. უფრო კონკრეტულად, დაგეგმვაში შედის იმ ღონისძიებებისა და გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება თითოეული ადამიანის ცხოვრების სტილს, ჩვევებსა და მიზნებს. ყველა ფინანსური გეგმის მიზანია ფულის ეფექ-

ტიანი გამოყენება. ყველა ფინანსური გეგმა მოითხოვს ხარჯების აღრიცხვასა და მონიტორინგს.

ადამიანის ან ოჯახის ფინანსური ინფორმაციის შეფასების მთავარი ბერკეტებია:

- ფინანსური მდგომარეობა
- წლიური განცხადებული შემოსავალი
- პირადი ყოველთვიური შემოსავალი
- ხარჯები და ნებისმიერი სახის ვალდებულება
- ყოველთვიური შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობა
- ოჯახური მდგომარეობა და სოციალური ვალდებულებები
- ზოგადად ვალები და ვალდებულებები
- საცხოვრებლის მუდმივობა და დასაქმება
- სხვა ინფორმაცია

ასეთი ინფორმაციის აღრიცხვა და მისი დამუშავება სპეციალური ფინანსური მოდელების საშუალებით კლიენტებს თავიანთი შესაძლებლობების ნათელ სურათს უხატავს. ასევე მათ საშუალებას აძლევს:

1. აითვისონ მათი ფულადი სახსრები შემოსავლის მაქსიმალიზაციის მიზნით
2. ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი ფული
3. აღრიცხონ და თვალყური ადევნონ თავიანთ ხარჯებს.

მეორეს მხრივ, ამგვარი ინფორმაციის აღრიცხვა და მისი დამუშავება სპეციალური ფინანსური მოდელებით ბანკებს თავიანთი კლიენტების ფინანსური შესაძლებლობების ნათელ სურათს აძლევს, რათა:

1. განსაზღვრონ კლიენტების მსესხებლობითი შესაძლებლობები;

2. გამოიცნონ, აქვთ თუ არა მათ თავიანთი ვალდებულებების გასტუმრების უნარი;
3. დაადგინონ მათი საკრედიტო რეიტინგი;
4. წინ აღუდგნენ ვადაგადაცილებებსა და ჭარბ დაკრედიტებას.

საცალო სესხების დამტკიცების, გაცემისა და გადახდის პროცედურა უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. თანხის ყოველთვიურ სავარაუდო ოდენობას, რომელიც ოჯახს (პირს) შეუძლია გადადოს ვალდებულებების გასასტუმრებლად, გეგმის საფუძველზე;
2. ბანკის უსაფრთხოების დებულებებს, ანუ იმის გარანტიას, რომ მსესხებელს შეეძლება სესხის დაფარვა;
3. თანხლები დოკუმენტების წარდგენას თითოეული შემთხვევისათვის, სესხის მიზნობრიობის, კრედიტორის (ბანკის) და მარეგულირებელი ორგანოების მიერ დანესებული პირობების მიხედვით და სესხის საბოლოო დამტკიცებას;
4. სესხის პირობებზე დათანხმებას და მათ მიღებას, კონტრაქტზე ხელის მოწერას;
5. სესხის გაცემას და მის რეგულარულ დაფარვაზე თვალყურის დევნებას;
6. სესხის დაფარვას;
7. არარეგულარული დაფარვის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს.

რაც შეეხება საცალო კლიენტების დაკრედიტებას, ჩვენ ვნახავთ, რომ სესხის მიღებაზე განაცხადი ერთგვარი ფინანსური გეგმაა. სასესხო განაცხადის შევსება და საჭირო თანხმ-

ლები დოკუმენტების წარდგენა კლიენტის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის, საჭიროებებისა და შესაძლებლობების დეტალური აღწერაა.

სასესხო განაცხადის დამუშავება, პერსპექტიული მსესხებლის ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და კლიენტის სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი მისი დასაქმების, ოჯახური მდგომარეობისა და ასაკის საფუძველზე ნათლად აჩვენებს კლიენტის საკრედიტო შესაძლებლობებს.

ამრიგად, ბანკის ოფიცრები განსაზღვრავენ სესხის სრულ თანხას, ყოველთვიური გადახდის ოდენობას, სესხის ვადიანობას და გირაოს სახეობას. ამ ყველაფრის მიზანია კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება და სესხის შეუფერხებელი დაფარვის უზრუნველყოფა.

საბანკო დანესებულებებმა თვალყური უნდა ადევნონ მოსახლეობის ქცევასა და დამოკიდებულებას მოვლენათა განვითარებისადმი, დაადგინონ კლიენტთა საჭიროებები და შესთავაზონ მომსახურება, რომელიც დააკმაყოფილებს ამ საჭიროებებს.

ბანკები კლიენტებს უზრუნველყოფენ პროდუქტებითა და მომსახურებით იმ პირობებით, რომლებიც კლიენტის კრედიტუნარიანობას, გადახდისუნარიანობასა და შეუფერხებელი დაფარვის უნარს უკავშირდება. პირადი ფინანსური დაგეგმვა კლიენტებს ეხმარება თავიანთ საჭიროებებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრაში და ბანკებს აძლევს საშუალებას გააკეთონ პროგნოზები კლიენტების ნამდვილ საჭიროებებთან დაკავშირებით და განსაზღვრონ, შეუძლიათ თუ არა მათ დროულად დაფარონ ვალდებულებები.

იპოთეკური კრედიტი

ამ ნაწილში განხილულია იპოთეკური კრედიტი, რომელიც ბანკის მნიშვნელოვანი დაფინანსების ოპერაციაა, იპოთეკური დაკრედიტების პროდუქტები, იპოთეკური დაკრედიტებისას წარმოქმნილი რისკები, რაც დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან როგორცაა: ამგვარი კრედიტების გაცემის პირობები, სესხის დამტკიცების პროცედურები, გაცემა და შემდგომი ღონისძიებები. ამ ნაწილში ასევე განხილულია ამ ტიპის საბანკო ოპერაციებთან კონტრაქტისწინა ინფორმაციის მინოდების ვალდებულებასთან დაკავშირებული პრაქტიკული და პროცედურული საკითხები. ბოლოს ეს ნაწილი მოიცავს იპოთეკურ ბაზარზე განვითარებული მოვლენების და არსებულ ტენდენციების.

იპოთეკური საკრედიტო პროდუქტები

საბანკო ბაზარზე ბევრი იპოთეკური სესხის პროდუქტი არსებობს. ამ პროდუქტებს შორის მცირე განსხვავებებია, მაგრამ ისინი ერთი და იგივე ფილოსოფიით მოქმედებენ: კლიენტების საცხოვრებელი საჭიროებების დაფინანსება მათ შემოსავალზე, პუნქტუალურობაზე და სესხის რეგულარულად დაფარვის უნარზე დაყრდნობით.

საკრედიტო დანესებულებები იპოთეკურ სესხებს გაცემენ ფიზიკურ პირებზე (საცალო კლიენტები), რათა მათ საცხოვრებელი საჭიროებები დაიკმაყოფილონ (შეიქმნან და/ან გაიუმჯობესონ).

რისკების თვალსაზრისით იპოთეკური სესხები შედარებით დაბალი რისკის მატარებელია სამომხმარებლო სესხებთან შედარებით, რადგანაც არის მიზნობრივი და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი.

იპოთეკური დაკრედიტების მიზანია საცალო კლიენტების შემდეგი საჭიროებების დაფინანსება:

- € სახლების ან სამუშაო შენობების შესყიდვა, აშენება, დასრულება ან გაფართოება;
- € გაუმჯობესება, შეკეთება ან გარემონტება;
- € სახლის ან სამუშაო შენობის ასაშენებლად მიწის შესყიდვა;
- € ფასადების მოპირკეთება და საერთო ადგილების გაუმჯობესება;
- € სხვა ბანკების მიერ გაცემული იპოთეკური სესხების გადაფარვა.

სესხების გაცემის პირობები

იპოთეკური სესხების განაცხადების შეფასება ბევრი ფაქტორის გათვალისწინებას გულისხმობს, კერძოდ:

- € კრედიტუნარიანობა (სესხის დაფარვის უნარი)
- € შემოსავალი
- € ვალდებულებები
- € ფინანსური მდგომარეობა
- € პირადი და ოჯახური მახასიათებლები
- € პროფესიული სტატუსი (დასაქმების მუდმივობა, პერსპექტივები, განათლების დონე და ა.შ.)
- € საკრედიტო ქცევა (ფინანსური გადახდისუნარიანობა)
- € სანდოობა
- € სხვა

რათა პასუხი გაეცეს კლიენტთა ჩვეულ კითხვას „– რამდენი ფულის სესხება შემიძლია ჩემი საცხოვრებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად? ბანკებმა ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტორი უნდა გაითვალისწინონ.

ასევე განიხილება კრედიტუნარიანობასთან, კრედიტის ხარისხთან და მოთხოვნის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ კონკრეტული საკითხები, გვახსოვს რა, რომ სასესხო განაცხადის შეფასებისას იქმნება წარმოდგენა კლიენტის ვინაობაზე, მის გადახდისუნარიანობაზე და ვალდებულებების სათანადოდ მომსახურების უნარზე.

კლიენტის შესაძლებლობის შეფასებისას ითვალისწინებენ:

კლიენტის ასაკი – სასურველი ასაკია 21-დან 70 წლამდე. სესხის ვადიანობა მით უფრო მცირდება, რაც უფრო ასაკიანი მსესხებელი. ბანკები თავად განსაზღვრავენ ასაკობრივ კრიტერიუმებს, რაც ზემოთ მოყვანილი ასაკის ტიპური დიაპაზონისაგან გარკვეულ გადახრებს გულისხმობს.

ოჯახის შემოსავალი – ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი პირადი ან ოჯახის შემოსავალია, რომელიც მხედველობაში მიიღება კლიენტის მთლიან სავალო ვალდებულებასთან ერთად. ბანკები განაცხადის განხილვისათვის აწესებენ სანყის მინიმალურ პირად ან ოჯახის შემოსავალს. მაგალითად მინიმალური პირადი შემოსავალი უნდა უდრიდეს 3 000 ევროს, მინიმალური ოჯახის შემოსავალი კი უნდა აჭარბებდეს ან უდრიდეს 10 000 ევროს.

ფინანსური მდგომარეობა – კლიენტის არსებული უძრავი ქონება ახალი სესხის გაცემამდე. კლიენტმა უნდა წარმოადგინოს უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ბანკს დაუდასტუროს სხვა საცხოვრებელი ადგილის, მიწის ნაკვეთების და ა.შ. არსებობას.

პირადი და ოჯახური მახასიათებლები – მომავალი კლიენტის ოჯახური მდგომარეობა, მათი საცხოვრებელი ადგილი,

საკუთარია თუ ქირაობს, რამდენი წელია ერთიდაიგივე ადგილზე ცხოვრობს, სამუშაო, პროფესიული მდგომარეობა და პერსპექტივები (მუშაობის მუდმივობა, პროფესიული საქმიანობა, წარსულის გამოცდილება, თანამდებობა, დამსაქმებელი) და ა.შ.

მომავალი მსესხებლები თავიანთი კრედიტუნარიანობის შეფასებისას, როგორც წესი, წარადგენენ შემდეგი სახის თანმხლებ დოკუმენტაციას:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- ბოლო დროის საგადასახადო საბუთები,
- უძრავი ქონების საბუთი;
- ბოლო დროის სახელფასო უწყისიდან ამონაწერი;
- ცნობა დასაქმების ადგილიდან და ა.შ.

კლიენტის საკრედიტო ქცევის შეფასება უნდა მოიცავდეს შემდეგს:

სანდოობა – კლიენტის სანდოობისა და საბანკო ბაზართან თანამშრომლობის გადამონმება ბანკის საკუთარ ჩანაწერებზეა დამოკიდებული და ასევე საკრედიტო ბიუროების ე.წ. „თეთრი და შავი სიის“ ჩანაწერებზე. მხედველობაში ასევე მიიღება განმცხადებლის ბანკთან გრძელვადიანი და შეუფერხებელი თანამშრომლობა, რადგან უფრო სანდოა ისეთი კლიენტის შეფასება, რომელსაც ბანკთან თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია აქვს.

შესაძლო ფინანსური ზარალი – ბანკი ყურადღებით ამონიშნავს გადაუხდელ ჩეკებს, ქვითრებს, საგადახდო დავალებებს და ა.შ. რომელიც საკრედიტო ბიუროს ჩანაწერებითაა გათვალისწინებული. ბანკები თავიანთ ჩანაწერებში ასევე ამონიშნავენ ვადაგადაცილებებს, დაუფარავ პროცენტს, სესხის პირობებისადმი დაუმორჩილებლობას.

კლიენტის საკრედიტო ხარისხის შეფასება ასევე უნდა

მოიცავდეს უძრავი ქონების ღირებულების შეფასებას. ბანკები როგორც წესი აფინანსებენ ქონების ღირებულების ნაწილს (შესყიდვის კონტრაქტის საფუძველზე) ან ქონების კომერციული ღირებულების ნაწილს (ბანკის ქონების ექსპერტის შეფასების საფუძველზე). მშენებლობის შემთხვევაში ბანკები აფინანსებენ კონტრაქტის ღირებულების ნაწილს.

საკუთარი მონაწილეობა – ბანკებს სურთ დაინახონ ქონების შესყიდვაში ან მშენებლობაში კლიენტის საკუთარი თანხებით მონაწილეობა. ბანკის დაფინანსება როგორც წესი არ აჭარბებს მშენებლობის ბიუჯეტის ან შეძენის ღირებულების დაახლოებით 70%-ს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მსესხებლის საკუთარი მონაწილეობა და ამ გზით რისკების გადანაწილება.

კლიენტისადმი მოთხოვნის უზრუნველყოფის შემომწება-შეფასებამ უნდა მოიცვას იპოთეკური სესხების შემდეგი მისაღები გარანტიები:

ა) საგირავნო უზრუნველყოფა: როგორც წესი, იმ ქონების წინასწარი დატვირთვა, რომლის შესყიდვაც ფინანსდება. სასურველია წინასწარი დატვირთვის დარეგისტრირება მეორე (სხვა) ქონებაზე და არა იმაზე, რომელიც ფინანსდება და რომელიც ასევე ეკუთვნის მევალეს ან გარანტიის გამცემს. დატვირთვა, როგორც წესი სესხის ღირებულების 120%-140%-ია.

წინასწარი დატვირთვა იპოთეკის შესყიდვის ოფციაა. იგი დროებითი იპოთეკის სახეა, რომელიც შეიძლება მუდმივი გახდეს. წინასწარი დატვირთვა რეგისტრირდება ქონების (იპოთეკურ) რეესტრში და შენიშვნაში მიეთითება რომ დატვირთვა დროებითია.

ამ შემთხვევაში ტერმინი „იპოთეკა“ აღნიშნავს იმ რეალური უფლების დანესებას, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის პრივილეგირებულ დაკმაყოფილებას ამ ქონებაზე. იპოთეკა ყველაზე მძლავრი რეალური უფლება და ყველაზე უსაფრთხო გირაოა.

ბ) პირადი გარანტიები: თუ ქონებას, რომელიც დაფინანსებას ხდება, ერთობლივად ფლობენ, ან თუ კრედიტუნარიანობის და სესხის დაფარვის უნარის კრიტერიუმები არაა დაკმაყოფილებული (საკმარისი), სხვა გადახდისუნარიანი პიროვნება, რომელსაც აქვს საჭირო მახასიათებლები (ასაკი, პირადი შემოსავალი, სანდოობა) იძლევა გარანტიას. გარანტიის გამცემი ხელს აწერს ხელშეკრულებას და იგივე ვალდებულება ეკისრება კრედიტორისადმი, რაც მსესხებელს (პირველად მევალეს).

გ) გადაცემადი ფასიანი ქაღალდები: დეპოზიტების, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების, მოთხოვნების გამოყენება გირაოდ. იპოთეკური სესხების უზრუნველყოფისათვის ბანკები გირაოდ იტოვებენ ასევე ფასიან ქაღალდებს (სადეპოზიტო სერთიფიკატებს, აქციებს, სახაზინო ვალდებულებებს, ობლიგაციებს, თამასუქებს).

ტერმინი „გირაო“ აღნიშნავს რეალური უფლების დანესებას სხვა მხარის ნივთებზე, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის პრივილეგირებულ დაკმაყოფილებას ამ ნივთებზე. დამგირავებელი ამ ნივთის მფლობელი უნდა იყოს, ამიტომ გირავნობის ხელშეკრულებაში უნდა განისაზღვროს მოთხოვნა და აღიწეროს გირაოდ ჩადებული ნივთი.

სავარანტიო წერილების მიღება

დაფინანსების მიზნის შემონახვა-შეფასების კონტექსტში, ბანკები კლიენტებს თხოვენ წარმოადგინონ ქონების თანმხლები დოკუმენტაცია (კონტრაქტი, გეგმა, მშენებლობის ბიუჯეტი და ა.შ.) თითოეული ტიპის სესხისათვის (სახლის შესყიდვა, მშენებლობა, შეკეთება, რემონტი, მიწის შესყიდვა, საოფისე შენობა), რათა გადაამოწმონ სესხის მიზნობრიობა, ქონების ღირებულება, სავარაუდო ხარჯები და თვალყური ადევნონ

სამუშაოს მიმდინარეობას. კლიენტის რეგულარული გადახდის უნარის შეფასებისას ხდება პერიოდული გადახდების შემოწმებაც, რომელმაც, როგორც წესი, არ უნდა გადააჭარბოს მსესხებლის შემოსავლის 30-40 პროცენტს.

საკმაოდ ხშირად, მსესხებლებს სურთ დაუყოვნებლივ გაიგონ, მიიღებენ თუ არა სესხს და რა ოდენობით. ბანკები ამ მოთხოვნას აკმაყოფილებენ წინასწარი დამტკიცების პროცესის საშუალებით. ბანკები წინასწარ აფასებენ დაკრედიტების კრიტერიუმებს და კლიენტებს სთავაზობენ სესხის წინასწარ დამტკიცებას. ეს შეთავაზება სესხის პირობების თვალსაზრისით საბოლოოა მოცემული მომენტისათვის, მაგრამ არ გულისხმობს, რომ ბანკი ვალდებულია გასცეს სესხი, რადგან სესხის წინასწარი დამტკიცება პირობითია.

წინასწარი დამტკიცების მისაღებად მომავალმა კლიენტებმა უნდა წარადგინონ პირადობის მოწმობა, საგადასახადო დოკუმენტაცია, ხელფასის შესახებ ცნობა და ქონების შესყიდვის დოკუმენტი (ხელშეკრულების ასლი).

ბანკის ოფიცერი ავსებს სასესხო განაცხადს, ითვალისწინებს ზემოხსენებულ პარამეტრებს და კლიენტს სთავაზობს ამგვარ გადაწყვეტას. ასეთი გზით კლიენტს ექმნება პირველი შთაბეჭდილება იმ თანხის შესახებ, რაც მას შეუძლია ისესხოს და ასევე პირობების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სესხის საბოლოო დამტკიცება და გაცემა მას შემდეგ ხდება, რაც ქონებრივი უფლებები გადამოწმდება და მოთხოვნების უზრუნველყოფა მოხდება (წინასწარი დატვირთვის რეგისტრაცია, ფასიანი ქაღალდების გირაოში ჩადება, მოთხოვნების მიწერა და ა.შ.).

სახლის შესასყიდად გაცემული სესხებს ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთები ერიცხება, ვადიანობა კი პრაქტიკაში 1-დან 30 წლამდეა. ბანკის ოფიცრები კლიენტს უთანხმებენ ყოველთვიური შენატანის ოდენობას, რაც მსესხე-

ბლის შემოსავლის, ვალებისა და სხვა ვალდებულებების, ასევე ასაკის მიხედვით განისაზღვრება.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელის მონერის შემდეგ და უცვლელი რჩება შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში ან სესხის საბოლოო დაფარვამდე. იგი ხელს უწყობს ოჯახის შენატანების დროულ დაგეგმვას და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების მერყეობის რისკისაგან თავდაცვის მექანიზმს. ამავე დროს, კლიენტმა ზუსტად იცის, თუ რა ოდენობის თანხა მიდის სესხის ყოველთვიურ გადახდებზე (მომსახურებაზე). სესხის ვადაზე ადრე ნაწილობრივი ან სრული დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს შეიძლება დაეკისროს ვადაზე ადრე დაფარვის ჯარიმა.

ცვლადი საპროცენტო განაკვეთი ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელის მონერის შემდეგ და იცვლება სესხის დაფარვის პერიოდის განმავლობაში. ბანკს უფლება აქვს დაკრედიტების საბაზისო განაკვეთი ნებისმიერ მომენტში შეცვალოს, შესაბამისი წესების, ბაზრის მდგომარეობის, ფულის ღირებულების გათვალისწინებით. ცვლადი საპროცენტო განაკვეთები მსესხებელს საშუალებას აძლევს ისარგებლოს საპროცენტო განაკვეთების რყევებით (საპროცენტო განაკვეთების კლების მოლოდინი).

როგორც წესი, სასესხო განაკვეთების ცვლილება შეიძლება მიჰყვება შემდეგ გარემოებებს:

- ცენტრალური ბანკების, ხოლო საქართველოს შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებას
- ბანკის საბაზისო დაკრედიტების განაკვეთის ცვლილებას
- LIBOR-ის განაკვეთის (უცხოურ ვალუტაში გაცემული ცვალებადი სესხებისას) ცვლილებას

- საბანკო ზედამხედველობის ორგანოების წესების ცვლილებას.

ქონების შეფასებას ახდენენ ბანკის ქონების ექსპერტები ან დამოუკიდებელი ექსპერტი.

სესხის დამტკიცების, გაცემის და მონიტორინგის პროცესი

როგორც წესი, სესხის დამტკიცების, გაცემისა და მონიტორინგის პროცესი შემდეგი ეტაპებისაგან შედგება:

წინასწარი დამტკიცების ეტაპი: სასესხო განაცხადის შევსება, თანმხლები დოკუმენტაციის მიღება, წინასწარი დამტკიცება, მსესხებლისა და გარანტიის გამცემის ფინანსური მდგომარეობის შემოწმება, ფინანსური მიზნის გადამოწმება და ქონების ღირებულების შეფასება.

საბოლოო დამტკიცების ეტაპი: თანმხლები დოკუმენტების მიღება მსესხებლისა და გარანტიის გამცემის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, ამონაწერის, ხელშეკრულებების და შესასყიდი ქონების შესახებ სხვა დოკუმენტების მიღება; მშენებლობის შემთხვევაში ბანკი მოითხოვს დამატებით საინჟინრო დოკუმენტაციას ქონების მშენებლობის ან შეკეთების ხარჯების შესახებ.

შემოწმების ეტაპი: ქონების იურიდიული და ტექნიკური შეფასება, სესხის თანხის განსაზღვრა, სასესხო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, წინასწარი დატვირთვის ან იპოთეკის რეგისტრაცია.

ხელშეკრულების შესაბამისად გირაოს ჩამდები პირი მის მფლობელობაში მყოფ გადაცემად ფასიან ქალაქებს გირაოში

დებს ბანკის სასარგებლოდ სესხის გარანტიის სახით. ამგვარი ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს დეპოზიტები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, აქციები და ა.შ.

რაც შეეხება პროცედურას, მოთხოვნის უზრუნველყოფის მთელი ინიციატივა ბანკის იურისტზეა, რომელიც:

- გარანტიად შეთავაზებული ქონების მფლობელობით უფლებებს ამონმებს და ამზადებს შესაბამის ანგარიშს;
 - ამზადებს ქონების აღწერას და წინასწარი დატვირთვის რეგისტრაციის შესაბამის განაცხადს;
 - ამონმებს წინასწარი დატვირთვის რეგისტრაციის სდა იპოთეკის რეგისტრაციის სხვა დოკუმენტებს;
- ანხორციელებს სესხის გაცემისათვის აუცილებელი „ქონების დატვირთვის საჭირო რეგისტრაციას.

სესხის გაცემის ეტაპი: თანხის მთლიანი გაცემა ქონების შესყიდვის შემთხვევაში ან ნაწილობრივი გაცემა სამუშაოს მიმდინარეობის მიხედვით, შეკეთების ან მშენებლობის შემთხვევაში. დაფინანსებული ქონება შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ქონებისგან, რომელზეც დატვირთვა რეგისტრირდება. ასეთ შემთხვევები ბანკი მოითხოვს ორივე ქონების იურიდიული და ტექნიკური შემოწმებას.

როგორც წესი საჭიროა გირაოდ გამოყენებული ქონება დაზღვეული იყოს.

სესხის გაცემის ეტაპზე ბანკი სესხს გასცემს მას შემდეგ რაც შეამოწმებენ:

- სესხის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცებას;
- ტექნიკური შემოწმების დადებით დასკვნას;
- იურიდიული შემოწმების დადებით დასკვნას;
- ქონების საგირავნო ღირებულების საკმარისობას;
- დატვირთვის რეგისტრაციის კანონიერებას;
- ქონების დაზღვევის პოლისს.

რეგულარული გადახდის შემდგომი ეტაპი: მსესხებლებმა ყოველთვიური ამორტიზაციის გადახდებით უნდა დაფარონ თავიანთი იპოთეკური სესხი. თითოეული ამორტიზაციის გადახდა შედგება პროცენტისაგან, რომელიც მიიღება სესხის დაუფარავი ნაწილის გამრავლებით საპროცენტო განაკვეთზე და ამორტიზაციის თანხისაგან (სესხის ძირითადი თანხის ნაწილი).

წინასწარი ნაწილობრივი ან სრული დაფარვის ეტაპი: მსესხებლებს აქვთ უფლება სესხები ვადის დადგომამდე დაფარონ. ეს დაფარვა შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან სრული.

სასესხო ხელშეკრულებები ადრეული გადახდის შემთხვევაში გარკვეულ გადასახდელებს (ჯარიმებს) ითვალისწინებს. როგორც წესი ეს ჯარიმები გამოითვლება წინასწარ დაფარული სესხის თანხის პროცენტული ნაწილის საფუძველზე.

დავალიანებების ან მუდმივი დავალიანებების ეტაპი: გადახდის დროებითი დაგვიანების (შეფერხების) შემთხვევაში, ბანკის ოფიცრებმა მსესხებლებს უნდა აცნობონ შედეგების შესახებ, ხოლო თუ კლიენტმა სამი გადახდა გამოტოვა, სესხი როგორც წესი გადაეცემა მუდმივი დავალიანების რეჟიმს, რასაც კლიენტისათვის სხვა (უფრო მძიმე) ფინანსური შედეგები მოჰყვება.

სესხის ამოღების კანონიერ ღონისძიებათა ეტაპი: ბანკის ოფიცრები თანამშრომლობენ ბანკის იურიდიულ დეპარტამენტთან (ან პრობლემური სესხების ამოღების სპეციალიზირებულ კომპანიებთან) და ცდილობენ ვალი ამოიღონ სავალდებულო აღმასრულებელი ღონისძიებებით (საგადახდო დავალება, დაყადალება, იძულებითი გაყიდვა და ა.შ.).

ბოლოს, რაც შეეხება საგადასახადო ასპექტს. ამ შემთხვევაში პროცედურა ასეთია: კლიენტებს, რომელთაც მიიღეს იპოთეკური სესხები ბანკისაგან, რომელმაც გასცა ეს სესხი, აღნიშნულია, რომ კლიენტმა მიიღო იპოთეკური სესხი და ნაჩვენებია ამ სესხზე პროცენტის სახით თანხა ფისკალური

წლის განმავლობაში. საგადასახადო დეკლარაციის შინაარსის მიხედვით, კლიენტებს აქვთ უფლება იპოთეკურ სესხზე ფისკალური წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი გამოაკლონ თავიანთ დაბეგვრად შემოსავალს.

სამომხმარებლო კრედიტი

სამომხმარებლო კრედიტები დაფინანსების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საბანკო პროდუქტია. ქვემოთ განხილულია სამომხმარებლო კრედიტის ძირითადი თვისებები, ასევე განხილულია კომერციული ბანკების უპირატესობები და ნაკლოვანებები ამ მიმართულებით, ბაზრის ტენდენციები, კლიენტებისათვის მისაწოდებელ აუცილებელ წინასაკონტრაქტო ინფორმაცია, პრაქტიკაში არსებული პროდუქტები და დაფინანსების სახეები, პირობები, სასესხო განაცხადების შეფასების მეთოდები, ვადაგადაცილებული პორტფელების მართვის თავისებურებები და ბანკების მიერ სამომხმარებლო კრედიტების სტიმულირებისათვის გამოყენებული დისტრიბუციის არხები.

სამომხმარებლო კრედიტის დადებითი და უარყოფითი მხარეები

სამომხმარებლო კრედიტი – ბანკის დაფინანსების ოპერაციების ნაწილია და მოიცავს კრედიტის გაცემას კერძო პირებზე სამომხმარებლო საქონლის ან მომსახურების შესაძენად ან სხვა პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, სესხების ან პლასტიკურ ბარათებზე ოვერდრაფტების სახით. აღნიშნულმა სეგმენტმა ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა როგორც მთელს მსოფლიოში ასევე საქართველოში, სტაბილური და მზარდი ეკონომიკური გარემო პირობებში ერთ-

ერთ ყველაზე დინამიურ საცალო სექტორად ითვლება და კრედიტების საკმაოდ მომგებიანი და სასურველი ფორმაა.

დაფინანსების სხვა ფორმებთან შედარებით, სამომხმარებლო კრედიტები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, როგორც მოლაპარაკების, ასევე გაცემის და შემდგომი მეთვალყურეობის სტადიაში.

დღეს სამომხმარებლო კრედიტებს გაცემს როგორც საბანკო დაწესებულებები, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და ცალკეული კომპანიები (მაგ. ელექტროსაქონლის ქსელები და ავტოდილერები რომლებიც დამოუკიდებლად ან ბანკებთან ერთად ახორციელებენ განვადებების შეთავაზებას).

დადებითი მხარეები:

- ვალდებულებების გაფანტვა/დივერსიფიკაცია
- მნიშვნელოვანი მოგება (საპროცენტო და სხვა შემოსავალი) და სეგმენტის შემდგომი ზრდის პერსპექტივა

უარყოფითი მხარეები:

- გაზრდილი საოპერაციო ხარჯები (დამტკიცება, შემდგომი მეთვალყურეობა, და უამრავი სასესხო ანგარიშის ოპერაციული მხარდაჭერა);
- ცუდი სესხების ფორმირების რისკი (მსესხებლის კრედიტუნარიანობის შემონმების სირთულე, მთლიანი რეგულარული ვალდებულებების შესახებ სრული სურათის არქონის გამო)

ხარჯიანი და დროში განვლილი ვადაგადაცილებული სესხების ამოღების პროცედურები (მოთხოვნა მცირეა იმ ხარჯებთან შედარებით, რასაც ეს პროცედურები საჭიროებს).

სამომხმარებლო სესხის უკონტროლო ზრდას პოტენციურად შეუძლია სერიოზულ პრობლემად იქცეს და საბანკო

სისტემასა და ადგილობრივ ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედოს (ინფლაციის ზრდა, ოჯახების დატვირთვა ვალდებულებებით). უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, საცალო კლიენტთა მიერ სამომხმარებლო სესხების „ქრონიკულად“ სესხება ცუდი პრობლემური სესხების გაზრდის ალბათობასაც ზრდის. შესაბამისად ბოლო პერიოდში ბანკები ცვლიან თავიანთ პოლიტიკას პროდუქტებთან და მათ ფასებთან დაკავშირებით, ასევე პროდუქტების და მსესხებლების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებულ გეგმებს, აუმჯობესებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებს და ცდილობენ უზრუნველყონ მომავალ კლიენტთა ყველაზე სანდო შეფასება.

ბანკების მიერ თავიანთი პროდუქტების სტიმულირებისათვის გატარებულმა აგრესიულმა პოლიტიკამ, ჩვეულებრივი ფილიალების გარდა ალტერნატიული დისტრიბუციის არხების გამოყენებამ და სხვადასხვა ქვეყნებს შორის გაყიდვების სტიმულირებამ შექმნა საჭიროება იმ პირების დასაცავი მარეგულირებელი ბაზის შექმნისა, რომლებსაც ბანკებთან აქვთ საქმე (მომხმარებლის დაცვის კანონი). უფრო კონკრეტულად, იგულისხმებოდა სამომხმარებლო კრედიტის შესახებ არსებული დებულებების ჰარმონიზაცია. საქართველოში ამ მიმართულებით მოქმედებს ეროვნული ბანკის ინსტრუქცია – კლიენტებისათვის ფინანსური ინფორმაციის სავალდებულო მიწოდების შესახებ.

შემოთავაზებული დირექტივები ასახავს შემდეგ საკითხებს:

- წინასაკონტრაქტო ინფორმაციის განახლება, ხელშეკრულების დადებისას მოცემული ინფორმაციის გამდიდრება და დამატებითი პირობების დაწესება.
- წლიური საპროცენტო განაკვეთის ხარჯის გამოთვლის საფუძვლის გაფართოება.
- სასესხო ხელშეკრულებიდან გამოსვლის უფლების დაწესება;

კლიენტის პირადი ინფორმაციის დაცვა;

- Ⓒ გარანტიის გამცემთათვის ინფორმაციის მინოდების ვალდებულება;
- Ⓓ პასუხისმგებლური დაკრედიტების პრინციპის დამკვიდრება, რაც ნიშნავს რომ კრედიტორებმა უნდა უზრუნველყონ სესხის შეუფერხებელი გაცემა;
- Ⓔ ბანკის მიერ კონსულტაციის გაცემის ვალდებულების დაწესება, რათა კლიენტისათვის შეთავაზებული იქნას მისთვის ყველაზე მეტად შესაფერისი სესხი.
- Ⓕ კლიენტების პირადი მონაცემების დამუშავების აკრძალვა მათი თანხმობის გარეშე.

ძირითადი სამომხმარებლო კრედიტის პროდუქტებია:

- Ⓐ სამომხმარებლო სესხები
- Ⓑ პერსონალური სესხები
- Ⓒ საკრედიტო ბარათები

სამომხმარებლო სესხები გაიცემა კონკრეტული საქონლის შესაძენად (მაგ. ელექტრო ან სხვა საქონელი და მოწყობილობები, ავეჯი, სატრანსპორტო საშუალება და ა.შ.) და გარკვეული მომსახურების ხარჯების დაფარვისათვის (სკოლის, სასწავლო ცენტრის გადასახადი, დროის გაყოფის ხარჯები და ა.შ.). ამიტომ აუცილებელია სესხის მიზნობრიობის ჩვენება და შესაბამისად დოკუმენტების წარდგენა (ხელსეკრულებების, ქვითრების, ფაქტურების), რომლებიც აღნიშნული საქონლის ან მომსახურების შეძენას ადასტურებს.

ბანკებმა დაამკვიდრეს დაფინანსების ამ ფორმების სტიმულირების პრაქტიკა არა მხოლოდ ტრადიციული საშუალებით, არამედ მაგალითად მანქანების დილერ კომპანიებთან ხელშეკრულებით. მანქანების შეძენის ბევრი პროდუქტი არსებობს რომლებიც ბანკებისა და მანქანების დილერების მიერ ერთო-

ბლივადაა შემუშავებული რათა მათი გაყიდვების პოლიტიკა იქნას სტიმულირებული (დაუყოვნებლივი ან მომავალში გაცემა, განახლებადი კრედიტი, უპროცენტო სესხები, ნაწილობრივ სუბსიდირებული სესხები და ა.შ.)

პერსონალური სესხები გაიცემა იმ დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნის გარეშე, რომლებიც ადასტურებენ სესხის მიზნობრიობას. ისინი გაიცემა ან სესხების სახით, რეგულარული ამორტიზაციის დაფარვებით, ან განახლებადი საკრედიტო ლიმიტების ფორმით.

კრედიტის ერთი ასეთი ფორმაა „ღია სესხი“, როცა ბანკი ამტკიცებს კრედიტის მაქსიმალურ ლიმიტს და კლიენტებს უფლება აქვთ თანხა ნაწილობრივ ან ერთიანად აითვისონ, გამოიყენონ. პროცენტი გამოითვლება თანხის სარგებლობის დღეების მიხედვით. უფრო მეტიც, ეს კატეგორია მოიცავს ოვერდრაფტებსაც.

საკრედიტო ბარათები შეიქმნა იმისათვის, რათა ხელი შეწყობოდა კლიენტთა ყოველდღიურ ტრანზაქციებს. ბარათები ბევრ სხვადასხვა ჯგუფად კლასიფიცირდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით (გამომშვები, მომსახურების სახეობა და ა.შ.). სამომხმარებლო კრედიტთან დაკავშირებული ბარათები შემდეგია:

- ☛ განახლებადი საკრედიტო ბარათები
- ☛ არაგანახლებადი საკრედიტო ან დამხმარე ბარათები

საკრედიტო ბარათების მიმღები როგორც წესი ფიზიკური პირია (თუმცა ბოლო წლების განმავლობაში გამოჩნდა პლასტიკური ბარათები, მ.შ. საკრედიტო ბარათები, კორპორატიული კლიენტებისთვისაც).

საკრედიტო ბარათზე საკრედიტო ლიმიტები (ანუ ბარათის საშუალებით ავტომატურად მისაღები კრედიტის თანხის დენობა) განისაზღვრება თითოეული კლიენტის კრედიტუნარი-

ანობის გათვალისწინებით. საკრედიტო ბარათის გაცემაზე განაცხადის შეფასების პროცესი პერსონალური და სამომხმარებლო სესხების პროცესის მსგავსია. საკრედიტო ლიმიტი შეიძლება იყოს ხელფასის ერთმაგი, სამმაგი, ხუთმაგი, ზოგიერთ შემთხვევაში კი ათმაგი ოდენობაც კი. ბანკის მიერ ბარათზე დაწესებული ლიმიტის (სესხის) ფარგლებში საკრედიტო ბარათების მფლობელებს შეუძლიათ პროდუქტებისა და მომსახურების შეძენა და ნარდი ფულის მიღება საბანკო დაწესებულებებში თუ ბანკომატებში, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთ. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი საკრედიტო ბარათების გამოყენება (ძირითად ბარათზე მიბმა) ბარათის მფლობელის ოჯახის წევრებისათვის.

არსებობს ბარათის ბალანსის სხვა ბანკების ბარათებზე გადატანის ოფცია, იმ პირობით, თუ ბარათის მფლობელი პუნქტუალური გადამხდელია. საკრედიტო ლიმიტის ნებისმიერი გადაჭარბება შეიძლება დასრულდეს ჯარიმით, რომელიც არსებობს ფიქსირებული, პროპორციული ან ორივე ერთად. ზოგიერთ ბანკს ლიმიტის გადაჭარბებაზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის გარდა ჯარიმები არ აქვს. სხვა შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს ბარათზე წლიური სანევრო გადასახადი, რომელიც განსხვავდება ბარათის ტიპის და გამომშვები ბანკის მიხედვით.

ბარათის მფლობელებს შეუძლიათ მთლიანი ვალის გადახდა ნაწილ-ნაწილ, ან ერთიანად, როგორც წესი ბანკის მიერ განსაზღვრული მინიმალური ყოველთვიური დაფარვებით.

საკრედიტო ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, ბარათის მფლობელი კონტრაქტით ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობონ დაკარგვის ან მოპარვის შესახებ.

უიმედო და უმოქმედო სესხები

სასესხო პორტფელის მეთოდური მეთვალყურეობა სესხების შეუფერხებელი დაფარვის აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ, სამომხმარებლო კრედიტების მისაღები შემოსავლები რამდენიმე კატეგორიად იყოფა, რეგულარული და არარეგულარული ამოღებისა და მათზე წარმოშობილი დავალიანებების მიხედვით.

სასესხო ანგარიშები (სესხები) ვადაგადაცილებული ხდება და კლიენტები დამგვიანებლებად ითვლება დაფარვის ვადების გადაცდომის შემდეგ.

გავრცელებული პრაქტიკაა ვადაგადაცილებული სესხების მეთვალყურეობა და ამოღება დაევალოს სპეციალურ ამოღების სამსახურებს, რომლებიც ვალების ამოღებას არასასამართლო და სასამართლო წესით ცდილობენ.

სწრაფად მომსახურებადი სესხები

ეს ისეთი სესხებია, რომელთა მომსახურება სწრაფად ხდება და საჭირო არაა მათი ამოღების დამატებითი ღონისძიებების გატარება.

უიმედო სესხები

სესხი ან საბარათე ანგარიში დავალიანების მქონედ ითვლება იმ მომენტიდან, როცა ყოველთვიური დაფარვის ვადა გადაცილდება. ამგვარმა ანგარიშებმა შეიძლება არარეგულარული ბრუნვები აჩვენოს, რაც მოთხოვნის არარეგულარული ამოღების შესაძლებლობას ქმნის. ამ ანგარიშების უმეტესობა ამგვარ ქცევას მხოლოდ დროებით აჩვენებს, რადგან

დებიტორები თავიანთ ვალდებულებებს ისტუმრებენ და ანგარიშებიც სწრაფად მომსახურებადის სტატუსს უბრუნდება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკებმა დროულად უნდა აცნობონ თავიანთ ვადაგადაცილებების მქონე კლიენტებს (დარეკვით, არასასამართლო შეტყობინებით), რათა ეს ანგარიშები ვადაგადაცილებაში არ გადავიდეს. ამ ანგარიშებზე დადგენილი პროცენტი და ჯარიმა ირიცხება.

უმოქმედო სესხები

რამდენიმე გადაუხდელი დაფარვის შემდეგ (ეს რაოდენობა სხვადასხვა ბანკში სხვადასხვაა, ასევე განსხვავდება სესხებისა და ბარათების სახეობების მიხედვით, მაგრამ როგორც წესი სესხის შემთხვევასი სამი დაფარვის გამოტოვება, ბარათის შემთხვევაში კი ექვსი დაფარვის გამოტოვება) სესხები მუდმივ დავალიანებაში მყოფად და უმოქმედო სესხებად ითვლება, სწრაფად მომსახურებადის სტატუსში ვერ დაბრუნდება და სრულად მოთხოვნადია. მოთხოვნის ამოსაღებად ბანკები აუქმებენ ხელშეკრულებას, ანგარიშს ხურავენ, და ატარებენ ღონისძიებებს ჯერ არასასამართლო, შემდეგ კი სასამართლო წესით.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ საცალო საბანკო პროდუქტები დინამიური, საკმაოდ მომგებიანი და სასურველი საბანკო ოპერაციებია. იგი მნიშვნელოვან უპირატესობებს გულისხმობს, მაგრამ მთელი რიგი თავისებურებებიც გააჩნიათ და შესაბამისად მოითხოვს საინფორმაციო, საკრედიტო რეიტინგისა და მონიტორინგის სისტემების შემუშავებას, პორტფელის უსაფრთხო და შეუფერხებელი მომსახურების მიზნით.

ბიზნის დაკრედიტება და დაფინანსების ფორმები

თანამედროვე საბანკო ბაზარზე არსებობს უამრავი საბანკო პროდუქტი. დროგამოშვებით ბანკები კვლავაც ქმნიან ახალ პროდუქტებს და რეკლამის საშუალებით ინფორმაციას აწვდიან პოტენციურ კლიენტებს.

მიუხედავად ამისა, საბანკო პროდუქტები არსით და საფუძვლით ძალიან მსგავსნი არიან და მათ შორის განსხვავება მხოლოდ პოტენციური კლიენტის წამახალისებელი მიზნებით შემოიფარგლება.

ყოველ შემთხვევაში, დაკრედიტების ორი ძირითადი ფორმა არსებობს: საბრუნავი კაპიტალი და საინვესტიციო კრედიტი. თუ გავიგებთ ამ ფორმების ბუნების სპეციფიკურობასა და მიზნებს, შეგვეძლება გავოგოთ საბანკო ბაზარზე წარმოდგენილი ყველა ფინანსური პროდუქტის მახასიათებლები (საბანკო გარანტიები შეიძლება ჩაითვალოს დაფინანსების მესამე ფორმად, რამეთუ იგი არ არის კრედიტი, მაგრამ ბიზნესებისათვის აქვს მსგავსი და ხშირად ეკონომიკურად უფრო სარგებლიანი შედეგი).

საბანკო დაფინანსების (დაკრედიტების) მთავარი ფორმები

მოგება ყველა ბიზნესის მთავარი მიზანია. თუმცა, მისი მიღწევა მოითხოვს მთელ რიგ მოქმედებებს, რომელიც კომპა-

ნიაში მომუშავე ხალხმა წარმატებით უნდა განახორციელოს. ითვლება რომ კომპანიის (ფირმის) ოპერაციები შედგება ორი ძირითადი საქმიანობისაგან: გაყიდვების (ბრუნვის) დადგენილი ზღვრის მიღწევა და ზრდა. თუმცა, მათ შორის განსხვავებები ყოველთვის გასაგები არაა, რამეთუ როგორც ჩანს, ეს მიდგომები ურთიერთდამოკიდებულებაშია ფირმის დინამიკასთან. მიუხედავად ამისა, იგი გვეხმარება დაფინანსების ორი ძირითადი ფორმის უკეთ გაგებაში, კერძოდ:

- საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება
- ძირითად საშუალებათა დაფინანსება

უფრო დანვრილებით, გაყიდვების განსახორციელებლად ფირმას უნდა ჰქონდეს ფული, რომელიც საშუალებას მისცემს, მისცეს კრედიტი, ავანსი, თავის კლიენტებს და პარტნიორებს, ან შეიძინოს საჭირო მომსახურეობა, ნედლეული თუ საქონელი. ეს წარმოქმნის საბრუნავი კაპიტალის მუდმივ საჭიროებას, რომელიც იფარება ან ფირმის საკუთარი სახსრებით, ან საბანკო სესხის მეშვეობით. მეორეს მხრივ, ფირმები დაინტერესებულნი არიან განაახლონ თავიანთი დანადგარები და შეიძინონ ახალი ან გააძლიერონ არსებული სიმძლავრეები. ეს ინვესტიციები, რომლებიც საჭიროა, არა მხოლოდ ფირმის ზრდისათვის, არამედ ხშირ შემთხვევაში საბაზრო წილის შენარჩუნებისათვის, ბუნებრივია დამატებითი ხარჯებია, რომლებიც ანაზღაურდებიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამრიგად, მენარმე სუბიექტები მიმართავენ საბანკო სესხებს საბრუნავი და საინვესტიციო მიზნების დასაფინანსებლად.

მნიშვნელოვანია ავლნიშნოთ, რომ ტრადიციულად ბანკების მიერ ბიზნესის დაფინანსების მნიშვნელოვანი წილი, დაახლოებით 4/5 მოიცავდა მოკლევადიან კრედიტებს. ბოლო პერიოდის განმავლობაში ბანკებმა თავიანთი ყურადღება გრძელვადიან დაბანდებებზე გადაიტანეს.

დაფინანსების ამ ორი ფორმის გარდა კლიენტები ხშირად მიმართავენ ბანკებს, რათა გამოიყენონ მათი რეპუტაცია, სანდოობა და მიიღონ საბანკო გარანტია თანხის გადახდაზე მესამე მხარის სასარგებლოდ. შეფასების მეთოდებით, იურიდიული თვალსაზრისითა და თავდებობით, საბანკო გარანტია საბანკო სესხის მსგავსია, იმ განსხვავებით რომ მიმხეებზე არ ხდება თანხის გავემა.

მროგორც უკვე ავლნიშნეთ, საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების მიზანია ფირმის საწარმოო-სავაჭრო ბრუნვათა ნაკადების გაფართოება. ამისათვის, სასარგებლო იქნება გავიგოთ, თუ რას წარმოადგენენ აღნიშნული ნაკადები.

ფირმის წარმოება-ვაჭრობის ბრუნვათა ნაკადების კონცეფცია

ტიპიური ფირმის ოპერაცია შეიძლება დაიყოს შემდეგ სტადიებად:

- ნედლეულის შესყიდვა ნაწილობრივ ფულით და ნაწილობრივ კრედიტით;
- ნედლეულის გარდაქმნა პროდუქტად;
- პროდუქციის დასაწყობება;
- პროდუქტის გაყიდვა ნაწილობრივ ფულით და ნაწილობრივ კრედიტით (განვადებით, ნისიად).

განსხვავებული სახის პროდუქციის მწარმოებელი ყველა ფირმა გადის ყველა აღნიშნულ სტადიებს. ეს ნიშნავს, რომ ფირმამ ყოველთვის უნდა მიმართოს რესურსები ნედლეულისა და პროდუქციის შესაძენად, ტრანსპორტირებისათვის, სასაწყობო მომსახურებისათვის, გადასამუსავეებლად და ა.შ. და რეალიზაციისას თავისი კლიენტებისათვის კრედიტის (მოთხოვ-

ნის) გასაზრდელად. ამავე დროს, თავის მხრივ, იგი სარგებლობს მისი მომწოდებლებისაგან გაზრდილი კრედიტით.

თანხებისა და პროდუქციის ნაკადები ქმნიან ფირმის სანარმოო-სავაჭრო ბრუნვათა ნაკადებს. ფირმის წარმოების ნაკადი იწყება ნედლეულის შექენითა და მთავრდება პროდუქციის გაყიდვით. იგი იწყება ნედლეულის (მომსახურების) შესაძენად განხორციელებული ანგარიშსწორებით და მთავრდება კლიენტებისაგან ყველა მისაღები თანხის სრულად გადახდის ანგარიშსწორებით.

სანარმოო-სავაჭრო ნაკადებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გარიგებები 100%-ით არ ხორციელდება ნაღდი ფულით და ასევე არსებობს დროის შუალედები წარმოებისა და გაყიდვის ნაკადებს შორის, ანუ შემომავალ და გამავალ ნაკადებს შორის, აქედან გამომდინარე ფირმათა ფულადი ნაკადების მოძრაობა საჭიროებს დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას კაპიტალის სხვა წყაროების სახით (საკუთარი კაპიტალი ან სესხები, ჩვეულებრივ საბანკო სესხები).

კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნათა განსაზღვრა

კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნათა განსაზღვრა როგორც რაოდენობის, ასევე ვადიანობის მხრივ აუცილებელი პირობაა შესაბამისი საბანკო სესხების მისაღებად. ამ მოთხოვნათა დადგენის მიზნით, ჩვენ უნდა ვიცნობდეთ კომპანიის ფინანსურ ინფორმაციას, მდგომარეობას. ეს ინფორმაცია აღწერს ფირმის ფინანსურ მდგომარეობას წარსულში, წინა პერიოდში და დრეფანდელი დღისათვის.

წმინდა საბრუნავი კაპიტალი განიხილება როგორც სხვაობა მიმდინარე აქტივებს და მიმდინარე ვალდებულებებს შო-

რის. სასაწყობო მარაგები პლუს დებიტორული დავალიანება მინუს კრედიტორული დავალიანება უდრის წმინდა საბრუნავ კაპიტალს (საკუთარი კაპიტალი პლუს საბანკო სესხები).

ამასტანავე, ჩვენ ასევე აუცილებლად უნდა ვიცოდეთ საწარმოო და სავაჭრო ნაკადების მდგომარეობა, რაც მომავალი ფინანსური ინფორმაციის განსაზღვრაში დაგვეხმარება. მეტიც, ფირმა შეიძლება პატარა იყოს და არ იყოს ვალდებული აწარმოოს ანალიტიკური ფინანსური ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში, ოფიციალური ფინანსური ინფორმაცია შედგება დეკლარირებული გაყიდვების, პირობითი (დაახლოებით) დანახარჯებისა და წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვებისაგან. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ უშუალოდ მენარმესთან საუბრის საფუძველზე ვადგენთ წინასწარ ბალანსს.

საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნათა შეფასების მაგალითი:

2013 წლისათვის „ABC“ კომპანიის ანგარიში შემდეგია:

1. გაყიდვები 100.000
2. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 75.000
3. მოხმარებული ნედლეულის ღირებულება 60.000

კომპანიის სავაჭრო პირობები შემდეგია:

1. გაყიდვების პირობები
 - კრედიტი კლიენტებს 5 თვე (დებიტორული დავალიანება)
2. შესყიდვების პირობები
 - კრედიტი მომწოდებლისაგან 2 თვე (კრედიტორული დავალიანება)
3. სასაწყობო მარაგები

- ნედლეული 3 თვე
- მზა პროდუქცია 2 თვე

საწარმო-სავაჭრო ნაკადების წლიური განაწილება დაბალანსებულია და ცვლილებებს არ ელოდებიან მომავალი წლის განმავლობაშიც.

მომავალი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ პროგნოზირებული 10%-იანი ზრდა (უცვლელი ფასების პირობებში) განიხილება, როგორც რეალური და ამიტომ, ამ პროგნოზებზე დაყრდნობით, ჩვენ განვსაზღვრავთ მომავალ ფინანსურ წელს მის მოთხოვნას საბრუნავი კაპიტალის გაზრდის შესახებ.

2014 წლისათვის საოპერაციო ანგარიშის საპროგნოზო მაჩვენებლები შემდეგია:

1. გაყიდვები 110.000
2. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 82.500
3. მოხმარებული ნედლეულის ღირებულება 66.000

მიმდინარე აქტივებზე მიმართული თანხები შემდეგია:

- კრედიტი კლიენტებს $(110.000 \times 5/12) = 45.833$
 - სასაწყობო მარაგები ნედლეული $(66.000 \times 3/12) = 16.500$
 - სასაწყობო მარაგები მზა პროდუქცია $(82.500 \times 2/12) = 13.750$
- სულ: 76.083

ამ თანხას ვაკლებთ კომპანიის მიერ მისი მომწოდებლები-საგან მიღებულ კრედიტებს.

- კრედიტი მომწოდებლისაგან $(66.000 \times 2/12) = 11.000$

მაშასადამე, საჭირო საბრუნავი კაპიტალი 76.083-11.000=65.083-ის ტოლია.

ნავარაუდები გაყიდვების მიღწევის მიზნით არნიშნული უნდა დაფინანსდეს საკუთარი კაპიტალის ზრდით, საბანკო ან სხვა კრედიტით.

ამ გათვლებით ჩვენ ასევე განვსაზღვრეთ:

- საჭირო ნედლეულისა და მზა პროდუქციის მარაგები
- კომპანიის ბაზრიდან მისაღები და ბაზრისათვის გადასახდელი თანხები.

ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ საბრუნავი კაპიტალის საშუალო მოთხოვნა 65.083-ია. სინამდვილეში საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნები A-ს ფორმის მრუდს მიყვება, ეს ცვლილებები იზრდება კომპანიის სეზონურ აქტივობათა შესაბამისად. ამ მსჯელობის თანახმად, კომპანიის მოთხოვნები საბრუნავ კაპიტალზე გამოირჩევა მუდმივობითა და სეზონურობით. უნინ იგი უნდა დაფინანსებულიყო საკუთარი კაპიტალით ან გრძელვადიანი სესხებით, როდესაც ახლა იგი შეიძლება დაფინანსდეს მოკლევადიანი საბანკო სესხებითაც.

ნათელია, რომ რთულია კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნის დადგენა მომავალი წლისათვის. მიუხედავად ამისა დაფინანსებისათვის საჭირო თანხის განსაზღვრაში დაახლოებითი გაანგარიშებებიც გვეხმარება.

საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორები (დეტერმინანტები) შემდეგია:

- კომპანიის საქმიანობათა ბუნება და სახეები
- გაყიდვების ღირებულება და ვადები
- სეზონურობა
- პროდუქციის ნაკადების სტადიები
- გაყიდვების მოცულობა
- მიმდინარე აქტივების გაუფასურების რისკი

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი

- ანგარიშსწორების პირობები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან
- გაყიდვების დავალიანების (მისაღები თანხების) კოეფიციენტი

კომპანიის საქმიანობის ბუნება და სახეები

აქტივების კლასიფიკაციის მარეგულირებელ დებულებაში განსაზღვრული მოთხოვნების გარდა, ბიზნეს სესხის სტანდარტულად კლასიფიცირებისთვის, მსესხებლის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. Interest Coverage Ratio (EBIT / InterestExpenses) > 3
2. Debt / EBITDA < 3
3. Equity / Assets > 30% (სახელმწიფო ორგანიზაციები, საფინანსო ინსტიტუტები Equity /Assets > 20%)
4. ლომბარდული სესხები – Loan to Value Ratio < 90%.

აღნიშნული საშუალო მაჩვენებლები შესაძლოა განსხვავდებოდეს ქვეყნების და ინდუსტრიებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით. წარმოდგენილი კოეფიციენტები არ იქნება ერთადერთი არგუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მსესხებლის „სტანდარტულად კლასიფიცირების“ საკითხს. წარმოდგენილი ფინანსური კოეფიციენტების არსებობა ბანკების მხრიდან არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული იმგვარად, რომ მსესხებელთა შეფასება დაეფუძნოს მხოლოდ საორიენტაციო მაჩვენებლებს და რისკის მართვის ფუნქცია გახდეს მექანიკური. მსესხებლის შეფასებისას, სრულყოფილი საკრედიტო ანალიზის ჩარჩოს ფარგლებში, ყურადღება უნდა მიექცეს სხვა მნიშვნელოვან მაჩვენებლებსაც.

წარმოდგენილი საორიენტაციო მაჩვენებლებიდან გადახვევის შემთხვევაში, სესხისათვის სტანდარტული კატეგორიის მინიჭებისათვის ბანკს უნდა გააჩნდეს მყარი და კონკრეტული არგუმენტები ბიზნეს და ფინანსური რისკის კუთხით.

რიკს სექტორების მიხედვით ბანკის მიერ მსესხებლის ანალიზისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი კოეფიციენტები.

საქტორი	Debt / EBITDA	EBIT / Interest Expenses
უძრავი ქონების დეველოპერი	2.50	3.50
სამშენებლო მასალების წარმოება/ვაჭრობა	2.75	3.25
ავტომობილები	2.75	3.25
სამშენებლო კომპანიები	2.50	3.25
უძრავი ქონების მენეჯმენტი	3.00	3.00
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	3.00	3.00
სასტუმროები და ტურიზმი	3.00	3.00
სოფლის მეურნეობა	3.00	3.00
რესტორანი, კაფე, ბარი	3.00	3.00
მომსახურეობის სფერო	3.00	3.00
ჯანდაცვა	3.00	3.00
ორმაგი დანიშნულების პროდ. წარმოება	2.75	3.00
სხვა ვაჭრობა	2.75	3.00
ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება	3.25	2.75
ფარმაცია	3.25	2.75
სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობა	3.25	2.75
სანავის იმპორტიორები და ბგს	3.00	2.75
ტელეკომუნიკაცია	3.00	2.75
მძიმე მრეწველობა	2.75	2.75
დეგულატივ უტილიტივს	3.50	2.50
სხვა წარმოება	2.75	3.25
სხვა	2.75	3.25

მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში არსებული ბიზნეს სესხებისათვის სექტორების გათვალისწინებით Debt / EBITDA უნდა იყოს 20%-ით უფრო ნაკლები, ხოლო EBIT / Interest Expenses 20%-ით უფრო მეტი.

გაყიდვების ღირებულება და ვადები

მაგალითად, კომპანია რომელიც ამარაგებს საავადმყოფოებს მედიკამენტებით ჩვეულებრივ იცდის 10-15 თვე დებიტორული დავალიანებების მისაღებად. ასეთ გაყიდვებს აზრი აქვთ მაშინ, როდესაც კომპანიის მთლიანი მოგება შეიცავს საბანკო კრედიტის პროცენტსაც. ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია მივმართოთ ბანკს საბრუნავი კაპიტალის სესხის მისაღებად.

სეზონურობა

მაგალითად, სასტუმრო საჭიროებს საბრუნავ კაპიტალს თებერვალში, მარტსა და აპრილში, რათა მოემზადოს სტუმრების მისაღებად ზაფხულის განმავლობაში. ე.ი. კომპანიას ესაჭიროება საბრუნავი კაპიტალი გაზაფხულზე და იგი შეძლებს მის გადახდას ზაფხულის განმავლობაში.

პროდუქციის ნაქადების სტადიები

მაგალითად, კომპანია რომელიც ცდილობს საკუთარი საბაზრო წილის გაზრდას, სავარაუდოა რომ უფრო მეტს გაყიდის განვადებით, შემოგვთავაზებს გადახდის უკეთეს პირობებს, ან წარმოგვიდგენს სპეციალურ შემოთავაზებებს.

ბუნებრივია, რომ ასეთი პოლიტიკა ზრდის მოთხოვნას საბრუნავ კაპიტალზე.

გაყიდვების მოცულობა

მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნები მისი გაყიდვების 40%-ის ტოლია და თუ მომავალ წელს ველოდებით გაყიდვების გაზრდას 200-დან 300 ერთეულამდე, იმ მოსაზრებით რომ კომპანია გააგრძელებს მუშაობას ვაჭრობის იგივე პირობებით, მისი მოთხოვნა საბრუნავ კაპიტალზე 80-დან 120 ერთეულამდე გაიზრდება. ეს ფაქტი ხშირად უგულებელყოფილია იმ მენარმეთა მიერ, რომელთა ყურადღება გაყიდვების გაზრდაზეა ფოკუსირებული. შედეგად, თუ მათ წინასწარ არა აქვთ მოძიებული დაფინანსება, მათი ფირმის წინაშე ლიკვიდურობის პრობლემები წარმოიქმნება და ხელსაყრელი შემთხვევა საფრთხედ გადაიქცევა.

მიმდინარე აქტივების გაუფასურების რისკი თვითღირებულებასთან მიმართებაში

მაგალითად, ქალის ტანსაცმლის მაღაზიამ შეიძინა ზამთრის სეზონის საქონელი და ვერ გაყიდა იგი. საზაფხულო შესყიდვების განხორციელების მიზნით, მაღაზია იძულებულია დიდი ფასდაკლებით (ზოგიერთ შემთხვევაში თვითღირებულებაზე იაფადაც კი) გაყიდოს ზამთრის ტანსაცმელი და საკუთარ ფინანსებს საბანკო კრედიტიც დაამატოს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი

სასაწყობო მარაგების ნებისმიერი შეფერხებას თუ ამონურვას, პირდაპირი ზეგავლენა აქვს საბრუნავი კაპიტალის დამატებით ზრდაზე. ჩვენ ყველამ ვიცით ბიზნესის სამყაროში არსებული სეზონური გაყიდვების მნიშვნელობის შესახებ, რადგანაც ისინი განსაზღვრავენ სასაწყობო მარაგების ბრუნვის კოეფიციენტს. ეს კოეფიციენტი გამოითვლება გარკვეული დროის პერიოდში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გაყოფით საწყობში არსებული მარაგების საშუალო ღირებულებაზე.

ანგარიშსწორების პირობები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან (კრედიტორული დავალიანება)

ანგარიშსწორების პირობები საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. კომპანია რომელიც ყიდულობს ფულით და ყიდის კრედიტით საჭიროებს მეტ საბრუნავ კაპიტალს, რათა გაუმკლავდეს სავაჭრო ბრუნვით წარმოქმნილ ლიკვიდურობის პრობლემებს, მაშინ როდესაც კომპანიას, რომელიც ყიდულობს კრედიტით და ყიდის ფულით, მეტი ალბათობაა, რომ არ წარმოექმნება მოთხოვნა საბრუნავ კაპიტალზე. უფრო მეტიც, მას შეიძლება გაუჩნდეს ჭარბი ლიკვიდურობა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას ახალი ინვესტიციებისათვის. ტიპური მაგალითია თანამედროვე სუპერმარკეტები, რომელთაც მყარი პოზიციები ბაზარზე საშუალებას აძლევს, მიიღონ კრედიტი მომწოდებლებისაგან (ნისია), მაშინ როდესაც ისინი ვაჭრობენ ნაღდ ფულზე. შედეგად, უჩნდებათ ზედმეტი ლიკვი-

დურობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს მაგალითად გახსნან ახალი მაღაზიები.

გაყიდვების დავალიანების (მისაღები თანხების, დებიტორული დავალიანების) ჯოეფიციენტი

საკმაოდ ხშირად, შეთანხმებით განსაზღვრული პირობების, ან კომპანიის მიერ დებიტორული დავალიანების მისაღებად გადადგმული არამეთოდური ნაბიჯების გამო, კომპანია აღმოჩნდება ლიკვიდურობის პრობლემის წინაშე და ცდილობს მის გადაჭრას საბანკო დაფინანსების გზით. ასეთ შემთხვევაში, ბანკი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს პრობლემები დროებითია და არ არის გამომწვეული დებიტორების მუდმივი უუნარობის გამო, რადგანაც, ამ დროს, ბანკმა შეიძლება განიცადოს დანაკარგები, რომლებიც შემდგომში შეამცირებს მის კაპიტალს. იგი გამოითვლება როგორც გარკვეული დროის პერიოდში გაყიდვების მოცულობის გაყოფით დებიტორული დავალიანების საშუალო ღირებულებაზე.

განვიხილოთ მაგალითი, სადაც ჩვენ გავეცნობით კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნის განსაზღვრას, ვნახავთ კომპანიის სავაჭრო პირობების შეცვლის შედეგად გამომწვეულ დრამატულ ცვლილებებს.

ინდივიდუალურად შესაფასებელი ბიზნეს სესხები

Debt / EBITDA

Debt – მოიცავს ყველა სახის საპროცენტო სახის ფინანსურ ვალდებულებას (სესხები, სავალო ფასიანი ქაღალდები, ლიზ-

ინგი, ფაქტორინგი და სხვა) კრედიტორული დავალიანების და მსგავსი მოთხოვნების გარდა. ვალდებულებებში ასევე გაითვალისწინება დამტკიცებული და აუთვისებელი გარესაბალანსო ვალდებულებები, რომელთა ათვისება/გამოყენებაც ბანკის მხრიდან დამატებით სტანდარტული ტიპის განხილვა, დამტკიცებებს აღარ მოითხოვს, ასევე ყველა კრედიტის პირდაპირი შემცველი ტიპის გარესაბალანსო ვალდებულება, რომელიც ასახული არ არის ბალანსში წარმოდგენილ სხვა ვალდებულებებში.

EBITDA – საანგარიშო (როგორც წესი 1 წელი) პერიოდის მოგება, საპროცენტო ხარჯების, ცვეთისა, ამორტიზაციის და საგადასახადო ხარჯების გათვალისწინების გარეშე. EBITDA არ უნდა მოიცავდეს არაძირითადი ბიზნეს საქმიანობებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

EBIT / Interest Expenses

EBIT– საანგარიშო (როგორც წესი 1 წელი) პერიოდის მოგება საპროცენტო და საგადასახადო ხარჯებამდე. EBIT არ უნდა მოიცავდეს არაძირითადი საქმიანობებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს. EBIT-ის გაანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იყოს ადეკვატური მოცულობის ცვეთა ამორტიზაციის ხარჯები. ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯების განსაზღვრის მიზნებისათვის გათვალისწინებულ უნდა იყოს სხვადასხვა საკითხი, რამდენად კაპიტალ ტევადია სექტორი, როგორ ზეგავლენას ახდენს ტექნოლოგიური პროგრესი აქტივების განახლებაზე, როგორ მდგომარეობაშია კომპანიის აქტივები და სხვა რელევანტური ფაქტორები. ცვეთა ამორტიზაციის ხარჯები არ უნდა იყოს რეალურ კაპიტალურ გასავლებზე ნაკლები.

Interest Expenses – საანგარიშო (როგორც წესი 1 წელი) პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი (ფი-

ნანსური აღრიცხვისა და ანგარიშების საერთაშორის სტანდარტების დარიცხვის პრინციპის გათვალისწინებით). საპროცენტო ხარჯებმა ასევე უნდა მოიცვას პირობით / უპირობო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტები.

Equity / Assets

Equity – საწარმოს საკუთარი კაპიტალი ანგარიშების თარიღისთვის.

Assets – საწარმოს მთლიანი აქტივები ანგარიშების თარიღისთვის.

მაგალითი

როგორც უკვე ვნახეთ „ABC“ კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნამ 2014 წლისათვის 65.083 შეადგინა, იმ გაანგარიშებებით, რომ მისი გაყიდვები 110.000-ს შეადგენდა. ბანკმა შეამოწმა კომპანიის ინფორმაცია და ურჩია მას, შეეცვალა ვაჭრობის პირობები თავის სასარგებლოდ, საბრუნავი კაპიტალის შემცირების მიზნით, რომელიც მიიჩნია როგორც არაპროპორციულად მაღალია.

კომპანიამ მოახერხა დაერწმუნებინა მომწოდებლები კრედიტის ვადა გაეგრძელებინათ ერთი თვით, გაზარდა ზენოლა კლიენტებზე რათა გაყიდვების (დებიტორული) დავალიანება მიეღო ერთი თვით ადრე და მოახდინა წარმოებისა და მარაგების უკეთ ორგანიზება, ოპტიმიზაცია. ამრიგად, გაიუმჯობესა სასაწყობო მარაგები ერთი თვით. შედეგად „ABC“ კომპანიის ახალი სავაჭრო პირობები შემდეგია:

- **გაყიდვების პირობები**
კრედიტი კლიენტებს 4 თვე

- **შესყიდვების პირობები**
კრედიტი მომწოდებლისაგან 3 თვე

- **სასაწყობო მარაგები**
ნედლეული 2 თვე
მზა პროდუქცია 1 თვე

მაშასადამე, მიმდინარე აქტივებზე მისამართი თანხები შემდეგია:

- კრედიტი კლიენტებს $(110.000 \times 4/12)=36.666$
- სასაწყობო მარაგები ნედლეული $(66.000 \times 2/12)=11.000$
- სასაწყობო მარაგები მზა პროდუქცია $(82.500 \times 1/12)=6.875$

სულ: 54.541

ამ თანხას ვაკლებთ კომპანიის მიერ მისი მომწოდებლები-საგან მიღებულ კრედიტებს – კრედიტი მომწოდებლისაგან $(66.000 \times 3/12)=16.500$, მაშასადამე საჭირო საბრუნავი კაპიტალი $54.541-16.500=38.041$ -ია ტოლია.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის სავაჭრო პირობების მხოლოდ ერთი თვით გაუმჯობესებამ, მისი მოთხოვნა საბრუნავ კაპიტალზე 65.083-დან 38.041-მდე შეამცირა.

ნათელია, რომ ბანკისადმი მიმართვამდე, თითოეულმა კომპანიამ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რასაც მისი სავაჭრო ნაკადები იძლევა და მუდმივად უნდა სრულყოფს წარმოებისა და მარაგების ორგანიზება. პრაქტიკაში, წლიდან წლამდე წარმოებისა და ვაჭრობის ნაკადების ცვლილებები, ჩვეულებრივი მოვლენებია, რომლებიც ქმნიან საბრუნავ კაპი-

ტალზე დამატებით მოთხოვნას. აი, დამატებითი დაფინანსების ზოგიერთი მიზეზი:

- მოსალოდნელზე მეტი გაყიდვები
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების ბრუნვის შემცირება
- მისაღები თანხების ბრუნვის შემცირება
- დიდი რაოდენობის შეკვეთების შესრულება
- მეტი ნაღდი ფულის საჭიროება

საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების ფორმები

იმისდა მიუხედავად, რომ საბრუნავი კაპიტალისათვის სესხის მიზანი სავაჭრო ნაკადებით წარმოქმნილი საჭიროებების დაფარვაა, ისინი შეიძლება დაიყოს კატეგორიებად, მათი მიზნებისა და უზრუნველყოფათა მიხედვით. ეს კლასიფიკაცია თვალსაჩინოებისათვისაა და შეიძლება თითოეულ ბანკში განსხვავებული იყოს, თუმცა იგი საბრუნავი კაპიტალის ნიუანსების უკეთ გაგებაში გვეხმარება.

- ერთჯერადი დაფინანსება
- ღია ანგარიში
- უზრუნველყოფილი სესხი
- წმინდა დისკონტი
- სასაქონლო სესხი
- ექსპორტის დაფინანსება

ერთჯერადი დაფინანსება განკუთვნილია სპეციალური ან ექსტრაორდინალურ ბიზნეს საჭიროებათა დასაფინანსებლად, ისეთების როგორცაა კონკრეტული დავალების შესრულება ან ექსტრაორდინალური საგადასახადო ვალდებულების დაფარვა. მისი ვადიანობა ბანკის მიერ ფირმის ფულადი სახსრების ნა-

კადებთან დაკავშირებული პროგრამისა და საჭიროებების დაფარვათა მიხედვით განისაზღვრება. ერთჯერადი დაფინანსება ჩვეულებრივ მოკლევადიანია და რამოდენიმე დღიდან ერთ წლამდე მერყეობს.

ღია ანგარიშით დაფინანსება გამოიყენება საბრუნავი კაპიტალის პერმანენტული მოთხოვნების დასაფარავად, რომელიც კომპანიის სანარმოო და სავაჭრო ნაკადების ბრუნვათა სპეციფიკური ბუნების შედეგია. კლიენტი უთანხმებს ბანკს მისაღები თანხის ლიმიტს (ჭერს), რომელსაც იგი საჭიროებათა დასაფარავად გამოიყენებს. შემდგომში კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პროცენტი ლიმიტის ფარგლებში გამოყებული თანხის და სარგებლობის ვადის შესაბამისად. როგორც წესი საკრედიტო ლიმიტები ერთი წლით განისაზღვრება, რომლის გასვლის შემდეგ ბანკები ხელახლა ამოწმებენ კლიენტის ინფორმაციას, ისევე როგორც კრედიტის შესაძლებლობის მიზანშეწონილობას, ახალი ლიმიტის განსაზღვრის მიზნით. მეტიც, კლიენტებმა შეიძლება მიიღონ საჩეკო ნივანაკები. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს ჩეკები გადახდების განსახორციელებლად, ბანკში მიუსვლელად თავიანთი ანგარიშების დადებებების გზით. ეს ადვილი გზაა შეთანხმებული ლიმიტის გადასაჭარბებლად, ამიტომ ბანკები ფრთხილები და ყურადღებიანები უნდა იყვნენ და შესთავაზონ აღნიშნულით ინსტრუმენტით (პროდუქტით) სარგებლობა მხოლოდ ფინანსურად გამართულ კლიენტებს. მათი ელასტიურობის გამო, ღია ანგარიშები საკმაოდ პოპულარულია კლიენტებში და შეადგენენ საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას. ისინი აგრეთვე ძალიან ხელსაყრელია ბანკებისათვისაც მათი დაბალი საოპერაციო ხარჯის გამო. უნდა ავლნიშნოთ რომ ბანკები არ არიან ვალდებული მთელი წლის განმავლობაში იმოქმედონ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში. პირიქით, მათ მუდმივად უნდა ადევნონ თვალყური

კლიენტების ოპერაციების საქმიანობას, ფინანსურ მაჩვენებლებს, რათა გაუზარდონ ან შეუმცირონ საკრედიტო ლიმიტები, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს.

უზრუნველყოფილი სესხს ბანკი გასცემს სავალო ან სხვა ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციები, თამასუქები, ჩეკები, აქციები) გირაოთი, რომლებიც ბაზარზე კლიენტების მისაღებ თანხებს წარმოადგენენ. ბანკის მართვის ოდენობა დამოკიდებულია კლიენტის კრედიტუნარიანობაზე, კლიენტის ფასიანი ქაღალდების პორტფელის შემოსავლიანობაზე, ისევე როგორც, მის ვადიანობაზე და განკუთვნილია პროცენტის, ხარჯებისა და მომავალი საკომისიოების დასაფარავად. უზრუნველყოფილი სესხების რაციონალურობა ორმაგია: პირველ რიგში, იგი ხელს აძლევს კლიენტებს, რომლებიც ბანკების მეშვეობით იზიდავენ მისაღებ თანხებს და მეორე, იგი აძლევს ბანკს სესხის დამატებითი უზრუნველყოფის საშუალებას, სავალო ფასიან ქაღალდში მითითებული მოთხოვნების ფორმით. სესხის გაცემამდე ბანკმა უნდა შეამოწმოს არამხოლოდ კლიენტის კრედიტუნარიანობა, არამედ სავალო ფასიანი ქაღალდის გამომშვების (ემიტენტის) კრედიტუნარიანობაც და წარმოადგენენ თუ არა ეს ქაღალდები კომერციული გარიგებებისათვის ვარგის პროდუქტებს. იმის გამო, რომ ასეთი ტიპის სესხები ძალიან უსაფრთხოა და დაკავშირებულია კომპანიის ფულადი სახსრების ნაკადებთან, ბანკები მათ ღია ანგარიშებთან და ერთჯერად დაფინანსებასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ.

წმინდა დისკონტი არის დაფინანსების ფორმა, როდესაც კლიენტი ვადის დადგომამდე გადასცემს ბანკს სავალო ფასიან ქაღალდს და იღებს, მისი ნომინალური ღირებულების თანხას გამოკლებული ვადის დადგომამდე დარჩენილი მისაღები პროცენტი, ყველა საკომისიო და ხარჯი. დისკონტური დაფინანსება წინა შემთხვევის (უზრუნველყოფილი სესხის) მსგავსია, იმ განსხვავებით რომ აქ ბანკი ზუსტად ანგარიშობს პროცენტისა და

ხარჯების თანხებს და დარჩენილ თანხას გადასცემს კლიენტს, მაშინ როდესაც უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში ბანკი დაახლოებითი შეფასების საფუძველზე აკავებს სავალო ფასიანი ქალაქის ღირებულების გარკვეულ ოდენობას პროცენტისა და ხარჯების დაფარვის მიზნით, ვადის დადგომამდე, სანამ არ დაიფარება ანგარიშზე არსებული დავალიანების სრული თანხა. ეს განსხვავება სასწორს უზრუნველყოფილი სესხების სასარგებლოდ ხრის, რადგანაც იგი მნიშვნელოვნად აიოლებს გასაცემი თანხის გამოთვლას და არის მიზეზი იმ ტენდენციისა რომელსაც დისკონტური სესხების უზრუნველყოფილი სესხებით ჩანაცვლებამდე მივყავართ.

სასაქონლო სესხი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების კიდევ ერთი ფორმაა, რომელიც წარმოადგენს დებიტორის საკუთრებაში არსებული ნედლეულისა ან მზა პროდუქციის, ნებისმიერი სახის დაბრკოლებებისა თუ მოთხოვნების გარეშე ბანკისადმი, სესხის უზრუნველყოფის, გირაოს სახით გადაცემას. როგორც წესი ისინი საერთო მოხმარების საგნები უნდა იყოს, დაცული, დაზღვეული და სათანადოდ შენახული, რათა სასესხო პირობების დარღვევისას ბანკის მიერ ადვილად იქნას გაყიდული ბაზარზე. მათი დაცულობა დამონმებული უნდა იყოს შესაბამისი საწყობის მიერ, რათა ბანკი აცდეს შესაბამის პროცედურებს. საქონლის დაზიანება-გაფუჭებისა და განადგურების რისკი საკმაოდ მაღალია, ამიტომ მათი ღირებულება ბანკის მიერ არ აღიქმება როგორც არსებითი გარანტია და დაფინანსების ასეთ ფორმას, როგორც წესი, ერიდებიან.

ექტპორტის დაფინანსების მიზნით საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტება კომპანიებისათვის როგორც წესი მოკლე ვადით ხდება. უფრო ზუსტად ვადა მოიცავს სამ სტადიას: სროდუქციის და საქონლის მომზადება, ტრანსპორტირება, ანგარიშსწორების ვადა.

თუ კლიენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება შეი-

ცავს წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს, ნებისმიერი დამატებითი თავდებობა საჭიროებს გადახდისუნარიანი ბანკის საგარანტიო წერილს ან დოკუმენტურ აკრედიტივს.

საექსპორტო სესხების სპეციფიკა ბანკებს გარკვეულ რისკებს უქმნის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მყიდველის ფინანსური მდგომარეობის, პროდუქციის დაბალი ხარისხის, მიმღები ქვეყნის ვალუტის პრობლემებისა და სხვა მიზეზთა გამო. ამიტომ ჩვენ ყურადღებით უნდა შევამოწმოთ ექსპორტიორის გადახდისუნარიანობა, მისი შესაძლებლობა შეასრულოს შეკვეთა და სხვ.

ძირითად საშუალებათა დაფინანსება

ფირმებს შორის ინტენსიური კონკურენცია, კვალიფიციური ადამიანური რესურსების მზარდი ფასი და განსაკუთრებით კი ტექნოლოგიური პროგრესი ფირმებს ძირითადი საშუალებების მუდმივი განახლებისაკენ უბიძგებენ. კომპანიების საინვესტიციო გადაწყვეტილებები სამი ძირითადი ფაქტორითაა გამონვეული: პროდუქციის ღირებულებით, ხარისხითა და წარმოების ბრუნვის ხანგრძლივობით. ძირითად საშუალებათა მუდმივი მოდერნიზაცია საწარმოს სახსრების სოლიდური ოდენობით ინვესტირებას მოითხოვს, რომელთა უკუგებაც არაა მყისიერი და იგი საწარმოს მიერ მთელი მათი ფლობის მანძილზე ნაწილდება. ამიტომ, თავიანთი საკუთარი სახსრების მიმართვის თავიდან აცილების, თუ მათი ეკონომიის მიზნით, ანდა მათი თავიანთი სავაჭრო (საბრუნავი) მიზნების მისაღწევად გამოყენების გამო მენარმეები დაფინანსებისათვის ბანკებს მიმართავენ. თავის მხრივ, ბანკები განიხილავენ მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობას, ისევე როგორც მის მიზანშეწონილობას, ანუ იქნება თუ არა განხორციელებული

ინვესტიცია ფირმისათვის რეალური მოგების მომტანი სესხისა და პროცენტის გადახდის შემდეგ. აღნიშნულის გატვალისწინებით ამგვარი ეს სესხები, ჩვეულებრივ, გრძელვადიანია, ცვალებადი და დამოკიდებულია ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტზე.

როგორც წესი სესხის თანხა მთლიანი ძირითადი საშუალებების დაახლოებით 80%-ია, ვინაიდან როგორც წესი ბანკი ითხოვს რომ ფირმის საკუთარი სახსრებით მონაწილეობაც გარანტირებული იყოს. დროის დიდი მონაკვეთის გამო, ასეთი ტიპის სესხების თანმდევი რისკები უფრო დიდია, ვიდრე მოკლევადიანი დაფინანსების თანამდევი რისკები და ამ მიზეზით ეს სესხები, როგორც წესი, დამატებით უზრუნველყოფას საჭიროებენ. იმის გამო, რომ ინვესტიციები ჩვეულებრივ ზრდიან ფირმის მოთხოვნას საბრუნავ კაპიტალზე, ძირითადი საშუალებების დაფინანსების მოთხოვნის შეფასების დროს ბანკმა ასევე უნდა გაითვალისწინოს საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნათა შესაძლებლობის ზრდაც.

შეფასების კრიტერიუმები

სავაჭრო ბრუნვისა და მომავალი წლის პროგნოზების გათვალისწინებაზე აგებული დაფინანსების მოთხოვნათა განხილვის გარდა, ძირითადი საშუალებების დაფინანსებისას ჩვენ შევხვდებით განსხვავებულ მიდგომას, რადგანაც როგორც ზემოთ ავლნიშნეთ სესხის თანხა დამოკიდებულია ინვესტიციისათვის საჭირო თანხის სრულ მოცულობაზე.

ჩვეულებრივ, ინვესტიციის მიზნებია:

- სიმძლავრეების გაზრდა
- ენერჯის დაზოგვა
- სანარმოო ხარჯების შემცირება

- საწარმოო ხაზების შექმნა ახალი პროდუქციისათვის
- ახალი ერთეულების შექმნა ან აშენება განხორციელების გრაფიკი

განხორციელების გრაფიკი საჭიროა საინვესტიციო სესხის გაცემის ფაზების დაგეგმვის მიზნით. მეტიც, იგი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რათა შევადგასოთ ნავარაუდები (საპროგნოზო) მოქმედებები. სპეციალისტი ინჟინრები, შეფარდებით ინფორმაციაზე დაყრდნობით, ადასტურებენ საინვესტიციო თანხის რაციონალურობას. შესაძლოა, რომ თავისი მონაწილეობის შესამცირებლად ფირმას საინვესტიციო ხარჯი გაზრდილი ჰქონდეს. ასეთი ვითარება ბანკისათვის წარმოქმნის დამატებით რისკს, ვინაიდან ფირმა არ იღებს მონაწილეობას ინვესტიციაში და ასევე იმიტომ, რომ ძირითადი საშუალებები, რომლების ბანკისათვის უზრუნველყოფის უპირველესი საშუალებაა, გადაჭარბებულადაა შეფასებული.

ხანგრძლივი ვადის გამო, ასეთი ტიპის სესხები შეიცავენ უფრო მაღალ რისკებს, ვიდრე მოკლევადიანი სესხები და შესაბამისად ამგვარი სესხები, უზრუნველყოფილია დამატებით, პირადი თავდებობებით, იპოთეკით, გარანტიით და ა.შ. მიუხედავად ამისა, დამატებითი უზრუნველყოფა ითვლება, როგორც დამხმარე საშუალება და არა საიმედოობის ძირითადი პირობა.

ტერმინი „საკუთარი მონაწილეობა“ მიანიშნებს ინვესტიციაში მენარმის მიერ ჩადებულ საკუთარ თანხებს. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ფირმის ხელმძღვანელის მიერ ინვესტიციის რისკისა და ხარჯების აღება მეტყველებს საწარმოს წარმატებით მუშაობის საქმეში მის დაინტერესებაზე.

აქამდე ჩვენი ყურადღება გამახვილებული იყო დაფინანსების ორ ძირითად ფორმაზე: საბრუნავ კაპიტალსა და საინვესტიციო სესხებზე. ამათ გარდა, საკმაოდ ხშირად ფირმების დაფინანსება ხდება სესხის მიცემის გარეშეც, გარანტიის გა-

ცემით – საგარანტიო წერილით. ეს ოპერაცია არა მხოლოდ ფირმებისათვისაა სარგებლიანი, არამედ ძალიან საინტერესო და მომგებიანია ბანკებისათვისაც, რადგანაც იგი წარმოქმნის მოგებას ფულადი სახსრების გაცემის გარეშე. სხვა სიტყვებით, საგარანტიო წერილები ბანკებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია.

საგარანტიო წერილების მნიშვნელობისა და ოპერაციის უკეთ გასაგებად, განვიხილოთ შემდეგ მაგალითი:

XCO კომპანიაა რომელიც ძირითადად გზების პროექტებშია ჩართული. იგი თანამშრომლობს ბანკთან, ძირითადად საბრუნავი კაპიტალით დაფინანსების ხაზით. ფირმა დაინტერესებულია ქალაქ მუნიციპალიტეტის მიერ გზის დასაგებად გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობით. ტენდერში მონაწილეობისა და განაცხადის გაკეთების მიზნით მას მუნიციპალიტეტმა მოთხოვა წარედგინა საგარანტიო წერილი, რომელიც მთლიანი განაცხადის 10%-ს შეადგენდა. აღნიშნული საგარანტიო წერილი ფარავს იმ დანაკარგებს, რომელიც შეიძლება მუნიციპალიტეტმა ფირმის უპასუხისმგებლობით, ან განმეორებითი ტენდერის ჩატარების აუცილებლობის გამო განიცადოს. მაგალითად, XCO-მ შეიძლება უკეთესი განაცხადი წარადგინოს, გაიმარჯვოს ტენდერში, თუმცა რაღაც მიზეზების გამო აღარ გამოჩნდეს შესაბამისი კონტრაქტის ხელმოსაწერად. შესაბამისად, XCO მიდის ბანკში, წარმოგვიდგენს სატენდერო განაცხადს და გვთხოვს, საგარანტიო წერილის გაცემას. ამ წერილს ეწოდება მონაწილეობის გარანტია, რადგანაც იგი ტენდერში მონაწილეობას ფარავს და გამცემი ბანკისათვის მცირე რისკს შეიცავს.

ბანკი ამოწმებს ფირმის კრედიტუნარიანობას და გაცემს საგარანტიო წერილს. ამ წერილის ადრესატია მუნიციპალიტეტი და იგი შეიცავს ბანკის მტკიცე და არაორაზროვან განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი ნებისმიერი წინააღმდეგო-

ბებისა და პირობების გარეშე დაფარავს ნებისმიერ მოთხოვნას, რაც მუნიციპალიტეტს წარმოექმნება XCO-ს მიმართ მისი ამ კონკრეტულ ტენდერში მონაწილეობით. მსგავსი წერილების ვადა, ჩვეულებრივ, სამი თვით განისაზღვრება და ტენდერის გამართვის შემდეგ უბრუნდება ბანკებს. ამ ოპერაციით ბანკის შემოსავალი წარმოქმნება არა დარიცხული პროცენტით, რადგანაც არ ყოფილა სესხის გაცემა, არამედ საკომისიოთი, რომელიც საგარანტიო თანხიდან იქნა აღებული. XCO-მ მიიღო მონაწილეობა ტენდერში და გაიმარჯვა. საპროექტო ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით, მუნიციპალიტეტმა, საპროექტო კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, მოთხოვა ფირმას წარედგინა საქმის კარგად შესრულების გარანტია.

ამრიგად, ფირმამ ბანკს დაუბრუნა მონაწილეობის გარანტია და თხოვა მას გაეცა ახალი სამუშაოების კარგად შესრულების გარანტია. ბანკმა გასცა შესრულების გარანტია, შესაძლოა თავდებობების მოთხოვნის შემდეგ, ისე როგორც ეს დაფინანსების (სესხის) შემთხვევებისას ხდება. ნათელია, რომ გარანტიის აღნიშნული ტიპი შეიცავს გაზრდილ რისკს და იგი რჩება მუნიციპალიტეტის განკარგულებაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამის გამო ბანკი კლიენტს გაზრდილ საკომისიო თანხას ახდევინებს. როდესაც პროექტი იწყება, XCO-მ პროექტის სრულ დასრულებამდე, შეიძლება მუნიციპალიტეტს მოთხოვოს თანხის წინასწარ გადახდა, ან მოთხოვოს ეტაპობრივი ანგარიშსწორება, უკვე შესრულებული სამუშაოების ნაწილისათვის. ამ შემთხვევაში, იგი კვლავ უბრუნდება ბანკს, შესაბამისად, წინასწარ გადახდის ან ნაწილობრივი გადახდის გარანტიის გასაცემად. ეს საგარანტიო წერილები გაიცემა კარგად შესრულების გარანტიის პარალელურად და შეიცავს გაზრდილ რისკს, ამიტომ ბანკი იღებს უფრო მაღალ საკომისიოებს.

ეს მაგალითი გვეხმარება გავიგოთ საგარანტიო წერილების მნიშვნელობა და როლი გრძელვადიანი ფინანსური გარიგებების წარმატებით დასრულების საქმეში. თანხების გამოყენების გარეშე ბანკმა მიიღო საკომისიოები, ფირმამ განახორციელა პროექტი და მიიღო ანაზღაურება, ხოლო მუნიციპალიტეტმა მინიმუმამდე შეამცირა გარიგებათა რისკები.

საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება განკუთვნილია ფირმების სავაჭრო ბრუნვის მხარდასაჭერად, ეხმარება მათ გაყიდვების განხორციელებაში, აძლევს ლიკვიდურობას და უმკლავდება ვალდებულებებს. საინვესტიციო კრედიტები ეხმარებიან ფირმებს განახორციელონ კაპიტალდაბანდები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, რომელიც მათი გრძელვადიანი მომგებიანობის განმტკიცების წინაპირობაა. და ბოლოს, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი არ შეიცავენ ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების ოპერაციებს, საგარანტიო წერილები საშუალებას აძლევენ ბანკებს გამოიყენონ თავიანთი კარგი იმიჯი, ავტორიტეტი კლიენტების გარიგებების წარმატებით განსახორციელებლად.

გარანტიები

ყველა კრედიტი იურიდიულად გაფორმებულია, ამის გამო მათი არდაფარვის შემთხვევაში ბანკის ინტერესები ისეა დაცული, რომ მას შეუძლია პრეტენზია განაცხადოს და იძულებით ამოიღოს თანხები თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სასამართლო ან სასამართლოს გარეშე საშუალებებით. ეს თავი არ მოიცავს გარანტიების თვისობრიობების დეტალურ ანალიზს, გაცემის გზებს ან მათი ამოქმედების თანამდევ პროცედურებს, თუმცა მოკლე მიმოხილვა, დაგვეხმარება გავიგოთ განსხვავება წინასწარ დატვირთულ იპოთეკასა და იპოთეკურ კრედიტს შორის, სესხსა და ღია ანგარიშის ხელშეკრულებას შორის, როგორ რეგისტრირდება გირავნობა და რა არის გარანტორის მიერ აღებული ვალდებულებები.

გარანტიის სახეები

გარანტიები შეიძლება კლასიფიცირებული იქნას ორ ძირითად ტიპად:

- ⊗ სახელშეკრულებო გარანტიები
- ⊙ უზრუნველყოფის საშუალებები

სახელშეკრულებო გარანტიები დაფუძნებულია კონკრეტული ფიზიკური ან იურიდიული პირების ვალდებულებებზე. ეს პირები არიან ძირითადი დებიტორები, ანუ არიან ის პირები რომლებიც იღებენ სესხს და/ან გარანტორნი არიან. იმისთ-

ვის, რომ ფინანსურ პროცესში იყვნენ ჩართულები, ორივე მათგანი აწერს ხელს მთავარ სესხს, კრედიტს ან კონტრაქტს. ცხადია, რომ ძირითადი დებიტორის ხელმოწერა ყოველთვის არის სესხის მიღების საბუთზე, მაშინ როდესაც გარანტორის ხელმოწერა საქმის საჭიროებიდან გამომდინარეა. ძირითადი დებიტორი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ხელშეკრულების დადების უფლება და რომლის კრედიტუნარიანობა დადგენილია, აქ განხილული წესის შესაბამისად. ძირითადი დებიტორი პასუხისმგებლობას იღებს სესხის დაფარვაზე შეთანხმებულ ვადებში.

გარანტორი არსებობს სპეციალური მიზნებისათვის, მაგალითად:

- როდესაც გამსესხებელი არ არის კმაყოფილი ძირითადი დებიტორის საკრედიტო რეიტინგით
- როდესაც ბანკს სურს მიიღოს გარანტიები ძირითადი დებიტორი კომპანიის დამფუძნებლების ან ხელმძღვანელისაგან
- როდესაც ბანკს სურს მიიღოს გარანტიები გარანტიის სახით დასატვირთი იპოთეკის თანამფლობელისაგან და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ გარანტორის მოთხოვნა გავრცელებული პრაქტიკაა, მას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და გარანტორები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებსაც ისინი იღებენ.

მაგალითად, ყველა საბანკო ხელშეკრულებაში ჩადებული პირობების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სესხის მომსახურება არ ხდება წესისამებრ, გარანტორი უფლებას აძლევს ბანკს იმოქმედოს ორივეს – ძირითადი დებიტორისა და მის (ან მხოლოდ მის) წინააღმდეგ. მეტიც, ისინი უფლებას აძლევენ

ბანკებს სურვილისამებრ აკონტროლონ მათი სხვა დანარჩენი გარანტიები, გარანტიის მოქმედების პერიოდში, მაშინაც კი, როცა ძირითადი დებიტორი ასეთისაგან გათავისუფლებულია სხვადასხვა მიზეზთა, მაგალითად, იურიდიული წარმომადგენლობის პრობლემების გამო.

გარანტორებისათვის, მათ წინაშე წარმოქმნილი ვალდებულებების თაობაზე, ინფორმაციის მიწოდება იცავს, არა მხოლოდ მათ მოულოდნელი შედეგებისაგან, არამედ ზრდის პასუხისმგებლიან გარანტორთა რიცხვს, დაინტერესებულებს საბანკო სესხის წესიერად მომსახურებაში, ასევე უფრო აძლიერებს საბანკო გარიგებათა გამჭვირვალებასა და სამართლიანობას.

უზრუნველყოფის საშუალებები

უზრუნველყოფის საშუალებები გარანტიებია, რომლებიც უზრუნველყოფენ გამსესხებელის უპირატესი უფლების დაკმაყოფილებას განსაზღვრული ობიექტით. გირაო გარანტიაა, რომელიც ეხება მოძრავ ქონებას, მაშინ როდესაც იპოთეკა გარანტიაა, რომელიც ეხება უძრავ ქონებას.

გირაოს გაფორმება მოითხოვს საგირავნო კონტრაქტს და მიღების დოკუმენტს კონკრეტული თარიღით. ხელშეკრულებას ხელი ეწერება მეგირავნისა და სესხის გამცემი ბანკის მიერ და ძირითადი ხელშეკრულების დამატებას წარმოადგენს. ანუ გირავნობა შეუძლებელია გაფორმდეს ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებამდე. კონკრეტული თარიღის მითითებით სათანადო დოკუმენტი აუცილებელია რათა იურიდიულად დადასტურდეს კრედიტორის უპირატესი უფლება გირავნობის ობიექტზე. როგორც წესი კონკრეტული პირობები და თარიღები დამოწმებულია ნოტარიული წესით, გირაოს სხვა საჯარო

დოკუმენტთან კავშირში ან შეუცილებელი ნივთიერი მტკიცებულებით.

სესხის სტანდარტულად კლასიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მსესხებელს გააჩნდეს სესხის შემდგომი გაგრძელების საშუალება, რაც მას მისცემს საშუალებას მიიღოს მნიშვნელოვანი შეღავათი ყოველთვიურ გადასახდელებთან მიმართებაში.

არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო მიზნობრივით გაცემული სესხების (გარდა საკრედიტო ბარათებისა) ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 თვეს. ასევე შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ უნდა იყოს სამომხმარებლო პროდუქტის სარგებლიანობის ვადა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს, რომელთა გოან ტო Value-ზე ლატიო აღემატება:

- 75% -80% თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და რუსთავისათვის.

65%-70% სხვა დასახლებების შემთხვევაში.

Loan to Value კოეფიციენტის წარმოდგენილი ზღვრებიდან გადახვევისას გათვალისწინებულ უნდა იყოს უზრუნველყოფის საშუალების ლიკვიდურობის საკითხი.

მაგალითი

ბანკმა გასცა საბრუნავი კაპიტალის სესხი უზრუნველყოფილი გარანტორის ვადიანი დეპოზიტით. ეს დეპოზიტი გახსნილია იმავე ბანკის ერთ-ერთ ფილიალში. ამ დეპოზიტის გირაოში ჩასაღებად შემდეგი ნაბიჯები იქნა გადადგმული:

ა. ხელმოწერილი იქნა საგირავნო ხელშეკრულება, რომელიც ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა და მის ნაწილს წარმოადგენდა.

ბ. იმავე დღეს საგირავნო კონტრაქტი წარდგენილი იქნა ფილიალის მენეჯერთან.

გ. შემდეგ, ბანკმა სადაც სადეპოზიტო ანგარიშია გახსნილი, გასცა განკარგულება თანხის დაბლოკვის შესახებ სესხის სრულ დაფარვამდე.

ქვემოთ განვიხილავთ იმ ობიექტების სახეობებს, რომლებიც, როგორც უზრუნველყოფის საშუალებები, იდება გირაოში ბიზნეს სესხების დროს.

- მზა პროდუქცია
- მანქანა-დანადგარები
- სატრანსპორტო ზედდებულები
- დარიცხული მისაღები თანხები
- აქციები (წილები, პაი)
- დეპოზიტები/ბონდები
- საქონელი

წარსულში, როცა ჩეკებისა და თამასუქების გამოყენება არ იყო ისე გავრცელებული როგორც დღეს, საქონელს საკმაოდ ხშირად იყენებდნენ, როგორც სასესხო კაპიტალის უზრუნველყოფის საშუალებას. თუმცა, უზრუნველყოფის ეს საშუალება პრობლემატურია, რადგანაც იგი შეიძლება განადგურდეს, მოძველდეს მომხმარებელთა ჩვევების ცვლილებათა გამო, ან გახდეს გასაყიდად უვარგისი. მაშინაც კი, როცა ეს არ ხდება, მაინც პროცედურულმა პრობლემებმა შეიძლება იჩინოს თავი, როდესაც ფირმას სურს გადაიხადოს ვალი საქონლის გაყიდვით, რადგანაც იგი დაყადაღებულია როგორც უზრუნველყოფის საშუალება. შედეგად, უზრუნველყოფის ამ საშუალების გამოყენება, დღესდღეისობით, შედარებით იშვიათია და ძირითადად ეხება სასოფლო-სამეურნეო ან სხვა განსაკუთრებით სეზონურ პროდუქტებს.

გირაოში ჩადების მიზნით, საქონელი გადაიტანება სათანადო სანყოფიერებაში და იზღვევა, ხოლო სანყოფიერებას გასცემს მიღების გარანტიას, რომელიც ამყარებს საქონლის უფლებას სესხის გამცემისადმი.

იმ შემთხვევაში, როცა მანქანა-დანადგარები შექნილია საბანკო სესხით, ისინი გირაოშია აღებული დამფინანსებელი ბანკის მიერ. პირიქით, თუ მანქანა-დანადგარები გამოყენებულია, როგორც სხვა სესხების უზრუნველყოფის საშუალება, რომელთაც მათ შექენასთან კავშირი არა აქვს, მაშინ მათ იგივე სირთულეები გააჩნიათ, როგორც საქონელს. მაგრამ თუ ისინი უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა, უნდა იყვნენ საერთო გამოყენების (უნივერსალური) და თანამედროვე, რათა მიიზიდონ კლიენტები იძულებით გაყიდვის შემთხვევაში.

სატრანსპორტო ზედდებულები საქონლის ტრანსპორტირებისას გაიცემა. ეს სავალო ფასიანი ქაღალდებია, რომლებსაც მათში აღწერილი საქონლის ღირებულება გააჩნიათ. საქონლის უცხო ქვეყანაში გასაგზავნი და იქიდან გამოსაგზავნი საქონლის სატრანსპორტო ზედდებულები, შეიძლება მიღებული იქნას, როგორც გირაო შესაბამისი სესხების უზრუნველსაყოფად.

დარიცხული და მისარები თანხები არის ფირმის მიერ მისი კლიენტებისაგან მისაღები თანხები. ტერმინი „დარიცხული“ მიგვანიშნებს სამუშაოებიდან ან საქონლის მოწოდებიდან მისაღებ თანხებს, რომლებიც უკვე მიღებული და მოწონებული იქნა შემკვეთების მიერ და ელოდებიან საბოლოო ანგარიშსწორებას.

მიუხედავად იმისა, რომ აქციების დაგირავებას აქამდე განხილულ მოძრავ ქონებასთან შედარებით პროცედურული უპირატესობები გააჩნია, მათი ღირებულება დიდ რყევებს განიცდის. საფონდო ბირჟების საყოველთაო კრიზისის შემდეგ აქციების მხოლოდ მცირე ნაწილის, ალბათ 50%-ს გამოყენება

შეიძლება, როგორც უზრუნველყოფის საშუალებისა და ბუნებრივია მათ შორის ე.წ. „ბლუ ჩიპებს“ (ლურჯი ჩიპები – უმაღლესი კლასის აქცია) ენიჭებათ უპირატესობა.

თამასუქი არის მისი გამომშვების ხელწერილი, პირობა გადაუხადოს თანხა მის მიმღებს. ჩვეულებრივ, მესამე პირი, აქცეპტორი, ხელს აწერს შესაბამის ადგილას და პირობის შესრულების გარანტიას იძლევა გამომშვების მიმართ თავისი ვალდებულებების ხარჯზე. ისტორიულად თამასუქებზე გადასახდელი იყო ე.წ. „საგერბო მოსაკრებელი“ (მოსაკრებელი დოკუმენტზე, ქალაქზე, რომელზეც ოფიციალური სახელმწიფო სიმბოლიკა იყო გამოსახული), დღეისათვის, ისინი მოსაკრებლისაგან თავისუფალია და გამოიყენება მომავალი გადახდების დასაფარავად.

ბანკები იღებენ ფინანსურად გადახდისუნარიანი აქცეპტორების თამასუქებს საბრუნავი კაპიტალის სესხების დაფინანსების უზრუნველყოფად. თამასუქებისა და ჩეკების გირავნობას არ ჭირდება კონკრეტული თარიღი, რადგანაც იგულისხმება, რომ იგი ემთხვევა თარიღს, როდესაც ისინი ბანკს გადაეცა როგორც გირაო. იმისათვის რომ შეესაბამებოდნენ სათანადო რისკებს, თამასუქები უნდა წარმოადგენდნენ რეალურ სავაჭრო გარიგებებს და ბანკმა უნდა გადაამოწმოს მათი გამოცემის ფორმალური მხარე. მას შემდეგ, რაც ისინი მიღებული იქნება სესხის გამცემი ბანკის მიერ, თამასუქები მოწმდება, რათა დავრწმუნდეთ მის ფორმალურ მხარესა და აქცეპტორის კრედიტუნარიანობაში და ეგზავნება აქცეპტორის მომსახურე ბანკს. გადახდის შემდეგ სასესხო ანგარიში კრედიტდება და მსესხებელი სათანადოდ ინფორმირდება.

დეპოზიტები, ბონდები ცხადია უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალება: ისინი არ ქმნიან პროცედურულ პრობლემებს, ნაკლებად ექვემდებარებიან გაუფასურებას და თუ ისინი

იურიდიულად დაგირავებულია, არ შეიძლება, შეცილებულნი იქნენ მესამე მხრის მიერ.

პრაქტიკაში, საკმაოდ ხშირია დეპოზიტის დაგირავების შემთხვევები, ან იმიტომ, რომ ისინი ეკუთვნის გარანტორებს, ან იმიტომ რომ ისინი ვადიანი დეპოზიტებია, ან იმიტომ, რომ მენარმეს არ სურს შეუროს თავისი პირადი დანაზოგები ფირმის თანხებს.

გირაოს მსგავსად, უძრავი ქონების იპოთეკა ადასტურებს გამსესხებლის უპირატეს უფლებას გირაოს ობიექტზე. გირაოსაგან განსხვავებით, რომლებიც წარმოდგენილია საგირავნო ხელშეკრულებებით, იპოთეკა დარეგისტრირებულია ნოტარიულად და საჭიროებს ძირითად სასესხო ხელშეკრულებას.

იპოთეკის გარდდა, ბანკები არეგისტრირებენ იპოთეკის წინასწარ დატვირთვას, რომელიც უფრო იაფია, უზრუნველყოფენ უპირატეს უფლებას, მაგრამ არ არის აღსრულებადი. ეს ნიშნავს რომ მათი აღსრულება საჭიროებს დებიტორის მიმართ გადახდის საბოლოო განკარგულების გაცემას და წინასწარი დატვირთვის იპოთეკად გადაქცევას.

იპოთეკა და იპოთეკის წინასწარი დატვირთვა კლასიფიცირდება პრიორიტეტულობის წესის მიხედვით და აუქციონის შემთხვევაში დაკმაყოფილება ხდება ამ წესის შესაბამისად.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, იპოთეკისათვის განკუთვნილი უძრავი ქონების შეფასების მეთოდი.

ამ შემთხვევაში საკუთრების ღირებულება არის მისი უზრუნველყოფის ღირებულება და წარმოადგენს მის კომერციულ ღირებულებას გამოკლებული შესაძლო უპირატესი მოთხოვნები და არსებული იპოთეკები.

მაგალითი

X ბანკს თითქმის გადანყვეტილი აქვს მისცეს „YCO“-ს სესხი 100.000 ევროს ოდენობით. სესხის

უზრუნველყოფის მიზნით, ბანკს სურს ფირმის, ან გარანტორის საკუთრებაში მყოფი 120.000 ევროს ღირებულების უზრუნველყოფის საკუთრების იპოთეკის წინასწარი დატვირთვის რეგისტრირება. იმის გამო, რომ კომპანია არ ფლობს არანაირ ქონებას, მისი ერთ-ერთი პარტნიორი თანახმაა, საკუთაარი ბინის იპოთეკით წინასწარ დატვირთვაზე. ამ მიზნით, მან სასესხო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, როგორც გარანტორმა.

შეკითხვა: არის თუ არა საკუთრების ღირებულება საკმარისი, რათა დაფაროს უზრუნველყოფის ღირებულება, რომელიც სესხის პირობების დამტკიცების შემთხვევაში იქნება საჭირო?

ამ მიზნით, ბანკმა სთხოვა შესაბამის ინჟინერს შეაფასოს ამ საკუთრების კომერციული ღირებულება და ასევე სთხოვა შესაბამის იურისტს შეამოწმოს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები და გასცეს გირავნობის სერტიფიკატი.

საკუთრების კომერციული ღირებულება შეფასებულ იქნა 200.000 ევროდ, ხოლო იპოთეკის პირველი კლასის წინასწარი დატვირთვა 50.000 ევროზე უკვე ეკუთვნის სხვა ბანკს.

იმისათვის, რომ შევაფასოთ X ბანკის სასარგებლოდ დარჩენილი იპოთეკის წინასწარი დატვირთვის უზრუნველყოფის სიდიდე, ჩვენ ვაკეთებთ შემდეგ გამოთვლებს: ხსენებული პარტნიორი პირადად პასუხისმგებელია კომპანიის ქმედებებზე, ამიტომ მისი საკუთრება, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოიყენება, როგორც საცხოვრებელი, ხასიათდება როგორც კომერციული საკუთრება და ივარაუდება, რომ ნებისმიერმა იძულებითმა გაყიდვამ, პრიორიტეტულობის

წესის მიღმა შეიძლება წარმოშვას უპირატესი მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს ფირმის საქმიანობიდან.

ბევრ ქვეყანაში კანონი გვავალდებულებს, რომ მოსამსახურეების ხელფასები დაიფაროს მენარმის აუქციონზე გაყიდული საკუთრებიდან, ნებისმიერი არსებული დაბრკოლები-საგან დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში, საკუთრების უზრუნველყოფითი ღირებულება განისაზღვრება როგორც 60% მისი კომერციული ღირებულებისა, ანუ $200.000 \times 60\% = 120.000$ ევრო.

თუ საკუთრება არ ჩაითვლება როგორც კომერციული, სხვა სიტყვებით, თუ მისი მფლობელი იქნებოდა არა ფირმის პარტნიორი, არამედ ხელფასზე მომუშავე მოსამსახურე, რომელმაც როგორც გარანტორმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, შესაბამისი პროცენტულობა იქნებოდა 80%.

საკუთრების შეფასებით ღირებულებას უნდა გამოვაკლოთ უკვე არსებული იპოთეკის წინასწარი დატვირთვის თანხა, ანუ $120.000 \times 50.000 = 70.000$ ევრო.

აქედან გამომდინარე, საკუთრების უზრუნველყოფის ზღვარი არის 70.000 ევრო და იგი არაა საკმარისი X ბანკის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შედეგად, ბანკმა შეიძლება მოითხოვოს დამატებით სხვა საკუთრების წინასწარი დატვირთვა, შეიძლება გადახედოს უზრუნველყოფის საშუალებებსა და სესხის თანხას, შეიძლება დაარეგისტრიროს გირაო, რადგან ჩათვალოს რომ სხვა ბანკის უფლებები მოთხოვნაზე უკვე შემცირებულია, ან თუნდაც ელოდება საკუთრების კომერციული ღირებულების გაზრდას.

უნდა ითქვას რომ ზემოაღნიშნული საკუთრების უზრუნველყოფითი ღირებულების განსაზღვრა, მხოლოდ მაგალითია და შეიძლება სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ბანკში გარკვეულად განსხვავებული იყოს.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ საკუთრების ზოგიერთ სხვა ფორმას რომლებიც როგორც წესი გამოიყენება იპოთეკის წინასწარ დატვირთვის რეგისტრაციისთვის.

- მინის ნაკვეთი
- საცხოვრებელი ფართი
- ქარხანა
- პროცენტი (წილი) საერთო საკუთრებიდან
- წმინდა საკუთრება
- უპირობო უფლება უძრავი ქონების ფლობაზე
- ბინის საკუთრება

მინის ნაკვეთი უზრუნველყოფის სასურველი ფორმაა. ივარაუდება, რომ როგორც წესი, მინის ნაკვეთის ღირებულება არ კლებულობს. ინტერესის სფეროს რა თქმა უნდა, წარმოადგენს სრულყოფილი და სამშენებლოდ ვარგისი საკუთრება, შესაბამისი კომერციული ღირებულებით.

საცხოვრებელ ფართებსაც აგრეთვე გააჩნიათ კომერციული ღირებულება. მათი შეფასება შედარებით ადვილია, რადგანაც მათი უმრავლესობა საგადასახადო ორგანოების შეფასების ობიექტს წარმოადგენს და იმის გამო რომ მსესხებლები მათში ცხოვრობენ, იძულებულნი არიან დროულად დაფარონ ვალი.

ქარხნის (იგულისხმება წარმატებულად ფუნქციონირებადი ქარხანა) ღირებულება როგორც წესი უფრო მეტია ვიდრე მისი წარჩენი ღირებულება, ვიდრე ღირებულება გაჭიანურებული სასამართლო დავებისა და აუქციონების შემდეგ. ამასთან, თითოეული ქარხნის სპეციფიკურმა კონსტრუქციამ და მდებარეობამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს მისი კომერციული ღირებულება. მიუხედავად ამისა ბანკები ყოველთვის ცდილობენ დაირეგისტრირონ მასზე გირავნობის უფლება.

კლიენტი შეიძლება ფლობდეს არა მთლიანად საკუთრებას, არამედ მის გარკვეულ პროცენტს (**წილს საკუთრებაში**).

ამ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია დავარეგისტრიროთ იპოთეკის ეს პროცენტი (წილი) სხვა მფლობელის გარეშე, თუმცა უნდა გვახსოვდეს, საკუთრების კომერციული ღირებულება არ არის ამ პროცენტულობის პირდაპირპროპორციული. სხვა სიტყვებით, თუ ჩვენი კლიენტი ფლობს 200 000 ევროიანი საკუთრების 50%-ს, ეს არ გულისხმობს იმას, რომ მისი წილის ღირებულება 100 000 ევრო იქნება. ამიტომ, როდესაც სესხის უზრუნველსაყოფად გვთავაზობენ საერთო საკუთრების წილს, ჩვენ ვცდილობთ მივიღოთ მეორე თანამფლობელის გარანტია იმისათვის, რომ იპოთეკა დავარეგისტრიროთ მთელ საკუთრებაზე.

წმინდა საკუთრება ტოლია მთელ საკუთრებას გამოკლებული საკუთრებაზე უფლების ქონა. ჩვეულებრივ, საკუთრებაზე სრული უფლებების გაყოფა ხდება, როდესაც მშობლები გადასცემენ წმინდა საკუთრებას შთამომავლობას და ამავე დროს, იტოვებენ უპირობო უფლებას საკუთრებაზე სიკვდილამდე, რის შემდეგაც, საკუთრების უპირობო უფლება ავტომატურად გადადის მათ შვილებზე. იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლებელია წმინდა საკუთრების იპოთეკა, გარკვეული სპეციფიკური შემთხვევების გარდა, ისინი არ წარმოადგენენ არც საბაზრო ინტერესის საგანს და არც კომერციული ღირებულება გააჩნიათ.

უპირობო უფლება უძრავი ქონების ფლობაზე წმინდა საკუთრების იდენტურია. თუმცა, როდესაც უზრუნველყოფად გვთავაზობენ უძრავი ქონების უპირობო უფლებას, ან წმინდა საკუთრებას, ჩვენ ვცდილობთ ასევე დავირეგისტრიროთ უფლება მეორეზეც, რადგანაც მოვიპოვოთ უპლება საკუთრების მთლიან ღირებულებაზე.

ბინის საკუთრება გამომდინარეობს მრავალსართულიან შენობაზე ნოტარიალურად დამონმებული, რეგისტრირებული და განაწილებული უფლებიდან. თითოეულ ბინაზე დამაგრებ-

ულია საერთო საკუთრებაში არსებული, ჩვეულებრივ სანტიმეტრებში გამოსახული, მინის ნაკვეთი. ამის გამო, ნოტარიალურად დამონმების შემდეგ, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას დაფინანსების უზრუნველყოფის საშუალებად.

თითოეული გაცემული სესხი ბანკისათვის ფინანსური რისკის მატარებელია. ბანკები ამ რისკების გადაფარვისათვის უზრუნველყოფათა მთელ რიგ საშუალებებს იყენებენ იმისათვის, რომ სამართლებრივი საშუალებებით მოახდინონ სესხების იძულებით მოთხოვნა-ანაზღაურება. თუმცა, ძირითადი დებიტორის ხელმოწერის გარდა, რომელიც ხელშეკრულების მთავარი გარანტორია, სხვა დანარჩენი გარანტიები დამხმარე ხასიათისაა და მათ მიმართავენ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევები დამოკიდებულია დასაფინანსებელი პირების თავისებურებებსა და კონკურენციის პირობებზე. ასევე, უნდა გვახსოვდეს, რომ ორივე – სესხიცა და მისი მომსახურებაც, მეტწილად ფირმის (პირის) ფულადი ნაკადებით და არა უზრუნველყოფის საშუალებებით ხდება. სხვა სიტყვებით, სესხის ობიექტი და მთავარი უზრუნველყოფა ფირმის სიცოცხლისუნარიანობაა და არა უშუალოდ უზრუნველყოფის (გირაოს, იპოთეკის, თავდებობის და ა.შ.) საშუალება.

საბანკო რისკები და რისკების საერთაშორისო რეგულირება

საერთაშორისო ვაჭრობაში კომერციული რისკები დაკავშირებულია საქონლის მოძრაობისას წარმოშობილ რისკებთან. ამ რისკებიდან უნდა გამოიყოს:

- რისკი დაკავშირებული საქონლის ტრანსპორტირებასთან, ანუ სატრანსპორტო რისკი
- რისკი დაკავშირებული საქონლის მყიდველის მიერ მიღებასთან
- რისკი დაკავშირებული მყიდველის გადახდისუნარიანობასთან
- რისკი დაკავშირებული საქონლის ბაზარზე რეალიზაციასთან
- რისკი დაკავშირებული მყიდველის სურვილთან არ შეასრულოს გადახდა საქონლის მიღების სანაცვლოდ

ყველა ამ სახის რისკის გათვალისწინება უწევს, როგორც საქონლის მიმწოდებელს, ასევე მის მიმღებსაც. იგი უშუალოს არის დაკავშირებული საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის ტრანსპორტირებისა და დოკუმენტირების პირობებთან. დეტალურად ჩვენ ამ საკითხებს კიდევ მივუბრუნდებით. ნიშანდობლივია, რომ ამ სახის რისკების ნაწილი მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დეტალებიდან, რომელთა არ შესრულება წარმოშობს კომერციულ რისკებს. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო ხელშეკრულება შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან მოთხოვნას

საქონლის შესახებ, მის მიწოდებაზე და პირობებზე. ესენია: საქონლის ხარისხი, რაოდენობა, ფასი, მიწოდების დრო, კონტრაქტის შესრულების ადგილი (საქონლის მიწოდების ადგილი), საგადახდო დოკუმენტები, საგარანტიო ვადები, მხარეთა მიერ გამოყენებული სამართლებრივი ნორმები და ა.შ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკები, განსაკუთრებით დამახასიათებელია ექსპორტიორისათვის, რადგან დრო და მანძილი უშუალოდ ზემოქმედებს საკონტრაქტო პირობებზე საქონლის მიწოდების თვალსაზრისით. ექსპორტიორისათვის კრედიტის გაცემის ვადა გაცილებით დიდია ვიდრე საკუთარ ქვეყანაში მას ანალოგიური საქონლის გასაყიდად შეიძლება ჰქონოდა. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია საექსპორტო საქონლის რეალიზაციის პერიოდზე ბაზრის კონიუნქტურის ზემოქმედებაც. სწორედ დროსა და სივრცეში განეწილი საქონლის რეალიზაციის პრობლემიდან გამომდინარე, დებიტორული დავალიანების წარმოშობის გამო, დამატებითი საბრუნავი კაპიტალის მისაღებად ხდება ბანკიდან სესხის აღება. ეს განსაკუთრებით, იმ საწარმოებს ეხებათ, რომლებიც უწყვეტ ციკლში ფუნქციონირებენ და მუდმივად სჭირდებათ სახსრები ხარჯების დასაფინანსებლად და ახალი პროდუქციის საწარმოებლად.

საექსპორტო ოპერაციების სირთულე ასევე დაკავშირებულია მყიდველის მხრიდან საკონტრაქტი პირობების დარღვევასთან. არის შემთხვევები, როდესაც მყიდველი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს და უარს აცხადებს საქონლის შექმნაზე და/ან ანაზღაურებაზე. ამ შემთხვევაში, გამყიდველის მხრიდან დგება სასამართლო წესით საქმის განხილვის მოთხოვნა. სამწუხაროდ, ამ სახის დავები ხშირად და-

ლზე განელია, ხოლო უცხო ქვეყანაში მისი გამართვის შემთხვევაში დაზარალებული მხარისათვის, ანუ გამყიდველისათვის, დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ექსპორტიორს მყიდველის უარის შემთხვევაში შეუძლია თავად გადაიხადოს საექსპორტო გადასახადი საბაჟო კლირინგის გზით და შესაბამისად, საქონელი გადაიტანოს ამ ქვეყანის საბაჟო ტერმინალში ან სანჯობში ახალი მყიდველის პოვნამდე, ან უარეს შემთხვევაში საქონელი დააბრუნოს უკან. ორივე შემთხვევაში, განსაკუთრებით კი მეორე ვარიანტში, ზარალი თვალსაჩინო იქნება. ამ საქონლის ახალ მყიდველზე მიყიდვის შემთხვევაში საქონლის რეალიზაციის დროის სიმცირის გამო, გამყიდველი იძულებულია მოახდინოს კორექტირება საქონლის ფასში მისი შემცირების მიმართულებით, რაც საბოლოო ჯამში, საპროგნოზო მოგებას მნიშვნელოვნად ამცირებს.

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ბანკის მიერ კრედიტების დაბრუნებასთან, ანუ მსესხებლის მიერ ბანკიდან აღებული ძირითადი თანხისა და მაზე დარიცხული პროცენტების დროულად და სრულად ვერ გადახდასთან.

სისტემური თვალსაზრისით, საკრედიტო რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს:

- მსესხებლის ახალ ბაზრებზე გასვლით, რასაც თან სდევს სარეკლამო და სხვა გაუთვალისწინებელი დანახარჯების ზრდა;
- ბაზრის კონიუნქტურის გაუარესებით;
- პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებით.

ბანკი კრედიტს გასცემს მისი აქციონერების, დეპოზიტარების ან სხვა კრედიტორების ფულადი საშუალებით. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში როცა მსესხებელი ვერ ან არ დააბრუნებს სესხს ბანკი საკუთარ თავზე იღებს რისკს.

საკრედიტო რისკისაგან დაზღვევა ხორციელდება ბანკის

მიერ საკრედიტო პორტფელის დივერსიფიცირებისა და სესხების ლიმიტირების საშუალებით, ასევე ცენტრალური ბანკების (ან საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სხვა ორგანოების) მხრიდან პრუდენციულ რეგულირების საზედამხედველო ნაწილში, აქტივების კლასიფიცირებისა და რისკის მიხედვით შენონილი აქტივების მეთოდის დანერგვის მეშვეობით.

საკრედიტო ვადების დარღვევის რისკები

საპროცენტო შემოსავლის მისაღებად და რენტაბელობის შესანარჩუნებლად ბანკი საკრედიტო პოლიტიკას ირჩევს ეკონომიკური სიტუაციის მიხედვით. ჩგარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მაღალი რისკებისა და ცენტრალური ბანკების მხრიდან მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში, ბანკი იძულებულია მოიზიდოს მოკლევადიანი ვალდებულებები, მაგრამ მათი აქტივებში განთავსებისას ძნელდება ამ სახსრების შედარებით ხანგრძლივი დროით განთავსება.

ბაზარზე საკრედიტო რესურსების სიმცირე ბანკს აიძულებს, ამ ვადების ტრანსფორმაციის შეზღუდულობის გამო, ორიენტაცია აიღოს მოკლევადიან სესხებზე და შესაბამისად მაღალი პროცენტით, ანუ იმოქმედოს საპროცენტო მარჟის მაქსიმუმზე, სახსრების დაბალი პროცენტით მოზიდვაზე და მაქსიმალური ზედა ზღვრით მათ გაცემაზე. „მოკლე ფული“ ბანკს ერთი მხრივ აძლევს ლიკვიდურობის შენარჩუნების საშუალებას, მაგრამ მეორე მხრივ ზრდის რა საკრედიტო რისკებს, საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს პასივების სტრუქტურაზეც. ეს განსაკუთრებით მოქმედებს ვადიანი ანაბრებისა და მოთხოვნამდე ანაბრების პოზიციებზე.

საკრედიტო ვადების დარღვევისას, საბანკო პრაქტიკის გავრცელებული მაგალითებიდან უნდა გამოიყოს გეპის

პოზიციების დარღვევა. როდესაც ბანკი ვერ ახდენს შემოსავლებისა და ხარჯების, აქტივების და პასივების დაბალანსებას ვადების მიხედვით, მას ექმნება ლიკვიდურობის შენარჩუნების და მართვის პრობლემა. ჭფულადი სახსრების დროში არასწორი განაწილებისას ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად ბანკი იძულებულია აიღოს ახალი ვალდებულებები ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების ან ფულად ბაზარზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით ეკონომიკის სექტორული განუვითარებლობისას იჩენს თავს, რადგან გეპის პოზიციის ქრონიკული დარღვევისას ბანკი ისედაც შეზღუდულია რა ბაზარზე ალტერნატიული ფინანსური რესურსების მიღებისაგან, უკვე დგება არალიკვიდობის და გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე.

საპროცენტო განაკვეთების რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი, დაკავშირებულია ბანკის მიერ საკრედიტო რესურსების ფასზე დადგენილ განაკვეთების ცვლილებასთან. კრედიტის ფასზე (სარგებლის ნორმაზე, პროცენტზე) რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ბანკის ამოცანაა საკრედიტო რესურსებზე ფასის დასადგენად, ისე წარმართოს საპროცენტო პოლიტიკა, რომ საპროცენტო შემოსავლები, რომელიც ბანკის როგორც წესი მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 70%-ზე მეტს შეადგენს, აღემატებოდეს საპროცენტო დანახარჯებს, ასევე რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – საკრედიტო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და სესხებზე შესაძლო დანაკარგებთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბანკის საკრედიტო საქმიანობა დაკავშირებულია მნიშვნელოვან საოპერაციო ხარჯებთან, რომელთაგანაც უნდა გამოიყოს:

- ☛ საკრედიტო მენეჯერების, იურიდიული დეპარტამენტის, ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებისა და საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებელი ექსპერტების შრომის ანაზღაურების, მომსახურების ხარჯები;
- ☛ შესაბამისი პერსონალის გადამზადების ხარჯები;
- ☛ დანახარჯები დაკავშირებული ბანკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომსახურებასა და განახლებასთან;
- ☛ არენდის და კომუნალური სახის ხარჯებთან;
- ☛ დანახარჯები სესხებზე მონიტორინგის წარმართვასთან;
- ☛ სარეკლამო და სხვა სახის მომსახურების ხარჯებთან;
- ☛ სხვა ხარჯები.

ჩამოთვლილი პოზიციებიდან ბანკებისათვის სერიოზული პრობლემაა ფიქსირებული დანახარჯების ის ნაწილი, რომელიც პერსონალის შენახვისა და მათი გადამზადების ხარჯებთან არის დაკავშირებული. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საკრედიტო დაწესებულებები მაქსიმალურად ცდილობენ ამ სახის ხარჯების მინიმიზაციას, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს შემდეგ ბანკებს უკუპროპორციულად უბრუნდებათ, რადგან მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პერსონალის დაბალი კვალიფიკაციის, ან დაბალი ხელფასების გამო მათი ნაწილის საქმისადმი არაპროფესიული დამოკიდებულება პირდაპირ აისახება ბანკის მომსახურების ხარისხზე და შესაბამისად ფინანსურ შედეგზე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პოზიციებისა, ბანკის ფინანსური საქმიანობის შედეგებზე ყველაზე სერიოზული ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ სესხებზე შესაძლო დანაკარგებს. საერთაშორისო საბანკო პრაქტიკა ამ მიმართულებით იყენებს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების პრაქტიკას.

ამ სახის რისკები მაშინ იჩენს თავს, როდესაც ბანკი ვადების ტრანსფორმაციისას, ნაკლებ ყურადღებას იჩენს სესხების სათანადო უზრუნველყოფაზე ფასის ცვლილების თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით იმ პირობებში ხდება აქტუალური, როდესაც ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთები არასტაბილურია და საკმაოდ დიდ ამპლიტუდაში მერყეობს. საკრედიტო ვადების ტრანსფორმაციისას ბანკი იძულებულია უარი თქვას შედარებით გრძელვადიან დაკრედიტებაზე, მაგრამ ასეთ ვითარებაში მისი საპროცენტო პოლიტიკა უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი, რათა საბანკო მომსახურებაზე გასანევი ხარჯების გამო, მოზიდულ სახსრებზე გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი იყოს ნაკლები, ვიდრე სასესხო განაკვეთები.

ბანკის მიერ საკრედიტო პოლიტიკის წარმართვისას, საპროცენტო განაკვეთები უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო განაკვეთებს მოზიდული სახსრების ფასის გათვალისწინებით, რათა საბაზრო განაკვეთების ზრდისას ან „ცუდი“ სესხების დასაფარავად ბანკს დარჩეს რეზერვი სასესხებო პროცენტის დასაბალანსებლად. სხვა შემთხვევაში ბანკი იძულებული გახდება კლიენტს შესთავაზოს კონკურენტებზე გაცილებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მიმართოს სარისკო და საეჭვო ხასიათის დაკრედიტების პრაქტიკას, ლიბერალური გახადოს სესხების საგირავნო უზრუნველყოფის პირობები და შესაბამისად კიდევ უფრო გაზარდოს რისკი.

სავალუტო რისკი

საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტიორი, ანუ ჩვენ შემთხვევაში გამყიდველი, ვალდებულია მყიდველს ანუ იმპორტიორს (თავის ქვეყანაში) წარუდგინოს ანგარიშსწორების ანგარიში მყიდველის ქვეყნის ვალუტაში ან თავად ექსპორტი-

ორის ქვეყნის ვალუტაში. თუმცა ანგარისწორება შესაძლებელია მესამე ქვეყნის ვალუტაშიც. ამ უკანასკნელში იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც მყიდველისა და გამყიდველის ქვეყნების ვალუტები კონვერტირებული ვალუტები არ არიან. მაგ. საქართველოსა და თურქეთს, ან უკრაინას და რუსეთს შორის ვაჭრობა ხდება აშშ დოლარებში (ან ევროში). აქედან გამომდინარე, საქონლის შემომტანისათვის, ანუ იმპორტიორისათვის, პრობლემას წარმოადგენს უცხოური ვალუტის შექენა სავალუტო ბაზარზე, ხოლო ექსპორტიორისათვის სხვა ქვეყანაში გაყიდული საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული უცხოური ვალუტის თავისი ქვეყნის ვალუტაზე გადაცვლის პრობლემა, სავალუტო კურსის ცვლილების გამო.

მაგ: იმ შემთხვევაში თუ ქართველ იმპორტიორს, რომელსაც დიზელი ან ბენზინო შემოაქვს რუმინეთიდან და მასში იხდის 1000 \$ ტონაზე, კურსით 1 \$ =2,40 ლარს, მისი ექვივალენტური თანხა ლარებში იქნება 2400 ლარი. იმ შემთხვევაში თუ ანგარიშწორების ვადის დადგომისას დოლარის კურსი დოლართან მიმართებაში გაიზარდა და გახდა 1 \$ =2,30 ლარი, მაშინ იმპორტიორს გაცილებით ნაკლები ლარის დახარჯვა მოუწევს დოლარების შესასყიდად და პირიქით, თუ დოლარი გაძვირდება ლართან მიმართებაში და 1 \$ =2,50 ლარი გახდება, ბუნებრივია, მითე უფრო მეტი ლარის გაყიდვა მოუწევს დოლარის შესაძენად. მნიშვნელობა არა აქვს ამ ქვეყნების ვალუტები კონვერტირებადია, თუ ოპერაცია მესამე ქვეყნის ვალუტაში ხორციელდება, რადგან საბოლოო ანგარიშს როგორც იმპორტიორი ასევე ექსპორტიორი ეროვნულ ვალუტაში ადგენს.

სავალუტო რისკები არ არსებობს ერთი ვალუტის მქონე ქვეყნებში, ან იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნულ ვალუტასთან ერთად, სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის უცხოური ვალუტაც მიმოიქცევა (ბივალუტური ქვეყნები). მაგალითად, შვეიცარული ფრანკი მიმოიქცევა ლიხენშტეინში, სან-მარინოში – ევრო, არის

ბივალუტური ტიპის ქვეყნებიც, მაგალითად ბაჰამი (ბაჰამის დოლარი, აშშ დოლარი), ჰაიტი (ჰაიტის გუარდი, აშშ დოლარი), ლიბერია (ლიბერიის დოლარი, აშშ დოლარი) და სხვ.

სავალუტო რისკების შემცირების (ჰეჯირების, დაზღვევის) მიზნით გამოიყენება სავალუტო სვოპები ან ისეთი საფინანსო ინსტრუმენტები, როგორც ვადიანი კონტრაქტები სავალუტო ფორვარდების ან ოპციონების სახით.

საკონვერსიო ოპერაციები წარმოადგენენ ნაღდი და უნაღდო ვალუტის ყიდვას ან გაყიდვას სხვა ვალუტით.

გარიგებების უმრავლესობა იდება დაუყოვნებელი მიწოდების პირობით, რომლის დროსაც გარიგების დადების დრო პრაქტიკულად ემთხვევა მის შესრულებას.

ზოგადად გარიგება წარმოადგენს ორ ან რამოდენიმე ეკონომიკური სუბიექტის (ფიზიკური ან იურიდიული პირი) ზეპირი ან წერილობითი შეთანხმებას, რომელიც დაკავშირებულია ქონების, ფულის, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან, გადაცემასთან, სესხების გაცემასთან, ერთობლივ წამოებასთან, ბიზნეს ოპერაციების ჩატარებასთან ან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის სხვა ფორმებთან.

არსებობს დაუყოვნებელი მიწოდების სამი სახის გარიგება:

1. **TODAY** – რომლის დროსაც ვალუტირების თარიღი ემთხვევა გარიგების დადების დღეს;

2. **TOMORROW** – როცა ვალუტირების თარიღია გარიგების დადებიდან შემდეგი სამუშაო დღე;

3. **SPOT** – როცა ვალუტირების თარიღია გარიგების დადებიდან მეორე სამუშაო დღე.

გარიგებების კლასიფიცირება ხდება მონაწილე სუბიექტების, გარიგების ობიექტის, დადების ადგილის, მოცულობის, სამართლებრივი და იურიდიული უზრუნველყოფის, მხარეების პასუხისმგებლობის დონის, ფასეულობების გადაცემის

და ანაზღაურების წესის მიხედვით.

ვადიანი გარიგება – წარმოადგენს კონტრაქტს, როცა ერთი მხარე იღებს ვალდებულებას საქონელს ან ფინანსური ინსტრუმენტების განსაზღვრულ მომენტში მომავალში მონოდებაზე, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს ანაზღაურებას შეთანხმებულ ფასში.

ასეთი კონტრაქტები, როგორც წესი იდება ცალ-ცალკე, განსხვავებით ფიუჩერსული კონტრაქტებისაგან, რომელთა პირობებიც სტანდარტიზებულია.

ვადიან გარიგებებს მიეკუთვნება:

- ა) ფორვარდული გარიგება
- ბ) ფიუჩერსული გარიგება
- გ) სვოპი
- დ) ოპციონი

ვადიანი გარიგებები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხელშეკრულების დადების და შესრულების პირობებით, საგარანტიო პირობებით, გარიგების დადების ადგილით, რისკების (საოპერაციო, საკრედიტო, საბაზრო) დაცვის ხარისხით. როგორც წესი ვადიანი გარიგებები გამოიყენება დაზღვევის (ჰეჯირების) ან სპეკულაციის მიზნით.

ფორვარდული გარიგება (FORWARD) – წარმოადგენს საქონლისა და ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სახეობას, როცა მიწოდება ხორციელდება არა უმეტეს ორი საბანკო დღისა გარიგების დადების თარიღიდან. ბანკები აღნიშნულ გარიგებებს იყენებენ ვალუტის ფასისა და კურსის ცვლილებებისაგან თავიდან დასაცავად.

ფიუჩერსული გარიგება (FUCHERS) – საქონლისა და ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვა ხელშეკრულების დადების მომენტში არსებული ფასით (კურსით) და ანაზღაურებისა და მიწოდების მომავალში განხორციელების პირობით. ასეთი გარიგებისას როგორც წესი მყიდველს შეაქვს მცირე

ოდენობის სადებოზიტო თანხა. ხშირად ფიურერსული გარიგება იდება არა საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტის საბოლოო ყიდვის ან გაყიდვისთვის, არამედ კონტრაქტის დაზღვევის (ჰეჯირების) მიზნით.

სვოპი (SWOP) – წარმოადგენს სავაჭრო-საფინანსო გაცვლით ოპერაციას, რომელშიც ვალუტის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვის (გაყიდვის) შესახებ გარიგებას თან სდევს კონტრგარიგება (საპირისპირო გარიგება) იგივე საქონლის გაყიდვის (ყიდვის) შესახებ გარკვეული პერიოდის შემდგომ იგივე ან სხვა პირობებით.

არსებობს სვოპ-ოპერაციების შემდეგი სახეები:

- ფასიანი ქაღალდების ვადის გაგრძელების სვოპ ოპერაცია, როცა ხდება ფასიანი ქაღალდის გაყიდვა და იმავე დროს იგივე სახეობის ოლონდ მოქმედების უფრო ხანგრძლივი ვადის ფასიანი ქაღალდების შეძენა;
- სავალუტო სვოპ ოპერაცია, როცა ხდება უცხოური ვალუტის შეძენა ეროვნული ვალუტის დაუყოვნებელი ანაზღაურებით და ნაყიდი ვალუტის გამყიდველის მიერ უკან გამოსყიდვის პირობით;
- სვოპ ოპერაცია ოქროზე, როცა ოქროს მინოდება ხდება უშუალოდ და გარკვეული დროის შემდეგ ოქროს იგივე ოდენობის უკან გამოსყიდვის პირობით.

ოპციონი (OPTION) – წარმოადგენს გარიგებას, რომელიც ანიჭებს საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას გარკვეული დროის განმავლობაში გარკვეულ ფასად.

ოპციონური გარგება იდება ორ მონაწილეს შორის კონკრეტული საბაზისო აქტივის (აქტივი, რომელსაც კონტრაქტი უდევს საფუძვლად) ყიდვის ან გაყიდვის უფლების გადაცემის

შესახებ წინასწარ განსაზღვრული ფასით, კონკრეტულ, დადგენილ მომავალ თარიღში. მოცემულ კონტრაქტში მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ:

- ოპციონის მყიდველი – ის ყიდულობს უფლებას აქტივის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ;
- ოპციონის გამყიდველი (ემიტენტი) – მხარე, რომელიც იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ან მიიღოს აქტივი მყიდველის მოთხოვნის მიხედვით.

ოპციონის შესრულების ფასი – საბაზრო აქტივის ფასი, რომლის სიდიდე განისაზღვრება წინასწარ კონტრაქტის პირობებით.

ოპციონური გარიგების განსაკუთრებულ პირობას წარმოადგენს ის, რომ როგორც კი ოპციონის მფლობელი უარს იტყვის მისთვის წამგებიან კონტრაქტზე, ოპციონის მიმყიდველ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ოპციონის ფასის ოდენობის კომპენსაცია (ოპციონური პრემია), რომელიც გადაიხდება დაუყოვნებლივ, მას შემდეგ რაც მხარეები შეთანხმდებიან.

არსებობს ოპციონური გარიგების 4 ტიპი:

- მყიდველის ოპციონის შეძენა (მის მფლობელს ეძლევა საქონლის შეძენის უფლება);
- მყიდველის ოპციონის გაყიდვა (გამყიდველი იღებს ვალდებულებას გაყიდოს საქონელი);
- გამყიდველის ოპციონის შეძენა (მფლობელს შეუძლია გაყიდოს საქონელი);
- გამყიდველის ოპციონის გაყიდვა (გამყიდველი იღებს ვალდებულებას გაყიდოს საქონელი).

არსებობს ევროპული და ამერიკული ოპციონი. ევროპულია ისეთი ოპციონი, რომლის შესრულებაც შეიძლება მომავალში კონკრეტულ ვადაში, ხოლო ამერიკული ოპციონის შესრულება ნებისმიერ დროს კონკრეტულ ვადამდეც და ვადაშიც.

პირი, რომელიც იძენს ოპციონს იძენს არჩევანის უფლებას

შეისყიდოს კონტრაქტი ან უარი თქვას მასზე, ხოლო ოპციონოს გამყიდველი წარადგენს არჩევანის უფლებას. ოპციონი ქოლ ოპციონის (CALL OPTION) მყიდველს ანიჭებს უფლებას იყიდოს კონტრაქტით გათვალისწინებული აქტივი (ვალუტა, აქცია, საქონელი) საკონტრაქტო ვადაში კონტრაქტის ფასით ან უარი თქვას მასზე. ოპციონი ჯფუტ ოპციონი (PUT OPTION) არის ქოლ ოპციონის საპირისპირო, მისი მყიდველი (ინვესტორი) როგორც წესი ელოდება აქტივის ფასის მატებას.

მაგალითი

ინვესტორი (იმპორტიორი) ყიდულობს ერთთვიან ევროპულ ოპციონს 10 000 დოლარზე ლარის კურსით აშშ დოლართან $1\$ = 1.64$ ლარს. ოპციონის პრემია არის 5 თეთრი.

დავუშვათ მისი მოლოდინი გამართლდა და საკონტრაქტო ვადის გასვლისას კურსი გახდა 1.72 ლარი. ასეთ შემთხვევაში ინვესტორი შეასრულებს ოპციონს, ანუ იყიდის უცხოურ ვალუტას ოპციონის გამომწერისაგან $1\$ = 1.64$ ლარად და გაყიდის მას ბაზარზე 1.72 ლარად, რის შედეგადაც მისი მოგება შესაგენს $1.72 - 1.64 = 0,08$ ლარს. შესაბამისად 10 000 დოლარზე მოგება იქნება $10\ 000 \times 0.08 = 800$ ლარი. მაგრამ მას წინასწარ გადასახდელი პრემიის 0.05 ლარის გამოკლებით ერთი დოლარიდან მოგება რჩება $0.08 - 0.05 = 0.03$ ლარი ანუ 10 000 დოლარზე 300 ლარი. ამ შემთხვევაში თუ ვალუტის კურსი არ გაიზრდება 1.64 ლარზე ზევით მაშინ ინვესტორი არ შეასრულებს ოპციონს, რადგან მას შეუძლის ვალუტა იყიდოს ბაზარზე 1.64 ლარად და მიიღებს ზრალს 500 ლარს. რაც არის კიდევ მისი მაქსიმალური ზარალი, მაშინ როცა სავალუტო კურსის ზრდის შედეგად მოგება პირდაპირ არის დამოკიდე-

ბული კურსის აწევის სიდიდეზე. ჩვენი მაგალითის მიხედვით ინვესტორი წაუგებელ თამაშს ითამაშებს თუ ვალუტის ფასი გაიზრდებოდა 0.05 თეთრით ანუ 1.69 ლარამდე და იზარალებდა ამ კურსის ქვევით. მაგ. თუ კურსი იქნებოდა 1.67, მაშინ ოპციონის შესრულებით მოგება იქნებოდა $1.67 - 1.64 = 0.03$ თეთრი. ხოლო გადახდილი პრემიის მიხედვით ზარალი შემცირდებოდა $0.03 - 0.05 = -0.02$ თეთრამდე ანუ 200 ლარამდე.

აქციის ფასი	მოგება
$> X$	PP- X-i
$< X$	- i

X – ოფციონის შესრულების ფასი

i – ოფციონზე გადახდილი პრემია

განსხვავებით ოპციონის მყიდველისაგან მისი გამომწერის გამყიდველის მოგება—ზარალი იქნება სანინალმდეგო შედეგზე ორიენტირებული. თუ კურსი იქნებოდა 1 დოლარი 1.69 ლარი მაშინ მისი მოგება იქნებოდა 0, ხოლო 1.69 ზევით ნახულობს უკვე ზარალს.

სავალუტო არბიტრაჟი – წარმოადგენს ოპერაციას, რომლის დროსაც ხდება ვალუტის ყიდვა და იმავდროულად გაყიდვა მოგების მიზნით – კურსთაშორის სხვაობიდან გამომდინარე.

სავალუტო ოპერაციების განსახორციელება წარმოუდგენელია სავალუტო პოზიციების დაცვის გარეშე.

სავალუტო პოზიცია წარმოადგენს ბანკის (ფირმის) უცხოურ ვალუტაში ფორმირებული მოთხოვნებისა და ვადებულებების შეფარდებას. კონკრეტული ვალუტის მიხედვით

მოთხოვნების და ვალდებულებების ტოლობის შემთხვევაში სავალუტო პოზიცია ითვლება დახურულად, განსხვავების შემთხვევაში კი – ღიად, შესაბამისად არსებობს დახურული სავალუტო პოზიცია და ღია სავალუტო პოზიცია.

თავის მხრივ ღია სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს მოკლე და ღია.

მოკლე სავალუტო პოზიციაა როდესაც ცალკეულ ვალუტაში ვალდებულებების მოცულობა აჭარბებს მოთხოვნების მოცულობას.

გრძელი სავალუტო პოზიციაა როდესაც ცალკეულ ვალუტაში მიხედვით მოთხოვნების მოცულობა აჭარბებენ ვალდებულებების მოცულობას.

ღია სავალუტო პოზიცია ნებისმიერ შემთხვევაში დაკავშირებულია სავალუტო რისკთან და მივყავართ დამატებით მოგებასთან ან ზარალთან (შესაძლებელია გადახდისუუნარობასთანაც კი). ზარალი დგება მაშინ, როდესაც კონტრგარიგების დროს, როდესაც ხდება ადრე გაყიდული ვალუტის ყიდვა ან ნაყიდის გაყიდვა – ამ ვალუტების კურსები იცვლება ბანკებისათვის (ან ფირმებისათვის) არახელსაყრელი მიმართულებით. შედეგად კონტრგარიგების საფუძველზე ბანკმა (ან ფირმამ) შეიძლება მიიღოს ან უფრო მცირე ოდენობის ვალუტა ვიდრე გაყიდა ადრე, ან იგივე ოდენობის ვალუტაში მოუწევს უფრო მეტი ეროვნული ვალუტის გადახდა ვიდრე მიიღო გაყიდვისას. ორივე შემთხვევაში იგი მიიღებს ზარალს კურსის ცვლილების გამო.

იმის გამო, რომ ღია სავალუტო პოზიცია იქმნება კონკრეტული ვალუტების მიხედვით, ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ოპერაციების ჩატარებისას სავალუტო რისკი ხან ჩნდება (იხსნება) და ხან ქრება (იხურება).

ბანკის მოკლევადიანი პოლიტიკა სავალუტო რისკთან მიმართებაში დაკავშირებულია იმ პოზიციებთან, რომელიც

შეიქმნა შესრულებული გარიგებების საფუძველზე. თუ შეიქმნა მნიშვნელოვანი გრძელი პოზიცია ბანკს შეუძლია მყიდველების მოსაზიდად შეამციროს ამ ვალუტის კურსი და პირიქით, გაზარდოს მოკლე პოზიციის დროს. საერთო ჯამში ბანკებს გრძელი პოზიცია უჩნდებათ მაშინ, როდესაც ბაზარზე რომელიმე ვალუტის მიწოდება გადააჭარბებს მოთხოვნას – ამ დროს კურსი ეცემა. ღია პოზიციის დახურვის შესაძლო შედეგის გამოთვლა მიიღწევა ყველა გრძელ და მოკლე პოზიციების ვალუტების იმ მიმდინარე საბაზრო კურსით გადაყვანისას, რომლითაც შესაძლებელია გარიგებების დახურვა – ვადიანი გარიგებების ვალუტის მიწოდების ვადების გათვალისწინებით. ხშირად ბანკები ერთ დღეში რამოდენიმეჯერ ქმნიან სპეკულატიური ხასიათის სავალუტო პოზიციებს, ხურავენ მათ მოგების მისაღებად, ისევე ხსინან და ა.შ. თუ ბაზრის ტენდენცია იძლევა მოგების მიღების შესაძლებლობას.

საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი და მისი გაანგარიშება

ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით ბანკის ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი დგინდება ცენტრალური ბანკების (ან სხვა საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების ორგანოების) მიერ. საქართველოში საართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენიული წესების შესაბამისად განსაზღვრულია ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით. თუმცა ცალკეული ბანკების მხრიდან, მათი შიდა პოლიტიკით და/ან რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით შესაძლებელია უფრო მკაცრი მოთხოვნებიც იქნეს განსაზღვრული ქვეყნის ეკონომიკის და სავალუტო ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით.

მოთხოვნების და ვალდებულებების ტოლობის შემთხვევაში სავალუტო პოზიცია ითვლება დახურულად, განსხვავების შემთხვევაში კი – ღიად, შესაბამისად არსებობს დახურული სავალუტო პოზიცია და ღია სავალუტო პოზიცია.

თავის მხრივ ღია სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს მოკლე და ღია.

მოკლე სავალუტო პოზიციაა როდესაც ცალკეულ ვალუტაში ვალდებულებების მოცულობა აჭარბებს მოთხოვნების მოცულობას.

გრძელი სავალუტო პოზიციაა როდესაც ცალკეულ ვალუტაში მიხედვით მოთხოვნების მოცულობა აჭარბებენ ვალდებულებების მოცულობას.

ღია სავალუტო პოზიცია ნებისმიერ შემთხვევაში დაკავშირებულია სავალუტო რისკთან და მივყავართ დამატებით მოგებასთან ან ზარალთან (შესაძლებელია გადახდისუუნარობასთანაც კი). ზარალი დგება მაშინ, როდესაც კონტრგარიგების დროს, როდესაც ხდება ადრე გაყიდული ვალუტის ყიდვა ან ნაყიდის გაყიდვა – ამ ვალუტების კურსები იცვლება ბანკებისათვის (ან ფირმებისათვის) არახელსაყრელი მიმართულებით. შედეგად კონტრგარიგების საფუძველზე ბანკმა (ან ფირმამ) შეიძლება მიიღოს ან უფრო მცირე ოდენობის ვალუტა ვიდრე გაყიდა ადრე, ან იგივე ოდენობის ვალუტაში მოუწევს უფრო მეტი ეროვნული ვალუტის გადახდა ვიდრე მიიღო გაყიდვისას. ორივე შემთხვევაში იგი მიიღებს ზარალს კურსის ცვლილების გამო.

იმის გამო, რომ ღია სავალუტო პოზიცია იქმნება კონკრეტული ვალუტების მიხედვით, ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ოპერაციების ჩატარებისას სავალუტო რისკი ხან ჩნდება (იხსნება) და ხან ქრება (იხურება).

ბანკის მოკლევადიანი პოლიტიკა სავალუტო რისკთან მიმართებაში დაკავშირებულია იმ პოზიციებთან, რომელიც

შეიქმნა შესრულებული გარიგებების საფუძველზე. თუ შეიქმნა მნიშვნელოვანი გრძელი პოზიცია ბანკს შეუძლია მყიდველების მოსაზიდად შეამციროს ამ ვალუტის კურსი და პირიქით, გაზარდოს მოკლე პოზიციის დროს. საერთო ჯამში ბანკებს გრძელი პოზიცია უჩნდებათ მაშინ, როდესაც ბაზარზე რომელიმე ვალუტის მიწოდება გადააჭარბებს მოთხოვნას – ამ დროს კურსი ეცემა. ღია პოზიციის დახურვის შესაძლო შედეგის გამოთვლა მიიღწევა ყველა გრძელ და მოკლე პოზიციების ვალუტების იმ მიმდინარე საბაზრო კურსით გადაყვანისას, რომლითაც შესაძლებელია გარიგებების დახურვა – ვადიანი გარიგებების ვალუტის მიწოდების ვადების გათვალისწინებით. ხშირად ბანკები ერთ დღეში რამოდენიმეჯერ ქმნიან სპეკულატიური ხასიათის სავალუტო პოზიციებს, ხურავენ მათ მოგების მისაღებად, ისევე ხსინან და ა.შ. თუ ბაზრის ტენდენცია იძლევა მოგების მიღების შესაძლებლობას.

საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი და მისი გაანგარიშება

ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით ბანკის ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი დგინდება ცენტრალური ბანკების (ან სხვა საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების ორგანოების) მიერ. საქართველოში საართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენიული წესების შესაბამისად განსაზღვრულია ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით. თუმცა ცალკეული ბანკების მხრიდან, მათი შიდა პოლიტიკით და/ან რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით შესაძლებელია უფრო მკაცრი მოთხოვნებიც იქნეს განსაზღვრული ქვეყნის ეკონომიკის და სავალუტო ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით.

ბაზელის შეთანხმებების ეტაპები და საერთაშორისო რეგულაციები

დიდი ხნის მანძილზე საბანკო რეგულირება ითვლებოდა წმინდა ნაციონალურ (ცალკეული ქვეყნის) მოვლენად, ანუ მთავრობები და ნაციონალური ორგანოები იღებდნენ წესებს და ინსტრუქციებს საბანკო ზედამხედველობის მიმართულებით საკუთარი ქვეყნის სპეციფიკიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე და რაც ხშირად წინააღმდეგობაში მოდიოდა სხვა ქვეყნების საკანონმდებლო პრინციპებთან.

საერთაშორისო საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების ათვლის წერტილად ითვლება 1988 წელი, როდესაც ბაზელი 1-ის შეთანხმების (დირექტივების) სახელით ცნობილი დოკუმენტის გამოშვება მოხდა. ნიშანდობლივია, რომ ამ შეთანხმებას წინ უსწრებდა და გარკვეულად საფუძვლად დაედო გერმანული ბანკის Herstatt Bank გაკოტრების წინაისტორია და მისი ზეგავლენა საერთაშორისო საკრედიტო და სავალუტო ბაზრებზე. აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო სავალუტო სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS, BIS), რომელიც დაფუძნდა 1930წ. შვეიცარიის ქალაქ ბაზელში. ბანკი ასრულებდა ტრადიციულ საბანკო ოპერაციებს საერთაშორისო მასშტაბით, ოქროთი და უცხოური ვალუტის გადაცვლას ცენტრალური ბანკებისათვის, ასევე ფინანსური შუამავლის და აგენტის ფუნქციასაც.

1974 წელს Herstatt Bank გაკოტრდა. გერმანიის საბანკო

ზედამხედველობის სამსახურმა მას ჩამოართვა საბანკო საქმიანობის ლიცენზია. ექსპერტები დღემდე მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში ზედამხედველობის სამსახურმა ზედმეტად იჩქარა რადგან ბანკს ოპერაციები შეუჩერა შუადღეს და არა დილიდან, და/ან არ დაელოდა სამუშაო დღის (საბანკო დღის) დასრულებას. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი გერმანიაში ითვლებოდა საშუალო სიდიდის ბანკად, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა უცხოური ვალუტით საკონვერსიო ოპერაციებში. ტრადიციულად ბანკის კონტრაგენტებმა ბანკს გადაუხადეს გარიგებების მიხედვით დადებული თანხები დღის პირველ ნახევარში, ნიუ-იორკში ოპერაციების დაწყების დრომდე 6 საათით ადრე და როდესაც ბანკი დახურეს გერმანიის დროით შუა დღეს ნიუ-იორკში ბანკები ჯერ კიდევ არ იყვნენ გახსნილი. კონტრაგენტები ელოდნენ დადებული გარიგებების შედეგად თანხების ჩარიცხვას შუა დღის შემდეგ. გაიგო რა სათავეო ბანკის დახურვის შესახებ გერმანული ბანკის ნიუ-იორკის ფილიალმა გააჩერა ყველა გადარიცხვები. ბუნებრივია, როდესაც გაიხსნა ნიუ-იორკის სხვა ბანკები Herstatt Bank კლიენტებმა ველარ შეძლეს ანგარიშსწორების განხორციელება და გერმანული ბანკის სხვა ბანკ კორესპოდენტებთან არსებული ურთიერთვალდებულებებიდან გამომდინარე, დაიწყო ჯაჭვური რეაქცია რამაც მოიცვა თითქმის მთელი საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემა, ხოლო საერთაშორისო ანგარიშსწორების მოცულობა შემცირდა 60 პროცენტით. დღეს ეს საანგარიშსწორებო რისკი Herstatt Bank -ის რისკის სახელითაც არის ცნობილი.

Herstatt Bank-ის გაკოტრებამ და მისმა ზეგავლენამ საერთაშორისო სავალუტო და საანგარიშსწორებო სისტემებზე, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის წევრმა და დამფუძნებელმა ცენტრალურმა ბანკებმა (აშშ, კამნადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, ნიდერლანდებ-

ბი, შვეცია, შვეიცარია, დიდ ბრიტანეთი, ბელგია) მიიღეს გადაწყვეტილება და დააფუძნეს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი.

ბაზელის კომიტეტი არ ითვლება ზედამხედველობის მსოფლიო ორგანიზაციად. მისი დასკვნები და რეკომენდაციები არ ატარებენ სავალდებულო ხასიათს და არა აქვთ იურიდიული ძალა.

მიუხედავად ამისა კომიტეტის მიერ შემუშავებული საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სტანდარტები ატარებენ რა სარეკომენდაციო ხასიათს დღეს ფართოდ არის დანერგილი მსოფლიოს ნამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების (საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სხვა ორგანოების) მიერ.

კომიტეტის მიერ პერიოდულად გამოიცემა კომპლექსური დოკუმენტები (ბაზელი 1, ბაზელი 2, ბაზელი 3), რომელთა დანიშნულებაა საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მეთოდების დახვეწა და შესაბამისად საბანკო რისკების შემცირება.

შეთანხმება: ბაზელი 1, ბაზელი 2, ბაზელი 3

ბაზელის კომიტეტმა მიიჩნია, რომ მთავარი მიზანი და პრინციპი არის საერთაშორისო საბანკო სისტემის უნარის გაძლიერება კრიზისებისადმი წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით. შესაბამისად, კომიტეტმა პირველ რიგში მოახდინა ნაციონალური ბანკების სტანდარტიზირება საბანკო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების მიმართ, რადგან დაბალი მოთხოვნები კაპიტალის ადექვატურობისადმი ანუ მაღალი ლევერიჯი ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია გამოიყენოს უფრო მეტი მოზიდული სახსრები აქტიური ოპერაციების დასაფინან-

სებლად, რაც ამცირებს რა დაფინანსების ღირებულებას ზედის რენტაბელობას ანუ მომგებიანობის მაჩვენებელს.

1988 წელს ბაზელის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის ადექვატურობის შეფასების საერთო მეთოდის გამოყენებას რისკი მიხედვით შენონილი აქტივებთან მიმართებაში. ეს დოკუმენტი დღეს „ბაზელი 1“-ის სახელით არის ცნობილი.

სისტემა საშუალებას იძლევა ბანკებმა შეაფასონ კაპიტალის საფრთხე ყველა აქტივის მიხედვით, ანუ შეაფასონ კაპიტალი რისკის ქვეშ მყოფ აქტივებთან მიმართებაში. რისკის მიხედვით შენონილიო აქტივები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო კრედიტებს, ფასიან ქაღალდებს და ყველა სქვა აქტივს რომელსაც ფლობს ბანკი და რომლებიც ასახულია ბანკის საბალანსო და გარე საბალანსო (წარმოებული ფასიუანი ქაღალდები, ფორვარდული კონტრაქტები, დარეზერვებული აკრედიტივები) პოზიციებში.

„ბაზელი 1“-ის მიხედვით საბანკო კაპიტალში შემოდის „საზედამხედველო კაპიტალის“ და პირველი და მეორე დონის კაპიტალის განმარტება.

პირველი დონის კაპიტალი არის სანესდებო კაპიტალი და გაუნანხილებელი მოგება;

მეორე დონის კაპიტალი არის დამატებითი კაპიტალი, რომელიც მოიცავს რეზერვებს და სუბორდინირებულ სესხებს.

ამასთან მეორე დონის კაპიტალი საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში არ შეიძლება იყოს საზედამხედველო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებს მინიმალურ მოთხოვნებს საზედამხედველო კაპიტალის მიმართ, რაც კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტის სახელით არის ცნობილი. კერძოდ, რისკის მიხედვით შნონილი აქტივების შეფარდება საზედამხედველო კაპიტალთან 8 % ტოლი ან მეტი უნდა იყოს.

„რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“ წარმოადგენს აქტივების საკრედიტო რისკის ხარისხისა და შესაძლო გაუფასურების გათვალისწინებით კლასიფიცირებულ აქტივებს.

1999 წელს ბაზელის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება კაპიტალის ახალი სტრუქტურის შესახებ. ახალი შეთანხმება ითვალისწინებს გაცილებით ზუსტ შეფასებებს კაპიტალის მოთხოვნებისადმი რისკებთან მიმართებაში.

2004 წელს კი ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად შედგა ახალი შეთანხმება კაპიტალის ადეკვატურობის ბეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც ბაზელი 2-ის სახელით არის ცნობილი.

ახალი შეთანხმება შედგება 3 კომპონენტისაგან:

1 კომპონენტი – მინიმალური მოთხოვნები საბანკო კაპიტალის მიმართ საბაზრო, საკრედიტო და საოპერაციო რისკებთან მიმართებაში;

2 კომპონენტი – საზედამხედველო პროცედურების გაძლიერება

3 კომპონენტი – ინფორმაციის გახსნილობა და ხელმისაწვდომობა და საბაზრო დისციპლინა.

1 კომპონენტი განსაზღვრავს ახალ მოთხოვნებს მინიმალური საზედამხედველო კაპიტალისადმი სამი ძირითადი რისკთან – საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებთან მიმართებაში;

2 კომპონენტი აძლიერებს რა 1 კომპონენტს ადგენს პროუდენციულ პროცესს საზედამხედველო პრინციპებთან მიმართებაში;

ის ითვალისწინებს ყველა რისკს 1 კომპონენტთან მიმართებაში და ამასთან ამატებს სხვა ასპექტებსაც:

- ბანკის ეკონომიკური კაპიტალის გაანგარიშებას ანუ იმ მინიმალური კაპიტალის დონის განსაზღვრას, რათა მოხდეს 1 კომპონენტის მატარებელი რისკების დაზღვევას.

- ბანკის ახლი სტრუქტურის შექმნას რომელიც განახორციელებს შიდა ზედამხედველობას მართველ დირექტორებზე დირექტორთა საბჭოს მხრიდან (შიდა აუდიტი).
- საბანკო ზედამხედველობის შიდა ორგანოების მიერ შიდა სარეიტინგო სისტემების შექმნას ბანკის რისკის პარამეტრების განსაზღვრით.

3 კომპონენტი – აღწერს საბანკო საბაზრო დისციპლინის ეფექტურობას ფინანსური ინფორმაციის გახსნილობის თვალსაზრისით, რაც მოიცავს ინფორმაციის მაქსიმალურ გახსნილობას აქციონერების და დაინტერესებული პრებისადმი (აუდიტორული დასკვნების გამოქვეყნება).

ამდენად ბაზელი 2-ის სამივე კომპონენტი მიმართულია საბოლოო ჯამში საერთო მიდგომების შესამუშავებლად და ემსახურება ორ მთავარ მიზანს:

- გააუმჯობესოს ბანკის მართავა და რისკების დაზღვევა საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში
- მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ახალი ტექნოლოგიების იმპლემენტაციის ზეგავლენა საბანკო რისკებზე.

ბაზელის სტანდარტების შესაბამისად, **რისკის მიხედვით შენონილი აქტივების** გასაანგარიშებლად, ბანკის აქტივები იყოფა 4 კატეგორიად, ხოლო თითოეულ კატეგორიას შეესაბამება ამ კატეგორიის აქტივების რისკის ამსახველი კოეფიციენტი. მაგალითისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რისკ-შენონილი აქტივების რისკების ამსახველი კოეფიციენტები შემდეგნაირად გამოიყენება:

საკრედიტო რისკის მიხედვით შენიშნული აქტივები

აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შენიშნვის მიზნით ბანკის აქტივები იყოფა 4 კატეგორიად და თითოეული კატეგორიის აქტივებს შეესაბამება საკრედიტო რისკის კოეფიციენტი:

ა) I კატეგორიის აქტივები, 0%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0;

ბ) II კატეგორიის აქტივები, 20%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0,2;

გ) III კატეგორიის აქტივები, 50%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0,5;

დ) IV კატეგორიის აქტივები, 100%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 1,0.

საკრედიტო რისკის მიხედვით შენიშნული აქტივების გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ის აქტივები, რომლებიც პირველადი და საზედამხედველი კაპიტალის დაქვითვის კომპონენტებს წარმოადგენს.

საკრედიტო რისკის მიხედვით აქტივების შენიშნვისას გაანგარიშებაში აიღება აქტივების წმინდა ღირებულება, გარდა სესხებისა და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტებისა, რომლებიც აიღება მთლიანი ღირებულებით.

0%-იანი საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული I კატეგორიის აქტივებია:

ა) ბანკში არსებული ნაღდი ფულადი სახსრები ლარებითა და „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ვალუტით;

ბ) საქართველოს ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო და მინიმალური რეზერვების ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები;

ბ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

დ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;

ე) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;

ვ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია ამავე ბანკში დაჯავშნული დეპოზიტებით.

20%-იანი საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული **II კატეგორიის აქტივებია:**

ა) ნაღდ ფულთან გათანაბრებული დოკუმენტების თანხობრივი მოცულობა ლარებით და „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ვალუტით;

ბ) მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების რეზიდენტი ბანკების მიერ;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით წარმოქმნილი მოთხოვნები;

დ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული და გარანტირებული სახაზინო ვალდებულებებით;

ე) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ;

ვ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნ-

ველყოფილია „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების რეზიდენტ ბანკებში დაჯავშნული დეპოზიტებით;

ზ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ გარანტირებულია „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ და რომლებიც ამ დებულების შესაბამისად მიკუთვნებული არ არის 0%-იანი რისკის მატარებელი აქტივების კატეგორიას;

თ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდები;

ი) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდებით.

50%-იანი საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული III კატეგორიის აქტივებია:

ა) ნაღდი ფულადი სახსრები და ნაღდ ფულთან გათანაბრებული დოკუმენტების თანხობრივი მოცულობა „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ვალუტით;

ბ) მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს რეზიდენტი ბანკების მიერ;

ბ) მოკლევადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია „ეგთო“-ს არანეერი ქვეყნების რეზიდენტი ბანკების მიერ;

დ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო უწყების) მიერ;

ე) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო უწყების)

მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქა-
ლალდებით;

3) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ
და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოსა და „ეგთო“-
ს ნევრი ქვეყნების ადგილობრივი მთავრობების (მუნიცი-
პალიტეტების) მიერ;

ზ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნვე-
ლყოფილია საქართველოსა და „ეგთო“-ს ნევრი ქვეყნების ად-
გილობრივი მთავრობების (მუნიციპალიტეტების) მიერ გამოშ-
ვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით.

100%-იანი საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული **IV კატე-
გორიის** აქტივებია:

ა) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ
და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო“-ს არანევრი ქვეყ-
ნების მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;

ბ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნვე-
ლყოფილია „ეგთო“-ს არანევრი ქვეყნების მთავრობების და/
ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირე-
ბული სავალო ფასიანი ქაღალდებით;

გ) გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომ-
ლებიც გარანტირებულია „ეგთო“-ს არანევრი ქვეყნების რეზი-
დენტი ბანკების მიერ;

დ) კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები;

ე) ინვესტიციები იურიდიულ პირთა სანესდებო კაპიტალში;

ვ) საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქროსა და
სხვა ძვირფასი ლითონების ზოდები;

ზ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნვე-
ლყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქრო-
სა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდებით;

თ) ძირითადი საშუალებები;

ი) სესხები, რომლებიც ასახული არ არის 20 და 50%-იან საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების კატეგორიებში;

კ) დანარჩენი აქტივები, რომლებიც ასახული არ არის 20 და 50%-იან საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების კატეგორიებში.

რისკის მიხედვით შენონილი თოთოეული კატეგორიის აქტივების მოცულობა გაიანგარიშება, როგორც აქტივების თითოეული კატეგორიის საბალანსო მოცულობა გამრავლებული ამ კატეგორიის აქტივების შესაბამისი რისკის კოეფიციენტზე, ხოლო რისკის მიხედვით შენონილი აქტივების მოცულობა არის რისკის მიხედვით შენონილი თითოეული კატეგორიის აქტივის მოცულობათა ჯამს გამოკლებული საექვო და უიმედო სესხების შესაძლო დანკარგების რეზერვის თანხა. აქედან გამომდინარე, ბანკი ახდენს რა მოზიდული სახსრების განკარგვას, რომელთა ნაწილიც ფასიანია, იღებს რისკს, რომელიც დაკავშირებულია მსესხებლების ნაწილის მხრიდან აღებული სესხების ვერ დაბრუნების ფაქტორებთან (რისკთან). მყოველი გაცემული სესხის ვერ დაბრუნება ამცირებს მის აქტივებს და შესაბამისად, ბანკის კაპიტალს.

„ეგთო“ – ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაა. მისი წევრები არიან: ავსტრია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვეცია, შვეიცარია.

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის სექტორული და კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობის პირობებში, რაც უფრო დიდია დაუბრუნებელი სესხების წილი საკრედიტო პორტფელში, მით უფრო იზრდება

საპროცენტო მარჟა, რომელსაც იძულებით აწესებს ბანკი, მისი ხარჯების დასაფარავად.

ასეთ შემთხვევაში, ბანკი ზრდის რა საბანკო მომსახურებაზე და საკრედიტო რესურსებზე ფასს, კიდევ უფრო ეცემა მისი საქმიანობის ეკონომიკური ეფექტი და კონკურენტუნარიანობა, რადგან მაღალი საპროცენტო განაკვეთების დადგენისას, ბანკი იძულებულია მიმართოს მაღალრისკიან საკრედიტო დაბანდებებს. ბუნებრივია, რომ ფულადი ბაზრის მოკლევადიანობისას, რაც უფრო იზრდება საპროცენტო განაკვეთები, მით უფრო მცირდება მსესხებლების მხრიდან მისი მომსახურების (დაბრუნების) ალბათობა.

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვისათვის ბალანსგარეშე ვალდებულებების კონტრაქტის მთლიანი თანხა გადაყვანება საბალანსო უწყისის კრედიტ-ექვივალენტურ თანხაში, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას იმავე კრიტერიუმებით, როგორც საბალანსო უწყისში რიცხული აქტივებისა.

ბალანსგარეშე ვალდებულებების კონტრაქტის მთლიანი თანხის საბალანსო უწყისის კრედიტ-ექვივალენტურ თანხაში გადაყვანის მიზნით, ბალანსგარეშე ვალდებულებები კრედიტ-კონვერსიის ფაქტორების გათვალისწინებით იყოფა 4 კატეგორიად და თითოეული კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებს შეესაბამება თავისი კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი:

ა) I კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, 100%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორი – კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი 1,0;

ბ) II კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, 50%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორი – კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი 0,5;

ბ) III კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, 20%-

იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორი – კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი 0,2;

დ) IV კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, 0%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორი – კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი 0.

100%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული I კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია:

ა) გაცემული გარანტიები, საბანკო აქცეპტები, სესხის გაცემის ვალდებულებები, თუ ამ ვალდებულებების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს;

ბ) გაყიდვის ვალდებულებები უკან გამოსყიდვის ვალდებულებებით, როდესაც საკრედიტო რისკს იღებს ბანკი და ამ ვალდებულებებს შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს;

გ) აქტივების შესყიდვის ვალდებულებები, თუ ამ ვალდებულებების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს.

50%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული II კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია ყველა 100%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს.

20%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული III კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია ტვირთებით უზრუნველყოფილი დოკუმენტირებული აკრედიტივები.

0%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული IV კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია ისეთი ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება უპირობოდ გააუქმოს ბანკმა.

საპროცენტო განაკვეთთან და სავალუტო კურსთან დაკავშირებული ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები

და სხვა ანალოგიური კონტრაქტებით წარმოშობილი ბალანს-გარეშე ვალდებულებების საკრედიტო რისკი ეხება ამ კონტრაქტის შესრულებიდან გამომდინარე პოტენციურ ზარალს და შესაბამისად ასეთი ბალანსგარეშე ვალდებულებების მთლიანი თანხა ექვემდებარება განსხვავებულ კრედიტ-კონვერსიის ფაქტორებს.

სავალუტო კურსთან დაკავშირებული ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ანალოგიური კონტრაქტებით წარმოშობილი ბალანსგარეშე ვალდებულები, რომელთა კონტრაქტის ვადა არ აღემატება 14 კალენდარულ დღეს, არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას.

საპროცენტო განაკვეთთან და სავალუტო კურსთან დაკავშირებული ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ანალოგიური კონტრაქტებით წარმოშობილი ბალანს-გარეშე ვალდებულებების მთლიანი თანხის საბალანსო უწყისის კრედიტ-ექვივალენტურ თანხაში გადაყვანა წარმოებს განსხვავებული სხვადასხვა კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტებით, ასეთი კონტრაქტების ვადის გათვალისწინებით. კერძოდ:

№	ვადა კონტრაქტის მიხედვით	კონტრაქტები საპროცენტო განაკვეთზე	კონტრაქტები სავალუტო კურზე
1.	1 წელზე ნაკლები	0.5%	2.0%
2.	1-დან 2 წლამდე	1.0%	5.0%
3.	ყოველ დამატებით წელზე	+1.0%	+3.0%

საბაზრო რისკის მიხედვით შენონილი აქტივები

საბაზრო რისკი არის ბანკის აქტივებსა და ბალანსგარეშე ვალდებულებებზე ზარალის მიღების რისკი, რომელიც შესაძლებელია გამოიწვიოს ბაზარზე ფასების მერყეობამ. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო, საფონდო, სავალუტო და სასაქონლო პოზიციის რისკებს. ამ პრინციპით საბაზრო რისკში ჩაითვლება მხოლოდ სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შემთხვევაში ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი. თავის მხრივ ასეთმა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის მოგებაზე, კაპიტალზე, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.

სავალუტო რისკის მიხედვით შენონვას ექვემდებარება ბანკის მიერ უცხოურ ვალუტაში ფორმირებული სესხები, დებიტორული დავალიანებები და მათზე დარიცხული და მისაღები პროცენტები, გარდა:

1. მსესხებლისათვის მიცემული სესხების და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტებისა და/ან მათი ნაწილისა, რომელთა დაფარვის წყაროა სასესხო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მსესხებელთა ექსპორტიდან მისაღები ფულადი სახსრები უცხოური ვალუტით და თუ მსესხებელს აქვს ექსპორტიდან უცხოური ვალუტით მისაღები ფულადი სახსრების დამადასტურებელი დოკუმენტები;
2. მსესხებლისათვის მიცემული სესხების და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტებისა და/ან მათი ნაწილისა, რომელთა დაფარვა უზრუნველყოფილია ამავე ბანკში უცხოურ ვალუტაში ფორმირებული დაჯავშნული დეპოზიტებით.

სავალუტო რისკის მიხედვით აქტივების შენონვას დაქვემდებარებული სესხები, დებიტორული დავალიანებები და მათზე დარიცხული მისაღები პროცენტები გაანგარიშებისას აიღება მთლიანი ღირებულებით.

სავალუტო რისკის მიხედვით შენონვას დაქვემდებარებულ აქტივებს შეესაბამება 100%-იანი რისკის კატეგორია და სავალუტო რისკის კოეფიციენტი 1.0.

საბაზრო რისკის მიხედვით შენონილი აქტივები გაიანგარიშება როგორც სავალუტო რისკის დაქვემდებარებული აქტივების მთლიანი თანხა, გამრავლებული სავალუტო რისკის კოეფიციენტზე.

სესხების კლასიფიკაცია და სესხების დანაკარგებზე რეზერვების შექმნა

საკრედიტო პორტფელის მეთოდური მეთვალყურეობა სესხების შეუფერხებელი დაფარვის აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ, სესხებზე მისაღები შემოსავლები რამდენიმე კატეგორიად იყოფა, რეგულარული და არარეგულარული დაფარვის და მათი დავალიანებების მიხედვით.

სასესხო ანგარიშები ვადაგადაცილებული ხდება და კლიენტები დამგვიანებლებად ითვლება გარკვეული ვადების გასვლის შემდეგ. ანუ, კონკრეტული ვალდებულება გადაუხდელოდ ითვლება აღებული ვალდებულების დაფარვის ბოლო თარიღის გასვლის შემდეგ. გავრცელებული პრაქტიკაა ვადაგადაცილებული სესხების მეთვალყურეობა და ამოღება დაევალოს სპეციალურ ამოღების სამსახურებს, რომლებიც ვალების ამოღებას არასასამართლო და სასამართლო წესით ანხორვიელებს.

სწრაფად მომსახურებადი სესხები – ეს ისეთი სესხებია, რომელთა მომსახურება სწრაფად ხდება და საჭირო არაა მათმიმართ ამოღების დამატებითი ღონისძიებების გატარება.

უიმედო სესხები სესხი ან საბარათე ანგარიში დავალიანების მქონედ ითვლება იმ მომენტიდან, როცა ყოველთვისური დაფარვის ვადა გადაცილდება. ამგვარმა ანგარიშებმა შეიძლება არარეგულარული ბრუნვები აჩვენოს, რაც მოთხოვნის არარეგულარული ამოღების შესაძლებლობას ქმნის. ასეთი ანგარიშების უმეტესობა ამგვარ ქცევას მხოლოდ დროებით აჩვენებს, რადგან დებიტორები თავიანთ ვალდებულებებს ისტუმრებენ და ანგარიშებიც სწრაფად მომსახურებადის სტა-

ტუსს უბრუნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკებმა დროულად უნდა აცნობონ თავიანთ ვადაგადაცილებების მქონე კლიენტებს (დარეკვით, არასასამართლო შეტყობინებით), რათა ეს ანგარიშები ვადაგადაცილებაში არ გადავიდეს.

უმოქმედო სესხები – რამდენიმე დაფარვის ვადის გადაუხდელად გასვლის შემდეგ (ეს რაოდენობა სხვადასხვა ბანკში სხვადასხვაა, ასევე განსხვავდება სესხების სახეები, ტიპების და ბარათების მიხედვით). როგორც წესი სესხის სამი დაფარვის გამოტოვების შემთხვევაში სესხები მუდმივ დავალიანებაში მყოფად ითვლება, სწრაფად მომსახურებადის სტატუსში ვერ დაბრუნდება და სრულად მოთხოვნადია.

მოთხოვნის ამოსაღებად ბანკები აუქმებენ ხელშეკრულებას, ანგარიშს ხურავენ და ატარებენ ღონისძიებებს, ჯერ არასასამართლოს, შემდეგ კი სასამართლო წესით.

სესხების კლასიფიცირების მოქმედი პრინციპები

სესხების კლასიფიცირების მოქმედი პრინციპები დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის დოკუმენტით – კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიცირებისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის მიხედვით – და ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკასა და სტანდარტებს.

ამ წესის მიხედვით, სესხების კლასიფიცირება წარმოებს ხუთი კატეგორიის მიხედვით და მოიცავს:

1. სტანდარტულ სესხებს;
2. საყურადღებო სესხებს;
3. არასტანდარტულ სესხებს;
4. საეჭვო სესხებს;
5. არასაიმედო(უიმედო) სესხებს.

1. სტანდარტული სესხები

ა) სესხი კლასიფიცირდება „სტანდარტულად“, თუ მისი ძირითადი თანხის და პროცენტის მუდმივად გადახდა დროულად წარმოებს, ამასთან, მსესხებლის კაპიტალი და გადახდისუნარიანობა სტაბილურია. ეს კლასიფიკაცია მისაღებია, როდესაც მსესხებელი ფინანსურად ძლიერია და აქვს საკმარისი კაპიტალი, რათა შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა მოულოდნელი მოვლენებისაგან, ასრულებს მომგებიანობასთან დაკავშირებულ თავის მიზნებს და აქვს საკმარისი ნაღდი ფული, რათა დროულად დააკმაყოფილოს ყველა ვალდებულება.

ბ) „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისთვის მიღებული გირაო ან იპოთეკა გამოყენებული იქნება როგორც უსაფრთხოების დამატებითი კომპონენტი, თუმცა მაინც საჭიროა მისი სწორად რეგისტრაცია და დოკუმენტურად დადასტურება.

გ) ბიზნესისათვის გაცემული სესხის შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილ ფინანსურ მახასიათებლებთან ერთად მსესხებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ბიზნეს-გეგმა რეალურია და პრაქტიკულად განხორციელებადი და რომ მისი ძირითადი პროდუქცია და მარკეტინგული სტრატეგია სტაბილურია და კონკურენტუნარიანი.

„სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხი წარმოადგენს ნორმალურ მდგომარეობას, მაგრამ ყველა კომერციულ ბანკს მაინც მოეთხოვება საერთო რეზერვის შექმნა თითოეული „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 2%-ის ოდენობით.

2. საყურადღებო სესხები

სესხი კლასიფიცირდება „საყურადღებოდ“, თუ:

ა) იგი ადეკვატურად არის დაცული, მაგრამ პოტენციურად სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ სესხის გაცემის დროს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და გადახდისუნარიანობა სტაბილური ჩანდა, შემდეგში გამოჩნდა გარკვეული ნაკლოვანებები და ტენდენციები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გამოსწორდება, შესაძლოა გაჩნდეს ეჭვი მსესხებლის მიმართ გააგრძელოს სესხის დროული დაფარვა. ასეთი სესხი ქმნის გაუმართლებელ საკრედიტო რისკს, მაგრამ არა ისეთს, რომ მიენიჭოს კლასიფიკაცია „არასტანდარტული“, იმიტომ, რომ საკრედიტო რისკი მოცემულ მომენტში მცირეა. ასეთი ნაკლოვანებების მაგალითებია ისეთი სიტუაციები, როდესაც საკრედიტო დოკუმენტაცია (ან მათი ნაწილი) დაკარგულია, არასრული ან მოძველებულია; როდესაც ბანკს არ ძალუძს აქტივების შესაბამისად მართვა ან მსესხებელთან სათანადო ურთიერთობა, ან როდესაც მთლიანად უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, გირაო ან იპოთეკა დოკუმენტურად არ არის სწორად გაფორმებული, გადაცემული ან რეგისტრირებული, ანდა როდესაც არსებობს ინფორმაცია გირაოს ან იპოთეკის საეჭვო მდგომარეობასთან ან მის მონიტორინგთან და კონტროლთან დაკავშირებით;

ბ) ბანკის განმეორებითი მოთხოვნის მიუხედავად მსესხებელმა ვერ მოახერხა ფინანსური ანგარიშგებების მიწოდება, მათ შორის საბალნსო უწყისის ან მოგება-ზარალის უწყისის, სამუშაო ან ბიზნეს-გეგმის, რაზეც არსებობდა შეთანხმება;

გ) მოსალოდნელია ისეთი მოვლენები მსესხებლის საქმიანობაში ან წარმოებაში, ან ისეთი მიმართულებები ბაზარზე, რომელთა გამოც შესაძლოა, რომ მსესხებლის მომავალი მოგება ან ბიზნესი გახდეს არასტაბილური, ანდა აღმოჩნდეს მნიშ-

ვნელოვნად გაუარესებული;

დ) გირაოსთან ან იპოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ არის სწორად გაფორმებული, ან როდესაც გირაო ან იპოთეკა არ არის სწორად რეგისტრირებული, და ამ ორიდან რომელიმე სიტუაციას თან ერთვის გადახდის პირველადი წყაროს საშუალებით ამ ვალის სათანადო დაფარვის დაქვეითებული უნარი;

ჟ) სესხის ვადაგადაცილებული პროცენტი დაუფარავია და დამატებულია ძირითად თანხაზე;

ზ) ნებისმიერი შეთანხმებული გადახდა ვადაგადაცილებულია 30 დღეზე ნაკლები პერიოდით. თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „საყურადღებოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 10%-ის ოდენობით.

3. არასტანდარტული სესხები

სესხი კლასიფიცირდება „არასტანდარტულად“, თუ:

ა) იგი არაადეკვატურად არის დაცული მსესხებლის კაპიტალითა და გადახდისუნარიანობით, ან გირაოს/იპოთეკის ღირებულებით. „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებულ სესხს გააჩნია ისეთი სისუსტეები ან პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის დავალიანების დაფარვას ან საეჭვოს ხდის მთლიან გადახდას;

ბ) სესხის გადახდის ძირითადი წყაროები, მათ შორის კაპიტალი და მოგება, არ არის საკმარისი ვალის გადასახდელად. ამიტომაც ბანკმა უნდა გამოიყენოს გადახდის სხვა წყაროები,

როგორცაა გირაოს ან იპოთეკის გაყიდვა, მსესხებლის სხვა აქტივების გაყიდვა ან მსესხებლის სხვა ვალ(ებ)ის რესტრუქტურზაცია. ამასთან, არსებობს სხვა ისეთი მნიშვნელოვნად უარყოფითი პირობები, როგორცაა: ღირებულების მქონე და რეალიზებადი გირაოს ან იპოთეკის არარსებობა, მსესხებლის აუხსნელი და ხანგრძლივი არყოფნა, ან საკუთარი ბიზნესისადმი უყურადღებობა.

ბ) საბლანკო ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 30 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „არასტანდარტული“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ასეთი კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი;

დ) მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 60 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „არასტანდარტული“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდეელი ნაშთის 30%-ის ოდენობით.

4. საექვო სესხები

სესხი კლასიფიცირდება „საექვოდ“, თუ:

ა) მას აქვს „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხის მახასიათებლები, მაგრამ არსებულ პირობებში მისი გადახდა საექვოა ერთ-ერთი ისეთი სისუსტის გამო, როგორცაა: გარკვეული და მნიშვნელოვანი ფაქტორის არსებობა, რომლი-

დან გამომდინარეც მოსალოდნელია ნაწილობრივი გადახდა უახლოეს პერიოდში და ამიტომ „უიმედო“ კლასიფიკაციის მინიჭება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის, სანამ ფაქტები უფრო არ გაირკვევა. „გარკვეული და მნიშვნელოვანი“ ფაქტორები მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა სესხის მიმდინარე ნაწილობრივი გადახდა ან გირაოს (იპოთეკის) დასაკუთრებისა და გაყიდვის პროცედურების დაწყება და განხორციელება უახლოეს მომავალში, ასევე დამატებითი გირაოს ან იპოთეკის ჩადების შესაძლებლობა, რითაც სესხი მთლიანად უზრუნველყოფილი გახდება.

ბ) საბლანკო ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 90 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „საეჭვო“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

ბ) მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 120 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „საეჭვო“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „საეჭვოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 50%-ის ოდენობით.

5. უიმედო სესხები

სესხი კლასიფიცირდება „უიმედოდ“, თუ:

ა) მსესხებლის გადახდისუუნარობის გამო შეუძლებელია მისი ამოღება ან ამოღებადი თანხა იმდენად მცირეა, რომ

იგი ბანკის ბალანსზე არ უნდა დარჩეს გირაოს ან იპოთეკის მიუხედავად, მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია 150 დღით;

ბ) 150-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილების მიუხედავად, მსესხებლის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სესხის ამოღება მთლიანად შეუძლებელია ან ამოსაღებად მოსალონდელი თანხები არ შეესაბამება ამოღებისათვის დახარჯულ დროსა და ხარჯებს.

ბ) დანაკარგები სესხებიდან ბალანსზე აისახება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დადგინდა, რომ მათი ამოღება შეუძლებელია. მათი საბუღალტრო აღრიცხვა უნდა შეწყდეს და ისინი უნდა ჩამოიწეროს ამავე პერიოდის ბალანსიდან.

ბანკებმა ძალისხმევა უნდა მიმართონ „უიმედოდ“ კლასიფიცირებული სესხების კანონიერად ამოღებისაკენ სათანადო ზომების გამოყენებით, ყველა არსებული გირაოს ან იპოთეკის დასაკუთრებასთან და გაყიდვასთან დაკავშირებული (კანონმდებლობით გათვალისწინებული) პროცედურების დაცვის ჩათვლით.

ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „უიმედოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 100%-ის ოდენობით.

ვადაგადაცილების დღეები შეთანხმებული გადახდის დღიდან	სესხზე შესაძლო დანაკარგის რეზერვის კლასიფიკაცია
0-30	სტანდარტული — 2%
30-60	საყურადღებო — 10% (ნეგატიური)
60-120	არასტანდარტული — 30% (ნეგატიური)
120-150	საეჭვო — 50% (ნეგატიური)
150 დღეზე მეტი	უიმედო — 100% (ნეგატიური)

შესაძლო დანაკარგების რეზერვების (PLL)
შექმნის და სესხებზე და ლიზინგზე
დასაშვები დანაკარგების რეზერვების (ALLL) ან
იგივე სარეზერვო ანგარიშის (LRR)
ფორმირების პრაქტიკა

საბანკო პრაქტიკაში საკრედიტო რისკების დასაზღვევად და საბანკო კაპიტალზე სესხების დანაკარგებიდან უარყოფითი ეფექტის შესამცირებლად თავისებური ფინანსური ბალიშის სახით ფართოდ გამოიყენება სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის და სესხებზე და ლიზინგზე დასაშვები დანაკარგების რეზერვების ან იგივე სარეზერვო ანგარიშის ფორმირების პრაქტიკა. ნიშანდობლივია, რომ PLL არ წარმოადგენს ფულად აქტივს და იგი დაიანგარიშება ხარჯებში ცვეთის ანალოგიურად, რაც შეეხება ALLL-ს საბუღალტრო ბალანსში იგი აისახება აქტივებში უარყოფითი ნიშნით და აკლდება სესხების მოცულობას, რის შედეგადაც ვიღებთ წმინდა კრედიტს. შესაბამისად, თუ რომელიმე სესხი ჩამოიწერება მცირდება რეზერვის ანგარიშიც.

სტანდარტულ სესხებზე როგორც წესი რეზერვირება არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ბანკები და წამყვანი არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებები, იყენებენ საკრედიტო ანალიზის მაკრო მეთოდს, ანუ ანალიზი კეთდება საკუთრივ საკრედიტო დაწესებულების საკრედიტო პორთფელის და მთლიანად დარგის ანალიზის შედეგად. ამ მეთოდის მიხედვით დგინდება წლის განმავლობაში ყოველკვარტალური მაჩვენებლების მიხედვით სესხებზე დანაკარგების ერთიანი რეზერვი, რომელიც დაიანგარიშება სესხებზე წმინდა დანაკარგების შფარდებით მთლიან საკრედიტო პორთფელთან.

რისკების გრადაცია და სესხების კლასიფიკატორები

საბანკო და სხვა საკრედიტო ინსტიტუტები ფართოდ გამოიყენებენ კრედიტის სარეიტინგო სისტემებს რისკების გრადაციისთვის. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გამოცდილი მეთოდი არის ბინორალურ 5 ფაქტორიან მოდელზე დაყრდნობით კრედიტის დამაკმაყოფილებელი/არადამაკმაყოფილებელი გათვალისწინებით. დამაკმაყოფილებელი ხარისხის სესხები ქმნიან პირველ ჯგუფს, თავის მხრივ არადამაკმაყოფილებელი სესხები 4 ჯგუფად იშლება რისკების დონის ზრდის მიხედვით სესხების ცნობილი კლასიფიკატორის პრინციპით: საყურადღებო, არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო. ბოლო ოთხი ჯგუფი ქმნის კრიტიკულ რეიტინგულ ჯგუფს დეფოლტის შესაბამისი ალბათობებით:

- საყურადღებო – დ = 0,1,
- არასტანდარტული – დ = 0,3
- საეჭვო – დ = 0,5,
- უიმედო – დ = 1,00

თავის მხრივ „დამაკმაყოფილებელი“ სესხების ხარისხის ჯგუფი ბაზელი 1-ის მიხედვით ძალზე ფართო დიაპაზონში მერყეობს AAA რეიტინგის კრედიტებიდან დაბალი ხარისხის ე.წ „ნაგავის“ კატეგორიად მიჩნეულ სესხებამდე. საკრედიტო რისკების მოდელირების თანამედროვე სისტემები ცდილობენ გაავლონ გარკვეული ხაზები სესხების ხარისხს შორის და ერთ-ერთ ასეთ მოდელად მიღებულია 10 ბალიანი მოდელი, რომელსაც ქართული ბანკების ნაწილი იყებს კიდევ.

სახის ხარისხი	რეიტინგი
საინვესტიციო კლასის	1-3 (AAA დან BBB)
არასაინვესტიციო კლასის	4-6 (BB დან BB-)
მიგრაციის ალბათობის ქვეშ მყოფი	6 (B-)
პრობლემური	7-10 (არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, უიმედომდე)

ასევე ფართოდ გამოიყენება ურთიერთკავშირი საბანკო კრედიტის რეიტინგების მაჩვენებლის სესხების კლასიფიკაციის მაჩვენებლებთან მიმართებაში.

კატეგორია	საბანკო კრედიტის კლასიფიკაცია	კლასიფიკაცია რეგულატორის	აოტანციური რეიტინგი
0	უზრუნველყოფილი	სტანდარტული	AAA
1	საუკეთესო	სტანდარტული	AA
2	ძალიან კარგი	სტანდარტული	A
3	კარგი	სტანდარტული	BBB
4	დამაკმაყოფილებელი	სტანდარტული	BB
5	მისაღები	სტანდარტული	B
4	საყურადღებო	საყურადღებო	CCC
5	არასტანდარტული	არასტანდარტული	CC
4	საეჭვო	საეჭვო	C
5	უიმედო	უიმედო	D

ბუნებრივია, როდესაც კრედიტი არის მაღალრეიტინგული, ასეთ სესხს რეზერვების შექმნა შეიძლება არც კი სჭირდებოდეს, მაგრამ აუციოლებლად უნდა გვახსოვდეს რომ ყოველთვის არსებობს რეიტინგების მიგრაციის ალბათობაც.

ახლა განვიხილოთ მაკრომეთოდის ანალიზის შემთხვევა, საკრედიტო ანალიზი მისი საბალანსო ღირებულების და შესაძლო დანაკარგებისა და ინვესტიციის ალტერნატიული სარგებლის მიხედვით. დავუშვათ სესხის საბალანსო ღირებულება არის 50 000 ლარი, იმ შემთხვევაში თუ სესხი ხდება პრობლემური და მისი დაფარვა დგება ეჭვის ქვეშ, მაშინ საკრედიტო ინსტიტუტი იძულებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, მაგალითად სესხი გადასცეს აქტივების მართვის სააგენტოს ან აღსრულების სამსახურს. ასეთი ქმედება დაკავშირებული იქნება ხარჯებთან, რასაც დაემატება დამატებითი ხარჯები პროცენტებისა და ძირითადი თანხის ამოღებასთან დაკავშირებით.

	სესხის პოზიცია	მოცულობა, ლარი
1	საბალანსო ღირებულება	50 000
2	სესხზე შესაძლო დანაკარგები, დამატებით ხარჯებამდე	12 000
3=1-2	მოსალოდნელი საბაზრო ღირებულება	38 000
4	მოსალოდნელი დამატებითი და სესხის ამოღების ხარჯები (10%)	3 800
5=3-4	სუფთა საბაზრო ღირებულება	34 200
6	ინვესტიციის ალტერნატიული შემოსავლიანობა (12%)	4 104
7=5-6	სუფთა საბაზრო ღირებულების მიმდინარე ღირებულება	30 096
8=1-7	მოსალოდნელი ზარალი	19 904
9	პროცენტულად საბაზრო ღირებულებასთან, %	39,8 %
10	სუფთა საბაზრო ღირებულება /საბაზრო ღირებულებასთან, %	68 %

ანალიზისას წმინდა საბაზრო ღირებულებას აკლდება ინვესტიციის ალტერნატიული შემოსავლიანობა, რადგან თუ სესხი უმოქმედოა ბანკი ვერ იღებს შემოსავალს ამ პერიოდში, ანუ ერთწლიან დროის ჰორიზონტზე იანგარიშება ამ თანხის სადისკონტო ღირებულება ერთი წლის შემდეგ $34\ 200/1,12=30\ 096$ ლარი;

როგორც ვხედავთ მოსალოდნელი ზარალი სესხის საბაზრო ღირებულებასთან საკმაოდ მაღალია და 40 %-ს აღწევს, ასევე მაღალია საბაზრო ღირებულება საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში – 68 %.

ბანკების მიერ საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების დოკუმენტური ოპერაციები და რისკები

საერთაშორისო ვაჭრობის მზარდი განვითარება მე-15-მე-17 საუკუნეებს უკავშირდება. ამ ეპოქაში ევროპაში შეიქმნა პირველი საბანკო და საბირჟო დაწესებულებები, რომლებმაც სავაჭრო ოპერაციების დაფინანსება, ანგარიშსწორება, დაზღვევა დაიწყეს. თუმცა საბანკო საქმიანობის ისტორია ძალზე ძველია და შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ფულის პირველი ნიშნების გაჩენის შემდეგ, ძველ სამყაროში მოქმედებდნენ ე.წ. სავახშო სახლები, რომლებიც თანამედროვე ლომბარდების წინაპრებად უნდა მივიჩნიოთ. ფაქტიურად მსხვილი ვაჭრები მევახშეებიც იყვნენ. ამ პერიოდს ემთხვევა თამასუქების ბაზრისა და პირველი ბირჟების განვითარება, რასაც მოგვიანებით ხელი შეუწყო ტელეგრაფის გამოგონებამ. ვაჭრობა განსაკუთრებით აღმავლობას განიცდის სავაჭრო კაპიტალიზმის ინდუსტრიულ კაპიტალიზმში გადასვლის შემდეგ.

საერთაშორისო ვაჭრობა კაპიტალიზმის პირობებში სულ უფრო ვითარდება, რასაც თან ერთვის ერთი მხრივ სატრანსპორტო არტერიების გაფართოება და განვითარება მთელ მსოფლიოში და მეორეს მხრივ, საფინანსო და სავაჭრო ბაზრების ინტეგრაცია. ვაჭრობაში განსაკუთრებული როლი საბანკო დაწესებულებებს უკავია, რომლებიც ფინანსური შუამავლის ფუნქციას ასრულებენ. ბანკების საოპერაციო არეალია ეკონომიკის პირობებში სულ უფრო იზრდება და დღეს მსოფლიოს ოთხივე კონტინენტს მოიცავს.

ბანკების ასეთი განსაკუთრებული როლი კი უპირველესად, დაკავშირებულია ანგარიშსწორების სისტემებთან, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს ფულადი სახსრების სწრაფი გადარიცხვები ერთი ქვეყნიდან მეორეში. საქონლის სანაცვლოდ ფულის მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები ხორციელდება ბანკი კორესპოდენტების საშუალებით.

საერთაშორისო ვაჭრობაში საბანკო მომსახურება მოიცავს:

1. კლიენტისათვის უცხოურ ან ეროვნულ ვალუტაში ანგარიშების გახსნას;
2. ბანკის კლიენტურის ანგარიშების გახსნას უცხოეთის ბანკებში და მათ მომსახურებას;
3. კლიენტებისათვის სახსრების გაცემას ბანკი კორესპოდენტების საშუალებით;
4. კლიენტურისათვის ინკასოს ან დოკუმენტური აკრედიტივით მომსახურების განწესებას, მათ შორის გადასაპირებელი თამასუქის განაღდება-აქცეპტირებას, აქცეპტირებადი კრედიტის მომსახურებას და ა.შ.

საერთაშორისო ვაჭრობაში ბანკებისა და კლიენტურის ურთიერთობა, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებისას, დაკავშირებულია ერთის მხრივ გამყიდველის ბანკთან და მეორეს მხრივ მყიდველის ბანკთან. ბანკი კორესპოდენტის ანუ უცხოურ ბანკში კლიენტის მომსახურებისათვის გახსნილი ბანკის ანგარიშის (საკორესპოდენტო ანგარიშის) მეშვეობით ხორციელდება კლიენტურისათვის გადახდის დოკუმენტით, ინკასოთ ან დოკუმენტური აკრედიტივით მომსახურების განწესება.

აღნიშნული მოიცავს:

- კლიენტის სახელით უცხოური ვალუტის გადარიცხვას იმპორტიორებისათვის საქონლის მიმწოდებლის ქვეყანაში (იმპორტის ოპერაციები);

- კლიენტურის მომსახურებას უცხოეთიდან წამოსული გადარიცხვების მისაღებად (ექსპორტის ოპერაციები);
- დოკუმენტალურ ინკასირებას ექსპორტიორის სახელით ქვეყნის შიგნით ან უცხოელი მყიდველისათვის საზღვარგარეთ;
- მოთხოვნის საფუძველზე იმპორტის ოპერაციების განხორციელებისას მყიდველისათვის აკრედიტივის გახსნას და მომსახურებას;

საერთაშორისო ვაჭრობისათვის ასევე დამახასიათებელია მთელი რიგი სირთულეები, რაც აისახება ქვეყნებს შორის კულტურული თავისებურებებით ან ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონით. იგი დაკავშირებულია ქვეყნებს შორის დროისა და მანძილის პრობლემასთან, რაც თავის მხრივ წარმოშობს როგორც ქვეყნის, ასევე სავალუტო, საკრედიტო, საოპერაციო და სხვა ხასიათის რისკებს.

ამ სახის რისკები საერთაშორისო ვაჭრობაში, მიუხედავად საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და ქვეყნებს შორის საკანონმდებლო განსხვავებების მინიმიზაციისა, დღესაც სერიოზულად ზემოქმედებს სავაჭრო ოპერაციებზე.

ცალკეულ მათგანზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და ხელახლა აღარ დავუბრუნდებით.

საერთაშორისო ვაჭრობაში წამყვანი ადგილი **ლიზინგურ და ფაქტორინგულ ოპერაციებს** უკავიათ.

საერთაშორისო ტერმინოლოგიაში **ლიზინგი (LEASING)** განმარტებულია როგორც იჯარა მანქანა-დანადგარების შესაძენად, მაგრამ ჩვეულებრივი იჯარისაგან განსხვავებით ლიზინგური ხელშეკრულების დროს საკუთრების უფლება მთელი საიჯარო პერიოდის მანძილზე მეიჯარის საკუთრებაში რჩება.

როდესაც მეიჯარედ ბანკი გვევლინება ლიზინგი იღებს ფინანსური ლიზინგის ფორმას, ანუ მეიჯარედ გამოდის ბანკი, რომელიც კლიენტის დავალების საფუძველზე საკუთარი სახს-

რებით ყიდულობს მანქანა– დანადგარებს და მას შემდეგ იჯარით გადასცემს ცლიენტს.

სალიზინგო ხელშეკრულების ვადა, როგორც წესი ამორტიზაციის ვადის ტოლია ან მასზე ცოტათი ნაკლებია, ხოლო საიჯარო თანხა შედგება ამორტიზაციის ნორმისაგან, სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში ბანკის მიერ განუული ხარჯებისაგან, საკომისიო მომსახურებისა და საპროცენტო განაკვეთისაგან, რომელიც გძელვადიანი კრედიტის განაკვეთის ადექვატურია.

ლიზინგი ბანკისათვის საკმაოდ მიმზიდველი და მომგებიანი ოპერაციაა, რადგან ბანკი იღებს ერთის მხრივ საპროცენტო და საკომისიო შემოსავალს და მეორეს მხრივ, არის მყარი საგარანტიო უზრუნველყოფაც, რადგან სალიზინგო ხელშეკრულების საგანი ბანკის საკუთრებაში სალიზინგო პერიოდის მანძილზე რჩება.

ფაქტორინგული ოპერაცია (FACTORING) წარმოადგენს ბანკის მხრიდან განხორციელებულ საშუამავლო ოპერაციას, რომლის დროსაც ბანკი გამოდის საქონლის მიმწოდებლის კრედიტორის როლში საგადასახადო მოთხოვნების შექენის გზით. ამრიგად ლიზინგისაგან განსხვავებით, ფაქტორინგი წარმოადგენს საქონლის, მომსახურების მიმწოდებლის დაკრედიტებას ფაქტორინგული კრედიტის სახით, წინასწარი გადახდის (ავანსის) გზით, რომელიც დაახლოებით სახელშეკრულებო თანხის 80 %-ს შეადგენს.

ფაქტორინგული დაკრედიტებისას წინასწარ განისაზღვრება არა მხოლოდ ავანსის თანხა, არამედ კრედიტის საპროცენტო განაკვეთი (რომელიც მოკლევადიანი კრედიტის საშუალო საპროცენტო განაკვეთს 2-3 %-ით აღემატება), კრედიტის ვადა, რეგრესის უფლება და აშ.

ანგარიშსწორებები საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებისას

საერთაშორისო ვაჭრობაში საბანკო ოპერაციების დროს რამდენიმე სახის ანგარიშსწორება გამოიყენება. ანგარიშსწორების ხასიათი დამოკიდებულია ერთის მხრივ მყიდველსა და გამყიდველს შორის ნდობის ფაქტორზე და მეორეს მხრივ, ქვეყნებს შორის მანძილზე. საერთაშორისო ვაჭრობა, როგორც წესი, ხორციელდება უნაღდო ფულადი ბრუნვის საშუალებით. უნაღდო ანგარიშსწორება კონტრაგენტებს შორის ბანკთაშორისი ანგარიშსწორების გზით ხდება და თითოეული ბანკის (როგორც წესი მყიდველისა და გამყიდველის ბანკების) ბალანსზე გახსნილი ანგარიშების მეშვეობით ხორციელდება. ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემა ანგარიშების ორ ტიპზე ლორო (LORO) და ნოსტრო (NOSTRO) ანგარიშებზე არის დაფუძნებული ანუ უცხოეთის ბანკებში ან უცხოეთის ბანკების მიერ გახსნილი საკორესპოდენტო ანგარიშების გამოყენებით ხდება.

უნაღდო ანგარიშსწორები მოიცავს: საგადასახადო დავალებებს, აკრედიტივებს, საგადახდო მოთხოვნა-დავალებებს, ჩეკებს და საინკასო დავალებებს. გადამხდელსა და სახსრების მიმღებს შორის ანგარიშსწორების ფორმები განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე.

ბანკების მიერ **საინკასო (INCASSO)** მომსახურება წარმოადგენს საშუალებას, რომლის მიხედვითაც საქონლის მიმწოდებელს (ექსპორტიორს) აქვს უფლება მოითხოვოს გადახდა დებიტორების მხრიდან. საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში ინკასო განმარტებულია როგორც "ბანკის მიერ თამასუქების, საბანკო ტრატების, ჩეკების ან სხვა სახის დოკუმენტების, ინკასირება (დამუშავება) მიღება, გადაცემა და წარდგენა, რწმუნებული პირის დავალების საფუძველზე

აგარიშსწორებისათვის ან აქცეპტისათვის, კლიენტების ან-გარიშებიდან”.

უნდა გვახსოვდეს, რომ ინკასო წარმოადგენს ბანკის მხრი-დან დოკუმენტების ინკასირებას და არა ვალის ინკასაციას. ბანკი არ არის გარანტი იმისა, რომ ექსპორტიორისათვის დე-ბიტორის მხრიდან აუცილებლად მოხდება საქონლის სანაცვ-ლოდ შესაბამისი თანხის გადახდა. აქედან გამომდინარე, ბანკი პასუხს აგებს მხოლოდ დოკუმენტების ინკასირების პროცე-დურაზე, ანუ ის უნდა იყოს დარწმუნებული, რომ დოკუმენტე-ბი დაგზავნილი ან დამონმებულია, ხოლო ფულადი სახსრები გადაგზავნილია ექსპორტიორის (გამყიდველის) ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომერციული დოკუმენტები შეიცავს სატრანსპორტო ზედდებულს, მაგრამ არა კონოსა-მენტს, მაშინ საკუთრების უფლების მქონე დოკუმენტის არქო-ნის მიუხედავად ექსპორტიორს მაინც რჩება გამოსავალი თუ იგი სასაქონლო პარტიას გაუგზავნის უცხოურ ბანკს ან დან-იშნავს ამ ბანკს მყიდველის ქვეყანაში სასაქონლო ტვირთის მიმღებად ან მაკონტროლებელ პირად.

იმ შემთხვევაში თუ უცხოელი მყიდველი უარს გა-ნაცხადებს გადაიხადოს საკონტრაქტო თანხა ან მოახდინოს გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტირება, მაშინ ექსპორტი-ორის დავალების საფუძველზე სასაქონლო ტვირთზე კონ-ტროლის შედეგად ბანკს შეუძლია გასცეს განკაერგულება საქონლის შენახვაზე მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით ან განახორციელოს ტვირთის ხელმეორედ გადატვირთვა ექსპორტიორის დავალებით.

დოკუმენტური ინკასოს მნიშვნელოვანი თავისებურება მომდინარეობს ბანკის მიერ კომერციული დოკუმენტების და-მუშავების პროცესში, ამ დოკუმენტებზე საკუთრების უფლები-დან, ანუ **კონონსამენტიდან (CONOSAMENT)**, რაც თავის მხრივ ექსპორტიორს აძლევს უფლებას სასაქონლო კონტროლზე

მანამ, სანამ მყიდველი არ გადაიხდის საკონტრაქტო თანხას ან არ გაუკეთებს აქცეპტს (დასტურს) ექსპორტიორის მიერ გამომწერილ გადასაპირებელ თამასუქს.

სასაქონლო კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ დოკუმენტური ინკასოს პირობებში, რადგან სუფთა ინკასოს დროს კომერციული დოკუმენტების მიწოდება კონტრაქტორებს შორის ხორციელდება, ხოლო ბანკები მხოლოდ ფინანსური დოკუმენტების ინკასირებას ახდენენ.

ანგარიშსწორება ღია ანგარიშით (OPEN PAYMANT) – ამ სახის ანგარიშსწორებისას გამყიდველი აწვდის მყიდველს საქონელს ყოველგვარი გარანტიების გარეშე, ხოლო მყიდველი გადარიცხავს შესაბამის საკონტრაქტო თანხას საქონლის მიმწოდებლის ანგარიშზე ანგარიშსწორების დღისათვის. აქედან გამომდინარე, გამყიდველს არა აქვს არანაირი გარანტია, რომ მყიდველი საქონლის შეძენაზე უარს არ იტყვის, ხოლო მყიდველს არ აქვს გარანტია რომ მას უნაკლო საქონელი მიეწოდება დათქმულ ვადაში. ამ სახის ანგარიშსწორებები როგორც წესი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ხორციელდება საქონლის ერთი საწყობიდან (ქვეყნიდან) მეორეში (ქვეყანაში) გადატანის დროს ან ერთი იმ ფირმეს შორის რომლებიც ერთმანეთს კარგად იცნობენ.

ანგარიშსწორება დოკუმენტების სანაცვლოდ (PAYMANT AGAINST DOCUMENTS) – ექსპორტიორი საქონლის დატვითვის შემდეგ თავის მომსახურე ბანკს გადასცემს დოკუმენტაციას, რომელიც ასახავს და ადასტურებს როგორც გადასატვირთი საქონლის რაობას, ასევე ამ საქონელზე უფლების ფლობასაც. ამავდროულად, ის აძლევს დავალებას თავის მომსახურე ბანკს გადასცეს ეს დოკუმენტები საქონლის მყიდველს მისი ბანკის მეშვეობით. ამ სახის ურთიერთობები რეგულირდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის დებულებით ინკასოზე.

არსებობს ინკასოს ორი ფორმა დოკუმენტური და უდოკუ-

აგარიშსწორებისათვის ან აქცეპტისათვის, კლიენტების ანგარიშებიდან”.

უნდა გვახსოვდეს, რომ ინკასო წარმოადგენს ბანკის მხრიდან დოკუმენტების ინკასირებას და არა ვალის ინკასაციას. ბანკი არ არის გარანტი იმისა, რომ ექსპორტიორისათვის დებიტორის მხრიდან აუცილებლად მოხდება საქონლის სანაცვლოდ შესაბამისი თანხის გადახდა. აქედან გამომდინარე, ბანკი პასუხს აგებს მხოლოდ დოკუმენტების ინკასირების პროცედურაზე, ანუ ის უნდა იყოს დარწმუნებული, რომ დოკუმენტები დაგზავნილი ან დამონმებულია, ხოლო ფულადი სახსრები გადაგზავნილია ექსპორტიორის (გამყიდველის) ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომერციული დოკუმენტები შეიცავს სატრანსპორტო ზედდებულს, მაგრამ არა კონოსამენტს, მაშინ საკუთრების უფლების მქონე დოკუმენტის არქონის მიუხედავად ექსპორტიორს მაინც რჩება გამოსავალი თუ იგი სასაქონლო პარტიას გაუგზავნის უცხოურ ბანკს ან დანიშნავს ამ ბანკს მყიდველის ქვეყანაში სასაქონლო ტვირთის მიმღებად ან მაკონტროლებელ პირად.

იმ შემთხვევაში თუ უცხოელი მყიდველი უარს განაცხადებს გადაიხადოს საკონტრაქტო თანხა ან მოახდინოს გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტირება, მაშინ ექსპორტიორის დავალების საფუძველზე სასაქონლო ტვირთზე კონტროლის შედეგად ბანკს შეუძლია გასცეს განკაერგულება საქონლის შენახვაზე მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით ან განახორციელოს ტვირთის ხელმეორედ გადატვირთვა ექსპორტიორის დავალებით.

დოკუმენტური ინკასოს მნიშვნელოვანი თავისებურება მომდინარეობს ბანკის მიერ კომერციული დოკუმენტების დამუშავების პროცესში, ამ დოკუმენტებზე საკუთრების უფლებიდან, ანუ **კონოსამენტიდან (CONOSAMENT)**, რაც თავის მხრივ ექსპორტიორს აძლევს უფლებას სასაქონლო კონტროლზე

მანამ, სანამ მყიდველი არ გადაიხდის საკონტრაქტო თანხას ან არ გაუკეთებს აქცეპტს (დასტურს) ექსპორტიორის მიერ გამონერილ გადასაპირებელ თამასუქს.

სასაქონლო კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ დოკუმენტური ინკასოს პირობებში, რადგან სუფთა ინკასოს დროს კომერციული დოკუმენტების მიწოდება კონტრაქტორებს შორის ხორციელდება, ხოლო ბანკები მხოლოდ ფინანსური დოკუმენტების ინკასირებას ახდენენ.

ანგარიშსწორება ღია ანგარიშით (OPEN PAYMANT) – ამ სახის ანგარიშსწორებისას გამყიდველი აწვდის მყიდველს საქონელს ყოველგვარი გარანტიების გარეშე, ხოლო მყიდველი გადარიცხავს შესაბამის საკონტრაქტო თანხას საქონლის მიმწოდებლის ანგარიშზე ანგარიშსწორების დღისათვის. აქედან გამომდინარე, გამყიდველს არა აქვს არანაირი გარანტია, რომ მყიდველი საქონლის შეძენაზე უარს არ იტყვის, ხოლო მყიდველს არ აქვს გარანტია რომ მას უნაკლო საქონელი მიეწოდება დათქმულ ვადაში. ამ სახის ანგარიშსწორებები როგორც წესი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ხორციელდება საქონლის ერთი საწყობიდან (ქვეყნიდან) მეორეში (ქვეყანაში) გადატანის დროს ან ერთი იმ ფირმეს შორის რომლებიც ერთმანეთს კარგად იცნობენ.

ანგარიშსწორება დოკუმენტების სანაცვლოდ (PAYMANT AGAINST DOCUMENTS) – ექსპორტიორი საქონლის დატვითვის შემდეგ თავის მომსახურე ბანკს გადასცემს დოკუმენტაციას, რომელიც ასახავს და ადასტურებს როგორც გადასატვირთი საქონლის რაობას, ასევე ამ საქონელზე უფლების ფლობასაც. ამავდროულად, ის აძლევს დავალებას თავის მომსახურე ბანკს გადასცეს ეს დოკუმენტები საქონლის მყიდველს მისი ბანკის მეშვეობით. ამ სახის ურთიერთობები რეგულირდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის დებულებით ინკასოზე.

არსებობს ინკასოს ორი ფორმა დოკუმენტური და უდოკუ-


მენტო ინკასო. დოკუმენტური ინკასოს დროს განიხილავენ D/P და D/A ვარიანტებს.

D/P (Document Against Payment) – იგი ცნობილია როგორც დოკუმენტები ანგარიშსწორების სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში მყიდველისათვის სასაქონლო დოკუმენტაციის გადაცემა ბანკის მიერ ხდება ნაღდი ანგარიშსწორების ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ნაღდი ანგარიშსწორების ფორმა ძირითადად ერთი ქვეყნის შიგნით გამოიყენება


D/A (Document Against Acceptance) – დოკუმენტები აქცეპტის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში მყიდველის ბანკი იტოვებს უფლებას გადასცეს სასაქონლო დოკუმენტები თავის კლიენტს იმ პირობით, რომ მოხდეს გამყიდველის მიერ წარმოდგენილი თამასჯის განაღდება, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების დღემდე და რჩება მასთან ან მიეწოდება გამყიდველს მისი ბანკის რეშეობით.

გარდა დოკუმენტური ინკასოსი არის კიდევ უდოკუმენტო ინკასოც (Paperless Collection). უდოკუმენტო ინკასოს პირობებში როდესაც საქონელი დაიტვირთება გამყიდველის მიერ და გაიგზავნება საჰაერო ან საგზაო ტრანსპორტით, არ არის გამოორიცხული საქონელი მანამდე მივიდეს ადრესატამდე ვიდრე თავად დოკუმენტაცია (მაგ. საფოსტა ვგზავნილების სისტემა DHL-ით). ასეთ შემთხვევაში დოკუმენტაცია ან მისდევს პროდუქციას, რომელსაც მყიდველი მისი ბანკის მეშვეობით იღებს მაგალითად სვიფტით (SWIFT). ამ სახის ანგარიშსწორებები ძირითადად იმ ფირმებს შორის გამოიყენება, რომლებიც ერთმანეთს კარგად იცნობენ და დარწმუნებული არიან მყიდველის ფინანსურ შესაძლებლობებში, რადგან არ არსებობს ცალსახა გარანტია, რომ ამ დროს ბანკი გადასცემს კლიენტს დოკუმენტს მხოლოდ ანგარიშსწორების სანაცვლოდ. ინკასირების პროცესში მონაწილეები არიან როგორც საქონლის გამყიდველი (ექსპორტიორი) და საქონლის მყიდველი (იმპორტიორი).

დოკუმენტების მოძრაობის სქემა სუფთა ინკასოს დროს შემდეგნაირად გამოიყურება:



დოკუმენტების მოძრაობის სქემა დოკუმენტალური ინკასოს დროს შემდეგნაირად გამოიყურება;“



როგორც უკვე ავლიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებისას ბანკები ფართოდ იყენებენ დოკუმენტური ინკასოს მომსახურებას.

დოკუმენტური ინკასო წარმოადგენს ექსპორტიორის მიერ ბანკისათვის მიცემულ განკარგულებას მოახდინოს იმპორტიორისაგან გარკვეული თანხის ინკასირება კომერციული დოკუმენტების (რომელთაც შეიძლება თან ახლდეს ფინანსური დოკუმენტებიც) სანაცვლოდ.

დოკუმენტური ინკასო ძირითადად მიზანშეწონილია, როდესაც:

- იმპორტიორსა და ექსპორტიორს აქვთ ერთად მუშაობის გამოცდილება და ენდობიან ერთმანეთს;
- მყიდველის გადახდისუნარიანობა და გადახდის სურვილი არ არის საეჭვო;
- იმპორტიორი მხარის ქვეყანაში არის სტაბილური პოლიტიკური, ლეგალური და ეკონომიკური გარემო;
- არ არსებობს იმპორტის შეფერხებები იმპორტიორი მხარის ქვეყანაში და ყველა საჭირო ლიცენზია უკვე არსებობს.

აღნიშნული წესით ანგარიშწორების უპირატესობას ასევე წარმოადგენს ის, რომ ექსპორტიორს აქვს საშუალება შეინარჩუნოს კონტროლი საქონელზე გადამხდელის მიერ გადახდის განხორციელებამდე ან თამასუქის მიღებამდე, პერაციის შესრულება მარტივი და იაფია, გადახდა ხშირად უფრო სწრაფად სრულდება ვიდრე ღია ანგარიშის შემთხვევაში.

დოკუმენტური ინკასოს შემთხვევაში, თანხა ერიცხება პრინციპალს (ექსპორტიორს) მხოლოდ და მხოლოდ ტრასატისგან (იმპორტიორისგან) ანაზღაურების მიღების შემდეგ.

როდესაც ბანკი ანხორციელებს დოკუმენტური ინკასოს ოპერაციას, იგი თანახმაა შეასრულოს გამყიდველის საინკასო

დავალების ინსტრუქციები, მაგრამ არ იღებს თავის თავზე გადახდის ვალდებულებას. აკრედიტივის შემთხვევაში, კი დამმონმებელი ბანკი ან აკრედიტივის გამცემი ბანკი ვალდებულია გადახდაზე იმ პირობით თუ ბენეფიციარი სრულად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული აკრედიტივის პირობების შესრულებას.

როგორც უკვე აღინიშნა, ღია ანგარიშსწორება მიჩნეულია ყველაზე სახიფათო გადახდის ფორმად ექსპორტიორისათვის, მხარისატივის რომელიც პროდუქციას ყიდის. ექსპორტიორისათვის კი არც სუფთა ინკასოა ბოლომდე უხიფათო, მაგრამ ამ სქემაში მას ეხმარება ბანკი რემიტენტი და ინკასირების ბანკი. დოკუმენტური ინკასოს შემთხვევაში ამ სქემის მოდერნიზაცია ხდება მყიდველისადმი გაგზავნილი ფინანსური და კომერციული დოკუმენტების საშუალებით ანგარიშსწორების წინ ან თამასუქის განაღდებას. მიუხედავად ამ სქემაში ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებისა არც დოკუმენტალური ინკასო არის ექსპორტიორისათვის სრული გარანტია. რადგან არსებობს დაშვება უცხოელი მყიდველის მხრიდან გადასაპირებელ ან უბრალო თამასუქზე უარის თქმისა, ხოლო გადახდა ექსპორტიორისათვის არ არის ბანკის მხრიდან გარანტირებული. ინკასოსთან შედარებით გაცილებით უხიფათო ფორმად დოკუმენტური აკრედიტივი ითვლება, რომელიც გახსნილია მყიდველის ბანკის მიერ და მყიდველის დავალების საფუძველზე გამყიდველის ბანკში გამყიდველის სახელზე.

დოკუმენტური აკრედიტივი (LETTER OF CREDIT) არის როგორც გადახდის საშუალება, ასევე ფინანსების მიღების საშუალება. იგი წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობაში გადახდის უხიფათო (ურისკო) ფორმას, თუ ექსპორტიორი დაიცავს ვადებსა და კონტრაქტის პირობებს. ამასთანავე დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს ბანკისაგან მოკლევადიანი ფინანსირების საშუალებასაც საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსე-

ბლად, რადგან ბანკმა შეიძლება გაანაღდოს ან იყიდოს გადასაპირებელი თამასუქი. ამ შემთხვევაში :

• ექსპორტიორი დაიყოვნებლივ მიიღებს საჭირო თანხას (საკომისიოსა და განაღდების თანხის პროცენტის გამოკლებით) და არ დაელოდება საკრედიტო პერიოდს (ვთქვათ 30 ან 45 დღეს).

• მყიდველს, საქონელზე თანხის გადახდამდე, შეეძლება მიიღოს თანხა (სესხი);

ახლა ვნახოთ თუ რა პროცედურულ მხარეს ითვალისწინებს აკრედიტივის გახსნა, იმისათვის რათა უფრო ცხადი გახდეს აკრედიტივთან მუშაობის სპეციფიკა.

1. გაყიდვის ხელშეკრულების დადებისას მყიდველი და გამყიდველი დებენ ხელშეკრულებას რომელშიც გათვალისწინებულია ანგარიშსწორება აკრედიტივის გამოყენებით.
2. მყიდველი თავის მომსახურე ბანკს აძლევს დავალებას გახსნას აკრედიტივი ექსპორტიორის სასარგებლოდ. ბანკი რომელიც გახსნის აკრედიტივს ეწოდება ბანკი ემიტენტი. მყიდველი გამოდის აკრედიტივის დავალების მიმცემად, ხოლო ექსპორტიორი აკრედიტივუის ბენეფიციარად.
3. ბანკი აძლევს თანხმობას გახსნას აკრედიტივი მისი კლიენტისათვის. ბანკი, რომელიც გამოდის ბანკი ემიტენტის როლში, აკრედიტივის გაფორმებით გარანტიას აძლევს ბენეფიციარს ანუ ექსპორტიორს გადახდაზე.
4. ბანკი ემიტენტი მიმართავს თხოვნით ექსპორტიორის ბანკს მოახდინოს აკრედიტივის ავიზირება და აცნობოს ექსპორტიორს ამის შესახებ. ეს ბანკი ცნობილია ავიზო ბანკის სახელით. იგი თავის თავზე იღებს ვალდებულებას მოახდინოს დოკუმენტების

დამუშავება, მაგრამ თავის თავზე არანაირ გარანტიას არ იღებს გადახდაზე. ავიზო ბანკს შეიძლება თხოვოს ბანკმა ემიტენტმა აკრედიტივის დადასტურება, რასაც დადასტურების შემთხვევაში **დადასტურებული აკრედიტივი** ეწოდება.

5. ტვირთის გადმოტვირთვის შემდეგ ექსპორტიორი ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები ბანკში. ასეთ შემთხვევაში იგი იძენს დოკუმენტური აკრედიტივის ფორმას. დოკუმენტური აკრედიტივის დროს ექსპორტიორს შეიძლება მოეთხოვოს სხვა დოკუმენტებთან ერთად გადაპირებადი თამასუქი ბანკი ემიტენტის სახელზე, მყიდველის სახელზე ან სხვა ბანკის სახელზე რომელიც მითითებულია ამ აკრედიტივში.
6. როდესაც ავიზო ბანკი დარწმუნდება ექსპორტიორის დოკუმენტების სისწორეში, ექსპორტიორს ეძლევა საშუალება მიიღოს თანხა, როგორც თამასუქის სასწრაფო განაღდებათ, ასევე მისი აქცეპტირებით.

დოკუმენტური აკრედიტივის დროს გამოარჩევენ **გამოთხოვად და გამოუთხოვ** აკრედიტივებს. **გამოთხოვადი** აკრედიტივი უფლებას აძლევს მყიდველს (იმპორტიორს) შეიტანოს აკრედიტივის პირობებში გარკვეული სახის ცვლილებები ან საერთოდ გააუქმოს იგი, ექსპორტიორის წინასწარი შეტყობინების გარეშე. აქედან გამომდინარე, ექსპორტიორისათვის იგი მიუღებელია და ძალზე იშვიათად გამოიყენება. მაგრამ მისი გამოყენება მაინც ხდება და ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქონლის გადატვირთვა ხდება რამდენიმე პარტიად, გადახდა ყოველ ცალკეულ პარტიაზე ხორციელდება ცალ-ცალკე, ან აკრედიტივი ფარავს ყველა სახის საქონლის გადმოტვირთვას.

გამოუთხოვი აკრედიტივი ფართოდ არის გავრცელებული, რადგან მისი კორექტირება, ან საერთოდ გაუქმება, ამ სქემაში მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესის გათვალისწინებით ხდება. მაგრამ გამოუთხოვი აკრედიტივსაც აქვს თავისი მინუსები. იმ შემთხვევაში თუ მყიდველის ქვეყანაში წარმოიქმნება პოლიტიკური რისკები ან მიღებული იქნება სამთავრობო დადგენილებები სავალუტო რეგულირებაზე. როგორც ცნობილია მყიდველის ბანკი გამოდის აკრედიტივის გადახდის გარანტიად, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მას წარმოექმნება გადახდისუნარიანობის პრობლემები, ექსპორტიორი დაზღვეული რისკისაგან ვერ იქნება. ექსპორტიორს შეუძლია ამ სახის რისკის მინიმიზაციაც თუ მოახდენს გამოუთხოვადი აკრედიტივის დადასტურებას საკუთარი ბანკის მიერ. ექსპორტიორის ქვეყანაში მომსახურე ან ავიზო ბანკის მიერ გამოუთხოვადი აკრედიტივის დადასტურებას ეწოდება **გამოუთხოვადი დადასტურებული აკრედიტივი**.

იმპორტიორისათვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს აკრედიტივი დადასტურებული იქნება თუ დაუდასტურებელი, რადგან მყიდველის ბანკი არის მისი გამომწერი და თანხის ექსპორტიორისათვის გადამრიცხველი იმის და მიუხედავად აკრედიტივი რა სახისაა. დოკუმენტური აკრედიტივების მიწუსი არის დროის დეფიციტში. მისი გამოთხოვის და გაუქმების მიზეზი ხშირად ხდება ბენეფიციარის უუნარობა აკრედიტივის მოქმედების ვადაში მიაწოდოს დოკუმენტაცია მეორე მხარეს.

აკრედიტივის ფორმებიდან ასევე პრაქტიკაში გამოიყენება ალდგენადი და განახლებადი აკრედიტივები.

ალდგენადი აკრედიტივი გამოიყენება იმ შემთხვევაში როდესაც იმპორტიორი საზღვარგარეთიდან იღებს საქონლის რეგულარულ პარტიებს, მაგალითად სიგარეტს ყიველთვიურად. საქონლის მიმწოდებელი ითხოვს ანგარიშსწორებას აკრედიტივის გამოყენებით, ან ბანკს არ სურს წარადგინოს

აკრედიტივი ტვირთის მთლიან ღირებულებაზე, რამდენიმე თვის განმავლობაში, კლიენტის ფინანსური მდგომარეობიდან ან თანხის სიდიდიდან გამომდინარე. მაგალითისათვის თუ ქართული იმპორტიორი კომპანიას აქვს შესაძლებლობა ყოველთვიურად მიიღოს ტვირთი თურქეთიდან 50 000 დოლარის ღირებულებისა, საქონლის მიმწოდებელმა შეიძლება მოითხოვოს მყიდველის მხრიდან აკრედიტივის გახსნა მომდევნო 12 თვის მანძილზე 600 000 დოლარის ღირებულებაზე. ასეთ შემთხვევაში იმპორტიორის ქართული ბანკი დათანხმდება აკრედიტივის გახსნის კორექტირებულ ვარიანტზე მაგ. 150 000 დოლარზე, რაც საშუალებას იძლევა საქონლის 3 ჯერ შემოტანისათვის. ამ შემთხვევაში მყიდველი ზოგავს დროსა და თანხას აკრედიტივის მომსახურებისათვის.

განახლებადი აკრედიტივის დროს აკრედიტივის თანხა შეიძლება განახლდეს ან აღდგეს ამ აკრედიტივის განუახლებლად მისი ვადის გასვლის შემდეგ. იგი შეიძლება იყოს გამოთხოვადი და გამოუთხოვადი. ამ ტიპის აკრედიტივს სხვაგვარად **რევილვერული აკრედიტივიც** ჰქვია. განახლებადი აკრედიტივის ფორმებიდან გამოიყოფა დაგროვებადი და არადაგროვებადი აკრედიტივები. დაგროვებადი განახლებადი აკრედიტივი იძლევა საშუალებას წინა თვეში გამოუყენებელი თანხის მომავალ თვეში გადასტანად, საწინააღმდეგოდ მეორე ვარიანტისა, რომელიც აკრედიტივის თანხის მაქსიმალურ ათვისებას ეფუძნება. ასე მაგალითად თუ პირველ თვეში 10000 დოლარზე გამოყენებული იქნა მხოლოდ 8000, მაშინ მეორე თვეში გამოყენებული თანხი მოცულობა იქნება 12 000 დოლარი.

აღდგენადი აკრედიტივისაგან განსხვავებით როდესაც ბანკი წარადგენს რევილვერულ აკრედიტივს, ბანკი და მისი კლიენტი იღებენ პასუხისმგებლობას კრედიტის მთელ თანხაზე და არა მის ნაწილზე.

აკრედიტივები ექვემდებარებიან საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს და ბანკებს აქვთ უფლება ისარგებლონ დოკუმენტალური ოპერაციების შემონმების საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული დებულებებით.

დოკუმენტალური ოპერაციებით ანგარიშსწორებისას გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული შემდეგი პუბლიკაციები:

- აკრედიტივის უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები – პუბლიკაცია №500;
- დოკუმენტალური ინკასოს უნიფიცირებული წესები – პუბლიკაცია №522;
- დოკუმენტალური ოპერაციების შემონმების წესები – პუბლიკაცია №645;
- დოკუმენტალურ ოპერაციებში გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტული ფორმები – პუბლიკაცია №516;
- რამბურხის წესით დოკუმენტალური აკრედიტივით ოპერაციების წარმოება – პუბლიკაცია №525.

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებისას ინკასოს მსგავსად, აკრედიტივი ითვლება გაცილებით უფრო ნაკლებრისკიან ოპერაციად, როგორც იმპორტიორის დაზღვევისათვის (მყიდველი მხოლოდ მაშინ გადაიხდის თანხას თუ დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის პირობებს), ასხევე ექსპორტიორის დასაზღვევად, რადგან მყიდველს არ შეუძლია დააყოვნოს გადახდა რაიმე პირადი პრეტენზიის გამო.

ექსპორტიორისათვის	(გამყიდველისათვის): იმპორტიორისათვის
(მყიდველისათვის):	ბანკი შეასრულებს აკრედიტივით განსაზღვრულ გადახდას მყიდველისაგან დამოუკიდებლად. აკრედიტივის გახსნით იმპორტიორი ადასტურებს თავის გადახდისუნარიანობას და შეუძლია მიაღწიოს გადახდის უფრო ხელსაყრელ პირობებს.
მყიდველს არ შეუძლია დააყოვნოს გადახდა რაიმე პირადი პრეტენზიის საფუძველზე. პროდუქცია მიწოდებული იქნება აკრედიტივში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.	თუ მყიდველს სურს გაასაჩივროს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, მან ეს უნდა მოახდინოს აკრედიტივისაგან დამოუკიდებლად. მყიდველი იღებს მის მიერ აკრედიტივით მოთხოვნილ დოკუმენტებს კონკრეტულ ვადაში.
დაყოვნება, ისეთი როგორცაა საბანკო გადარიცხვა, მაქსიმალურამდე არის თავიდან აცილებული; მყიდველი დარწმუნებულია, რომ იგი გადაიხდის თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები ყველა ასპექტში შეესაბამება აკრედიტივის პირობებს	
ექსპორტიორისათვის	(გამყიდველისათვის): იმპორტიორისათვის

საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენებული არაფულადი ანგარიშსწორების მეთოდები

საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტიორი და იმპორტიორი გარიგების კონტრაქტის დადებისას ერთმანეთს უთანხმებენ საქონლის მიწოდების, ანგარიშსწორებისა და გადახდის პირობებს. ანგარიშსწორებისას გარდა ფულისა ფართოდ არის გამოყენებული ჩეკები, გადასაპირებელი თამასუქები; საბანკო ტრატები, ხოლო ანგარიშსწორება ხორციელდება სხვადასხვა ელექტრონული სისტემებით, სვიფტით და საერთაშორისო ფულადი გადარიცხვებით.

ჩეკით ანგარიშსწორება საერთაშორისო ვაჭრობაში ანგარიშსწორების დროში შედარებით განეწილ ვარიანტს წარმოადგენს. ექსპორტიორი აძლევს ბანკს დავალებას ჩეკის განაღდებაზე, რომელიც ექვემდებარება აუცილებელი წესით ინკასირებას.

იმ შემთხვევაში თუ მყიდველი გამონერს ჩეკს გამყიდველის (ექსპორტიორის) სასარგებლოდ, იგი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- ✱ მყიდველი აგზავნის ჩეკს საფოსტო გზავნილით, ექსპორტიორის მისამართზე
- € ექსპორტიორი თავის მხრივ ამ ჩეკს წარუდგენს თავის მომსახურე ბანკს
- € ექსპორტიორის ბანკი გადააგზავნის დამონმებულ ჩეკს მყიდველის ბანკში, რომელიც თავის მხრივ უკვე ახდენს ამ ჩეკის მეშვეობით ანგარიშსწორებას და ადებეტებს თავისი კლიენტის ანუ მყიდველის ანგარიშს
- € მყიდველის ბანკის მიერ გამყიდველის ბანკში თანხის ჩარიცხვის ეს უკანასკნელი ახდენს თანხის გამყიდველის ანგარიშზე დაკრედიტებას მომსახურების თანხის გამოქვითვით.

არის მეორე ვარიანტიც: იმ შემთხვევაში თუ უცხოელი მყიდველი გამონერს ჩეკს ადგილობრივ ვალუტაში, მაშინ ეს საკითხი აუცილებლად უნდა შეთანხმდეს თავის მომსახურე ბანკთან პირველ რიგში, რათა ბანკმა მოახდინოს ჩეკის მეშვეობით ამ თანხის დადებეტება ადგილობრივ ვალუტაში.

განსხვავებული შემთხვევაა, თუ ჩეკი გამონერლია გამყიდველის ან მყიდველი ქვეყნის ვალუტაში ან მესამე ქვეყნის ვალუტაში, მაშინ ექსპორტისას:

- ✱ თუ ექსპორტიორს აქვს ინვალუტური ანგარიში თავის მომსახურე ბანკში, მაშინ მას შეუძლია მოახდინოს ამ

ანგარისზე საჭირო თანხის დაკრედიტება ჩეკის თანხის მიხედვით.

- ⊗ სხვა შემთხვევაში ექსპორტიორი აძლევს ბანკს დავალებას, რათა ბანკმა დააკრედიტოს მისი ანგარიში ადგილობრივ ვალუტაში, ხოლო ბანკი იყიდის უცხოურ ვალუტას ამ ეროვნული ვალუტის სანაცვლოდ.

ექსპორტის შემთხვევის ანალოგიურია იმპორტიორის პოზიციაც, ოღონდ აქცენტებია შეცვლილი და იგივე პროცედურა ხორციელდება გამყიდველიდან მყიდველისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ჩეკებით ვაჭრობისას არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც ამ სახის ანგარიშსწორების დიდ მინუსად ითვლება. ეს ეხება ანგარიშსწორების განხორციელების დროის შედარებით დიდ მონაკვეთს.

მთლიანობაში საერთაშორისო ვაჭრობაში ჩეკების გამოყენების მინუსები შემდეგია:

- ⊗ ექსპორტიორი (გამყიდველი) იმისათვის, რათა მიიღოს თანხა მყიდველისაგან, უნდა დაუკავშირდეს თავის ბანკს და მისცეს დავალება ჩეკის მომსახურებაზე, შესაბამისად ბანკი იღებს საკომისიოს ამ ოპერაციისათვის
- ⊗ ჩეკი შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს მყიდველის ქვეყნის კანონმდებლობასთან სავალუტო რეგულირების ნაწილში, რამაც შესაძლებელია ანგარიშსწორება შეაფერხოს
- ⊗ ჩეკი შეიძლება დაიკარგოს საფოსტო გზავნილით გადაგზავნისას
- ⊗ ჩეკი შეიძლება არ დაიფაროს და არ მოხდეს მისი განაღდება მყიდველის მიერ წარდგენისას.

საბანკო ტრატა არის იგივე ჩეკი, ოღონდ გამოწერილი არა კლიენტის მიერ ბანკისათვის გასანაღდებად, არამედ თავად ბანკის მიერ. იგი შეიცავს მითითებას გადახდაზე საკუთარი

საკორესპონდენტო ანგარიშიდან, უცხოეთში მისი ბანკი კორესპოდენტის ანგარიშზე. საბანკო ტრატის პროცედურა მცირედით განსხვავდება საჩეკო პროცედურისაგან.

დავუშვათ, ქართველ იმპორტიორს აქვს სურვილი საქონლის მიმწოდებელს გაუსწოროს ანგარიში მიმწოდებლის ქვეყნის ვალუტაში საბანკო ტრატის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ის წერილობითი ფორმით ატყობინებს თავის ბანკს ამ სახის საბანკო ტრატის გამოწერაზე. ამ მოთხოვნაში იმპორტიორი უთითებს ბანკს რათა მან იყიდოს საქონლის მომწოდებლის (ექსპორტიორის) ქვეყნის ვალუტა მისი სახელით სპოტ ბაზარზე და შესაბამისად, დაადებტოს მისი ანგარიში ამ ტრატის უცხოურ ვალუტაში ექვივალენტური თანხით, საბანკო მომსახურების საკომისიოს გამოკლებით. მხოლოდ ამის შემდეგ ტრატა უნდა გადაეგზავნოს ექსპორტიორი ფირმის წარმომადგენელს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავად კლიენტია პასუხისმგებელი გამყიდველის ქვეყანაში ამ ტრატის გადაგზავნაზე.

ჩეკებით ანგარიშსწორება საქართველოში ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული "საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების მიხედვით".

საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენებული სატრანსპორტო და გადასატვირთი დოკუმენტაცია

საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენებული საქონლის გადასატვირთი დოკუმენტაცია შედგება: ანგარიშფაქტურისაგან, დაზღვევაზე დროებითი ხელწერილისაგან, სადაზღვევო სერთიფიკატებისაგან ან სადაზღვევო პოლისებისაგან, სადაზღვევო ზედდებულებისა და კონოსამენტისაგან.

სატრანსპორტო დოკუმენტებიდან უნდა გამოიყოს კონონ-სამენტი, რომელიც წარმოადგენს:

- გემის მფლობელის მიერ გაცემულ ხელწერილს ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ საქონელზე
- ვალდებულებას საქონლის ადგილზე მიტანის თაობაზე იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის გემზე იქნა გადატვირთული
- საკუთრების უფლების დამდასტურებელ დოკუმენტაციას, რადგან მხოლოდ კონოსამენტის მფლობელს აქვს უფლება მოითხოვოს საქონელი სატრანსპორტო კომპანიისაგან.

ამდენად, სატრანსპორტო დოკუმენტაცია შეიცავს დოკუმენტაციას საქონლის ერთი ქვეყნიდან მეორეში ტრანსპორტირებისათვის, ხოლო გადასატვირთი დოკუმენტაცია ყველა სახის დოკუმენტებს რომელიც განკუთვნილია საქონლის გასაგზავნად.

საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის ტრანსპორტირებისა და დოკუმენტირების პირობები

საერთაშორისო ვაჭრობაში საქონელი გამყიდველისაკენ სანყობიდან ან ქარხნიდან იტვირთება და საქონლის დანიშნულების ადგილამდე სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდება. ყველაფერი დამოკიდებულია გეოგრაფიულ არეალსა და ქვეყნებს შორის მანძილზე. ტრანსპორტირებისას შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მხოლოდ ერთი სახის სატრანსპორტო საშუალება, ასევე რამდენიმე ერთად. საბოლოო ადგილამდე ტვირთი შეიძლება მივიდეს სახმელეთო გზით, შემდეგ მან გზა გააგრძელოს გემით და შემდეგ ისევ სახმელეთო გზით და ა.შ.

საერთაშორისო ვაჭრობაში საექსპორტო ოპერაციების წარმოებისას კონტრაქტში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული თუ რა ვალდებულებებს იღებენ თავის თავზე მხარეები, ანუ საქონლის გადაადგილებისას ქარხნიდან ან საწყობიდან საბოლოო დანიშნულების ადგილზე მიტანამდე ვინ რა პასუხისმგებლობას იღებს, სად იწყება და სად მთავრდება ეს პასუხისმგებლობები და ვინ რამდენს იხდის. ეს ტერმინოლოგიები აღინიშნება საერთაშორისო უნიფიცირებულ ენაზე და იწოდება "ინკოტერმსი" (INCOTERMS _ International Commercial Terms). ეს არის საერთაშორისო სავაჭრო ენა, რომელიც დაადგინა საერთაშორისო სავაჭრო პალატამ (International Chamber of Commers -ICC) და სადღეისოდ 13 მთავარ ტერმინს მოიცავს. საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტებში ამ ტერმინებიდან განსაკუთრებით გავრცელებული და მიღებული ხუთი ტერმინია.

1. **Ex-Work** – ფრანკო ქარხანა. თუ კონტრაქტში ჩანერილია Ex-Work, ეს იმას ნიშნავს, რომ გამყიდველი ვალდებულია საქონელი მყიდველს დაახვედროს ადგილზე (ქარხანაში ან საწყობში). ყველა დანარჩენი ოპერაცია, საქონლის საბოლოო დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირების ჩათვლით უკვე მყიდველის მიერ ხორციელდება. ამ სახის კონტრაქტები როგორც წესი გამოიყენება ერთი ქვეყნის შიგნით ან ერთი ფირმის მიერ ერთი ქვეყნის საწყობიდან მეორე ქვეყნის საწყობში გადატანისას.
2. **FAS (Freight Alongside Sheep)** – ფრანკო გემის გემბანამდე. თუ კონტრაქტში ჩანერილია FAS საქონლის გამყიდველი ვალდებულია იზრუნოს ტვირთის გემის გემბანამდე მიტანაზე, ანუ გადაიხადოს ყველა სახის ხარჯი ქარხნიდან თუ საწყობიდან გემის გემბანამდე ტვირთის მიტანის ტრანსპორტირების და დაზღვევის ჩათვლით

და მიიღოს სანაცვლოდ ყველა დოკუმენტი
მყიდველისაგან.

ამის შემდეგ საქონლის საბოლოო დანიშნულების ადგილზე
მიტანის ყველა დანარჩენ ოპერაციაზე პასუხისმგებელია მყ-
იდველი. ანუ მან უნდა:

- აირჩიოს საქონლის გადამტანი ექსპედიტორი ან გემი
- განახორციელოს საქონლის ჩატვითვა გემში და გა-
დაიხადოს შესაბამისი ანაზღაურება გემზე ჩატვირთ-
ვის და გემით ტრანსპორტირების ღირებულების ჩათ-
ვლით.
- განახორციელოს გემით ტრანსპორტირების დაზღვევა
და გადაიხადოს მისი საფასური;
- გააფორმოს საექსპორტო ლიცენზიები და გადაიხადოს
საექსპორტო გადასახადი (ასეთების არსებობის შემ-
თხვევაში).

3. FOB (Freight off Board) – ფრანკო გემბანი. კონტრაქტში
ჩანანერი FOB ნიშნავს, რომ საქონელი გამყიდველის
მიერ ჩაიტვირთება გემზე იმ პორტში, რომელიც
მითითებულია კონტრაქტში.

გამყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს საქონლის გემამდე მიტანა და გადაიხა-
დოს საქონლის საფასური და დაზღვევის საფასური
- მიიღოს და გადაიხადოს საექსპორტო ლიცენზია
- გადაიხადოს საექსპორტო მოსაკრებელი
- საქონელი განათავსოს გემბანზე
- გადაიხადოს საქონლის გემბანზე ჩატვირთვის საფასური
- მიიღოს ცნობა საქონლის მდგომარეობის შესახებ, რომ
იგი არ არის დაზიანებული
- მყიდველს აცნობოს საქონლის დატვირთვის შესახებ.

ამის შემდეგ მყიდველი ვალდებულია ყველა დანარჩენ ოპერაციაზე საქონლის ადგილზე მიტანით, ანუ მან უნდა:

მიუთითოს ტვირთის გადამზიდავი კომპანიის დასახელება, თარიღი და გასვლის დრო

მიანოდოს გამყიდველს ინფორმაცია გადამზიდავი კომპანიის დასახელებაზე, თარიღსა და გასვლის დროზე

- გადაიხადოს გემბანიდან ტვირთის გადმოტვირთვის საფასური
- დააზღვიოს საქონელი და გადაიხადოს მისი საფასური.

4. CFR (Cost and Freight) – ღირებულება და ფრახტი. ეს ჩანაწერი ანალოგიურია წინა ჩანაწერისა, ოღონდ ფრანკო გემბანისაგან განსხვავებით, გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ყველა გადასახადი და საფასური დანიშნულების ადგილზე საქონლის მიტანამდე. კონტრაქტში ჩანაწერი CFR ნიშნავს, რომ გამყიდველმა ორგანიზება უნდა გაუკეთოს საქონლის ერთი ქვეყნიდან მეორემდე გადაზიდვას და უნდა გადაიხადოს ყველა სახის გადასახადი საქონლის გადმოტვირთვამდე და დააზღვიოს საქონელი ამ ადგილამდე.

ამის შემდეგ უკვე მყიდველია ვალდებული ყველა დანარჩენ ოპერაციაზე საქონლის საბოლოო დანიშნულების ადგილამდე.

5. CIF (Cost, Insurance & Freight) – ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი. ეს ჩანაწერი წარმოადგენს წინა ვარიანტის გაგრძელებას, იმ განსხვავებით, რომ გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის დაზღვევის თანხა მყიდველის პორტამდე.

“ინკოტერმის” (INCOTERMS) ტერმინოლოგია ტვირთის მოძრაობის მიხედვით.

	EX Work	FAS	FOB	CFR	CIF
ტვირთის ღირებულება და დაზღვევა გემბანამდე	მყიდველი	გამყიდველი	გამყიდველი	გამყიდველი	გამყიდველი
ტვირთის გემბანზე და ტვირთის ღირებულება	მყიდველი	მყიდველი	გამყიდველი	გამყიდველი	გამყიდველი
საექსპორტო გადასახადი, ლიცენზიები	მყიდველი	მყიდველი	გამყიდველი	გამყიდველი	გამყიდველი
გადაზიდვის ხარჯები პორტიდან, აეროპორტიდან მიმღების ქვეყნამდე	მყიდველი	მყიდველი	მყიდველი	გამყიდველი	გამყიდველი
სადაზღვევო ხარჯები პორტიდან, აეროპორტიდან მიმღების ქვეყნამდე	მყიდველი	მყიდველი	მყიდველი	მყიდველი	გამყიდველი
ტვირთის გადმოტვირთვის ხარჯები	მყიდველი	მყიდველი	მყიდველი	მყიდველი	გამყიდველი
ტვირთის სააფასური და დაზღვევა მიმღების პორტიდან ტვირთის მიტანის ბოლო ადგილამდე	მყიდველი	მყიდველი	მყიდველი	მყიდველი	მყიდველი

აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი ცნებები, არსი და ამოცანები

აქტივებისა და პასივების მართვა პირველ რიგში ორიენტირებულია მოკლევადიან პერსპექტივაზე და დაკავშირებულია ბანკის ბალანსის მართვის ყოველდღიურ მუშაობასთან. ის მიმართულია შემოსავლიანობის მაქსიმიზებასა და საბანკო საქმიანობის რისკების შეზღუდვაზე.

აქტივებისა და პასივების მართვის ათვლის სანყისი წერტილია ბანკის რესურსების ბაზის ფორმირების ანალიზი, ე.ი. ვალდებულებების, ნასესხები და საკუთარი სახსრების ანალიზი.

აქტივებისა და პასივების მართვა წარმოადგენს ბანკის მოთხოვნებისა და ვალდებულებების მართვის კოორდინირებულ პროცესს, ე.ი. მხედველობაში მიიღება ბანკის მთლიანი ბალანსის მართვა საპროცენტო განაკვეთებისა და ლიკვიდობის რისკის ჩათვლით.

აქტივებისა და პასივების მართვისადმი კომპლექსური მიდგომა საშუალებას იძლევა შემდეგი ამოცანების გადანყვეტისათვის:

- საჭირო ლიკვიდობის უზრუნველყოფა
- ოპერაციის მომგებიანობის განსაზღვრული დონის შენარჩუნება
- საბანკო რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

მოკლევადიან პერსპექტივაში აქტივებისა და პასივების მართვის (ALM) მთავარი ცვლადია წმინდა საპროცენტო შემოსავალი (ნსშ), ან ამ მაჩვენებლის ფარდობითი ფორმა – წმინდა

საპროცენტო მარჟა (**ნსშ** / შემოსავლის მომტანი აქტივები). ასეთი მიდგომა განსაზღვრავს ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავლის (**ნსშ**) ცვლილებას, როგორც საპროცენტო განაკვეთებისა და გეპ-ის მოულოდნელი ცვლილებების შედეგს. **გეპ**-ი წარმოადგენს სხვაობას (განსაზღვრული პერიოდისთვის) საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისადმი მგრძობიარე აქტივებსა (**სმა**) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისადმი მგრძობიარე პასივებს (**სმპ**) შორის:

$$\text{გეპი} = \text{სმა} - \text{სმპ}$$

- ⊕ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისადმი მგრძობიარე აქტივები – ჩვეულებრივი კრედიტები და ინვესტიციები ფასიან ქალაქებში;
- ⊕ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისადმი მგრძობიარე პასივები – დეპოზიტები და ნასესხობები ფულად ბაზარზე.

აქტივებისა და პასივების მართვის თვალსაზრისით მიზნების მიღწევის სტრატეგია განისაზღვრება შემდეგი ეტაპის მიხედვით:

1. სპრედ-ის მართვა
2. ზედნადები ხარჯების კონტროლი
3. ლიკვიდობის მართვა
4. კაპიტალის მართვა
5. გადასახადების მართვა
6. ბალანსგარეშე საქმიანობის მართვა.

მთლიანობაში აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს ბალანსის მართვის მეთოდში, რომელიც შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან

I ეტაპი (საერთო)	
აქტივების მართვა	პასივების მართვა კაპიტალის მართვა
II ეტაპი (სპეციფიკური)	
რეზერვების მდგომარეობის მართვა	რეზერვების მიხედვით ვალდებულებების მართვა
ლიკვიდობის მართვა	პასივების და ვალდებულებების (სესხების მიხედვით) საერთო მართვა
ინვესტიციების მართვა	გრძელვადიანი ვალდებულებების მართვა
სესხების მართვა	
რეალური ძირითადი კაპიტალის მართვა	კაპიტალის მართვა
III ეტაპი (ბალანსი როგორც მოგება-ზარალის ანგარიშის საფუძველი)	
<p>მოგება = შემოსავალი – საპროცენტო ხარჯები – ზედნაღები ხარჯები-გადასახადები</p>	

აქტივებისა და პასივების მართვის ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელები

აქტივებისა და პასივების მართვაში გამოიყოფა ორი მიდგომა:

- ბუღალტრული, ორიენტირებული წმინდა მოგებაზე
- ეკონომიკური, გამოიყოფა ბანკის საკუთარი საბაზრო ღირებულება.

ამ მიდგომების დაყოფას საფუძვლად უდევს დროის ფაქტორი, ამიტომაც ბუღალტრული მოდელი განიხილება, როგორც ბანკების ტაქტიკის საფუძველი და ყურადღება გამახვილებულია აქტივებისა და პასივების მართვის მოკლევადიან (1 წლამდე) პერიოდზე, ხოლო ეკონომიკური მოდელი განიხილება, როგორც ბანკის სტრატეგია საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ბუღალტრული მოდელი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი (წსშ) – ეს ბანკის შემოსავლის საფუძველია. ამ შემთხვევაში აქტივების და პასივების მართვის მნიშვნელოვანი ცვლადია წმინდა საპროცენტო შემოსავალი ან მისი ფარდობითი სიდიდე წმინდა საპროცენტო მარჟის სახით. ამ შემთხვევაში აქტივებისა და პასივების მიზანია წმინდა საპროცენტო შემოსავლის (წსშ) მაქსიმიზაცია მოცემული დონის რისკის პირობებში ან პირიქით, რისკის მინიმიზაცია წმინდა საპროცენტო შემოსავლის არსებული დონის პირობებში.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასა და წმინდა საპროცენტო შემოსავლის ცვლილებას შორის დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

$$\text{წსშ} = \text{დელტა } r \times (\text{სმა} - \text{სმპ})$$

თუ გეპ-ის განხილული პერიოდისათვის საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება, მაშინ დადებითი გეპ-ი გამოიწვევს წმინდა საპროცენტო შემოსავლის გაზრდას, თუ განაკვეთი შემცირდება, მაშინ უარყოფითი გეპ-ი გამოიწვევს წმინდა საპროცენტო შემოსავლის შემცირებას.

გეპ-მენეჯმენტთან ერთად საპროცენტო რისკის შეფასებისათვის ფინანსურ ანალიზში ფართოდ გამოიყენება ხანგრძლივობის (დიურაციის) ანალიზის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ფულადი სახსრების მოძრაობის ვადებს, საშუალებას იძლევა შეაფასოს ბანკის აქტივებისა და პასივების საბაზრო ღირებულების ცვლილება, რომლებიც მგრძობიარეა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე.

ეკონომიკური მოდელი და ბანკის საკუთარი კაპიტალის საბაზრო შეფასება

საპროცენტო რისკის ეკონომიკური მოდელის მნიშვნელოვანი ნაწილია საბანკო აქტივების და პასივების საბაზრო მგრძობიარობის შეფასება. ამ დროს აქცენტი კეთდება საბაზრო ფასებზე, რომელთა ცვლილება მიმდინარე საპროცენტო რისკისა და მომავალი მოგების შესახებ ერთგვარი სიგნალია.

საპროცენტო რისკის ეკონომიკური მოდელის ძირითადი ელემენტია ბანკის საკუთარი კაპიტალის – როგორც გათვალისწინებული ბურალტრული შეფასების ჯამის – საბაზრო ფასის განსაზღვრა.

ბანკის გაუთვალისწინებელი აქტივები და პასივები წარმოშვება ბალანსგარეშე საქმიანობიდან – საკრედიტო ხაზი, კრედიტების გაცემის ვალდებულება, ფიუჩერსი, ოფციონი, სვოპი. ამ საქმიანობისმიხედვით საჭიროა ღირებულებითი შეფასების ჩატარება.

ეკონომიკურ მოდელში საბალანსო და ბალანსგარეშე პოზიციების ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს ამ მომავალი ნაკადების რისკიანობას. აქტივებისა და პასივების მართვის პოზიციიდან ეკონომიკური მოდელი საშუალებას იძლევა შეფასდეს ბანკის საკუთარი კაპიტალის საბაზრო შეფასების მგრძობიარობა სხვადასხვა დაფარვის ვადის მქონე სავალო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების ყველა სპექტრის მიხედვით.

რამდენადაც ეკონომიკური პროგნოზირების ჰორიზონტი უფრო ფართოა, ვიდრე მოკლე ვადაზე ორიენტირებული ბუღალტრული მოდელი, ასევე, რამდენადაც მასში განიხილება ბალანსგარეშე საქმიანობა, ის საშუალებას იძლევა პროცენტული რისკი გაიზომოს მეტად მრავალმხრივად.

პრაქტიკაში, რა თქმა უნდა, უფრო ფართოდ ბუღალტრული მოდელი გამოიყენება, მაგრამ ნებისმიერ მოდელში აქცენტი კეთდება ცალკეული ცვლადის მგრძობიარობაზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან მიმართებაში.

წმინდა საპროცენტო მარჟა

ბანკების შედარებისთვის გამოიყენება წმინდა საპროცენტო მარჟის (წსმ) მაჩვენებელი.

წსმ = წმინდა საპროცენტო შემოსავალი (წსშ) / საშუალო შემოსავლიანი აქტივები (სშშ),

რადგან, წმინდა საპროცენტო შემოსავალი (წსშ) ტოლია საპროცენტო შემოსავლებს მინუს საპროცენტო ხარჯები, იგი განიხილება, როგორც მისი სპრედი შემოსავლიანი აქტივების მიხედვით და მას ხშირად უწოდებენ „სპედრის მართვა-ს“.

ბანკის წმინდა საპროცენტო მარჟის დონე და ცვალება-

დობა – ეს პირველადი ფაქტორებია, რომლებიც მოქმედებს თანაფარდობაზე „რისკი-შემოსავალი“. ბანკის წმინდა საპროცენტო მარჟა თავის მხრივ, არის საპროცენტო განაკვეთის, შემოსავლიანი აქტივების, ვალდებულებების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებისადმი მგრძობიარობის ფუნქცია.

ნსმ = f (განაკვეთი, მოცულობა, სტრუქტურა),

აქტივებისა და პასივების მართვის მთავარი მიზანია – ბანკის წმინდა საპროცენტო მარჟის მაქსიმიზაცია ან სტაბილიზაცია მისაღები რისკის პირობებში.

გეპ-ის მართვა

საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი რეაქციის მიხედვით, ბალანსის ყველა მუხლი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძობიარე აქტივი და პასივი. ის მოიცავს აგრეთვე იმ აქტივებს, რომლებიც გადაფასდება საანალიზო პერიოდის განმავლობაში
2. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი არამგრძობიარე აქტივი და პასივი
3. ფიქსირებული განაკვეთი.

განასხვავებენ გეპ-ის გაზომვის შემდეგ ხერხებს:

- აბსოლუტური გეპ-ი = საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძობიარე აქტივებს (სმა) – საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძობიარე პასივები (სმპ)
- ფარდობითი გეპი = საპროცენტო განაკვეთის ცვლი-

ლებისადმი მგრძნობიარე აქტივებს (სმპ) / საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობიარე პასივებთან (სმპ)

თუ ბანკს აქვს ნულოვანი გეპ-ი, ეს ნიშნავს, რომ მისი აქტივები და პასივები თანხვედრაშია ვადების მიხედვით. ამრიგად, აქტივებისა და პასივების მენეჯმენტის ერთ-ერთი მიდგომაა ვადების თანხვედრის უზრუნველყოფის სტრატეგია. ამ სტრატეგიის მიზანია ნულოვანი გეპ-ის ან ერთეულის ტოლი გეპ თანაფარდობის შენარჩუნება.

ნულოვანი გეპ-ის მდგომარეობა სრულად არ გამოორიცხავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკს, ე.ი. ამგვარი სიტუაცია არ არის სრულად ხეჯირებული.

გეპ-ის მართვაში მეორე სიტუაციაა, როცა სმპ მეტია სმპ-ზე. ეს მდგომარეობა განისაზღვრება, როგორც დადებითი გეპ-ი, ან აქტივების მგრძნობიარობის პოზიცია – $სმპ / სმპ > 1$. მაგალითად, თუ ბანკის სმპ ტოლია 100 მლნ ლარის, ხოლო სმპ – 50 მლნ ლარის, მაშინ გეპ-ი შეადგენს 50 მლნ ლარს, ანუ მგრძნობიარობის მაჩვენებელი 2-ის ტოლია. პოზიტიური გეპ-ი სასურველია იმ შემთხვევისათვის, როდესაც შემოსავლების მრუდი ღებულობს უარყოფით დახრილ ან ამობურცულ ფორმას.

გეპ-ის მართვაში მესამე სიტუაცია არის, როცა სმპ ქარბობს სმპ-ს. უარყოფით გეპ-ს, ანუ პასივების მგრძნობიარობის პოზიციას აქვს შემდეგი ფარდობითი გამოხატულება:

$$სმპ - სმპ < 0$$

$$სმპ - სმპ < 1$$

როდესაც საპროცენტო განაკვეთი იზრდება, უარყოფითი გეპ-ი ქმნის მნიშვნელოვან საპროცენტო და ლიკვიდობის რისკს.

მაგალითად: სმბ – 20

სმპ – 80

გეპი: სმბ – სმპ = 20-80 = - 60

მგრძნობიარობის დამოკიდებულება: $\text{სმბ} - \text{სმპ} = 20 / 80 = 0.25$.

კაპიტალის ბაზარზე ფულადი რესურსების გადინება შეიძლება მოხდეს საპროცენტო განაკვეთის ზრდის კვალობაზე და ამავე დროს იგი შექმნის ლიკვიდობის პრობლემას.

საპროცენტო განაკვეთის ზრდის კვალობაზე მოგება მცირდება, რადგან მოზიდული სახსრების ფასი იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე მოგება შემოსავლიან აქტივებზე. ამის შედეგად წარმოიშობა ზარალი, რაც თავის მხრივ საკუთარი კაპიტალის ლირებულების შემცირებს იწვევს და ემუქრება ბანკის გადახდისუნარიანობას.

არსებობს აქტივებისა და პასივების მართვის ანუ გეპ-მენეჯმენტის ოთხი საკვანძო საკითხი:

1. გეპ-ის გაზომვა აბსოლუტურ სიდიდეში
2. საპროცენტო განაკვეთის შეფასება და პროგნოზირება
3. მომავალი შემოსავლების დაგეგმვა
4. სხვადასხვა ტრაქტივის შემონიშვნა.

გეპ-ის გაზომვა სხვადასხვაგვარად მოქმედებს სხვადასხვა დონისა და სიდიდის ბანკზე. ზემოქმედების განსაზღვრისათვის გამოიყენება მარჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება გეპ-ის სიდიდის ბალანსის ვალუტასთან თანაფარდობით.

- 10 %-ზე ნაკლები – ნორმალური გეპ-ი, რისკი დასაშვებია და მართვადია;
- 10 – 12 % – ტაქტიკური გეპ-ი
- 12 – 15 % – სტრატეგიული გეპ-ი, რომელიც ითვლება არამართვადად და ბანკისთვის სახიფათოდ.

გეპ-ის გაზომვა, რა თქმა უნდა, დროის ჰორიზონტზეა დამოკიდებული.

პერიოდების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების პროგნოზირებისათვის უნდა განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთი, რომლის მიხედვითაც მოხდება ბალანსის ვალუტის ნაკადების გადაფასება. საპროცენტო განაკვეთების რისკის მართვის სტრატეგია მოიცავს ორ ეტაპს:

- საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების ტენდენციის პროგნოზი
- აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ცვლილება პროგნოზირებადი განაკვეთებიდან მოგების მიღების მიზნით.

მომავალი შემოსავლების დაგეგმვა. საპროცენტო განაკვეთების ზრდის პროგნოზირების დროს, ბანკი ღებულობს დამატებით მოგებას დადებითი გეპ-ის შემთხვევაში. თუ მოსალოდნელია საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის დაცემა, მაშინ დამატებითი მოგების მიღებისათვის ბანკს უნდა გააჩნდეს უარყოფითი გეპ-ი.

აღნიშნული დამოკიდებულების ჩვენება შიეძლება შემდეგი სახით

	გეპ-ი	საბაზრო საპროცენტო
დადებითი	განაკვეთები	იზრდება
დადებითი	იზრდება	ეცემა
უარყოფითი	ეცემა	ეცემა
უარყოფითი	იზრდება	იზრდება

გეპ-ის მართვის მეთოდები. გეპ-ის მართვის მიზნით ბანკი ტრადიციულად იყენებს თავის პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასწარმოქმნის პროცესს. მაგალითად, თუ ბანკს აქვს მეტად დადებითი გეპ-ი განსაზღვრული დროის პერიოდში, მაშინ აქტივებისა და პასივების მართვის დროს მენეჯერები ახდენენ ბანკის კლიენტების სტიმულირებას სახსრები განალაგონ ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ანაბრებზე, ხელსაყრელი პროცენტების დანესებით.

ანალოგიური მიდგომა შეიძლება საკრედიტო პოლიტიკაშიც იქნას გამოყენებული. მისი რეალიზებისათვის შეიძლება:

- კრედიტების გაცემა მცოცავი საპროცენტო განაკვეთით
- დაკრედიტების ვადის ხანგრძლივობა
- კრედიტების დაფარვის გრაფიკის ცვლილება.

ამ ღონისძიების შედეგად გეპ-ი მცირდება, მაგრამ პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია, რადგანაც კონკურენტული ბაზრის პირობებში კლიენტმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭოს საბანკო პროდუქტის სხვა მახასიათებლის, რომლების შეიძლება არ დამეთხვას ბანკის ინტერესებს საკუთარი რისკების კონტროლის სფეროში.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და აღრიცხვის ძირითადი პრინციპები

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს აინტერესებთ ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს, მოგება ზარალის ანგარიშს და ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მომხმარებელს შეუძლია დაადგინოს საწარმოს ბალანსის სტრუქტურა, ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა, აგრეთვე ეკონომიკური გარემოს ცვლილებებთან შეგუების უნარი. საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსებისა და წარსულში ამ რესურსების გარდაქმნის უნარის შეახებ ინფორმაცია სასარგებლოა იმისათვის, რომ განისაზღვროს საწარმოს მიერ მომავალში ფულისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების გამომუშავების უნარი. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ სასარგებლოა იმისათვის, რომ განისაზღვროს მომავალი მოთხოვნა სესხების მიღებაზე და როგორ განაწილდება მომავალი მოგება და ფულადი სახსრები მესაკუთრეთა შორის.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ასევე საინტერესოა ინფორმაცია ბანკი საქმიანობის შედეგების, განსაკუთრებით კი მისი მომგებიანობის შესახებ. საწარმოს საქმიანობის შედეგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა შემოსავლები და ხარჯები. ეს ინფორმაცია სასარგებლოა საწარმოს მფლობელობაში არსებული რესურსების საფუძველზე ფულადი სახსრების გამომუშავების უნარის

პროგოზირებისათვის. იგი ასევე გამოსადეგია საწარმოს მიერ შესაძლო დამატებითი რესურსების ეფექტურად გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

მომხმარებელთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ა) ბალანსს
- ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას
- გ) ანგარიშგებას საკუთარ კაპიტალის ცვლილების შესახებ
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას
- ე) სააღრიცხვო პოლიტიკასა და მენეჯმენტის განმარტებით შენიშვნებს

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა კომერციულ ბანკებში

კომერციულ ბანკებში შემოსავლები და ხარჯები ანგარიშგების ის ძირითადი ელემენტებია, რომლებიც მოგებასთან ერთად ბანკის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

ბანკები იურიდიულ-სამართლებრივი ფორმით სამეწარმეო იურიდიული პირები-საქციო საზოგადოებები (საქართველოს მოქმედი საბანკო კანონმდებლობით) ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები არიან, რომლებიც საბანკო საქმიანობას აწარმოებენ საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) თანახმად – „შემოსავალი არის საწარმოს (ბანკის) მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს (ბანკის) საკუთარი კაპიტალის გა-

დიდებით, რომელიც არ არის დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან“.

ხარჯები კი არის – „სანარმოს (ბანკის) მიერ ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდში აქტივების სანარმოდან (ბანკიდან) გასვლის ან ვალდებულებათა ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება სანარმოს (ბანკის) საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან“.

შემოსავლები მოიცავს ამონაგებსა და შემოსულობას.

საბანკო დანესებულების შემოსავლები საბანკო საქმიანობის მიხედვით ფორმირდება და იგი მოიცავს შემდეგ მუხლებს:

1. საბანკო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები:
 - დარიცხული და მიღებული პროცენტები
 - საბანკო მომსახურების შედეგად მიღებული საკომისიო შემოსავლები (სააგარიშსწორებო-საგადასახადო, საკასო ოპერაციები)
 - ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები
 - სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები
 - შემოსავლები გარანტიების გაცემიდან

2. შემოსავლები არასაბანკო ოპერაციებიდან:
 - სხვა ბანკებში, სანარმოებსა და ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის შედეგად მიღებული შემოსავლები
 - საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების შედეგად მიღებულ შემოსავლები
 - ქონების არენდის შედეგად მიღებული შემოსავლები
 - სხვა შემოსავლები (სატრასტო ოპერაციებიდან, ფაქტორინგული ოპერაციებიდან და ა.შ)

ბანკი ეწევა დანახარჯებს, რათა უზრუნველყოს ერთის მხრივ ეკონომიკური სარგებლის მიღება და მეორეს მხრივ უზრუნველყოს მომავალში შემოსავლების მიღება საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით.

დანახარჯები რომლებიც უზრუნველყოფენ საანგარიშგებო პერიოდში შემოსავლების მიღებას შეიძლება დაიყოს როგორც: შემოსავლების ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯები და შემოსავლის ოპერაციებისაგან დამოუკიდებელი ხაეტრჯები.

კომერციული ბანკისათვის შემოსავლების ოპერაციებთან დაკავშირებულია ის დანახარჯები, რომლებმაც ბანკს უნდა მისცეს ეკონომიკური სარგებელი აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების შედეგად. ბანკისათვის საანგარიშგებო პერიოდში იგი ჩამოინერება საპროცენტო ხარჯები(ა) დასარიცხი და გადასახდელი პროცენტების სახით – ობლიგაციების, აღებული კრედიტების, მათ შორის ბანკთა-შორისი კრედიტების, დეპოზიტებისა და თამასუქების მიხედვით გადასახდელი პროცენტების სახით და არასაპროცენტო ხარჯებად (საოპერაციო ხარჯები, გადახდილი საკომისიოები, სავალუტო ოპერაციების ხარჯები, ფასიან ქალაქებზე ოპერაციების ხარჯები, კლიენტურის საფოსტო და ტელეგრაფის მომსახურების ხარჯები და სხვ).

არასაპროცენტო ხარჯებში ცალკეა გამოსაყოფი ბანკის ფუნქციონალური საქმიანობის ხარჯები, რომელიც მოიცავს შტატის შესანახ ხარჯებს, სამეურნეო ხარჯებს, საამორტიზაციო ანარიცხებს და მომსახურების ხარჯებს.

სხვა არარეალიზებელ დანახარჯებს მიეკუთვნება საკურსო სხვაობით გამონვეული ზარალის, თუ გადახდილი ჯარიმებისა და საურავების სახით მიღებული ხარჯები და სხვა.

ბანკთაშორისი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების აღრიცხვა

საბანკო კრედიტი ფართო გაგებით არის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა რომელიც ყალიბდება ფულადი ფორმით ქონების გადაცემისას ფულადი სახსრების უკან დაბრუნების ან ქონების ღირებულების ანაზღაურების გზით. ბანკმა შეიძლება ისარგებლოს როგორც რეზიდენტი და არარეზიდენტი ბანკებისაგან ბანკთაშორისი კრედიტით, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში და მიზნობრივი სესხებით საერთაშორისი საფინანსო ორგანიზაციებიდან.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ბუღალტრული აღრიცხვისა და აღიარება-ასახვის მეთოდები რეგლამენტირებულია ბასს-ით "სესხებით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების" კლასიფიკაციით. ამ სტანდარტით განსაზღვრულია, რომ "სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები არის სანარმოს მიერ ნასესხები სახსრებისათვის საკუთარ თავზე აღებული პროცენტი და სხვა ხარჯები".

სესხით სარგებლობის დანახარჯებში შედის:

- რეზიდენტი და არარეზიდენტი ბანკების ოვერდრაფტზე და მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთები
- სესხის აღებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული დანახარჯების ამორტიზაცია
- სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დათმობებისა და დანამატების ამორტიზაცია
- ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები
- საკურსო სხვაობა, თუ იგი განიხილება როგორც უცხოური ვალუტით აღებული სესხის შესაბამისი საპროცენტო დანახარჯის შესწორება.

საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტებით სეხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯი უნდა აღიარდეს საბაზისო მეთოდით, იმ პერიოდის ხარჯებად როცა იგი განეული იქნა, ანუ აღნიშნული სააღრიცხვო მეთოდის თანახმად ბანკთაშორისი სესხით სარგებლობის ყველა დანახარჯი უნდა აღიარდეს მათ განევისთანავე, მიუხედავად სეხის სარგებლობის ვადისა და სესხის გამოყენების მიზნობრიობისა.

ბალანსის არსი და მნიშვნელობა

ბუღალტრული ბალანსი ასახავს საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ოდენობას გარკვეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

აქტივი არის რესურსები, რომელსაც წარსული მოვლენების შედეგად ფლობს საწარმო და რომლისგანაც მოსალოდნელია საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და მომავალში მის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

საკუთარი კაპიტალი არის ბანკის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ. ანუ:

$$\text{აქტივი} = \text{ვალდებულება} + \text{კაპიტალი}$$

აქტივებისა და ვალდებულებების განმარტებებში მხოლოდ არსებითი ნიშან-თვისებებია აღწერილი. განმარტებები არ გულისხმობს აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსში ასახვის კრიტერიუმთან დამოკიდებულებას. აქედან გამომდინარე, განმატრების თანახმად, აქტივებისა და ვალდებულებების შემად-

გენლობაში შედის ისეთი ელემენტებიც, რომლებიც არ აისახება ბალანსში, რადგან არ აკმაყოფილებენ მსს-ით დადგენილ აღიარების კრიტერიუმებს. კერძოდ, მომავალი ეკონომიკური სარგებლის სანარმოში შემოსავლის ან სანარმოდან გასვლის ალბათობა უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების აუცილებელ ატრიბუტს-მუხლს უნდა გააჩნდეს თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს.

იმისათვის რომ შევაფასოთ მოცემული ელემენტების შესაბამისობა აქტივების, ვალდებულებების ან საკუთარი კაპიტალის განმარტებასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ეკონომიკურ შინაარსსა და ბუნებას და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. მაგალითად, ფინანსური იჯარის ეკონომიკური შინაარსი ის არის, რომ მოიჯარე მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, აქტივის ფუნქციონირების შედეგად მისი სასარგებლო მომსახურების ძირითადი ვადის განმავლობაში და ამისათვის შეიჯარეს გადაუხდის აქტივის საბაზრო ღირებულებასთან მიახლოებულ თანხას და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ გადასახდელს. ამგვარად, საიჯარო ურთიერთობა წარმოშობს ისეთ მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებს აქტივებისა და ვალდებულებების განმარტებას, ამიტომ ასეთივე სახით ხდება მათი ასახვა მოიჯარის ბალანსში.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი ხელი შეუწყოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლას სანარმოში (ბანკში). აღნიშნული უნარი შეიძლება პროდუქტიული იყოს, რადგან იგი საოპერაციო საქმიანობის ნაწილია. სხვა შემთხვევაში, შეიძლება იყოს ფულად სახსრებად და მათ ეკვივალენტებად გარდაქმნის უნარი, ან იმის უნარი, რომ შეამციროს სანარმოდან ფულადი სახსრების გადინება.

სანარმო, როგორც წესი, მოიხმარს აქტივების იმ საქონლის სანარმოებლად და მომსახურების გასანევად, რომლე-

ბიც დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. თუ საქონელი ან მომსახურება აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს, მომხმარებლები მზად არიან გადაიხადონ ამ საქონლისა და მომსახურების საფასური და ამით ხელი შეუწყონ სანარმოში ფულადი სახსრების შემოსვლას. ფულადი სახსრები კი, როგორც უნივერსალური სანარმოო რესურსი, თავისთავად სანარმოს ემსახურება.

მრავალ აქტივს, მაგალითად, ძირითად საშუალებებს, ფიზიკური ფორმა გააჩნია. მაგრამ აქტივების ერთადერთი განმსაზღვრელი თვისება ფიზიკური ფორმა არ არის. ასე, მაგალითად, პატენტს და საავტორო უფლებას არ გააჩნია ფიზიკური ფორმა, მაგრამ ჩაითვლება აქტივებად, თუ ისინი იმყოფება სანარმოს განკარგულებაში და ივარაუდება, რომ მათი გამოყენება გამოიწვევს (ხელს შეუწყობს) ფულადი სახსრების შემოსვლას სანარმოში.

ზოგიერთი აქტივი, როგორცაა მისაღები თანხები და ქონება, დაკავშირებულია სამართლებრივ, მათ შორის, საკუთრების უფლებებთან. სანარმოში აქტივების არსებობის განსაზღვრისას საკუთრების უფლება არ არის მთავარი. მაგალითად, იჯარით აღებული ქონება ჩაითვლება აქტივად, თუ სანარმო აკონტროლებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც ივარაუდება ამ აქტივის გამოყენებით. თუმცა, სანარმოს უნარი, გააკონტროლოს სარგებელი, ჩვეულებრივ, ნარმოადგენს მის მიერ სამართლებრივი უფლებების განხორციელების შედეგს. ესა თუ ის საგანი შეიძლება ჩაითვალოს აქტივად მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს სამართლებრივი კონტროლი. მაგალითად, ნოუ-ჰაუ, რომელიც მიიღება საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგად, შეიძლება აკმაყოფილებდეს აქტივების განმარტებას, თუ ნოუ-ჰაუს საიდუმლოდ შენახვის გზით სანარმო აკონტროლებს მისგან მომავალში მისაღებ სარგებელს.

ვალდებულების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ სანარმოს (ბანკს) გააჩნია მიმდინარე მოვალეობა. ვალდებულება არის სანარმოს (ბანკის) მოვალეობა ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში, სავალდებულო წესით შესასრულებელი კონტრაქტის ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით. ვალდებულება წარმოიშობა ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში, აგრეთვე თუ სანარმოს სურს კარგი საქმიანი ურთიერთობები შეინარჩუნოს დამკვეთთან ან სხვა მომხმარებელთან.

აუცილებელია გაიმიჯნოს მიმდინარე ვალდებულება და მომავალი ვალდებულება. ბანკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მომავალში აქტივების შექმნის შესახებ, თავისთავად, არ წარმოშობს ვალდებულებას. როგორც წესი, ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივი მიღებულია ან თუ ბანკი დადებს შეუქცევად ხელშეკრულებას აქტივების შექმნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შეთანხმების შეუქცევადობა ნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულების უუნარობის ეკონომიკურმა შედეგებმა – დიდი ოდენობის ჯარიმების არსებობამ – შეიძლება ბანკს რესურსების სხვა მიმართულებით გამოყენების უფლება არ მისცეს.

ვალდებულება წარმოიშვება გასული პერიოდის სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად. ასე, მაგალითად, ბანკის მიერ საქონელის შექმნა, ან მომსახურების მიღება, წარმოშობს შესაბამის ვალდებულებას (თუკი არ ხდება გადახდა წინასწარ ან მიწოდებისთანავე), ხოლო სხვა ბანკიდან სესხის მიღება წარმოშობს ვალდებულებას ამ სესხის დასაფარავად. ბანკს შეუძლია ვალდებულების სახით ასახოს მუდმივი დამკვეთისათვის საქონლის მიწოდებაზე გათვალისწინებული მომავალი ფასდათმობის თანხები. ამ შემთხვევაში, ვალდებულების წარმოშობის მიზეზია წარსულში გაყიდული საქონელი.

საკუთარი კაპიტალი განხილულია როგორც ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი აქტივების ნაწილი. ბალანსში იგი შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად. მაგალითად, სანესდებო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი საერთო და სპეციალური რეზერვები. ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ეკონომიკური გადანყვეტილების მისაღებად, რომელიც ასახავს სანარმოს მიერ საკუთარი კაპიტალის განაწილების ან სხვაგვარი გამოყენების სამართლებრივ და/ან სხვა სახის შეზღუდვებს. ამგვარი სტრუქტურა შეიძლება ასევე ასახავდეს მესაკუთრეთა განსხვავებულ უფლებებს, დივიდენდების მიღებისა და კაპიტალის ამოღებასთან მიმართებაში.

ბუღალტრული ბალანსი გარდა იმისა, რომ აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის, წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით ცვლილების შესწავლის საშუალებას იძლევა, უზრუნველყოფს სანარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შესაძლებლობას.

ბუღალტრული ბალანსის მუხლები

ბანკის ფინანსური მდგომარეობის უკეთ აღქმის მიზნით, ბალანსი იყოფა ელემენტებად და მუხლებად. ელემენტებად დაყოფას საფუძვლად უდევს ეკონომიკური მახასიათებლები. ამ თვალსაზრისით, ბალანსში გაერთიანებულია, ერთი მხრივ, სანარმოს ეკონომიკური რესურსები და მეორეს მხრივ, მათი დაფინანსების წყაროები. ეკონომიკური რესურსები ბალანსში წარმოდგენილია აქტივების სახით. დაფინანსების წყაროები კი – ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სახით. ბალანსის თითოეული ელემენტს გააჩნია შესაბამისი მუხლი, რო-

მელიც აერთიანებს შინაარსითა და ფუნქციებით ერთგვაროვან რესურსებსა და წყაროებს.

ბალანსში მუხლების წარდგენას საფუძვლად უდევს სტანდარტით დადგენილი წესები. კერძოდ, ბალანსში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხები:

- ა) ძირითადი საშუალებები
- ბ) არამატერიალური აქტივები
- გ) ინვესტიციები
- დ) მოკლე და გრძელვადიანი საპროცენტო მოთხოვნები
- ე) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
- ვ) საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები
- ზ) ანარიცხები
- თ) მოკლე და გრძელვადიანი პროცენტიანი ვალდებულებები
- ი) სანესდებო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება

ზემოთ განხილული მუხლები ითვლება აუცილებელ საბალანსო მუხლებად. მათ გარდა, შესაძლებელია არსებობდეს სხვა ინფორმაცია, რომლის ასახვის თვალსაზრისით, საჭიროა წინასწარი მსჯელობა და გადანყვეილების მიღება იმის შესახებ ინფორმაცია აისახოს უშუალოდ ბალანსში თუ განმარტებით შენიშვნებში.

ზემოთ განხილული აუცილებელი საბალანსო მუხლების გარდა, ბალანსი უნდა მოიცავდეს ქვეჯგუფების სახელწოდებებსა და ჯამურ თანხებს. იგივე მიდგომა გამოიყენება მაშინ, როდესაც ასეთი წარდგენა აუცილებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სამართლიანი ასახვის მიზნით.

ბანკს, თავისი ოპერაციების თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლია შეცვალოს საბალანსო მუხლების ჩამონათვალი და თანამიმდევრობა, რათა სრულყოფილად წარადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

აუცილებელი საბალანსო მუხლების კორექტირების მიზნით, საჭიროა ობიექტურად შეფასდეს აქტივებისა და ვალდებულებების შინაარსი, ფუნქციები, ლიკვიდობა და არსი.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესიდან გამომდინარე, პრაქტიკაში მიღებულია აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფება ვადების მიხედვით.

ბანკმა, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, თვითონ უნდა გადაწყვიტოს, განცალკევებულად ასახოს თუ არა ბალანსში მაგალითად გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივები და გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების ცალ-ცალკე კოლასიფიცირება და ბალანსში ასახვა სასარგებლოა იმით, რომ ერთმანეთისგან გამოყოფს ნეტო აქტივებს, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან მიმქცევის პროცესში საბრუნავი კაპიტალის სახით, იმ აქტივებისაგან, რომელთაც სანარმო იყენებს გრძელვადიანი საქმიანობისათვის. ამასთან, აშკარად გამოიკვეთება ის აქტივები, რომელთა გამოყენებაც ივარაუდება, მოცემულ სანარმოო ციკლში და ის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს იმავე პერიოდში.

ინფორმაცია აქტივებისა და ვალდებულებების გადახდის ვადების შესახებ სასარგებლოა სანარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შესაფასებლადაც.

აქტივებისა და ვალდებულებების ვადის შესაბამისად დაჯგუფების მიზნით, გამოიყენება შესაბამისი განმარტება. კერძოდ, აქტივი ჩაითვლება მიმდინარე აქტივად, თუ:

- ა) ნავარაუდევია მისი რეალიზაცია, ან აქტივი განკუთვნილია გასაყიდად, ან განკუთვნილია მოხმარებისათვის ჩვეულებრივი სანარმოო ციკლის განმავლობაში
- ბ) ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით, ან მოკლევადიანი

მიზნებისათვის და მისი რეალიზაცია
ივარაუდება ერთი წლის განმავლობაში

- ბ) ეს არის ფულადი სახსრები ან მის
ეკვივალენტები, რომელთა გამოყენება
შეზღუდული არ არის

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

მოცემულ შემთხვევაში ცნება "გრძელვადიანი აქტივები" გულისხმობს ყველა გრძელვადიან მატერიალურ, არამატერიალურ, სანარმოო და ფინანსურ აქტივს, რომლებიც გამოიყენება გრძელვადიანი დანიშნულებით.

მოკლევადიანია ვალდებულება რომლის დაფარვა მოსალოდნელია:

- ა) მიმდინარე ციკლის განმავლობაში
- ბ) ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა ვალდებულება ითვლება გრძელვადიან ვალდებულებად.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან შესაძლებელია ზოგიერთი ვალდებულება მკაფიოდ ვერ აკმაყოფილებდეს მოკლევადიანი ვალდებულებების განმარტებას. ამიტომ აუცილებელია ვისარგებლოთ სტანდარტიზებული, ქვემოთ მოტანილი განმარტებებით.

ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება, როგორცაა: დარიცხვები თანამშრომლებისათვის და სხვა სანარმოო ხარჯები შეადგენენ სამუშაო (მუშა) კაპიტალის ნაწილს, რომელიც გამოიყენება სანარმოს საქმიანობის ჩვეულებრივ ციკლში. ასეთი მუხლები მოკლევადიან ვალდებულებებად კლასიფიცირდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის შემდეგ.

ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება არ წარმოადგენს მიმდინარე საწარმოო ციკლის ნაწილს, მაგრამ მათი გადახდა გათვალისწინებულია ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. მაგალითად, პროცენტური ვალდებულებების, საბანკო ოვერდრაფტების, გადასახდელი დივიდენდების, შემოსავლებიდან გადასახადებისა და სხვა არაკომერციული გადასახდელის მიმდინარე სამეურნეო წელს გადასახდელი ნაწილი. პროცენტური ვალდებულებები, რომლებიც გამოიყენება საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად ხანგრძლივი დროის განმავლობაში და რომელთა დაფარვა გათვალისწინებული არ არის 12 თვის განმავლობაში, განიხილება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საბალანსო უწყისი

ლარებში

N	აქტივები	lari	uc. valuta	sul
1	ნაღდი ფული	8 319 287	18 381 026	26 700 313
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	23 807 420	108 520	23 915 940
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	3 048 273	12 102 417	15 150 690
4	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	0	0	0
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	990 819	0	990 819
6.1	მთლიანი სესხები	59 487 515	86 325 080	145 812 594
6.2	მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-3 987 414	-4 710 993	-8 698 407
6	წმინდა სესხები	55 500 100	81 614 086	137 114 187
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	859 071	2 187 084	3 046 155
8	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	4 488 656	0	4 488 656

9	ძირითადი სამუშაოები და არამატერიალური აქტივები	19 580 326	X	19 580 326
10	სხვა აქტივები	3 810 184	665 932	4 476 116
11	მთლიანი აქტივები	120 404 136	115 059 066	235 463 202
ვალდებულებები				
13	ბანკების დეპოზიტები	4 241	3 732 433	3 736 674
14	მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	46 136 527	21 120 211	67 256 738
15	მოთხოვნამდე დეპოზიტები	16 240 134	17 227 393	33 467 527
16	ვალდებულებები	20 863 242	57 763 309	78 626 551
17	საკუთარი სავალდებულებები			0
18	ნასესხები სახსრები	0	10 870 650	10 870 650
19	დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	232 884	2 162 298	2 395 182
20	სხვა ვალდებულებები	1 538 146	2 343 883	3 882 029
21	მთლიანი ვალდებულებები	85 015 174	115 220 177	200 235 351
სააქციო კაპიტალი				
23	ჩვეულებრივი აქციები	7 000 000	X	7 000 000
24	პრივილეგირებული აქციები	0	X	0
25	მინუს: გამოსყიდული აქციები	0	X	0
26	საემისიო კაპიტალი	444 840	X	444 840
27	საერთო რეზერვები	2 753 070	X	2 753 070
28	გაუნაწილებელი მოგება	23 479 023	X	23 479 023
29	აქტივების გადაფასების რეზერვები	1 550 918	X	1 550 918
30	სულ სააქციო კაპიტალი	35 227 851	X	35 227 851
31	მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი	120 243 026	115 220 177	235 463 202

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არსი

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება შედგება საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების ელემენტებისაგან და იძლევა ინფორმაციას ბანკის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე.

ფინანსური შედეგი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის სახით.

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში ჩართულია მოცემულ პერიოდში აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი.

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი ძირითადად ორი კომპონენტისაგან შედგება. ესენია:

- ბანკის როგორც სანარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგება ან ზარალი
- განსაკუთრებული მუხლები.

ჩვეულებრივ საქმიანობას უწოდებენ ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც სანარმო ახორციელებს, როგორც თავისი ძირითადი საქმიანობის ნაწილს, აგრეთვე ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან ან მისგან გამომდინარეობს. როდესაც სანარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგებისა ან ზარალის, შემოსავლებისა და ხარჯების ელემენტები ისეთი მოცულობის, ხასიათის ან დატვირთვისაა, რომ მათი ასახვა აუცილებელია მოცემულ პერიოდში სანარმოს საქმიანობის ეფექტიანობის დასახასიათებლად, ასეთი ელემენტების შინაარსი და თანხები ცალ-ცალკე უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მთავარი წყარო ბანკის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული

ამონაგებია. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ადგილი აქვს ისეთ მოვლენებსა და ოპერაციებს, რომლებიც არ ხორციელდება უშუალოდ ამონაგების მიღების მიზნით, მაგრამ იგი ემსახურება ამონაგების მიღებას. ამ ოპერაციებსა და მოვლენებს თან ახლავს შემოსავლები და ხარჯები. მათი შინაარსობრივი წარდგენის მიზნიდან გამომდინარე, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლებიდან ხარჯების გამოქვითვის გზით. მაგალითად, გრძელვადიანი აქტივების, მათ შორის ინვესტიციებისა და სანარმოო აქტივების, რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობების ან ზარალის წარდგენა ხდება აქტივის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალიდან მათ რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვით.

ანალოგიური პრინციპით აისახება ასევე უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი, ასევე სავაჭრო ოპერაციებში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხები:

- ა) ამონაგები
- ბ) ხარჯების სტრუქტურა, ბანკის, როგორც სანარმოს, ხარჯების შინაარსის ან ფუნქციების მიხედვით
- გ) მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის შედეგები
- დ) ფინანსური დანახარჯები
- ე) საგადასახადო ხარჯები
- ვ) მოგება ან ზარალი ჩვეულებრივი საქმიანობიდან
- ზ) განსაკუთრებული მუხლები
- თ) საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი

განსაკუთრებული მუხლების ასახვა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში

განსაკუთრებული მუხლები არის ბანკის ჩვეულებრივი საქმიანობიდან აშკარად განსხვავებული სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც არ მეორდება რეგულარულად ან ხშირად.

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალის გაანგარიშგებაში მონაწილე შემოსავლებისა და ხარჯების ყველა ელემენტი, ფაქტობრივად, თავს იჩენს ბანკის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში. განსაკუთრებული მუხლების წარმოქმნა იშვიათად ხდება.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში განსაკუთრებული მუხლები ცალკე გამოიყოფა. ამიტომ აუცილებელია მოვლენათა ანალიზის გზით დადგინდეს, იგი ჩვეულებრივი საქმიანობაა თუ განსაკუთრებული მოვლენა. აუცილებელია საკითხის შესწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რადგან მოვლენა ერთი საწარმოსათვის შეიძლება განსაკუთრებული ხასიათის იყოს, ხოლო იგივე მოვლენა სხვა საწარმოსათვის შეიძლება ჩვეულებრივი საქმიანობა იყოს. მაგალითად, ხანძრის შედეგად საწარმოსათვის მიყენებული ზარალი განსაკუთრებული საბალანსო მუხლია. მაგრამ სადაზღვევო კომპანიისათვის, რომელიც ხანძარსაწინააღმდეგო სადაზღვევო პოლისის მფლობელს უხდის გარკვეულ კომპენსაციას აღნიშნული არ წარმოადგენს განსაკუთრებულ მუხლს. ბანკისათვის, ისევე როგორც არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა უმრავლესობისათვის განსაკუთრებული მუხლების არსებობის განმსაზღვრელი მოვლენებისა და ოპერაციების მაგალითებია:

- ა) აქტივების ექსპროპრიაცია
- ბ) მინისტერა ან სხვა სტიქიური უბედურება

ზოგიერთ შემთხვევაში განსაკუთრებულ მუხლად შეიძლე-

ბა განხილულ იქნეს სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტი შეიძლება განკუთვნილი იყოს ბანკისათვის გადაუდებელი ფინანსური დანახარჯების სტიმულირების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, გამართლებულია გრანტის შემოსავლად აღიარება განსაკუთრებული მუხლის სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება მისი მიღება. ანალოგიურად უნდა მოხდეს ბანკის მიერ წინა პერიოდში განეული ხარჯების ან ზარალის კომპენსაციის სახით მიღებული სახელმწიფო გრანტის ასახვა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

შეიძლება საწარმოში გამოვლინდეს რამდენიმე განსაკუთრებული მოვლენის შედეგი. ასეთ შემთხვევაში, ყოველი განსაკუთრებული მუხლის შინაარსი და თანხა ცალ-ცალკე აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, ხოლო მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება განსაკუთრებული მუხლის საერთო თანხა.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დასაშვებია ორი ტიპის სტრუქტურით. ტიპების ხასიათს განსაზღვრავს ხარჯების დაჯგუფების მეთოდი. ფინანსური შედეგის წარსადგენად ხარჯები შეიძლება დაჯგუფდეს მათი ეკონომიკური შინაარსის ან ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

აქედან გამომდინარე, ბანკმა ფინანსურ ანგარიშგებაში მოგებისა და ზარალის ანგარიშგება შეიძლება განსხვავებული ფორმით წარადგინოს. ორივე ალტერნატივა დასაშვებია, თუმცა ბანკმა არჩევანის გაკეთებისას უნდა გაითვალისწინოს, თუ რომელი მეთოდის გამოყენებით შეიძლება საქმიანობის შედეგების უფრო სწორედ და ზუსტად წარმოჩენას.

ორივე მეთოდისათვის მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ზოგადი სქემა ერთნაირია და შესაძლებელია შედეგები სახით წარმოვადგინოთ:

- ☛ საოპერაციო საქმიანობის შედეგი (მოგება ან ზარალი)
- ☛ ფინანსური ხარჯი-ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით
- ☛ მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე
- ☛ საგადასახადო ხარჯი
- ☛ განსაკუთრებული მუხლები
- ☛ წმინდა შედეგი (მოგება ან ზარალი)

ეკონომიკური შინაარსისა და ფუნქციების მიხედვით შედგენილ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებებს შორის არსებითი განსხვავება მხოლოდ სქემის პირველ ბლოკშია. სხვა ბლოკები შინაარსობრივად იდენტურია. ბანკი განსხვავებით არასაბანკო დაწესებულებისაგან საოპერაციო საქმიანობის შედეგს (მოგებას ან ზარალს) შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშების განსხვავებული მეთოდით ახდენს. კერძოდ, პირველ ბლოკში ერთიანდება საპროცენტო შემოსავლები და საპროცენტო ხარჯები, წმინდა საპროცენტო შემოსავლის ან ზარალის სახით, ხოლო არასაპროცენტო შემოსავლები და ხარჯები ქმნიან მეორე ბლოკს, წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის (ზარალის) სახით. წმინდა საპროცენტო შემოსავალი და წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი ქმნის ბანკის საოპერაციო მოგებას ან ზარალს. საოპერაციო მოგება მეორენაირადაც შეიძლება შეფასდეს როგორც წმინდა მოგება დარეზერვებამდე. დარეზერვების ხარჯებს მიეკუთვნება – ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით, ზარალი ინვესტიციებისა და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით და ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით წარდგენისათვის, საანგარიშგებო პერიოდის ხარჯები აგრეგირდება მათი შინაარსის მიხედვით. ამ მეთოდის გამოყენება არ მოითხოვს ხარჯების განაწილებას მათი ფუნქციების მიხედვით და ამდენად, გამოსაყენებლად უფრო მოხერხებულია.

ბანკი საპროცენტო შემოსავლებს იღებს სხვა ბანკებზე და იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის, ძირითადი საშუალებების არენდის შედეგად (ფინანსური იჯარა), ან ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდებში, ან სხვა მომგებიან აქტივებში ინვესტირების შედეგად, ხოლო სხვა დანარჩენი შემოსავალი ითვლება არასაპროცენტო შემოსავლებად.

ბანკის საპროცენტო ხარჯები დაკავშირებულია გადასახდეულ პროცენტებთან აღებული ბანკთაშორისი სესხებზე, ან იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან მოზიდული დეპოზიტებზე, ხოლო სხვა ხარჯები, მათ შორის სახელფასო, მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები მიეკუთვნებიან არასაპროცენტო ხარჯებს.

საბანკო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების კლასიფიცირება ერთეულ აქტივზე მიღებული შემოსავლების შეჯამებით ანუ თითოეულ ოპერაციაზე გაანგარიშებით ხდება.

- საბანკო და არასაბანკო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები;
 - საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლები.
1. საპროცენტო შემოსავლები საბანკო საქმიანობის მიხედვით ფორმირდება და იგი მოიცავს შემდეგ მუხლებს:
 - 1.1. საბანკო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები:
 - დარიცხული და მიღებული პროცენტები

€ საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან

1.2. შემოსავლები არასაბანკო ოპერაციებიდან:

€ სხვა ბანკებში, სანარმოებსა და ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის შედეგად მიღებული შემოსავლები

2. არასაპროცენტო შემოსავლები საბანკო საქმიანობის მიხედვით ფორმირდება და იგი მოიცავს შემდეგ მუხლებს:

2.1. საბანკო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები:

€ საბანკო მომსახურების შედეგად მიღებული საკომისიო შემოსავლები (სააგარიშსწორებო-საგადასახადო, საკასო ოპერაციები)

€ ფასიანი ქაღალდებით ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები

€ სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები

2.2. შემოსავლები არასაბანკო ოპერაციებიდან:

€ საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები

€ ქონების არენდის შედეგად მიღებული შემოსავლები

€ სხვა შემოსავლები (სატრასტო ოპერაციებიდან, ფაქტორინგული ოპერაციებიდან და ა.შ)

საბანკო დაწესებულების შემოსავლების სტრუქტურული ანალიზისას მხედველობაში მიიღება საბანკო და არასაბანკო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ამ თითოეული

მუხლის თანაფარდობა მთლიან შემოსავლებთან მიმართებაში. არასაბანკო დაწესებულებებისაგან განსხვავებით ბანკები მოგება-ზარალის უწყისის შედგენა შედარებითი ანალიზის მეთოდით ხორციელდება მიმდინარე პერიოდის მაჩვენებლების წინა პერიოდებთან და მათ გეგმიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში. თუ ანალიზი აჩვენებს, რომ საოპერაციო შემოსავლები დინამიკაში იზრდება ეს ბანკის ნორმალური ფუნქციონირების მაჩვენებელია. ხოლო არასაბანკო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, სხვა შემოავლებთან მიმართებაში კი პირიქით-აქტიური ოპერაციების მართვის ხარისხის გაუარესებაზე მიანიშნებს. საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის მაჩვენებელი განისაზღვრება შესაბამისი საოპერაციო შემოსავლების სესხების მთლიან მოცულობასთან თანაფარდობით.

ბანკის აქტიური ოპერაციებში წამყვანი ადგილი საბანკო სესხებს უკავიათ, რაც მთელი აქტივების 60-70 %-ია. დღეს ქართული ბანკების უმრავლესობა აქცენტებს მსხვილ და კორპორატიულ კლიენტურაზე აკეთებს.

მსხვილ კლიენტურაზე აქცენტების აღება შემთხვევით არ ხდება. მცირე და საშუალო სანარმოებთან შედარებით ისინი ნაკლები რისკების მატარებლები არიან, ფლობენ გაცილებით მეტ ლიკვიდურ აქტივებს და რაც მთავარია, მიღებული შემოსავლებიდან და ბრუნვიდან უზრუნველყოფენ ბანკების საჭირო ლიკვიდურობას უწყვეტი ფულადი ნაკადებით. მაგრამ წმინდა საპროცენტო შემოსავალზე მთავარი ორიენტირების გადატანით, ბანკებსაც ეზრდებათ რისკები. სასესხო განაკვეთების შემცირებით მცირდება ბანკების მოგების ნორმა და სამომავლოდ ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება. წმინდა საპროცენტო შემოსავალი, როგორც წესი დადებით მაჩვენებელზეა, რადგან მოზიდული სახსრების საპროცენტო განაკვეთები ნაკლებია გასაცემი სესხების საპროცენტო განაკვეთებზე, ანუ წმინდა საპროცენტო ზარალი მხოლოდ იმ

შემთხვევაში შეიძლება იყოს, როდესაც ბანკის მიერ გაცემული სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი უკან ვერ ბრუნდება. რაც შეეხება წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის მუხლს, აქ სიტუაცია ცოტა სხვაგვარად არის. ამ მუხლის ზარალზე გასვლა ქართული კომერციული ბანკებისათვის არც თუ იშვიათია და ბოლო წლებში უარყოფით მაჩვენებელს ინარჩუნებს, გაზრდილი ხელფასებისა და სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯების გამო. ბანკი არასაპროცენტო შემოსავალს მხოლოდ გაზრდილი საოპერაციო არეალის შედეგად თუ შეიძლება. აქედან გამომდინარე, დღეს ბანკების სტრატეგია აგებულია საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების დაბალანსებაზე და მსხვილ კლიენტურასთან ერთად აქცენტები მცირე და საშუალო ბიზნესზეც იქნება გადატანილი.

წმინდა საპროცენტო მარჟა, სკრედის და შემოსავლიანობის მოდელი

აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი ცნებები, არსი და ამოცანები

აქტივებისა და პასივების მართვა პირველ რიგში, ორიენტირებულია მოკლევადიან პერსპექტივაზე და დაკავშირებულია ბანკის ბალანსის მართვის ყოველდღიურ მუშაობასთან. ის მიმართულია შემოსავლიანობის მაქსიმიზებასა და საბანკო საქმიანობის რისკების შეზღუდვაზე.

აქტივებისა და პასივების მართვის ათვისების საწყისი წერტილია ბანკის რესურსული ბაზის ფორმირების ანალიზი, ე.ი. ნასესხები და საკუთარი სახსრების (ე.ი. ფინანსური ნაკადების) ანალიზი.

აქტივებისა და პასივების მართვა (Asset Liability Management) წარმოადგენს ბანკის მოთხოვნებისა და ვალდებულებების მართვის კოორდინირებულ პროცესს, ე.ი. მხედველობაში მიიღება ბანკის მთლიანი ბალანსის მართვა საპროცენტო განაკვეთებისა და ლიკვიდობის რისკის ჩათვლით.

აქტივებისა და პასივების მართვისადმი კომპლექსური მიდგომა საშუალებას იძლევა შემდეგი ამოცანების გადანწყვტილსათვის:

- საჭირო ლიკვიდობის უზრუნველყოფა
- ოპერაციის მომგებიანობის განსაზღვრული დონის შენარჩუნება
- საბანკო რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

მოკლევადიან პერსპექტივაში აქტივებისა და პასივების მართვის (აპმ) მთავარი ცვლადია წმინდა საპროცენტო შემოსავალი (ნსშ) ან ამ მაჩვენებლის ფარდობითი ფორმა – წმინდა საპროცენტო მარჟა (ნსშ / შემოსავლის მომტანი აქტივები).

წმინდა საპროცენტო მარჟა

ბანკების შედარებისთვის გამოიყენება წმინდა საპროცენტო მარჟის (ნსშ) მაჩვენებელი.

ნსშ = წმინდა საპროცენტო შემოსავალი (ნსშ) / საშუალო შემოსავლიანი აქტივები (სშა),

რადგან, წმინდა საპროცენტო შემოსავალი (ნსშ) ტოლია საპროცენტო შემოსავლებს მინუს საპროცენტო ხარჯები, იგი განიხილება, როგორც მისი სპრედი შემოსავლიანი აქტივების მიხედვით და მას ხშირად უწოდებენ „სპრედის მართვა-ს“.

ბანკის წმინდა საპროცენტო მარჟის დონე და ცვალებადობა, ეს პირველადი ფაქტორებია, რომლებიც მოქმედებს თანაფარდობაზე „რისკი-შემოსავალი“. ბანკის წმინდა საპროცენტო მარჟა თავის მხრივ, ეს არის საპროცენტო განაკვეთის, შემოსავლიანი აქტივების, ვალდებულებების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებებისადმი მგრძობიარობის ფუნქცია.

აქტივებისა და პასივების მართვის მთავარი მიზანია – ბანკის წმინდა საპროცენტო მარჟის მაქსიმიზაცია ან სტაბილიზაცია მისაღები რისკის პირობებში.

სპრედის და შემოსავლების მოდული

ნებისმიერი ბანკის ფუნქციონირების მთავარი მდგენელი ეს არის წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) ანუ წმინდა საპ-

როცენტო შემოსავლის შეფარდება აქტივების საშუალო მაჩვენებელთან. შესაბამისად სწორედ საპროცენტო სპრედია ის მაჩვენებელი, რომელმაც უნდა დაფაროს ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვზე (ჯგ), გადასახადები თუ საპროცენტო ხარჯები მოზიდულ სახსრებზე.

ამ მოდულის ილუსტრირებისათვის განვიხილოთ ბანკის მარტივი საბალასო უწყისი:

რეზერვები----100	დეპოზიტები----920
მუშა აქტივები----900	საკუთარი კაპიტალი----80

თუ დავუშვით, რომ ბანკი იღებს 10 % საპროცენტო შემოსავლას მუშა აქტივებიდან, მოზიდულ დეპოზიტებზე იხდის 5 %-ს, აქვს „ტვირთი“- 20 და იხდის გადასახადებს 33 %-ის ოდენობით, მაშინ ბანკის მოგება იქნება

$$E = [900 \cdot (0,10) - 900 \cdot (0,05) - 20] \cdot [1 - 0,33] = 16,8$$

$$\text{შესაბამისად } ROA = 16,8 / 100 = 1,68\%$$

ბანკის მოგება ასევე შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ სპრედის მოდელის მიხედვით, რომელიც იგება სახაზინო ვალდებულებების კონცეფციიდან, ანუ რესურსების განთავსების თვალსაზრისით ალტერნატიული ღირებულებებიდან. ახლა კი დავუშვათ, რომ სატრანსფერტო საპროცენტო განაკვეთი არის 7, 5%, მაშინ მივიღებთ სპრედის შემდეგ მოდულს:

საპროცენტო განაკვეთი x საბრუნავი საშუალებები	შედეგები
სპრედი საპროცენტო აქტივების მიხედვით x საპროცენტო აქტივებზე	$(0,10-0,075) \times 900=22,5$
სპრედი დეპოზიტების მიხედვით x დეპოზიტებზე	$(0,075-0,05) \times 920=23,0$
საკრედიტო ანგარიში საკუთარი კაპიტალის მიხედვით x საკ. კაპიტალი	$(0,075) \times 80=6$
დებიტორული ანგ. რეზერვები x რეზერვები	$(-0,075) \times 100= -7,5$
ფინანსური ტვირთი	=-20
სუფთა შემოსავალი გადასახადების გადახდამდე	=24
გადასახადები	=-7,2
მოგება	=16,8

სპრედის მოდული ითვალისწინებს 3 პარამეტრს:

- რესურსების სატრანსფერტო ფასს
- საკუთარი კაპიტალის მომგებიანობას სატრანსფერტო განაკვეთთან მიმართებაში
- მოგების შემცირება სატრანსფერტო განაკვეთის შედეგად სავალდებულო რეზერვებთან მიმართებაში

შესაბამისად, სპრედის მოდული ასახავს ბანკის უნარს დააფინანსოს აქტიური ოპერაციები სადეპოზიტო რესურსებით და მიიღოს მოგება საკრედიტო და მოზიდულ სახსრებს შორის საპროცენტო მარჟის შედეგად. გარდა ამისა ეს მოდული აჩვენებს მოგების უკუკავშირს რეზერვებთან მიმართებაში, რომელიც შეიძლება განვიხილოთ დამატებით გადასახა-

დის სახით, ამასთან ეს მოდელი ასევე იძლევა შესაძლებლობას შევაფასოთ ბანკის კაპიტალი, როგორც მოზიდული საკრედიტო რესურსი.

სატრანსფერტო ფასწარმოქმნა

ბანკის სატრანსფერტო ფასს, როგორც წესი განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთები. ნებისმიერი მსხვილი ბანკი ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც 3 ბიზნეს ერთეულის გაერთიანება 1) საცალო ბანკი 2) საბითუმო ბანკი 3) სახაზინო სავაჭრო ცენტრი. ამ სამეულში ხაზინა და სავაჭრო ცენტრი (TTC) გამოდის შუამავლად საცალო (RB) და საბითუმო (WB) ბანკს შორის. ცნობილია, რომ საცალო ბანკის უპირატესობა ეს არის სადეპოზიტო რესურსების მოზიდვა ხოლო საბითუმო ბანკის – კომერციული კრედიტების და ლიზინგის დაფინანსება.

ამდენად რესურსების გადადინება ხდება საცალო ბანკიდან საბითუმო ბანკისაკენ. განაკვეთები რომლებიც წარმოიქმნება რესურსების ამ გადადინებით ასახავს სატრანსფერტო ფასწარმოქმნას. თუ სატრანსფერტო განაკვეთი იქნება მაღალი, მაშინ საცალო ბანკი იქნება გაცილებით მომგებიანი, ვიდრე საბითუმო ბანკი და პირიქით. ალტერნატიული ღირებულება საცალო ბანკისთვის იქნება ფედერალური ფონდების და სხვა საინვესტიციო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განაკვეთები, ხოლო საბითუმო ბანკისთვის ალტერნატიული რესურსების წყარო იქნება მოზიდული სახსრების (სადეპოზიტო სერთიფიკატები CD) განაკვეთი.

რისკის პროფილი (ვადების აცდენის რისკი) და დიურაცია

ბანკის აქტივ-პასივების მართვა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილება უშუალოდ ზემოქმედებს ბანკის საბალანსო ღირებულებებზე. აღნიშნულის უკეთ გააზრებისათვის დაგვეხმარება ტერმინი – რისკის პროფილი. განვიხილოთ ბანკი რომელსაც აქვს მოკლევადიანი პოზიცია რესურსების მოზიდვის კუთხით და გრძელვადიანი პოზიცია დაკრედიტების თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში ბანკის ვალდებულებები უფრო ადრე გადაფასდება ვიდრე აქტივები (LRBA), რაც იწვევს მაღალ დამოკიდებულებას ანუ რისკს საპროცენტო განაკვეთების მოულოდნელ ცვლილებებთან მიმართებაში. შესაბამისად ბანკები რომლებსაც აქვთ LRBA-ს პოზიცია შეიძლება შეფასდეს როგორც ვადების აცდენის უარყოფითი მაჩვენებლით და პირიქით, ბანკები დადებით დურაციით, როდესაც აქტივების დაფინანსების წყაროა შედარებით მოკლევადიანი პასივები. ასეთ შემთხვევაში ბანკს მოუწევს ვალდებულებების გასტუმრება სხვა შემოსავლებით და არა აქტივების ფულად (უპირველესად სესხის) დაბრუნების შედეგად.

აქტივების მართვისას მხედველობაში მიიღება საპროცენტო განაკვეთები, სხვადასხვა კატეგორიების აქტივების მოცულობები და ვადები, ასევე რეზერვები, ლიკვიდობა, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები და გაცემული სესხები. ამასთანავე ბანკის აქტივები უნდა შეფასდეს როგორც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისადმი არამგრძნობიარე აქტივებად და მგრძნობიარე აქტივებად. ამ უკანასკლენს მიუკეთებენ

რეზერვები და სხვა ლიკვიდური აქტივები, რომლებიც გაცილებით სწრაფად გადაფასდებიან საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისას ვიდრე მაგალითად გრძელვადიანი ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდები ან სესხები. საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისადმი მგრძობელობა შეიძლება დახასიათდეს როგორც გადაფასების ეფექტური დრო ანუ დურაცია, დრო რომლის განმავლობაშიც ხდება გადაფასება.

პასივების მართვა (LM) ხორციელდება ორი მეთოდით: სარეზერვო პოზიციების მართვის მეთოდი და საკრედიტო პოზიციის მართვის მეთოდი.

სარეზერვო პოზიციების მართვის მეთოდი – მართვა მოკლევადიანი ინსტრუმენტების გამოყენებით, იმისათვის რათა დეპოზიტების მოსალოდნელი გადადინების შემთხვევაში კრედიტზე მოთხოვნისას ბანკს ჰქონდეს საკმარისი ფულადი რეზერვები, ნვდომა ბანკთაშორისი რესურსების ბაზარზე და შეთანხმებები უკუ რეპოზე, რაც ბანკს აძლევს საშუალებას მართოს პასივები. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება არა რეფინანსირების სესხები, რომლებიც არიან მოკლევადიანი (1 ან 7 დღის ვადით), არამედ NOSTRO ანგარიშზე რიცხული ჭარბი თანხები ერთდღიანი დეპოზიტების და ოვერნაითის ჩათვლით. შესაბამისად, პასივების მართვის ეს მეთოდი ახდენს მოკლევადიანი საფინანსო რესურსების გენერირებას ბანკის ლიკვიდობის სამართავად. თუმცა აღსანიშნავია რომ ბანკი რომელიც მუდმივად იყენებს სახელმწიფო რესურსებს აქტივების დასაფინანსებლად ლიკვიდობის მაღალ რისკის მატარებელია.

ბანკთაშორისი რესურსების (ფონდების) ბაზარი წარმოდგენილია კომერციული ბანკებით, ოღონდ ჩვეულებრივი სესხისგან განსხვავებით, ამ სახის ფონდირება არ ნიშნავს საბუღალტრო ბალანსის ზრდას, არამედ ბანკები სარეზერვო ანგარიშებიდან, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი თანხებს

გადარიცხავენ საპროცენტო ანგარიშებზე და შესაბამისად კონტრაგენტო იღებს რესურს, ხოლო ბანკი პროცენტს ანუ შემოსავალს. როგორც წესი ეს კონტრაქტები ატარებენ მოკლევადიან ხასიათს და ცნობილია ერთდღიანი კრედიტების და ოვერნაითის სახით.

საკრედიტო პოზიციის მართვის მეთოდი – მართვა საბუღალტრო ბალანსის მუდმივი გაფართოების გზით საკრედიტო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში წამყვანი ინსტრუმენტი არის სავალო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სადეპოზიტო სერთიფიკატები-CD). მსხვილი ბანკები ამ ინსტრუმენტის გამოყენებით რესურსებს იზიდავენ, როგორც შიდა, მთავარი განსხვავება ნოსტრო ანგარიშზე განთავსებულ მოკლევადიან დეპოზიტებსა და ძირითად ვადიან ანაბრებს შორის არის ამ რესურსების შედარებით მაღალი ღირებულება და ვოლანტილობა.

მაგალითისთვის განვიხილოთ ბანკი, რომელიც მოკლევადიან აქტივს (მაგ. დაკრედიტებას) აფინანსებს გრძელვადიანი ვალდებულებებით. აქედან გამომდინარე მისი აქტივები გადაფასდებიან უფრო ადრე ვიდრე ვალდებულებები (ARBL) და ბანკი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთების ვარდნის რისკზე. ამდენად, ARBL ბანკი ხასიათდება ვადიანობის დარღვევის დადებითი მაჩვენებლით ანუ უარყოფითი დურაციით და თუ საპროცენტო განაკვეთები შემცირდება, მაშინ ARBL ბანკი დანაკარგები გაიზრდება და ღირებულებაც შემცირდება, ხოლო თუ საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება, ბანკის შემოსავლები და ღირებულებაც გაიზრდება.

მსესხებელს ყოვეთვის აქვს შესაძლებლობა ვადაზე ადრე დაფარონ კრედიტი, ხოლო დეპოზიტარებს გაიტანონ თანხები ანგარიშებიდან. აქედან გამომდინარე საკრედიტო დაწესებულებები არიან დამატებითი რისკის ქვეშ საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

საპროცენტო განაკვეთების ზრდა. ასეთი სცენარისას მსესხებელი ბუნებრივია არ მოინდომებს აღებული სესხის რეფინანსირებას, მაგრამ სამაგიეროდ რეფინანსირება მომგებიანია დეპოზიტარებისათვის, თანხის ვადაზე ადრე გატანის შედეგად გადასახდელი ჯარიმის მიუხედავად. რადგან დეპოზიტარი ეძლევა შესაძლებლობა გატანილ თანხა განათავსოს უფრო მაღალშემოსავლიან აქტივში.

დეპოზიტარების მხრიდან თანხების ვადაზე ადრე გატანა, ბანკს უზრდის ლიკვიდობის რისკს, რაც პირადადირ ზემოქმედებს ბანკის აქტივებზე და საბალანსო ღირებულებებზე მისი შემცირებას მიმართულებით. ბანკს მოუწევს ან გადაფაროს დანაკლისი ახალი ვალდებულების აღებით ან მოუწევს საბუღალტრო ბალანსის შემცირება. თუ ბანკი წავა ახალი ვალდებულებების აღების გზით, მაშინ იგი არ შეამცირებს ბალანსს, მაგრამ სამაგიეროდ გაზრდის პასივების ღირებულებას საპროცენტო განაკვეთების ზრდის გამო. სხვა შემთხვევაში ბანკს მოუწევს საბალანსო ღირებულების შემცირება, რაც კვლავ ლიკვიდობის პრობლემებს წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთების შემცირება. ამ შემთხვევაში დეპოზიტარებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით აღარ სჭირდებათ თანხების გატანა, პირიქით ისინი მოგებული კი რჩებიან და სხვა აქტივებში ინვესტირება აზრს კარგავს. სამაგიეროდ მსესხებლები, მოსალოდნელი პირგასამტეხლოს მიუხედავად. მოინდომებენ კრედიტის რეფინანსირებას უფრო დაბალი პროცენტით. რეფინანსირების მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ექცევა ვადაზე ადრე დაფარვის რისკის ქვეშ, რაც მოქმედებს აქტივების სიდიდეზე და ფასზე. ბანკს მოუწევს გასცეს ახალი კრედიტები ან შეამციროს საბუღალტრო ბალანსი. უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის რეფინანსირება ბანკისათვის ნიშნავს ერთის მხრივ რისკის გაზრდას და მეორეს მხრივ საპროცენტო შემოსავლის შემცირებას. იმ

შემთხვევაში თუ კრედიტებზე მოთხოვნა იქნება შემცირებული, მაშინ ქარბი ლიკვიდობის რისკის შესამცირებლად ბანკი იძულებული იქნება ჩადოს თანხები სხვა აქტივებში, მაგ. სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ან ობლიგაციებში, რათა არ შეუმცირდეს ბალანსი, მაგრამ ამ ფასიან ქაღალდების შემოსავლიანობა იქნება კიდევ უფრო დაბალია. ალტერნატივა შეიძლება იყოს უარის თქმა ახალი დეპოზიტების მიღებაზე ან სხვა არასადეპოზიტო რესურსების წყაროს მოძიება.

აქტივებისა და პასივების მართვის უკონომიკური განზომილებები

ბანკის, როგორც კორპორაციის მოგება განისაზღვრება წმინდა საპროცენტო შემოსავლისა (NII) და წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) მიხედვით შესაბამისად მენეჯმენტის ამოცანაა წმინდა საპროცენტო მარჟისა და წმინდა საპროცენტო შემოსავლის შემცირებისას მოახდინოს რისკების მინიმიზაცია. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის არა ზოგადად ბანკის აქტივების ან პასივების ცვლილებების მაჩვენებელი, არამედ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან მგრძნობიარე აქტივები, მაგალითად სესხები და დეპოზიტები პასივში. აქედან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების დაკავშირება წმინდა საპროცენტო შემოსავლის ცვლილებასთან შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

$\Delta NII = \Delta r (GAP) = \Delta r (RSA - RSL)$, სადაც Δr – არის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მაჩვენებელი, GAP-სხვაობა მგრძნობიარე აქტივებს (RSA) და პასივებს (RSL) შორის, დროის გარკვეული მონაკვეთის მანძილზე (მაგ: 90 დღის განმავლობაში).

შესაბამისად, როდესაც $RSA - RSL > 0$ ბანკის ვადიანობის

გეპი დადებითია მოზიდული და განთავსებული რესურსების ვადიანობის თვალსაზრისით და პირიქით როდესაც $RSA-RSL < 0$ ვადიანობის გეპი უარყოფითია. მაგალითად: თუ ბანკს 1 წლამდე აქვს აქტივები 1 მლრდ ლარის, ხოლო 1 წლამდე საპროცენტო დეპოზიტები 800 მლნ. ლარის, ბანკს ექმნება გეპის დადებითი მაჩვენებელი 200 მლნ. ლარის საპროცენტო განაკვეთების მგრძნობიარე აქტივების და პასივების თვალსაზრისით.

თუ დავუშვებთ, რომ საპროცენტო განაკვეთები დადებითი ვადიანობის გეპისას გაიზრდება 200 ბაზისური პუნქტით (2%), მაშინ წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაიზრდება $200 * 0,02 = 4$ მლნ ლარით და პირიქით, თუ საპროცენტო განაკვეთები შემცირდება ანალოგიური პროცენტით, მაშინ წმინდა საპროცენტო მარჟა შემცირდება 4 მლნ ლარით ანუ ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალი დადებითი ვადიანობის გეპისას, საპროცენტო განაკვეთების ზრდისას იზრდება და პირიქით.

ჩვენს განხილულ ფორმატში დაშვებული იყო საპროცენტო განაკვეთების თანაბარი ცვლილება ორივე მხარეს, მაგრამ თუ აქტივ-პასივებში საპროცენტო განაკვეთების ცვლილება არათანაბარია, მაშინ ფორმულა იღებს შემდეგ სახეს:

$$\Delta N_{ii} = \Delta r_a(RSA) - \Delta r_l(RSL)$$

რისკი დაკავშირებულია აქტივებისა და პასივების საპროცენტო საპროცენტო განაკვეთების არათანაბარ ცვლილებასთან, იზრდება საბაზისო რისკი.

საფინანსო მენეჯმენტში ხშირად გამოიყენება წმინდა საპროცენტო მარჟის ცვლილების მაჩვენებელი საპროცენტო მარჟასთან.

$$\Delta n_{im}/n_{im} = (GAP/EA)(\Delta p/n_{im})$$

სადაც EA – არის შემოსავლიანი აქტივები.

წარმოდგენილი ფორმულები საშუალებას იძლევა გან-
ისაზღვროს წმინდა საპროცენტო შემოსავლის ცვლილება საპ-
როცენტო ცვლილება საპროცენტო განაკვეთების მოსალოდ-
ნელი ან გაუთვალისწინებელი ცვლილებებისას.

მაგალითი

საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებაში მგრძნობიარე
აქტივ-პასივების ცხრილი

1	მუშა აქტივები 1 წლამდე განთავსებით	400 000
2	საპროცენტო დეპოზიტები 1 წლამდე	-250 000
3	გრ ქელვადიანი სესხი 1 წლამდე გადაფას.	15 000
4	პრივილიგირებული აქციები, მცურავი კურსით	500
5	RSA – RSL	165 500
6	ბანკთაშორისი სესხები და უკურეპო	-80 000
7	მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშები (მიმდ. ანგ)	-120 000
8	სხვა 1 წლამდე ვალდებულებები	-110 500
9	დაზუსტებული RSA- RSL	-145 500
10	წმინდა საპროცენტო მარჟა	7,5%
11	შემოსავლიანი აქტივები	450 5 00

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ვადიანობის პორიზონტები

დაფარვის ვადები	აქტივი	პასივი	ვადიანობის დარღვევა	კუმულატიური პოზიცია/+ მოკლე/-გრძელი
1 დღე	5	40	-35	-35
30 დღე	10	30	-20	-55
60 დღე	15	20	-5	-60
91 დღე	20	10	+10	-50
182 დღე	25	10	+15	-35
365 დღე	30	5	+25	-10
მოლლევადიანი პოზიცია სულ	105	115	-10	-10
1 წელზე მეტი	05	70	+25	+15
კაპიტალი		15	-15	0
ჯამური სულ	200	200	0	0

როგორც ვხედავთ ბანკს აქვს სერიოზული პრობლემები ლიკვიდობასთან დაკავშირებით და ეს უპორველესად ეხება მოკლევადიან, ერთ თვემდე პერიოდს. მოცემულ შემთხვევაში გვაქვს 55 მლნ დოლარამდე რეზერვების პრობლემა.

ვადიანობის გეჰის განსაზღვრა

ბანკის აქტივ-პასივების მართვისას საპროცენტო გეჰთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ვადიანობის გეჰ-ის მართვა. ნულოვანი გეჰ-ი ნიშნავს აქტივების დაფინანსებას იგივე ვადის პასივებით. მაგალითად, თუ ბანკი იზიდავს 1 წლიან დეპოზიტებს და აღნიშნული რესუსრსით აფინანსებს 1 წლიან სესხებს ანუ $RSA=RSL$. შესაბამისად, დურაციის მაჩვენებელიც არის ნული და არც აქტივები და არც პასივები არ არიან

მგრძნობიარენი საპროცენტო რისკებთან მიმართებაში. მაგრამ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება იმოქმედებს ბანკის საბალანსო ღირებულებაზე თუ დაფარვის ვადები იქნება არათანხვედრი.

განვიხილოთ ორი ვარიანტი:

1. აქტივები ფინანსდებიან გრძელვადიანი პასივებით. თუ ბანკი 1 წლიან სესხებს აფინანსებს 5 წლიანი დეპოზიტებით, მაშინ სესხები გაცილებით ადრე გადაფასდება (შეეხება საპროცენტო ცვლილება) ვიდრე დეპოზიტები და დაფარვის ვადების მიხედვით იქნება დადებითი გეპი, ანუ $RSA > RSL$, თუმცა დურაცია ანუ ვალის გასტუმრების დრო იქნება უარყოფითი $DA < DL$. ასეთ შემთხვევაში აქტივები არიან გაცილებით მგრძნობიარე საპროცენტო ცვლილებებისადმი, ვიდრე პასივები და რისკების დაზღვევაც ხდება გრძელვადიანი ინსტრუმენტებით. ასეთი სტრატეგიის ბანკს შეიძლება ვუნოდოთ **ARBL (Assets Refinancing Before Liabilities)** ბანკი. მოცემული ბანკის სტრატეგია აგებულია მომავალში საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელ ზრდაზე, ანუ ბანკი იღებს გრძელვადიან ვალდებულებებს და ამით ამცირებს მომაცვალში საპროცენტო ხარჯებს პასიურ ოპერაციებზე, სამაგიეროდ მოკლევადიანი სესხების გაცემით სამომავლოდ ზრდის საპროცენტო მარჟას და შესაბამისად წმინდა საპროცენტო შემოსავალს. მაგალითად, ბანკი თუ დღეს მოზიდავს 5 წლიან დეპოზიტებს წლიური 9%-იანი განაკვეთით და გასცემს 1 წლიან სესხს წლიური 12%-იანი განაკვეთით, ერთი წლის შემდეგ საპროცენტო განაკვეთების თუნდაც 1 პროცენტით ზრდისას, იგი მიიღებს პრემიალურ მოგებას.

2. აქტივები ფინანსდებიან მოკლევადიანი პასივებით. თუ ბანკის გრძელვადიანი სესხები ფინანსდება მოკლევადიანი ვალდებულებებით, შესაბამისად ვალდებულებები გაცილებით ადრე გადაფასდება ვიდრე აქტივები. ასეთ დროს $RSA < RSL$ რაც ნიშნავს სესხის ვადების დაფარვის უარყოფით მაჩვენებელს, ასეთ შემთხვევაში $DA > DL$ და დურაციას აქვს დადებითი მაჩვენებელი. ასეთ ბანკს შეიძლება ვუნოდოთ LRBA (Liabilities Refinancing Before Assets) ბანკი. ასეთ დროს ბანკის სტრატეგია აგებულია მომავალში საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელ შემცირებაზე ანუ ბანკი იღებს მოკლევადიან ვალდებულებებს და ამით ამცირებს სამომავლო საპროცენტო ხარჯებს პასიურ ოპერაციებზე, სამაგიეროდ გრძელვადიანი სესხების გაცემით მომავალში ზრდის საპროცენტო მარჟას და შესაბამისად წმინდა საპროცენტო შემოსავალს. ასე მაგალითად ბანკი თუ დღეს მოზიდავს 1 წლიან დეპოზიტებს წლიური 9 %-იანი განაკვეთით, და გასცემს 3 წლიან სესხს წლიური 12%-იანი განაკვეთით, ერთი წლის შემდეგ საპროცენტო განაკვეთების თუნდაც 1 პროცენტით შემცირებისას, იგი მიიღებს პრემიალურ მოგებას.

წმინდა საპროცენტო მოგება

ბანკი	ტაქტიკური ბანკი (LRBA)	სტრატეგიული ბანკი (ARBL)
A=100	A=40/8%/ 1 წელი	A=60/10%/ 2 წელი
D=90	D=36/6%/3 თვე	D=54/9%/20 წელი
E=10	E=4	E=6

წმინდა საპროცენტო შემოსავალი

$$NII=40*(0,08)+ 60*(0,10) - 36*(0,06)-54*(0,09)=2,18$$

$$MVE=BVE=10=100-90$$

ახლა დავუშვათ სიტუაცია, როდესაც საპროცენტო განაკვეთი იზრდება 100 პ.პ ანუ 1%-ით. მაშინ ბანკი საბაზრო საბალანსო ღირებულება იქნება:

$$MVE=PVa-PVI$$

შესაბამისად ტაქტიკური და სტრატეგიული ბანკი ბალანსური მაჩვენებლების მიხედვით ჩვენ მივიღებთ:

$$MVE = PVA(LRBA) + PVA(ARBL) - PVL(LRBA) - PVL(ARBL)$$

$$PVA(LRBA) + PVA(ARBL) = \frac{40 \cdot (1 + 0.08)}{1 + 0.09} + \frac{60 \cdot 0.1}{1.11} + \frac{60 \cdot (1 + 0.1)^2}{1.11} = 39.63 + 58.97 = 98.6$$

$$PVL(LRBA) + PVL(ARBL) = \frac{36 \cdot (1.06)^{0.25}}{1.07} + \frac{54^{0.25} \cdot 0.09}{1.10} \cdot 19 + \frac{54 \cdot 0.09 + 54^{0.25}}{1.1} = 85.3$$

$$MVE=13,29>10$$

წმინდა საპროცენტო შემოსავლის ცვლილება 100 პროცენტული პუნქტით კი იქნება:

$$\Delta Nii=\Delta r(RSA-RSL)$$


ტაქტიკური ბანკის შემთხვევაში:

$$(0<GAP<91 \quad (0-36)*0,1=-0,36$$

$$(91<GAP<1 \text{ წელი} \quad (40-0)*0,1=0,40$$

$$\text{სუფთა} \text{ ----- } 0,04$$

მაგალითი



საპროცენტო განაკვეთის ზრდისას ბანკი იღებს მოგებას როდესაც გრძელვადიანი სესხები დაფინანსებულია მოკლევადიანი პასივებით, რაც გრაფიკზე ჩანს არსებული ქვედა და მოსალოდნელი ზედა მრუდების სახით და პირიქით.

დიურაცია

ჩვენს მიერ განხილული აქტივ-პასივების საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ფორმულა შეიძლება ტრანსფორმირდეს ბანკის საკუთარი კაპიტალის ღირებულების ცვლილების მატრიცაში:

$$\Delta V = \{[PV(A) \times (-D_A)] - [PV(L) \times (-D_L)]\} \cdot \Delta r$$

სადაც D – არის აქტივებისა და პასივების დიურაცია¹⁾.

დიურაცია განსაზღვრავს აქტივების საპროცენტო რისკს, მომგებიანობის შესაბამის მაჩვენებლის, საპროცენტო გადასახადებისა და განაღდების ვადების მიხედვით¹⁾.

$$D = (\Delta P/P) / [\Delta r / (1+r)]$$

სადაც, P – არის აქტივის ფასი,

i – არის შესაბამისი მომგებიანობა,

Δ – ცვლილების მაჩვენებელი,

ამ ფორმულით შეიძლება მივიღოთ ფასის ცვლილება როგორც დიურაციის ცვლილება.

$$\Delta P \approx - D [P / (1+i)] \cdot \Delta i$$

სხვანაირად დიურაცია განსაზღვრავს თუ რა დრო სჭირდება ინვესტორს შექმნილი აქტივის საბაზრო ღირებულების ამოსაღებად, მიმდინარე ღირებულების მიხედვით. ანალოგიურად შეიძლება გამოითვალოს ბანკის საკუთარი კაპიტალის დიურაციაც.

$$D = - (\Delta V/V) / (\Delta r / (1+r)), \text{ საიდანაც } \Delta V \approx - D (V / (1+r)) - \Delta r$$

ბანკის საკუთარი კაპიტალის დიურაციის ფორმულის ტრანსფორმაცია შესაძლებელია ლევერიჯის მიხედვითაც. თუ ჩავთვლით რომ $PV(A) = A / (1+r)$, ხადაც $PV(L) = L / (1+r)$ მაშინ $\Delta V = - [D_A A - D_L L] [\Delta r / (1+r)]$

თუ ამ ფორმულის ორივე ნაწილში შემოვიტანთ A/A ნამრავლს, მაშინ

$\Delta V = - [D_A - \lambda D_L] [\Delta r / (1+r)]$, სადაც λ – არის L/A ანუ ლევერიჯის მაჩვენებელი. წარმოდგენილ ფორმულაში ყველგან იგულისხმება, რომ საპროცენტო განაკვეთები ერთნაირად ანუ თანაბრად იცვლება აქტივებისა და პასივებისათვის ანუ საბაზისო რისკის გარეშეა იმ შემთხვევაში თუ წარმოიქმნება საბაზრო რისკი, მაშინ

¹⁾ Commercial Bank Valuation, W.D. Miller. 2009

$$\Delta V \approx [PV(A) \times (-D_A)] \cdot \Delta r_A - [PV(L) \times (-D_L)] \cdot \Delta r_L$$

მაგალითი

გამოვთვალოთ ხუთწლიანი საკუპონო წლიური 10%-იანი ობლიგაციის დიურაცია. ნომინალური 100 დოლარი.

პერიოდი (N)	ფულადი ნაკადი (CF)	მიმდინარე ღირებულება (PV)	NxPV
1	10	9,091	9,091
2	10	8,264	16,528
3	10	7,513	22,539
4	10	6,830	27,320
5	110	68,301	341,505
		100,000	416,98
	$D=416,98/100=4,17 < 5$		

დიურაცია უონჯრეტული მაგალითების განხილვით

განვიხილოთ ხუთწლიანი აქტივები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით წლიური 10%-იანი 5 წლიან ობლიგაციის შემთხვევაში, რომელიც ფინანსირდება 1 წლამდე ვადის პასივებით წლიური 9%, ანუ ვიხილავთ შემთხვევას, როდესაც სპრედი 1% (10-9)-ია. ბანკის აქტივებია – 100, პასივები – 90, საკუთარი კაპიტალი-10, კაპიტალის მულტიპლიკატორია $A/c=10$ ბანკის საპროცენტო შემოსავალი იქნება წლიურად 10, ხოლო საპროცენტო ხარჯი $90 \cdot 0,09=8,1$ წმინდა საპროცენტო შემოსავალი იქნება $10-8,1=1,9$

	საბაზრო	საბალანსო	CF				
			CF ₁	CF ₂	CF ₃	CF ₄	CF ₅
აქტივები	100	100	10.0	10.0	10.0	10.0	10.0
პასივები	90	90	-8.1	-8.1	-8.1	-8.1	-8.1
კაპიტალი	10	10	1.9	1.9	1.9	1.9	1.9
ახალი შემთხვევა /300 საბაზისო პუნქტის (3 %) ცვლილებით							
აქტივები	89.4	100	10	10	10	10	10
პასივები	87.6	90	-8.1	-10.8	-10.8	-10.8	-10.8
კაპიტალი	1.8	10	1,9	-0.8	-0.8	-0,8	-0,8

სიტუაციის ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში აქტივების საპროცენტო შემოსავლის საბაზრო ანუ მიმდინარე ღირებულება 10 %-იანი დისკონტირებისას პირველი ოთხნობიანი (10), ხოლო მეხუთე წლის ძირითადი თანხისა და გადახდის ქემ ფლოს(110) მიხედვით იქნება $(8.84+7.83+6.93+6.1+59.7=89.4$ მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი გახდება რა 12% (9%+3%) პასივების საბაზრო ღირებულება 12%-იანი დისკონტისას კი იქნება $90-2,7/1,12 = 87,6$ მლნ.ლარი რადგან თუ პირველ წელს ვალდებულებებს $CF_1 = -8,1$, მეორე – მეხუთე წელს იქნება $-(90 \times 12\%) = -10,8$ შესაბამისად ფულადი ნაკადების წლიური ნაზარდი ღირებულება იქნება $-10,8-8,1=2,7$.

წინა მაგალითზე განხილული დურაციის მიხედვით კი, როცა $PV(A)=89,4$ მლნ.ლარს, $PV(I)=87,6$ მლნ. ლარს, ხოლო აქტივების და ვალდებულებების დურაცია $Da=4,17$ და $DI=1$, მაშინ კაპიტალის საბაზრო ცვლილება იქნება:

$$\Delta V = \{89,4(-4,17) - 87,6(-1)\} 0,03 = -8,5$$

რაც ნიშნავს, რომ საპროცენტო განაკვეთების ზრდა ამცირებს ბანკის საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულებას 8, 2 მლნ ლარით, ხოლო წმინდა საპროცენტო შემოსავალს 2, 7 მლნ. ლარით.

ჰეჯირების მაგალითები

ბანკის კაპიტალის საბაზრო ღირებულებაა ლევერიჯის გამოყენებით როგორც ავლნიშნეთ არის

$$\Delta V = - [D_A - \lambda D_L] [\Delta r / (1+r)]$$

სადაც λ - არის ლევერიჯი (L/A) ვალდებულებების აქტივებთან შეფარდების მაჩვენებელი.

ახლა განვიხილოთ მაგალითი, როდესაც ბანკი გრძელვადიან (5 წლიან) აქტივებს (სესხებს) აფინანსებს მოკლევადიანი ვალდებულებებით (1 წლიანი), ანუ $D_A=5$, $D_L=1$, ბანკის $\lambda=0.9$ ასევე დავუშვათ, რომ $R=10\%$, ხოლო $\Delta r=1\%$. ბანკის აქტივების სიდიდე იყოს 100 მლნ კაპიტალი 10 მლნ. მაშინ

$$\Delta V = - [5 - 0.9(1)] 100 [0.01 / 1.10] = -3.727$$

აქედან ჩანს, რომ კაპიტალის ცვლილება 37%-ით ანუ მის შემცირება 3.7 მლნ დოლარით არ უნდა იქნას დაშვებული, ხოლო ჰეჯირებისთვის ბანკის გამოიყენების დერივატებს (IRD), ზოგადად შეიძლება ავლნიშნოთ, რომ იმ ქვეყნებში სადაც არის კარგად განვითარებული სახაზინო ვალდებულებების და დერივატების კერძოდ, ფიუჩერსების ბაზრები, შესაძლებელია სრულყოფილი ჰეჯირების განხორციელება საპროცენტო რისკების დასააზღვევად. თუ გავიხსენებთ, რომ საპროცენტო განაკვეთების ზრდისას ეცემა ობლიგაციების ფასი, ბანკმა უნდა უზრუნველყოს საპროცენტო განაკვეთების ზრდისას მიიღოს მოგება ფიუჩერსული კონტრაქტებისაგან, რაც მი-

	საბაზრო	საბალანსო	CF				
			CF ₁	CF ₂	CF ₃	CF ₄	CF ₅
აქტივები	100	100	10,0	10,0	10,0	10,0	10,0
პასივები	90	90	-8,1	-8,1	-8,1	-8,1	-8,1
კაპიტალი	10	10	1,9	1,9	1,9	1,9	1,9
ახალი შემთხვევა /300 საბაზისო პუნქტის (3 %) ცვლილებით							
აქტივები	89,4	100	10	10	10	10	10
პასივები	87,6	90	-8,1	-10,8	-10,8	-10,8	-10,8
კაპიტალი	1,8	10	1,9	-0,8	-0,8	-0,8	-0,8

სიტუაციის ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში აქტივების საპროცენტო შემოსავლის საბაზრო ანუ მიმდინარე ღირებულება 10 %-იანი დისკონტირებისას პირველი ოთხწლიანი (10), ხოლო მეხუთე წლის ძირითადი თანხისა და გადახდის ქეშ ფლოს(110) მიხედვით იქნება $(8.84+7.83+6.93+6.1+59.7=89.4$ მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი გახდება რა 12% (9%+3%) პასივების საბაზრო ღირებულება 12%-იანი დისკონტისას კი იქნება $90-2,7/1,12 = 87,6$ მლნ.ლარი რადგან თუ პირველ წელს ვალდებულებებს $CF_1 = -8,1$, მეორე – მეხუთე წელს იქნება $-(90 \times 12\%) = -10,8$ შესაბამისად ფულადი ნაკადების წლიური ნაზარდი ღირებულება იქნება $-10,8-8,1=2,7$.

წინა მაგალითზე განხილული დურაციის მიხედვით კი, როცა $PV(A)=89,4$ მლნ.ლარს, $PV(I)=87,6$ მლნ. ლარს, ხოლო აქტივების და ვალდებულებების დურაცია $Da=4,17$ და $DI=1$, მაშინ კაპიტალის საბაზრო ცვლილება იქნება:

$$\Delta V = \{89,4(-4,17) - 87,6(-1)\} 0,03 = -8,5$$

რაც ნიშნავს, რომ საპროცენტო განაკვეთების ზრდა ამცირებს ბანკის საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულებას 8, 2 მლნ ლარით, ხოლო წმინდა საპროცენტო შემოსავალს 2, 7 მლნ. ლარით.

ჰეჯირების მაგალითები

ბანკის კაპიტალის საბაზრო ღირებულებაა ლევერიჯის გამოყენებით როგორც ავლნიშნეთ არის

$$\Delta V \approx - [D_A - \lambda D_L] [\Delta r / (1+r)]$$

სადაც λ - არის ლევერიჯი (L/A) ვალდებულებების აქტივებთან შეფარდების მაჩვენებელი.

ახლა განვიხილოთ მაგალითი, როდესაც ბანკი გრძელვადიან (5 წლიან) აქტივებს (სესხებს) აფინანსებს მოკლევადიანი ვალდებულებებით (1 წლიანი), ანუ $D_A=5$, $D_L=1$, ბანკის $\lambda=0.9$ ასევე დავუშვათ, რომ $R=10\%$, ხოლო $\Delta r=1\%$. ბანკის აქტივების სიდიდე იყოს 100 მლნ კაპიტალი 10 მლნ. მაშინ

$$\Delta V = -[5 - 0.9(1)]100[0.01/1.10] = -3.727$$

აქედან ჩანს, რომ კაპიტალის ცვლილება 37%-ით ანუ მის შემცირება 3.7 მლნ დოლარით არ უნდა იქნას დაშვებული, ხოლო ჰეჯირებისთვის ბანკის გამოიყენების დერივატებს (IRD), ზოგადად შეიძლება ავლნიშნოთ, რომ იმ ქვეყნებში სადაც არის კარგად განვითარებული სახაზინო ვალდებულებების და დერივატების კერძოდ, ფიუჩერსების ბაზრები, შესაძლებელია სრულყოფილი ჰეჯირების განხორციელება საპროცენტო რისკების დასააზღვევად. თუ გავიხსენებთ, რომ საპროცენტო განაკვეთების ზრდისას ეცემა ობლიგაციების ფასი, ბანკმა უნდა უზრუნველყოს საპროცენტო განაკვეთების ზრდისას მიიღოს მოგება ფიუჩერსული კონტრაქტებისაგან, რაც მი-

იღწევა მხოლოდ მოკლე პოზიციის გახსნით ანუ სახაზინო ობლიგაციებზე ფიუჩერსული კონტრაქტების გაყიდვით. თუ საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება და ბანკი მათ გაყიდის უფრო მაღალი ფასით შესაბამისად მიიღებს მოგებას აღნიშნულ ტრანზაქციიდან.

დიურაციის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ თავად ფიუჩერსული კონტრაქტის ცვლილება:


$$\Delta F = -D_f F [\Delta r / (1+r)]$$

როგორც ვხედავთ ეს ფორმულა არის ზემოთ შემოთავაზებული ფორმულის ვარიაცია, სადაც F – არის ფიუჩერსული კონტრაქტის Δ სანყისი ღირებულება, D_f – ფიუჩერსული კონტრაქტის დიურაცია, ΔF – ცვლილება. მაგალითისათვის დავუშვათ, რომ D_f პირობითად იყოს 8.66.


F იქნება გაყიდული ფიუჩერსული კონტრაქტების რაოდენობა (პირობითად 473) გამრავლებული ობლიგაციის ნომინალზე (100 000 დოლარი). ხოლო საპროცენტო განაკვეთების 1%-ით ზრდისას (100 ს.პ) კი მივიღებთ – $\Delta F = -8.66[473*100\,000]*0.01/1.1=3.724$

როგორც ვხედავთ ჰეჯირება, ბანკის ზარალს მთლიანად ვერ დაფარავს, ხოლო 3.7 მლნ დოლარის ზარალს შეამცირებს 3 ათას დოლარამდე.

LRBA – ლიკვიდობის რისკი და ვადაზე ადრე დაფარვის რისკი



ARBL – ლიკვიდობის რისკი და ვადაზე ადრე დაფარვის რისკი



ΔV – ბანკის საბაზრო ღირებულების ცვლილება
 ΔR – საპროცენტო განაკვეთების გაუთვალისწინებელი ცვლილება

იღწევა მხოლოდ მოკლე პოზიციის გახსნით ანუ სახაზინო ობლიგაციებზე ფიუჩერსული კონტრაქტების გაყიდვით. თუ საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება და ბანკი მათ გაყიდის უფრო მაღალი ფასით შესაბამისად მიიღებს მოგებას აღნიშნულ ტრანზაქციიდან.

დიურაციის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ თავად ფიუჩერსული კონტრაქტის ცვლილება:


$$\Delta F = -D_f F [\Delta r / (1+r)]$$

როგორც ვხედავთ ეს ფორმულა არის ზემოთ შემოთავაზებული ფორმულის ვარიაცია, სადაც F – არის ფიუჩერსული კონტრაქტის Δ სანყისი ღირებულება, D_f – ფიუჩერსული კონტრაქტის დიურაცია, ΔF – ცვლილება. მაგალითისათვის დავუშვათ, რომ D_f პირობითად იყოს 8.66.


F იქნება გაყიდული ფიუჩერსული კონტრაქტების რაოდენობა (პირობითად 473) გამრავლებული ობლიგაციის ნომინალზე (100 000 დოლარი). ხოლო საპროცენტო განაკვეთების 1%-ით ზრდისას (100 ს.პ) კი მივიღებთ – $\Delta F = -8.66[473*100\ 000]*0.01/1.1=3.724$

როგორც ვხედავთ ჰეჯირება, ბანკის ზარალს მთლიანად ვერ დაფარავს, ხოლო 3.7 მლნ დოლარის ზარალს შეამცირებს 3 ათას დოლარამდე.

LRBA – ლიკვიდობის რისკი და ვადაზე ადრე დაფარვის რისკი



ARBL – ლიკვიდობის რისკი და ვადაზე ადრე დაფარვის რისკი



ΔV – ბანკის საბაზრო ღირებულების ცვლილება
 ΔR – საპროცენტო განაკვეთების გაუთვალისწინებელი ცვლილება

საზედამხედველო კაპიტალი და ეკონომიკური კაპიტალის განსაზღვრა

თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში საზედამხედველო კაპიტალის განსაზღვრა და მის ადექვატურობის მიმართ დადგენილი მოთხოვნების აქტუალურობა განსაზღვრულია იმ მიზნით, რომ ბანკის გადახდისუნარობის შემთხვევაში მისი კაპიტალის დონე იყოს საკმარისი, რათა კონკრეტული ბანკის პრობლემა არ გადაიზარდოს სისტემურ კრიზისში, რისთვისაც ბანკის კაპიტალმა უნდა უზრუნველყოს დანაკარგების დაფარვა ბანკის აქტივების სწრაფი ლიკვიდაციის შემთხვევაში.

რისკის მიხედვით შენონილი აქტივების დამოკიდებულება ბანკის კაპიტალთან, ანუ კაპიტალის ადექვატურობის მაჩვენებელი, მიუთითებს დასაშვებ კომპრომისზე რისკსა და მომგებიანობას შორის. კაპიტალის ადექვატურობის დასაშვებზე მაღალი მაჩვენებელი კი მიუთითებს ბანკის უკეთეს უნარზე დაფაროს ზარალი, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს რა ბანკის რეიტინგს ზრდის საკრედიტო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობებს (თუმცა ამცირებს ბანკის მოგების დონეს).

ეკონომიკური კაპიტალი არის კონცეფცია, რომელიც დაკავშირებულია საზედამხედველო კაპიტალთან. ეკონომიკური კაპიტალი წარმოადგენს იმ მინიმალურ დონეს რომელიც სავალდებულოა შედარებით მსხვილი დანაკარგების კონპენსირებისათვის, გრძელვადიან პერიოდში საქმიანობის გასაგრძელებლად. იგი განსაზღვრავს მოსალოდნელ ასევე გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რომელიც უნდა დაიფაროს ბანკის კაპიტალით.

ეკონომიკურმა კაპიტალმა როგორც რისკის შეფასების მეთოდმა პრატიკულად მოახდინა რისკის ქვეშ მყოფი ღირებულების (VAR) მეთოდის მოდიფიკაცია.

ეკონომიკური კაპიტალი განიხილავს იგივე საკითხებს რასაც რისკის ქვეშ მყოფი ღირებულების კონცეფცია, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დანაკარგებს ყველაზე უარესი სცენარისათვის, ოღონდ ყველზე მაღალი ნდობის დაშვებისას (99,97%).

როგორც გვახსოვს რისკის ქვეშ მყოფი ღირებულების კონცეფცია განსაზღვრავს ბანკის დანაკარგებს ყველაზე ცუდ შემთხვევაში დროის გარკვეულ ჰორიზონტზე ნდობის შესაბამისი დონის მიხედვით და იგი შემდეგნაირადაც შეიძლება განიმარტოს:

რა არის ყველზე მცირე თანხა რომელიც შეიძლება დაკარგოს ბანკმა მომავალ პერიოდში (1 დღე, 1 კვირა, 10 დღე, 1 თვე) ყველზე ცუდი სცენარის 5 % ალბაობით დაშვებისას.

ეკონომიკური კაპიტალის გაანგარიშება

ეკონომიკური კაპიტალის გაანგარიშების პირველი ეტაპი მდგომარეობს კრედიტებზე მოსალოდნელი (შესაძლო) დანაკარგების დაშვებაში დროის გარკვეულ პერიოდში. დროის ასეთ პერიოდად როგორც წესი აიღება 1 წელი.

შემდეგ ეტაპზე ხდება გაუთვალისწინებელი ზარალის გაანგარიშება, რაც VAR-ის მსგავსად მოითხოვს ნდობითი ინტერვალის არჩევას, ანუ დროის პროცენტულ მაჩვენებელს რომლის დროსაც რეალური დანაკარგები იქნება ნაკლები ან ტოლი გაუთვალისწინებელ დანაკარგებთან მიმართებაში. ეკონომიკური კაპიტალის ეს მაჩვენებელი არის ძალზე მაღალ დონეზე 99,97 %-ის ალბათობით ანუ არსებობს 99,97 პროცენ-

ტიანი ალბათობა რომ რეალური დანაკარგები იქნება მოსალოდნელზე ნაკლები.

ეკონომიური კაპიტალი არის სხვაობა გაუთვალისწინებელ დანაკარგებსა და მოსალოდნელ დანაკარგებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეკონომიური კაპიტალი არის კაპიტალი, რომელიც საჭიროა იმ დანაკარგების კომპენსირებისათვის, რომელიც ჩადებულია პროდუქტის ფასში.

მაგალითი

დავუშვათ A ბანკმა გასცა კრედიტი კომპანიაზე 1 წლის ვადით, 100 000 \$ ოდენობით. ახლა დავუშვათ, რომ ფინანსური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე ბანკმა დაადგინა, რომ არსებობს 2 %-იანი ალბათობა მსესხებელმა ვერ დაფაროს ვალი. სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი ანუ ურისკო განაკვეთი არის 4 %. ბუნებრივია, კომპანიისათვის სესხის გაცემისას ბანკი ითვალისწინებს რისკის მაჩვენებელს.

წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია ორი სცენარი დეფოლტის და დეფოლტის გარეშე:

სცენარი	ბანკისადმი გადახდელი თანხა	ალბათობა
1. დეფოლტი	\$0	2 %
2. დეფოლტის გარეშე	$100000(1+R)$	98 %

იმისათვის, რათა საპროცენტო განაკვეთმა გაითვალისწინოს დეფოლტისას ბანკის დანაკარგების კომპენსირება, კრედიტზე მოსალოდნელი საპროცენტო შემოსავალი უნდა იყოს ურისკო განაკვეთის ტოლი ანუ ამ თანხის ალტერნატიული ღირებულებისა სახაზინო ვალდებულებებში ინვესტირებით.

1 წლიანი სახაზინო ვალდებულებებში თანხის განთავსებისას ბანკის სარგებელი იქნებოდა:

$$Fv=10000*(1+0,04)= 10\ 400 \$$$

აღნიშნული კრედიტის გადასახადი მოცემული სცენარის მიხედვით შედგება ორი ნაწილისაგან დეფოლტის და დეფოლტის გარეშე:

$$Fv=10000(1+R)*0,98 +0,02*0=9800*(1+r)$$

პროცენტის დაანგარიშებისათვის

$$10\ 400\$=9800*(1+r)$$

აქედან $R=6,12\%$

ანუ მოსალოდნელი დანაკარგები შეადგენს 200\$ და ჩადებულია ფასში.

ახლა განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც A ბანკი გასცემს სესხს 10000\$ 1 წლით, წლიური საპროცენტო განაკვეთით 4 %, დეფოლტის ალბათობა არის 2 %, 100 ცალკეული კლიენტისათვის.

თითოეული ეს სცენარი დეფოლტის სხვადასხვა რაოდენობის დაშვებზე იქნება აგებული დანაკარგების სიდიდის მიხედვით.

დეფოლტის რაოდენობა	დეფოლტის ალბათობა N რაოდენ. სესხებზე, %	დეფოლტის ალბათობა N ან ნაკლები სესხისათვის	დეფოლტის ალბათობა N და მეტი სესხისათვის
0	13,26	13,26	86,74
1	27,07	40,33	59,67
2	27,34	67,67	32,33
3	18,23	85,90	14,10
4	9,02	94,82	5,08
5	3,53	98,45	11,55

ბანკის მიერ განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი პორთფელში არის 6,12%. 100 ცალკეული სესხისათვის პორთფელის მოსალოდნელი ზარალი ცალკეულ სესხზე გაანგარიშებით არის $200 \cdot 100 = 20000\$$ 99,98 ნდობითი ინტერვალის შემთხვევაში, ანუ 0,02 პროცენტის დეფოლტის დაშვებისას, მაგრამ როგორც ცხრილიდან ჩანს არსებობს 32, 33 % ალბათობა 2 და მეტი დეფოლტის წარმოქმნისას. 99,98 %-იანი ნდობითი ინტერვალის შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ 6 სესხის ყველაზე მცირე მაჩვენებელს, რომლის მიხედვითაც დანაკარგების ალბათობა ამ რაოდენობის ან მასზე ნაკლები სესხისათვის შესაზღებელია 99,98 % მეტი იყოს. როგორც გრაფიკიდან ჩანს კაპიტალის დონე რომელმაც უნდა გადაფაროს დანაკარგები 99,98 პროცენტის ნდობითი ინტერვალის პირობებში 8 დეფოლტის დაშვებისას, რაც საკრედიტო პორთფელის მიხედვით იქნება $10000 \cdot 8 = 80\ 000\$$ ანუ პორთფელის გაუთვალისწინებელი ზარალი იქნება 80 000\$, ხოლო ეკონომიური კაპიტალის სიდიდე $-80000 - 20\ 000 = 60\ 000\$$.

RAROC რისკის მიხედვით შეზღოვილი კაპიტალის რენტაბელობის მოდელი

კრედიტის გაცემისას საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციები საკრედიტო რესურსებზე განაკვეთების დადგენას ახდენენ კრედიტის რისკის კომპენსირების მიხედვით. შესაბამისად, AAA კლასის მსესხებელზე უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი დგინდება, ვიდრე BBB რეიტინგის შემთხვევაში, რომელის თავის მხრივ უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით ფასდება, ვიდრე CCC.

საკრედიტო რესურსებზე ფასწარმოქმნა არც ისე მარტივია, რადგან გარდა ისტორიულ ღირებულებისა, კომპანიის შეფასება მოითხოვს მომავალი მაჩვენებლების შეფასებასაც.

საქართველოსნაირი ტიპის ქვეყნებში, სადაც თავად კორპორაციული კლიენტურის ბიზნეს კულტურა არც თუ ისე მაღალ დონეზეა, ხოლო ფინანსური მართვის ხარისხი ხშირად ზედაპირულ ხასიათს ატარებს, ბანკები კლიენტურის შეფასებას როგორც წესი ეყრდნობიან ე.წ „პრაიმ რეითის“ პრინციპს.

ევროპულ ბანკებში საკრედიტო რისკებს შეფასებისას ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდს წარმოადგენს კაპიტალის რენტაბელობის შეფასება რისკის მიხედვით (RAROC).

აღნიშნული მეთოდი დანერგა BANKERS TRUST OF NEW YORK-მა და შემდეგ გადაიღო "DEUTSCHE BANK"-მა.

დღეს წამყვანი ამერიკული და ევროპული ბანკები, საკუთარი ვარიანტებით აქტიურად იყენებენ ამ მეთოდს.

RAROC-ის მეთოდი იძლევა საშუალებას შეადაროს კრედიტიდან მიღებული შემოსავალი, საკომისიოების ჩათვლით, რის-

კის მიხედვით შენონილ მის ზომასთან და იგი გამოითვლება ფორმულით:

$$RAROC=E(Y)/L$$

სადაც, $E(Y)$ – არის ერთპერიოდიანი მოსალოდნელი შემოსავალი სესხიდან, g -სესხის მოცულობა, რომელიც რისკის ქვეშაა;

ეს მეთოდი ითვალისწინებს სესხის გაცემას იმ შემთხვევაში, როცა $RAROC > RARROC$ სადაც $RAROC$ არის საბანკო „ბარიერული“ განაკვეთი ანუ მოზიდული რესურსების საშუალო შენონილი განაკვეთი, საკუთარი კაპიტალის ჩათვლით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის რისკის მიხედვით შენონილი კაპიტალის რენტაბელობა ნაკლებია ბარიერულ განაკვეთზე, მაშინ ბუნებრივია კრედიტის გაცემისას მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორცაა საპროცენტო გამანაკვეთის გაზრდა, ან კრედიტის სიდიდის შემცირება, ან დიურაციის შემცირება.

დიურაციის მოდულის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ $RAROC$ -ს კონკრეტულ მაგალითზეც.

როგორც ავლინბნეთ, დიურაცია განსაზღვრავს აქტივების საპროცენტო რისკს, მომგებიანობის შესაბამის მაჩვენებელსა, საპროცენტო გადასახადებისა და განაღდების ვადების მიხედვით. სხვანაირად დიურაცია განსაზღვრავს თუ რა დრო სჭირდება ინვესტორს შეძენილი აქტივის საბაზრო ღირებულების ამოსაღებად, მიმდინარე ღირებულების მიხედვით ანუ

$$D = - (\Delta V/V) / \Delta r / (1+r)$$

თუ კრედიტის ერთპერიოდიანი შემოსავალი არის 10, ხოლო რისკის მიხედვით შენონილი კრედიტის ფასი 100, მაშინ $RAROC = 10/100 = 10\%$

დიურაცია ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ელასტიურობის მაჩვენებელი კრედიტის საპროცენტო ცვლილებასთან მიმართებაში $(\Delta L/L)$ რისკის მიხედვით შენონილი კრედიტის ღი-

რეზულტატსთან, მისი დაფარვის ვადების მიხედვით, რომელიც გამოსახული იქნება შესაბამისი საპროცენტო განაკვეთით $\Delta r(1+r)$, დიურაციის ფორმულის მოდელირებით ჩვენ მივიღებთ საკრედიტო რისკს დიურაციის მიხედვით.

$$\Delta L = -D[\Delta r/(1+r)] * L$$

დიურაციის გასააზრებლად შეიძლება მოვიყვანოთ 5 წლიანი კუპონური 100 ლარიანი ობლიგაცია, ან ანალოგიური დაფარვის პრინციპით გაცემული 5 წლიანი კრედიტი წლიური 10 პროცენტიანი განაკვეთით. დურაცია იქნება:

$$[(9,09 \times 1) + (8,264 \times 2) + (7,53 \times 3) + (6,83 \times 4) + (68,301 \times 5)] / 100 = 4,17 \text{ წელი}$$

ახლა განვიხილოთ 3 წლიანი კრედიტი ნომინალით 1 მლნ. დოლარი, სადაც დიურაცია არის 3 წელი ხოლო $r=10\%$, $\Delta r=1\%$ (კრედიტის ხარისხის გაუარესება), მაშინ

$$\Delta L = -3 * [0.01/1.1] * 1000000 = -27273$$

აღნიშნული სიდიდე „-“ ნიშნის გარეშე იქნება გამოყენებული RAROC-ის გაანგარიშებაში, როგორც L, რაც შეეხება E(Y)-ს, ანუ კრედიტის შემოსავლიანობას, თუ დავუშვებთ, რომ სპრედი არის 0,3%, ხოლო სესხის საკომისიო არის მისი ღირებულების 0,06%, მაშინ

$$\text{სპრედი: } 0,003 * 1000000 = 3000$$

$$\text{საკომისიო: } (0,0006 * 1\ 000\ 000) / 3 = 200$$

$$\text{სულ: } 3200 \text{ ლარი}$$

$$\text{შესაბამისად RAROC} = 3200 / 27273 = 11,7\%$$

იმ შემთხვევაში თუ სესხის ბარიერის განაკვეთი არის 12%, მსესხებელს სესხი არ დაუმტკიცდება, თუმცა იმ შემთხვევაში თუ სესხის შემოსავალი გაიზრდება მაგ. 3600 ლარამდე, სესხი კლიენტს დაუმტკიცდება $3600 / 27273 = 13,2\%$ -ად.

არსებობს RAROC-ის ალტერნატიული მეთოდი, რომელიც საპროცენტო განაკვეთის რისკის კორექტირებულ ვარიანტს წარმოადგენს:

$RAROC = \text{სესხის საპროცენტო განაკვეთი} / (\text{გაუთვალისწინებულ დანაკარგების განაკვეთზე სესხის დაუფარავი ნაწილი დეფოლტისას})$

ამ შემთხვევაში განაცოფის მეორე ნაწილი ანუ სესხის დაუფარავი ნაწილი დეფოლტისას არის $(1-\lambda)$, სადაც λ არის სესხის დაბრუნების კოეფიციენტი. თუ დავუშვებთ, რომ $\lambda=0,3$, მაშინ

$$RAROC = 0.117 = 0.0032 / (0.7 * ULR), \text{ სადაც } ULR = 0.0389 = 3.9\%$$

ანუ გაუთვალისწინებელი ზარალის განაკვეთი ყოფილა 3,9%,

მისი გამოთვლისას გამოიყენება როგორც დიურაციის მეთოდი ასევე ეკონომიური კაპიტალის, მოგების და პროცენტის მაჩვენებლებიც.

ყოფიციენტები, რომელთა გათვალისწინებაც
ბანკის მენეჯმენტს საქმიანობის პროცესში
აუცილებლად მოუწევს

☛ **ერთ მსესხებელზე მაქსიმალური რისკის განმსაზღვრე-
ლი კოეფიციენტები**

LR 1 – ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი, რომლის მიხედ-
ვითაც სესხის მთლიანი თანხა და სხვა ვალდებულებები გაცე-
მული ერთ პირზე არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო-
კაპიტალის 15 %-ს.

LR 2 – ურთიერთდაკავშირებული მსესხებელების კოეფი-
ციენტი, რომლის მიხედვითაც სესხის მთლიანი თანხა და სხვა
ვალდებულებები გაცემული დაკავშირებულ პირთა ჯგუფზე
არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 25 %-ს.

LR 3 – ერთი ინსაიდერის კოეფიციენტი, რომლის მიხედ-
ვით ერთ ინსაიდერზე გაცემული თანხის ოდენობა და სხვა
ვალდებულებების მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს
საზედამხედველო კაპიტალის 5 %-ს.

LR 4 – ყველა ინსაიდერის კოეფიციენტი, რომლის მიხედ-
ვით ყველა ინსაიდერზე გაცემული თანხის ოდენობა და სხვა
ვალდებულებების მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს
საზედამხედველო კაპიტალის 25 %-ს.

☛ **ძირითადი საკრედიტო რისკების კოეფიციენტები**

LR 5 – მსხვილი სესხების კოეფიციენტი, რომლის მიხედ-
ვითაც მსხვილი სესხების და სხვა ვალდებულებების მთლიანი
თანხა არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის
ორმაგ ოდენობას.

LR 6 – არაუზრუნველყოფილი, ანუ საბლანკო სესხების
კოეფიციენტი, რომლის მიხედვითაც არაუზრუნველყოფილი
სესხების მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს სასესხებო
პორტფელის 25 %-ს.

¶ კაპიტალის გადანაწილება ინვესტიციებზე

IR 1 – კაპიტალში ინვესტირების კოეფიციენტი, რომლის მიხედვითაც ბანკის მთლიანი ინვესტიციები სხვა იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 50 %-ს.

IR 2 – ქონებრივი ინვესტირების კოეფიციენტი, რომლის მიხედვითაც ბანკის ფიქსირებული აქტივების მთლიანი ღირებულება და ინვესტიციები იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 70 %-ს.

¶ ღია სავალუტო პოზიცია

PL 1 – ღია სავალუტო პოზიციის ლიმის კოეფიციენტი, რომლის მიხედვითაც ბანკის მთლიანი ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა იყოს საზედამხედველო კაპიტალის 20 %-ზე მეტი.

¶ კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტები

Tier 1 – პირველადი კაპიტალის მაჩვენებელი ბანკის რისკის მიხედვით შენონილი აქტივების 8 %-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

Tier 2 – საზედამხედველო კაპიტალის მაჩვენებელი ბანკის რისკის მიხედვით შენონილი აქტივების 12 %-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თანამედროვე საბანკო საქმე. ირაკლი კოვზანაძე, გოგი კონტრიძე. თბ. 2014წ.
2. საბანკო მენეჯმენტი. როსტომ ბერიძე. თბ. 2009
3. რისკოლოგია. ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. გიორგი ცაავა, თეონა აბრამია, დავით ცაავა. თბ. 2007წ.
4. საბანკო საქმის საფუძვლები: ნაწილი 2-პროდუქტები და მომხმარებლები, ნაწილი 3-საბანკო სექტორის ეთიკა, მართვა და მარკეტინგი. თბ. 2007წ.
5. ბულალტრული აღრიცხვა. ა.ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ.სრესელი, ზ.გოგრიჭინი. თბ. 2006წ
6. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“; <http://www.nbg.gov.ge/>
7. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“; <http://www.nbg.gov.ge/>
8. საქართველოს კანონი “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” და საქართველოს კანონი “არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების-საკრედიტო კავშირების შესახებ”; <http://www.nbg.gov.ge/>
9. საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესები; <http://www.nbg.gov.ge/>
10. დებულება „საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ“; <http://www.nbg.gov.ge/>
11. საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემაში საკასოსაემისიო ოპერაციების წარმოების წესი; <http://www.nbg.gov.ge/>
12. კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი; <http://www.nbg.gov.ge/>
13. დებულება „საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ“; <http://www.nbg.gov.ge/>
14. საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემაში საკასოსაემისიო ოპერაციების წარმოების წესი; <http://www.nbg.gov.ge/>

გამოყენებული ლიტერატურა:

15. კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ; <http://www.nbg.gov.ge/>
16. კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი; <http://www.nbg.gov.ge/>
17. კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი; <http://www.nbg.gov.ge/>
18. კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება; <http://www.nbg.gov.ge/>
19. კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება; <http://www.nbg.gov.ge/>
20. დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“; <http://www.nbg.gov.ge/>
21. საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების ბაზელის კომიტეტის კვლევები. <http://www.bis.org>
22. Risk Management in Banking (Forth Edition). Joel Bessis. 2015
23. Fundamentals of Financial management, Eugene F. Brigham, Joel F. Houston, 2009.
24. Financial Management James C. Van Home, John m. Wachowich, 2009.
25. Commercial Bank Valuation, W.D. Miller.2009
26. A Framework for Assessing Corporate Governance, Henie Wan Greuning, Sonja Brajovic Bratanovic, 2008; rus.
27. Commercial Bank Financial Management, Joseph F. Siskey, 2007.
28. Investment Valuation, talks and techniques for determining the value of any assets, Aswath Damodaran, 2006. rus.
29. Trade Finance-Payments and Services. BPP Publishing, 1997.



ლევან ქისტაური (დ. 1967 წ. 15 აპრილს, ქ. თბილისი) – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ბანათლება

1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი სპეციალობით „ფინანსები და კრედიტი“. 1994 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სპეცია-

ლობით „სამართალმცოდნე“. გავლილი აქვს სწავლებები და სტაჟირებები აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, კანადის, ავსტრიის სასწავლო დაწესებულებებში და საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებში.

შრომითი გამოცდილება

შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის საფინანსო განყოფილებაში რიგით ეკონომისტად (1990), შემდეგ მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ფულის მიმოქცევის სამმართველოს ფასიანი ქაღალდების განყოფილების უფროსად (1991-1992), საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო სამმართველოს უფროსის მოადგილედ და უფროსად (1992-1994), საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს უფროსად (1994-1999), საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური გამოკვლევების და მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს უფროსად (1999-2000), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის პირველ მოადგილედ და უფროსად (2000-2001), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის უფროსად (2002-2003), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავჯდომარედ (2001-2002, 2003-2004). 2004 წლიდან არის შპს „ბიზნესის მართვის ბიუროს“ დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი.

სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა

1995 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების და საბანკო საქმის კათედრაზე დოცენტად, მოწვეულ პროფესორად, ასოცირებულ პროფესორად, 2009-2014 წლებში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოწვეულ პროფესორად და სრულ პროფესორად. 2014 წლიდან არის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, ფინანსების და საბანკო საქმის პროგრამის ხელმძღვანელი.

კვლევები და პუბლიკაციები

ლევან ქისტაური არის ეკონომიკის, მაკროეკონომიკული და მონეტარული პოლიტიკის, საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო ბიუჯეტის, საბანკო საკითხების თაობაზე ორმოცდაათამდე წიგნის, სამეცნიერო სტატიის და პუბლიკაციის ავტორი.

თავისუფლად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.



გიორგი ცუციურიძე (დ. 1962 წ. 3 იანვარი, ქ. თბილისი) - ვრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

ბანათლება

1984წელს წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, 1991 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეცფაკულტეტის მაგისტრატურა, სპეციალობით „ეკონომისტი“. გავლილი აქვს სწავლებები და სტაჟირებები აშშ-ის,

საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის სასწავლო დაწესებულებებში და საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებში.

შრომითი გამოცდილება

თბილისის საფონდო ბირჟის გენერალური დირექტორის მოადგილე (1994-1997), საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორი (1997-დღემდე), საბანკო სწავლების ცენტრის გენერალური დირექტორი (2007-დღემდე).

სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი (2008-2010), ვრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი (2010-დღემდე)

კვლევები და პუბლიკაციები

გიორგი ცუციურიძე არის ეკონომიკის, საფინანსო და მონეტარული პოლიტიკის, საბანკო საქმიანობის და ზედამხედველობის საკითხების თაობაზე ოცდაათამდე ნაშრომის, სამეცნიერო სტატიის და პუბლიკაციის ავტორი.

თავისუფლად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.